ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სიმონ გურეშიძე

ისლამური რადიკალიზმი და „არაბული გაზაფხული“: თუნისი, ეგვიპტე, სირია

ისტორიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ისტორიის დოქტორი, ასისტენტ-პროფ. **ზაალ გოგენია**

თბილისი

2022

ისლამური რადიკალიზმი და „არაბული გაზაფხული“: თუნისი, ეგვიპტე, სირია.

აბსტრაქტი

წარმოდგენილ კვლევაში დასმულ პრობლემასთან დაკავშირებული დასკვნების მთავარი არგუმენტი მთლიან ნაშრომზე დაყრდნობით, კერძოდ, ჩატარებული კვლევის, შედარებითი ანალიზისა და მასალების შეჯერების შედეგად არის ის, რომ 2010 წლის დეკემბერში თუნისში დაწყებული და შემდგომ თითქმის ყველა არაბულ ქვეყანაში გავრცელებული „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი საპროტესტო აქციები და რევოლუციური პროცესები იყო არა ისლამისტური ძალების „გამოღვიძება“ ან დემოკრატიული პროცესებისაკენ მიმართული ბიძგი, არამედ ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებული გარიგებები ზომიერ ისლამისტურ და სეკულარულ პოლიტიკურ ძალებს შორის თუნისის მაგალითზე, სამხედროების მრავალსვლიანი კომბინაცია ეგვიპტეში, რეჟიმის მანიპულაციები და რეგიონული აქტორების ინტერესთა კონფლიქტის შედეგები სირიაში.

დამუშავებული ფაქტოლოგიური მასალები და მათ საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგები იძლევა შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას: რიგ შესაბამის ფაქტოლოგიურ მასალებში გავრცელებულ მოსაზრებებს, რომ თუნისსა და ეგვიპტეში რეჟიმების დამხობის შემდეგ თითქოს ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზას ისლამისტურ ძალებში ხედავდა, არ გააჩნია მყარი საფუძველი და პოლიტიკური ისლამის მიმდევარი ძალები ამ ქვეყნებში ძველი რეჟიმებისთვის პოლიტიკურ სარბიელზე დარჩენის მაშველ რგოლს წარმოადგენდნენ – თუნისში ნებით, ეგვიპტეში კი უნებლიეთ და თუნისმა როგორც „არაბული გაზაფხულის“ შემდგომი წარმატებული გარდამავალი დემოკრატიის მოდელმა რღვევა დაიწყო რევოლუციიდან ათი წლის თავზე.

ნაშრომში ასევე ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ სირიის შემთხვევაში ისლამისტი ექსტრემისტების გააქტიურება მმართველი რეჟიმის მანიპულაციის შედეგი იყო, ვინაიდან სწორედ ამ ძალებთან ბრძოლის შედეგად მოახერხა რეჟიმმა ქვეყნის მმართველ უალტერნატივო ძალად დარჩენა და სწორედ ეს იყო აღნიშნულ სახელმწიფოში ისლამისტური ექსტრემიზმის გაღვივების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი და არა გარკვეულ წყაროებსა და მასალებში გავრცელებული მოსაზრებები სუნიტურ-შიიტური ძალების დაპირისპირების შესახებ.

Islamic Radicalism and Arab Spring: Tunisia, Egypt, Syria

Abstract

The main argument of the conclusions drawn in connection with the problem posed in the study, on the basis of the whole paper, as a result of the conducted research, comparative analysis and comparison of materials, is the following – the anti-governmental protests and revolutionary processes, known as Arab Spring, which started in December, 2010, and then spread to almost all Arab countries, were not the "awakening" of the Islamic forces or impetus given to democratic processes, but deals based on common interests between moderate Islamist and secular forces on the example of Tunisia, the combination of the military in Egypt, and the manipulations of the regime and the consequences of the conflict of interests of the regional actors in Syria. The studied factual materials and the results of research based on them, leads to the conclusion that the views found in a number of relevant factual sources, according to which, after the overthrowing of the regimes in Tunisia and Egypt, allegedly the local population saw the only way for solution of their problems in Islamist forces, have no solid foundation, and the forces following Political Islam in these countries represented the lifeline for the old regimes to stay on the political arena – voluntarily in Tunisia and involuntarily in Egypt and Tunisia, as a model of successful transitional democracy after the Arab Spring, began to fail after ten years from the revolution. In the dissertation the circumstance is also stressed that in the case of Syria the activation of Islamist extremists was a result of the manipulation of the ruling regime, because exactly as a result of the struggle against these forces the regime managed to remain as the ruling power without an alternative in the country, and exactly this was one of the main reasons for bursting out Islamist extremism in this state, rather than the views concerning opposition of the Sunni-Shiite forces, occurring in certain sources and materials.

შინაარსი:

შესავალი 1

თავი I. რევოლუცია თუნისში და ისლამისტების გამარჯვების რეალური მიზეზები 34

1.1. ისლამისტების გავლენა თუნისში რევოლუციამდე და ქვეყანაში ჩატარებულ პირველ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 34

1.2. პოლიტიკური სიტუაცია არჩევნების შემდგომ დროინდელ თუნისში 59

1.3. სამხედროების როლი ძველი რეჟიმის პირობებში და პოსტრევოლუციურ თუნისში 77

თავი II. ეგვიპტური "არაბული გაზაფხული" – ისლამისტების მოსვლა ხელისუფლებაში და მათი კრახის მიზეზები 85

2.1. ვითარება ეგვიპტეში "არაბული გაზაფხულის" წინ და ისლამისტების გააქტიურების წინაპირობები 85

2.2. "არაბული გაზაფხული" და სამხედრო ელიტა.....103

2.3. პოსტრევოლუციური ეგვიპტე.....111

თავი III. სირიის ავტოკრატიული რეჟიმი და "არაბული გაზაფხული" 152

3.1. "არაბული გაზაფხულის" დაწყების მიზეზები სირიაში.....152

3.2. ბაასის პარტიის მმართველობა სირიაში "არაბულ გაზაფხულამდე" და კონფესიათა შორის დაპირისპირება.....163

3.3. სამოქალაქო ომი სირიაში. რადიკალი და ექსტრემისტი ისლამისტების ჩართულობა მასში.....175

3.4. სირიის შეიარაღებული ძალების როლი მმართველი ალავიტური რეჟიმის შენარჩუნებაში 210

დასკვნა 223

გამოყენებული ლიტერატურის სია 232

შესავალი

თემის აქტუალობა. 2010 წლის 17 დეკემბერს დაწყებული "არაბული გაზაფხულის" სახელით ცნობილი ანტისახელისუფლებო გამოსვლები მეტ-ნაკლებად ყველა არაბულ ქვეყანას შეეხო. თუნისსა და ეგვიპტეში - რევოლუციური პროცესების, ლიბიაში კი სამოქალაქო ომის ფონზე დაემხო მმართველი რეჟიმები. მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა და სამოქალაქო აჯანყებებმა მსუბუქად შეარყიეს ბაჰრეინი, იემენი, ალჟირი, იორდანია, მაროკო და ომანი; შედარებით მცირე მასშტაბის აქციები გაიმართა ქუვეითში, ლიბანში, ერაყში, საუდის არაბეთსა და სუდანში. გაჭიანურებული სირიის სამოქალაქო ომი, „ისლამური სახელმწიფოს" აქტივობა, საერთაშორისო ხასიათის მქონე კონფლიქტები, საუდის არაბეთისა და იემენელი ამბოხებული ჰუსიტების დაპირისპირება - ყველა ეს პროცესი გადაჯაჭვულია „არაბული გაზაფხულით" გამოწვეულ მოვლენებთან. მიმდინარე პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს შემდგომი პოლიტიკური კლიმატის განვითარებასა და ფორმირებაზე აღმოსავლეთის რიგ ქვეყნებში. სწორედ ამიტომ 2011 წელს არაბულ სამყაროში განვითარებული პროცესები სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა (ისტორიკოსები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, ორიენტალისტები...) ყურადღებას იპყრობს მისი სირთულის, სიღრმისა და მნიშვნელობის გამო. ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონის ქვეყნებში შექმნილმა ვითარებამ გავლენა იქონია მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკურ პროცესებზეც. განსაკუთრებით ყურადღებას ვამახვილებთ ჩვენს საკვლევ ქვეყნებზე: თუნისი, ეგვიპტე სირია, ვინაიდან თუნისისა და ეგვიპტის გამარჯვებული რევოლუციების ქვეყნებში ოპოზიციური ძალები სამოქალაქო დაპირისპირების გარეშე მოვიდნენ ხელისუფლებაში (თუნისში ზომიერი ისლამისტები - „ან-ნაჰდა", ეგვიპტეში - „მუსლიმი ძმები" და სალაფიტები), ერთი შეხედვით, მოულოდნელად და ასევე მოულოდნელად წავიდნენ. გარდა ამისა, თუნისი იყო რეგიონის პირველი ქვეყანა რომელმაც არათუ დაანგრია სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს სათავეში მრავალი ათეული წლის განმავლობაში მყოფი ხელისუფლების მოშორება ხალხის მხრიდან შეუძლებელ იყო, ასევე გახდა

ისლამისტური ორგანიზაციების პოლიტიკურ ასპარეზზე ლეგიტიმურად შემოსვლის და ქვეყნის ხელისუფლებაში თავის დამკვიდრების პირველი მაგალითიც, როდესაც არჩევნებში ზომიერმა ისლამისტებმა გაიმარჯვეს; რასაც ჯაჭვური რეაქციით მოჰყვა ზემოთ ჩამოთვლილ ქვეყნებში საპროტესტო აქციები მეტ-ნაკლები ინტენსივობით. ეგვიპტეში კი ანალგიურად მოხდა რეჟიმის დამხობასთან ერთად ისლამისტური ძალების არა მხოლოდ გააქტიურება პოლიტიკურ პროცესებში, არამედ ქვეყნის პირველ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვება და მცირე დროით ქვეყნის ხელისუფლებაში მოსვლა. რაც შეეხება სირიას, ეს ქვეყანა გახდა ისლამისტური რადიკალური და ექსტრემისტული ძალების გააქტიურების არნახული ეპიცენტრი მსოფლიოს უახლეს ისტორიაში, რამაც თავის მხრივ გამოიწვია მსხვილი რეგიონული მოთამაშეების არა მხოლოდ ჩართვა ქვეყანაში გაღვივებულ სამოქალაქო ომში, არამედ გავლენა მოახდინა ჩართული აქტორების პოლიტიკურ ურთიერთობებზეც. სწორედ ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმმობა იმ საკითხს, თუ რამდენად იყვნენ მზად ჩამოთვლილ ქვეყნებში მყოფი ისლამისტები მშვიდობიანი პოლიტკური ბრძოლის ახალ ეტაპზე გადასვლისათვისა და ხელისუფლების სადავეების ხელში ასაღებად, ასევე რა ფაქტორებმა განაპირობეს მათი მარცხი ამ ეტაპზე. ამასთან, აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობის რეაქცია პასიურია რევოლუციური მონაპოვარის შენარჩუნების კუთხით. ცალკე ინტერესის ობიექტია ძველი რეჟიმების მზაობა ხელისუფლების დათმობასთან დაკავშირებით და ასევე მოლოდინები მართვის სადავეების ხელახლა ასაღებად.

თუნისისა და ეგვიპტისგან განსხვავებით, სირიის შემთხვევაში შიდა პროცესების გარდა ყურადღებას იპყრობს გარე ფაქტორებიც, რომლებმაც განაპირობეს ამ ქვეყანაში ხანგრძლივი და დაუნდობელი სამოქალაქო ომი. საყურადღებოა ისიც, მომგებიანი აღმოჩნდა თუ არა მმართველი რეჟიმისთვის ხელისუფლების სადავეების შესანარჩუნებლად სირიაში გააქტიურებული ისლამისტური ძალებით მანიპულირება და რა ზიანი მიიღო ამ ნაბიჯით როგორც ქვეყანამ, ისე რეგიონმა. ბოლოს კი სამივე ქვეყნის შემთხვევაში შესწავლილია, რა როლი მიუძღვოდათ სამხედროებს თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში რევოლუციების მიზნების კოლაფსის განვითარებაში.

“არაბული გაზაფხულის” ფენომენის მრავალი ასპექტი და მისი შედეგები კვლავ საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას და სიღრმისეულ ანალიზს არა მხოლოდ ლოკალური და რეგიონული, არამედ გლობალური მასშტაბითაც. საკითხის შესწავლას მარტო მეცნიერული მნიშვნელობა არ გააჩნია, რადგან “არაბული გაზახულის” სახელით ცნობილმა ფენომენმა საინტერესო ტენდენციები წარმოშვა საერთაშორისო ურთიერთობებში და, შესაბამისად, მისი კვლევა შეიძლება გარკვეულწილად მნიშვნელოვანი იყოს მსოფლიოში დღეს მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გასაანალიზებლადაც.

აქვე უცილებელად აღსანიშნავია, რომ წინამდებარე ნაშრომის მიზანი არის არა ისლამის, როგორც რელიგიის კვლევა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ აღმოსავლეთის რეგიონში უკანასკნელ ეტაპზე პოლიტიკური ისლამის და მისი რადიკალურ-ექსტრემისტული გამოვლინებების გაღვივების და მისგან გამომდინარე შედეგების ანალიზი.

ჰიპოთეზა. “არაბული გაზაფხულის” შედეგად თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში გააქტიურდნენ ისლამისტური ძალები. მათი გააქტიურება არ ყოფილა ამ სახელმწიფოების მოქალაქეთა უმრავლესობის დაკვეთა. თუნისსა და ეგვიპტეში რევოლუციების გარიჟრაჟზე განხორციელებული პოლიტიკური აქტივობაც არ იყო ოდნავ მოგვიანებით ისლამისტებების გააქტიურების მთავარი ფაქტორი. თუნისში ძველი რეჟიმის წარმომამდგენლებმა ისარგებლეს საკუთარი და ზომიერი ისლამისტების ინტერესთა თანხვედრით, რისი მეშვეობითაც მოახერხეს პოლიტიკაში დარჩენა და გარკვეული პერიოდის შემდეგ ძალაუფლების კვლავ ხელში ჩაგდება. ეგვიპტეში ქვეყნის მმართველმა უმაღლესმა სამხედრო საბჭომ ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტის ჰუსნი მუბარაქის შვილის ხელისუფლებაში მოსვლის მცდელობის ჩაშლის მიზნით გამოიყენეს აგორებული საპროტესტო მუხტი, ხოლო ოდნავ მოგვიანებიშ პროცესრბში ჩართული ისლამისტების პოლიტიკური გამოუცდელობის ფონზე შეძლეს აღნიშნული ძალის გაყვანა პოლიტიკური ასპარეზიდან და ხელისუფლებაში დაბრუნება. სირიის შემთხვევაში ექსტრემისტულად განწყობილი ისლამისტების ფაქტორი, რომელიც ბაშარ ალ-ასადის რეჟიმმა სამხედროებისა და სპეცსამსახურების მიერ დაგეგმილი

კომბინაციებითა და მანიპულაციებით წარმატებით გამოიყენა, გახდა მმართველი რეჟიმის ხელისუფლებაში დარჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

თემის მიზნები და ამოცანები. კვლევის მიზანია, წინა პლანზე წამოვწიოთ ის მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში „არაბული გაზაფხულის“ შედეგად საპროტესტო ტალღების ფონზე განვითარებულ მოვლენებს უკავშირდება და პასუხები გავცეთ შემდეგ კითხვებზე:

- რამდენად იყო მზად როგორც თუნისის, ისე ეგვიპტის და სირიის მოსახლეობა ისლამისტური მმართველობის სისტემების მისაღებად?
- რა გარემოებებმა შეუწყო ხელი „არაბული გაზაფხულის“ შედეგად გამოწვეული რევოლუციური სიტუაციების განვითარებას თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში?
- იყვნენ თუ არა ისლამისტები თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანი და მათი იდეოლოგია ავტოკრატიული რეჟიმებისგან თავის დახსნის უმნიშვნელოვანესი გზა?
- გამოყენებულ იქნენ თუ არა ისლამისტები პოლიტიკური თამაშებისთვის, ძველი რეჟიმების წარმომადგენლების მხრიდან, პოლიტიკაში შეანრჩუნება დაბრუნებისთვის?

აღნიშნული ნაშრომი გამოყენებული იქნება ქართველი მკვლევრების მიერ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკური კრიზისის დინამიკის შესწავლით. ეს ნაშრომი ასევე გამოადგებათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სათანადო პროგრამების სამივე საფეხურის სტუდენტებს. უცხოურ ენებზე უამრავი მასალა არსებობს „არაბული გაზაფხულის“ ფენომენთან დაკავშირებით, რომლებშიც გადმოცემულია მისი ცალკეული ასპექტები. ასევე გამოქვეყნებულია შედარებითი ანალიზის სამეცნიერო ნაშრომები როგორც ამ სამ ქვეყანაზე, ისე სხვა არაბულ ქვეყნებზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ თუნისის, ეგვიპტისა და სირიის მოვლენათა შედარებითი ანალიზი ჩვენს ნაშრომში ერთადაა თავმოყრილი, რაც, ჩვენი აზრით, საინტერესო იქნება უცხოელი მკვლევრებისთვისაც იქიდან გამომდინარე, რომ ამ ქვეყნებში ბოლო პერიოდში დემოკრატიული პროცესების განვითარების მოლოდინის გარდა, ჩვენ ყურადღებას

ვამახვილებთ ისლამიზმისა და ისლამისტების როლზე და მათი კრახის მიზეზებზე პოსტრევოლუციური პერიოდის თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში.

თემის სამეცნიერო სიახლე. ჩვენი კვლევის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში: არსებობდა გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ "არაბული გაზაფხულის" შემდეგ თუნისის არჩევნებში ისლამისტების გამარჯვება წარმოადგენდა ამ ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის სურვილს, რათა ძირეულად შეცვლილიყო მანამდე არსებული როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური და ეკონომიკური სიტუაცია. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროცესი თუნისში რეალურად იყო არჩევნებში გამარჯვებულ ზომიერ ისლამისტებსა და ძველი რეჟიმის წარმომადგენლების ნაწილს შორის ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებული გარიგების შედეგი გარკვეულ დონეზე. ისლამისტებმა, თავის მხრივ, ქვეყნის პოლიტიკურ ასპარეზზე ლეგალურად დაიმკვიდრეს თავი გარკვეული დროით და უფრო ხანგრძლივად, ვიდრე ეგვიპტელმა „მუსლიმმა ძმებმა". ძველი რეჟიმის წარმომადგენლებმა კი მეტ-ნაკლებად შეინარჩუნეს მყარი პოზიციები თუნისის პოლიტიკაში. ჩვენი ეს მოსაზრება ასევე დადასტურდა დღესდღეობით თუნისის პოლიტიკურ ცხოვრებაში დამდგარი შედეგებით, ვინაიდან ქვეყანაში რევოლუციიდან თერთმეტი წლის შემდეგ აშკარა ნიშნები გამოიკვეთა იმისა, რომ თუნისი, ძალზე მაღალი ალბათობით, ავტოკრატიულ მმართველობას უბრუნდება.

ეგვიპტეში "მუსლიმი ძმები" და სალაფიტები აღმოჩნდნენ ქვეყნის მართვაში ჩართული უმაღლესი სამხედრო საბჭოს პოლიტიკური მანიპულაციების ბრმა იარაღი. ეგვიპტეში დემოკრატიული პროცესების ნაცვლად დამყარდა ახალი ავტოკრატია, ვინაიდან ამ ქვეყანაში „არაბული გაზაფხულით" გამოწვეული რევოლუციური რყევები და ისლამისტური ძალების ბუნებრივი გააქტიურებაც კი სამხედროების ინტერესებში შედიოდა დროებით და რეალურად იყო უმაღლესი სამხედრო საბჭოს მიერ ხელშეწყობილი ფარული გადატრიალება პრეზიდენტ ჰუსნი მუბარაქის წინააღმდეგ, რაც მოგვიანებით ისლამისტი პრეზიდენტის მუჰამმად მურსის წინააღმდეგ განხორციელებული გადატრიალებით დაგვირგვინდა.

ექსტრემისტი ისლამისტების მანიპულაციური გზებით საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების ანალოგიურ ტაქტიკას მიმართა შიიტი ალავიტების

რეჟიმმაც სირიაში, თუმცა ამ უკანასკნელმა პოლიტიკური რეინკარნაციის გარეშე მოახერხა ისლამისტების წინააღმდეგ კარგად გათვლილი კომბინაციის მეშვეობით საკუთარი ხალხის დიდი ნაწილისა და მსოფლიო საზოგადოებისთვის უალტერნატივო ძალად წარედგინა თავი დღემდე. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ სირიის სამოქალაქო ომის მთავარი მიზეზი ღრმა სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ეფუძნებოდა, კონფესიური ფაქტორი კი იყო კონფლიქტის გაღვივების ერთ-ერთი ინსტრუმენტი და არა უმთავრესი მიზეზი.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა. სადისერტაციო ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ისტორიზმის პრინციპი, რომელიც საშუალებას იძლევა საკითხი შესწავლილ იქნას დინამიკაში, სხვა ისტორიულ მოვლენებთან ურთიერთკავშირში. ეს პრინციპი გულისხმობს თითოეული მოვლენის შესწავლას კონკრეტული ისტორიული პირობების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია სამეცნიერო ობიექტურობის პრინციპიც, რომელიც ფაქტების შესწავლისას, წყაროების ანალიზის საფუძველზე თავიდან აგვარიდებს სუბიექტურ შეფასებებს. საკითხის კვლევისას გამოყენებულია ისტორიული შემეცნების მეთოდი, რეტროსპექტული, კომპლექსური, კომპარატივისტული ანალიზი, რაც მოიცავს შესასწავლ მოვლენებს შორის მსგავსება-განსხვავებების გამოვლენას. ჩვენი კვლევის შემთხვევაში ეს ნიშნავს გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურის, წამყვანი და ავტორიტეტული მასმედიის საშუალებებისა და სამეცნიერო-ანალიტიკური ცენტრების მიერ გამოქვეყნებული მასალების ანალიზს, მათ შედარება-შეპირისპირებას და მათში წარმოდგენილი კონცეფციების გადააზრებას. საკვლევი თემის სირთულიდან გამომდინარე, გამოყენებულია პოლიტიკურ მეცნიერებაში პოპულარული მეთოდები: სიტუაციის ანალიზის მეთოდი, გარკვეულ დროსა და სივრცეში დაგროვილ ხდომილებათა შორის ანალოგიების დადგენის საფუძველზე დამდგარი კონკრეტული ხდომილების ალბათობის გამოკვეთა. ასევე ღია მასალების: გაზეთების, საჯარო გამოსვლების, ტელე- და რადიოგადაცემების, ოფიციალური და პირადი დოკუმენტების, ინტერვიუების შინაარსის დამუშავებას, განსაკუთრებით პოლიტიკური ლიდერების განცხადებებიდან და გამოსვლებიდან დანახული მსჯელობის სტრუქტურის გაანალიზებას. ამგვარ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით

გამოტანილია დასკვნები და განსაზღვრულია ის ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც იღებდნენ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ჩვენი საკვლევი საკითხისთვის საინტერესო ქვეყნების ლიდერები.

ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო: 1950-იანი წლებიდან 2022 წლის ივლისის ჩათვლით. 1950-იანი წლები ჩვენ მიერ განხილული ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში გარდამტეხი პერიოდია. 1956 წელს თუნისმა საფრანგთის კოლონიური პროტექტორატისგან გათავისუფლება და დამოუკიდებლობის მოპოვება შეძლო. ქვეყნის პირველი პრეზიდენტი გახდა ჰაბიბ ბურგიბა, რომელიც თუნისისთვის ერთდროულად იქცა როგორც დამოუკიდებლობის მომტან, ასევე ავტოკრატიული და დიქტატორული მმართველობის სულის ჩამდგმელ ლიდერად. სწორედ მის მიერ შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ და დამკვიდრებულმა მართვის სტილმა განაპირობა ის გარემოებები, რამაც საბოლოოდ თუნისის მოქალაქეები „არაბული გაზაფხულის“ სახელით ცნობილი რევოლუციებისა და აჯანყებების ჯაჭვის გამომწვევ საპროტესტო აქციებზე გამოიყვანა 2010 წლის დეკემბერში.

1952 წელს თავისუფალი ოფიცრების სახელით ცნობილმა ეგვიპტის შეიარაღებული ძალების ახალგაზრდა ოფიცრების ჯგუფმა, რომლის ავანგარდშიც პოსტრევოლუციური ეგვიპტის პირველი სამი პრეზიდენტი: მუჰამმად ნაგიბი, გამალ აბდ ან-ნასირი და ანვარ ას-სადათიც იყვნენ, მოაწყვეს რევოლუცია ქვეყნის მმართველი მონარქის, მეფე ფარუკის წინააღმდეგ, რის შემდეგაც ეგვიპტე რესპუბლიკად გამოცხადდა და სათავე დაედო ბრიტანეთის ოკუპაციის დასრულებას. თუნისის მსგავსად, ეგვიპტეშიც გამალ აბდ ან-ნასირის პრეზიდენტობის პერიოდიდან შექმნილმა შიდა და საგარეო პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კონფესიურმა გარემეობებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მოვლენათა ისეთ განვითარებასა და შემდგომი პრეზიდენტების მიერ დამკვიდრებულ მმართველობით სტილზე, რომელმაც 2011 წელს ეგვიპტის „არაბული გაზაფხული“ გამოიწვია, რაც, ერთი მხრივ, თუნისში იმ პერიოდში გამარჯვებული რევოლუციის გამოძახილი და, მეორე მხრივ, შიდა პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევებით განპირობებული პროცესი იყო.

1946 წელს სირია საფრანგეთის პროტექტორატისგან გათავისუფლდა და

დამოუკიდებლობა მოიპოვა. ახლად ფორმირებული ნაცია-სახელმწიფო მულტიეთნიკური და მულტიკონფესიური მოსახლეობით გამოირჩეოდა, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებაში ჰაფიზ ალ-ასადის (1970-2000) მოსვლამდე პოლიტიკური ქაოსისა და გადატრიალებების სერიებს განიცდიდა. საწორედ ჰაფიზ ალ-ასადის მიერ შექმნილმა ბაასისტურ-ალავიტურმა მმართველობითმა სისტემამ გამოიწვია მამა-შვილის (ბაშარ ალ-ასადის) ნახევრ საუკუნეზე მეტხნიანი მმართველობა და სირიის „არაბული გაზაფხული", რაც შემდგომში 10-წლიან სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომში გადაიზარდა.

2022 წლის ივლისიც გარდამტეხი აღმოჩნდა „არაბული გაზაფხულის" ფენომენისთვის. თუნისი, გარდა იმისა, რომ არაბულ სამყაროში აფეთქებული ცნობილი საპროტესტო აქციებისა და რევოლუციების სამშობლო იყო, „არაბული გაზაფხულის" შედეგად ხლისუფლებების დემოკრატიული გზით ცვლილებებისა და ზოგადად, არაბულ სამყაროში დემოკრატიული პროცესების განვითარების წარმატებულ მაგალითად ითვლებოდა. 2021 წლის ივლისში თუნისის პრეზიდენტმა სამხედროების დახმარებით უსისხლო გადატრიალება მოაწყო, ხოლო 2022 წლის 25 ივლისს რეფერენდუმზე სეკულარული კურსის მომხრე და მოსახლეობის ნაწილმა პრეზიდენტის მიერ აშკარად გამოხატული ძალაუფლების უზირპაციასა და ქვეყანაში ავტოკრატიული მმართველობის ჩასახვას დაუჭირა მხარი, რითაც გავრცელებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ თუნისში დემოკრატიის განვითარება შედგა, საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დადგა.

ბიბლიოგრაფიის ზოგადი მიმოხილვა. "არაბული გაზაფხულის" პროცესებით გამოწვეული ისლამური რადიკალიზმის პოპულარობის უკანასკნელი ტალღისა და სირიის კრიზისის შესახებ საკმაოდ ბევრი წიგნი და სტატია დაიწერა ბოლო პერიოდში და საკითხისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა. თუნისსა და ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებზე, ასევე სირიის კრიზისის შესახებ წერდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანები, მათ შორის, არსებული ხელისუფლებების მომხრეები და მოწინააღმდეგეები, ასევე თვითმხილველები და უშუალოდ პროცესებში მონაწილე პირები. შედეგად უამრავი თვალსაზრისი დამკვიდრდა, აღსანიშნავია ისიც, რომ სირიის სამოქალაქო დაპირისპირება აქტიური

საინფორმაციო ომის ფონზე მიმდინარეობდა, რომლის დროსაც ვრცელდებოდა უამრავი ცრუ ინფორმაციაც. "არაბული გაზაფხულის" შემდეგ ისლამისტური ძალების პოლიტიკურ ასპარეზზე გააქტიურების გამომწვევი მიზეზების შესწავლა თუნისში, სირიასა და ეგვიპტეში მიმდინარეობდა როგორც კონკრეტული სახით, ისე მისი წინა პერიოდის სიღრმისეული გააზრების კონტექსტში. ვგულისხმობთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს ამ ორი ქვეყნის ახლო წარსულსა და აწმყოში განვითარებულ პროცესებს შორის, რამაც სათავე დაუდო 2011 წლის დასაწყისში განვითარებულ პროცესებს სამივე ქვეყანაში. „არაბული გაზაფხულით" გამოწვეული საპროტესტო გამოსვლების კრიტიკულად აღქმის ერთ-ერთი საინტერესო მასალაა ანდრეა ტეტის, პამელა აბბოტტის და ფრანჩესკო ქავატორტას წიგნი „არაბული აჯანყებები ეგვიპტეში, იორდანიასა და თუნისში: სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციები"[1]. მასში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ფაქტორებზე: 1) როგორ ეხმარება მოქალაქეების დამოკიდებულების გააზრება აჯანყების მიზეზების ახსნას, 2) რა გავლენას ახდენს მოქალაქეებს შორის არსებული განსხვავებების გავლენა რეჟიმების პოლიტიკურ ქმედებათა ტრაექტორიაზე, 3) რა შედეგები მოაქვს ზემოთ თქმულს და რა კვალი დატოვა უკვე დამდგარმა შედეგებმა მასების ახალი განწყობების ჩამოყალიბებაზე. წიგნში წარმოდგენილი მსჯელობა ეყრდნობა 2011 და 2013-15 წლებში თუნისში, ეგვიპტესა და იორდანიაში ჩატარებულ გამოკითხვებს, რომელიც შერწყმულია მასმედიაში გამოქვეყნებულ დიდი რაოდენობით ინფორმაციასთან და განხილულ ქვეყნებთან დაკავშირებულ მანამდე არსებულ მონაცემთა ბაზებთან, რაც, თავის მხრივ, ავტორებს ქვეყნებისა და დროის მიხედვით შედარებითი ანალიზის სისტემატიზაციის საშუალებას აძლევს. ნაშრომი საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ არ ეთანხმება რევოლუციების დასაწყისში გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს „არაბული გაზაფხული" თავისი არსით მხოლოდ დემოკრატიზაციის მოთხოვნასთან იყო დაკავშირებული. წიგნის დასკვნების მიხედვით, საპროტესტო აქციების მონაწილეთა უმრავლესობისთვის ძირითადი მოთხოვნა არა ლიბერალური დემოკრატიის (კონკურენტუნარიანი არჩევნები, პოლიტიკური უფლებები) დამყარება, არამედ რეალური დემოკრატიის -

[1] **Andrea Teti, Pamela Abbott and Francesco Cavatorta** - The Arab Uprisings in Egypt, Jordan and Tunisia: Social, Political and Economic Transformations. London: Palgrave Macmmillan, 2018.

სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მოპოვება იყო. რაც შეეხება ისლამისტებს, ავტორთა აზრით, საპროტესტო აქციების მონაწილეთა საკმაო ნაწილი თვლიდა, რომ მათი ქვეყნები ჯერ არ იყვნენ მზად დემოკრატიისთვის და ირჩევდნენ ისლამისტებს ან როცა არჩევანი დგებოდა დემოკრატიზაციასა და წესრიგს შორის, კომპრომისზე წესრიგის სასარგებლოდ მიდიოდნენ და უპირატესობას ისლამისტებს ანიჭებდნენ. მოქალაქეებისთვის რეჟიმების წინააღმდეგ გამოხატული პროტესტის პრიორიტეტული საკითხები იყო ეკონომიკური შესაძლებლობების არარსებობა და ფესვგადგმული კორუფცია.

მიგვაჩნია, რომ 2018 წელს გამოცემულ ამ ნაშრომში სავსებით საფუძვლიანად და სამართლიანადაა გაშუქებული ის საკითხი, რომ დემოკრატიული პროცესები მხოლოდ პოსტრევოლუციურ თუნისში განვითარდა. თუმცა აქვე უნდა დავამატოთ, რომ წიგნი ბოლო ორი წლის განმავლობაში თუნისში მიმდინარე მეტად მნიშვნელოვან პროცესებს არ ფარავს და 2021 წელს განვითარებულმა მოვლენებმა, სეკულარი პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ, აღნიშნულ დამკვიდრებულ მოსაზრებას საფუძველი შეურყია.

წიგნში ასევე განხილულია, როგორი რეაქციები ჰქონდათ აღწერილი ქვეყნების მოქალაქეებს 2014 წლიდან. გამოკითხვების მიხედვით გამოვლინდა მოსახლეობის უკმაყოფილება ეკონომიკური სიდუხჭირის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოდაა გადმოცემული, როგორ შეიცვალა მათი განწყობები მანამდე საძულველი ძალოვნების მიმართ დადებითად, როგორ იქცა უსაფრთხოება ერთ-ერთ უპირველეს მოთხოვნად, რისი საფუძველიც მეზობელ ქვეყნებში გამეფებული ქაოსი გახდა.

სტატიათა კრებულში „პოლიტიკური ცვლილება ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში „არაბულის გაზაფხულის“ შემდეგ“[2] წარმოდგენილია საერთაშორისო ინტერესის ცენტრში მოქცეული რეგიონის ანალიზი. შედარებითი მეთოდების გამოყენებით ახსნილი და გაანალიზებულია ის შედეგები, რომლებიც 2011 წლიდან დაწყებული პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ დადგა არა მხოლოდ შიდა, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზეც. ამგვარად, ზემოთ

[2] Edited by **Inmaculada Szmolka** - Political Change in the Middle East and North Africa After the Arab Spring . UK: Edinburgh University Press, 2017.

ხსენებულ ჭრილში განხილულია ისეთი თემები, როგორებიცაა: პარტიები და პოლიტიკური ჯგუფები, არჩევნები, კონსტიტუციური ჩარჩოები, ხელისუფლებების დამოკიდებულებები ადგილობრივი მოსახლეობის და ზოგადად პოლიტიკური პროცესების მიმართ, მმართველობის სტილი, სამოქალაქო საზოგადოება, უფლებები და თავისუფლება, რეგიონული ხელისუფლება, უსაფრთხოების საკითხები, საგარეო პოლიტიკა და ა.შ. მოცემულ წიგნში აგრეთვე შესწავლილია ის ცვლილებები, რომლებიც ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში განხორციელდა.

წიგნის მიზანია, ზედმიწევნით შეისწავლოს რეჟიმები და მათი ძირითადი ტრანსფორმაციები, რომლებიც „არაბული გაზაფხულის“ შედეგად მოხდა მთლიანად რეგიონში. წარმოდგენილ მსჯელობაში ამოსავალი წერტილია პოლიტიკური ცვლილებების სხვადასხვა მიმართულებით მოძრაობის დეტალების განხილვა და აღნიშნულია, რომ ყველა პროცესი არ იწვევს რეჟიმის გარდაუვალ ჩამოშორებას პოლიტიკური სცენიდან, შესაძლებელია, ავტორიტარიზმი შეიცვალოს დემოკრატიით ან მოხდეს თავად ავტორიტარიზმის რეკონფიგურაცია. ასევე გაანალიზებულია „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეული გეოპოლიტიკური შედეგები და პოლიტიკური სცენარის სახეცვლილება როგორც ჩრდილოეთ აფრიკაში, ისე მთლიანად ახლო აღმოსავლეთში. ჩვენს შემთხვევაში ყურადღება მიიპყრო IV თავმა, კრებულის რედაქტორის, იმაკულანდა სზმოლკას, ავტორობით გამოქვეყნებულმა სტატიებმა.

ჯონ ლ. ესპოზიტოს, თამარა სონნისა და ჯონ ო. ვოლლის წიგნის „ისლამი და დემოკრატია „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ“[3] საწყისი ნაწილი მოიცავს იმ მოვლენათა მოკლე მიმოხილვას, რომლებიც უშუალოდ „არაბული გაზაფხულის“ გამომწვევ მიზეზებად შეიძლება ჩაითვალოს რეგიონის სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგადად, მრავალი ანალიტიკოსი და მკვლევარი აღნიშნული ფენომენის გამომწვევ მთავარ ფაქტორებად თვლიდა „ახალგაზრდების ბუმს“, სიღარიბეს, უმუშევრობას, რეპრესიულ რეჟიმებს, თუნისში ბოსტნეულით მოვაჭრე ბუაზიზის მიერ თავის დაწვას, ეგვიპტეში ბლოგერის ხალიდ საიდის პოლიციის მიერ მკვლელობას და

[3] **John L. Esposito, Tamara Sonn, and John O. Voll** - Islam and Democracy after the Arab Spring. New York: Oxford University Press, 2016.

სირიაში გრაფიტების ავტორთა დაპატიმრებასა და წამებას. ანალიტიკოსთა ნაწილი რევოლუციების გარიჟრაჟზე თვლიდა, რომ არაბულმა ქვეყნებმა დემოკრატიზაციის რელსებზე გადაინაცვლა. წიგნში გათვალისწინებულია აღნიშნული ფაქტორები და კრიტიკულადაა განხილული ისეთი მოსაზრებები, როგორებიცაა: მოდერნიზაციის და სეკულარიზმის გათანაბრება, ასევე სეკულარიზაციაზე უარის თქმისა და დემოკრატიის უარყოფის თანაბარ ჭრილში განხილვა.

მეორე თავში ყურადღება გამახვილებულია იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება დემოკრატიული პროცესებით გამოწვეულ ცვლილებებს. ასევე განხილულია რეჯებ ტაიპ ერდოღანის პოზიცია „არაბული გაზაფხულის“ შემდგომ ეგვიპტესა და თუნისში დემოკრატიული პროცესების დაწყების მცდელობების მიმართ. ავტორთა აზრით, თურქეთის ხელისუფლებამ ისლამური სახელმწიფოს შექმნის ნაცვლად, უფრო დემოკრატიული ქვეყნის განვითარებას შეუწყო ხელი, სადაც რელიგიასაც დაუტოვა თავისუფალი სივრცე და სამართლიანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები გაატარა. მათივე შეხედულებით, სწორედ ეს მაგალითი აქარწყლებს იმ მოსაზრებას, რომ მუსლიმებისთვის და განსაკუთრებით ისლამისტებისთვის დემოკრატია მიუღებელი ფენომენია.

მესამე და მეოთხე თავებში განხილულია დემოკრატიზაციის საკითხები ირანში, პაკისტანსა და ინდონეზიაში.

რაც შეეხება თუნისში წარმატებით დაწყებულ დემოკრატიზაციის პროცესს, ავტორთა აზრით, ამას ხელი შეუწყო სამოქალაქო საზოგადოების ძლიერი ორგანიზაციების არსებობამ, სამხედროების ზოგადად პასიურმა როლმა, რაშიდ ღანუშის ზომიერმა ნაბიჯებმა და პარტია „ან-ნაჰდას“ მოქნილმა მოქმედებებმა. ისინი ასევე მიიჩნევენ, რომ თუნისში წარმოქმნილი პრობლემების მიზეზი ისლამისტებსა და სეკულარებს შორის არსებული განხეთქილება არ არის და ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ პოლიტიკას გაატარებენ ხელისუფლებები ოპოზიციური პარტიების მიმართ. წიგნის ბოლო თავი ეძღვნება ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებს, რომელთა შედეგადაც მუჰამმად მურსი პრეზიდენტად აირჩიეს, რაც, ავტორთა აზრით, დემოკრატიული პროცესების განვითარების შედეგი იყო და შემდგომ განხორციელებული სამხედრო გადატრიალება ამტკიცებს, თუ რა

რთული და იმედგაცრუებებით სავსეა დემოკრატიისკენ მიმავალი გზა.

საბოლოო ჯამში, წიგნი გვეხმარება გავიგოთ, რა გავლენა აქვს მუსლიმურ ქვეყნებში დემოკრატიის განვითარებაზე სამხედროების, ეთნიკური უმცირესობების და სხვა ინტერესთა ჯგუფების პოზიციებს.

სტატიათა კრებულში „არაბული გაზაფხული“: თანამედროვეობა, იდენტობა და ცვლილებები“[4] წარმოდგენილია „არაბული გაზაფხულის“ დასაწყისში წარმოქმნილი სოციალურ-კულტურული განვითარების სისტემური და კომპლექსური ანალიზი. ასევე დეტალურადაა განხილული იმ ადამიანთა მონათხრობები, რომელთაც კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავება უწევდათ კრიტიკულ გარდამავალ პერიოდში. ავტორები მულტიდისციპლინური მეთოდების გამოყენებით კრიტიკულად აფასებენ იმ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც იყო როგორც რეგიონული, ისე ადგილობრივი მასშტაბებით.

ეიდ მოჰამედი და დაილა ფაჰმი არაბულ სამყაროში რევოლუციებამდე და მის შემდგომ არსებული სახელმწიფო მართვისა და, ზოგადად, მმართველობის სტილის შესახებ გაბატონებული აღქმის და შეუმჩნეველი ცვლილებების შესახებ კრიტიკული ანალიზის კრებულს გვთავაზობენ. ჩვენს შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია მე-3 და მე-12 თავებში მოულდი ლაჰმარისა (Mouldi Lahmar) და იულიუს დისტელჰოფის (Julius Distelhoff) სტატიებზე, სადაც პოსტრევოლუციურ თუნისში განვითარებული მოვლენებია ქრონოლოგიურად გაანალიზებული.

ნიუ დელის მანოჰარ პარრიკარის სახელობის თავდაცვის კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის დასავლეთ აზიის ცენტრის კოორდინატორი და ასოცირებული მკვლევარი, დოქტორი პრასანტა კუმარ პრადჰანი თავის ნაშრომში „არაბული გაზაფხული“ და კონფესიური განხეთქილების ხაზები დასავლეთ აზიაში: ბაჰრეინი, იემენი და სირია“[5] „არაბულ გაზაფხულამდე“ და მის შემდეგ ერაყში, სირიაში, იემენსა და ბაჰრეინში წარმოქმნილ კონფესიურ განხეთქილებას შედარებითი ანალიზის ჭრილში განიხილავს. პირველ ყოვლისა, მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ წამოჭრილი პრობლემა არ არის ბოლო პერიოდის

[4] Editors **Eid Mohamed • Dalia Fahmy** - Arab spring: modernity identity and change. New York: Palgrave Macmillan, 2020.

[5] **Prasanta Kumar Pradhan** - Arab Spring and Sectarian Fault lines in West Asia Bahrain, Yemen and Syria. New Delhi: Pentagon PRress, Institute for Defence Studies and Analyses, 2017.

შედეგი. რეგიონის სხვადასხვა რეჟიმი შიდა და საგარეო პოლიტიკის წარმოების მიზნით წარსულშიც იყენებდა კონფესიურ ნიადაგზე აღმოცენებულ ინტერესთა კონფლიქტს. თვალსაჩინო მაგალითად მოჰყავს 1979 წლის ირანის ისლამური რევოლუცია, რომელიც მეზობელი ყურის სუნიტური მონარქიების მიერ შიიტური ისლამის პოზიციების გაძლიერების საფრთხედ იქნა აღქმული და აშშ-ის მიერ ერაყში 2003 წელს განხორციელებული სამხედრო ოპერაცია, რომლის შედეგადაც ხელისუფლებაში შიიტების მოსვლამ რეგიონში მათი ძალაუფლების გაძლიერება გამოიწვია. პრასანტა კუმარი ჩამოთვლილ ქვეყნებში კონფესიურ ნიადაგზე წამოჭრილი დაპირისპირებების მიზეზებად ისეთ შიდაპოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორებს განიხილავს, როგორებიცაა: რელიგიურ ნიადაგზე მრავალწლიანი დისკრიმინაცია, ეკონომიკური უთანასწორობა, ახალგაზრდების უპერსპექტივო მდგომარეობა, სოციალური იზოლაცია, ადამიანის უფლებების დარღვევა და ა.შ. წარმოდგენილ წიგნში ასევე გაანალიზებულია, როგორ აღმოჩნდა რეგიონის ზემოთ ნახსენები ორი სახელმწიფო, ირანი და საუდის არაბეთი, ე.წ. „პროქსი ომში“ ჩართული დაპირისპირებული მხარეების (ზოგ შემთხვევაში რეჟიმის მომხრეების, ზოგში კი ოპოზიციური ძალების) მხარდაჭერის გამო. ყურადღების მიღმა არ არის დარჩენილი სირიაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ჩართულობის როლი რეგიონული უსაფრთხოების საკითხებში.

ავტორი ასევე საუბრობს ერაყისა და სირიის „ისლამური სახელმწიფოს“, ასევე სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების როლზე სირიაში კონფესიურ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტში და მის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მართებულად გამოყოფს ხსენებულ ძალებს შორის არსებულ გარკვეულ საერთო ტენდენციებსაც.

„არაბული გაზაფხულის“ პერიპეტიების განხილვისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტენდენციად განხილულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: ირანსა და საუდის არაბეთს შორის გართულებული ურთიერთობების გარდა, ექსტრემისტებისა და ტერორისტების აღზევება, შეიარაღებული ძალების როლი, გარე ჩარევები, არასახელმწიფო აქტორები, კონფლიქტის გადაჭრისთვის საჭირო პოლიტიკური მოლაპარაკებების არარსებობა, ისლამისტთა პოზიციების გაძლიერება და მათი კავშირი რეჟიმებთან.

სტატიების კრებულში "არმიები და აჯანყებები „არაბული გაზაფხულის" პერიოდში"[6] ჩვენთვის საინტერესო ნაწილის მსჯელობის ძირითადი ხაზი მიჰყვება იმ მოსაზრებას, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში პოლიტიკა თავის თავში მოიცავს იძულების გზით მმართველობას. ამგვარად, შეიარაღებულ ძალებსა და პოლიტიკური სისტემის ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ყველა სახის რეჟიმის სიცოცხლისუნარიანობასა და სტაბილურობაზე. ავტოკრატიული მმართველობის მიმდევარი ხელისუფლებები დემოკრატიული მთავრობებისგან განსხვავებით, იძულების ბერკეტების მქონე აპარატს უფრო მეტად ეყრდნობიან, სადაც არმია ყველაზე მსხვილი და გავლენიანი სტრუქტურაა. დიქტატორთა უმრავლესობა საკუთარი მოქალაქეების კონტროლის მიზნით, ყოველდღიური რეპრესიების გატარების საკითხებში ეყრდნობა პოლიციას და უშიშროების აპარატს, მაგრამ შეიარაღებული ძალები მოსახლეობის ქვედა ფენებიდან წამოსული საფრთხის წინაშე რეჟიმის ბოლო გარანტიაა. ავტორები ასევე აღნიშნავენ იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც, რომ ძლიერი არმია ეფექტური საშუალებაა მმართველ ელიტასა და მასებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის ჩასახშობად, მაგრამ, ამავე დროს, მმართველი კოალიციიდან წამოსული კრიზისის დროს შეიძლება საფრთხედ იქცეს რეჟიმისთვის, რასაც ხშირი გადატრიალებები მოწმობს. ასევე ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ რეჟიმის მხარდაჭერის სანაცვლოდ შეიარაღებული ძალები ითხოვენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ დათმობებს თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ წიგნში ზემოთ ხსენებული გარემოებები გაანალიზებულია 2010-2011 და შემდგომი წლების მონაკვეთში.

ნაშრომმა ჩვენი ყურადღება იმ მხრივაც მიიპყრო, რომ „არაბული გაზაფხულის" დაწყების შემდეგ და რიგ ქვეყნებში რევოლუციონერთა გამარჯვების მიუხედავად, ცოტა ხანში თვალნათლივ გამოჩნდა, რომ სამხედროები არ აპირებდნენ მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისგან ჩამოშორებას, რაც, თავის მხრივ, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში შეიარაღებული ძალებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობების ხელახლა გააზრების, მსჯელობისა და ანალიზის

[6] Edited by **Holger Albrecht, Aurel Croissant, and Fred H. Lawson** - Armies and Insurgencies in the Arab Spring. Philadelphia: University of Pennsylvania Press- PENN, 2016.

ობიექტი გახდა სხვადასხვა მკვლევრისთვის. პირველ წლებში ბევრი საინტერესო მიმოხილვა და სტატია გამოქვეყნდა, მაგრამ მათი უმრავლესობა უფრო მოვლენათა აღწერას ემსახურებოდა და დაგროვილი კითხვების პასუხის გაცემის პროცესში მაინც ტოვებდა უკმარისობის განცდას. მანამდე არსებულ ნაშრომებში ძირითადად გაანალიზებული იყო შეიარაღებული ძალების მოქმედება გადატრიალებების დროს და ნაკლებად იყო გამახვილებული ყურადღება სამხედროებისა და სხვა ძალოვნების მიერ მასობრივი საპროტესტო აქციების წინააღმდეგ გამოხატულ რეაქციებზე, შესაბამისად, არმიის მოქმედების ხასიათსა და ჩართულობის დეტალებზე ზუსტად არ იყო პასუხები გაცემული. ზოგადად, ცნობილია, რომ შიდა კრიზისების დროს, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ხალხი და ავტორიტარული რეჟიმი, სამხედროები ხელისუფლების მხარეს დგანან, აქედან გამომდინარე, წიგნმა კიდევ უფრო მიიპყრო ყურადღება, ვინაიდან გაშუქებულია ის გარემოებებიც, თუ რატომ არ დაიცვეს შეკრულმა და ერთიანმა სამხედრო ძალებმა მმართველი ძალები თუნისსა და ეგვიპტეში.

სტატიების კრებულში "სახალიფოები და ისლამური გლობალური პოლიტიკა"[7] „არაბულ გაზაფხულთან" დაკავშირებული პროცესები 2014 წლის ბოლოდანაა დანახული და ამა თუ იმ მოვლენის წარმოქმნის მიზეზების აღქმის მცდელობას წარმოადგენს. ძირითადი ყურადღება აქვს დათმობილი ისეთ არასახელმწიფო აქტორებს, როგორებიც არიან „ისლამური სახელმწიფო" და „ანსარ აშ-შარიათი", ასევე შემდეგ შეკითხვებს: რა სახის დაჯგუფებებია აღნიშნული ორგანიზაციები, რა მიზეზებმა შეუწყო ხელი მათ წარმოქმნას და რა საფუძვლებზე მოქმედებენ ისინი, რა სახის საფრთხეს უქმნიან რეგიონულ უსაფრთხოებასა და მსოფლიო საზოგადოებას?

წიგნმა ყურადღება იმ მხრივაც მიიპყრო, რომ აღნიშნული საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა შორის შეინიშნება გარკვეული პოლარიზაცია. ერთი ნაწილი ისლამისტებს ცალსახად მიიჩნევს ლიბერალური დემოკრატიის დაუძინებელ მტრებად, მეორე ნაწილი კი თვლის, რომ პოლიტიკური ისლამი არაბული სამყაროს ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეთათვის რეპრესიული რეჟიმების საწინააღმდეგო

[7] Edited by **Timothy Poirson and Robert Oprisko** - Caliphates and Islamic Global Politics (e-book). E-International Relations Publishing, 2014.

ქმედებების შედეგის მომტან ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. ნაშრომი კი მსჯელობაში გარკვეული ბალანსის დაცვისა და ობიექტურობის შენარჩუნების მცდელობას წარმოადგენს, რასაც ავტორები ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობით ახერხებენ კიდეც. გაშუქებულია ის გარემოებაც, რომ ლიბიასა და სირიაში დაწყებულმა სამოქალაქო კონფლიქტებმა, ეგვიპტეში კი სამხედროების მიერ მუჰამმად მურსის წინააღმდეგ განხორციელებულმა გადატრიალებამ შეაფერხა სამოქალაქო საზოგადოებისთვის საკუთარი სივრცის შექმნის პროცესი, წარმოქმნილი ვაკუუმი კი ისლამისტებმა შეავსეს. წარმოდგენილი სტატიათა კრებულიც თანამედროვე „რადიკალური“ პოლიტიკური ისლამის აქტივიზმის დეტალების ფართო სპექტრით აღქმის საშუალებას იძლევა და მასმედიის საშუალებებით გადმოცემული ინფორმაციის მიღმა არსებულ დეტალებსაც სწვდება.

“The New York Times-ის“ კორესპონდენტის დევიდ კირკპატრიკის წიგნი „ჯარისკაცების ხელში: თავისუფლება და ქაოსი ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში“[8] ეგვიპტის „არაბული გაზაფხულის“ უშუალო მონაწილის თვალით დანახული პროცესების აღწერაა. დევიდ კირკპატრიკი ეგვიპტეში 2011 წლის „არაბულ გაზაფხულამდე“ 6 თვით ადრე ჩავიდა ოჯახთან ერთად და უშუალოდ საპროტესტო აქციების დროს განვითარებულ პროცესებსაც აშუქებდა. მას ასევე ჰქონდა საშუალება, პირისპირ შეხვედროდა ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტის, ჰუსნი მუბარაქის, უახლოეს გარემოცვას, ექს-პრეზიდენტ მუჰამმად მურსის, ოპოზიციური ძალების წამყვან ფიგურებს, ასევე აშშ-ის ახლო აღმოსავლეთის საკითხებით დაკავებულ ოპერატიულ შტაბს თეთრ სახლში. კირკპატრიკი იმავე დროს იყო „The New York Times-ის“ კაიროს ბიუროს ხელმძღვანელიც და წარმოდგენილი წიგნი პროცესებში უშუალო მონაწილის ანგარიშსაც წარმოადგენს. იგი აღწერს, სხვადასხვა პოლიტიკური ხედვების მიუხედავად, როგორ გაერთიანდა ეგვიპტის მოსახლეობა ყოფილი პრეზიდენტის, ჰუსნი მუბარაქის, წინააღმდეგ, მაგრამ რევოლუცია არა უბრალო მოქალაქეების პროტესტის შედეგი აღმოჩნდა, არამედ რეალურად სამხედრო გადატრიალება იყო. მიუხედავად იმისა, რომ კირკპატრიკის ნაშრომი უფრო ჟურნალისტური ქრონიკებია და სრულად არ ასახავს ეგვიპტელი

[8] **David Kirkpatrick** - Into the Hands of the Soldiers: Freedom and Chaos in Egypt and the Middle East. NeW York: Viking, 2018.

ლიბერალური ძალების, „მუსლიმი ძმების“, სალაფიტებისა და სამხედროების რთულ და მრავალწახნაგოვან ურთიერთდამოკიდებულებას, მაინც მოიცავს ისეთ საინტერესო ფაქტებს, რომლებიც სხვა არცერთ წყაროში არ გვხვდება, კერძოდ, ეგვიპტის ახლანდელი პრეზიდენტის, აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის (მაშინდელი სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი) მიერ რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე სამხედროებისთვის მიწოდებული ანგარიში, რომლის თანახმადაც, ჰუსნი მუბარაქის შვილის, გამალ მუბარაქის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემთხვევაში ეგვიპტეში მასობრივი საპროტესტო აქციები დაიწყებოდა და ასეთ შემთხვევაში სამხედროებს რეჟიმის მხარე არ უნდა დაეჭირათ. ასევე გაშუქებულია მუბარაქის და ას-სისის რეჟიმების სალაფიტებთან ურთიერთობების ცალკეული, „ფარდის მიღმა“ დეტალები. ბოლოს კი მართებულადაა აღწერილი 2013 წლის გადატრიალების შედეგად დამყარებული ახალი და ძველთან შედარებით უფრო გაუარესებული დიქტატორული რეჟიმი.

„დაუცხრომელი ტალღა: კარგი იდეები, სწორი მიზნები, დიდი ბრძოლები და სხვა ძვირფასი მოგონებები“[9] აშშ-ის სენატორის და პრეზიდენტობის კანდიდატის (2000, 2008 წ.წ.), ჯონ მაკკეინის მეშვიდე და ბოლო წიგნია, რომელიც თანაავტორ მარკ სალტერთან ერთად დაწერა. მასში ყურადღება გამახვილებულია სენატორის ბოლო 20 წლის მოღვაწეობაზე. ჩვენს შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სენატორის მემუარებმა „არაბული გაზაფხულის“ შესახებ. იგი საინტერესოდ და დინამიკურად აღწერს თუნისში, ეგვიპტესა და ლიბიაში განვითარებულ მოვლენებს. 2010-2011 წლებში არაბულ სამყაროში დაწყებული რევოლუციური პროცესების მიმართ აშშ-ის ექსპრეზიდენტის, ბარაკ ობამას მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ დაფიქსირებული აქვს თავის პოზიცია. იგი თუნისსა და ეგვიპტეში პირადად ხვდებოდა რევოლუციონერ აქტივისტებს, გადასცემდა მათ თხოვნებს საჭირო პირებს. ლიბანსა და იორდანიაში მოგზაურობის შემდეგ არანაკლებ ყურადღებას უთმობს ლიბიაში განვითარებულ მოვლენებს. სენატორი თავის მემუარებში ადასტურებს, რომ სენატორ ჯო ლიბერმანთან ერთად მხარს უჭერდა ლიბიის

[9] ჯონ მაკკეინის და მარკ სალტერის - „დაუცხრომელი ტალღა: კარგი იდეები, სწორი მიზნები, დიდი ბრძოლები და სხვა ძვირფასი მოგონებები.“ ზაზა შენგელიას თარგმანი - 2019. თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების ცენტრი.

ინტერვენციას. რაც შეეხება ეგვიპტეს, მართებულად აღნიშნავს, რომ რევოლუციონერებისთვის „არაბულ გაზაფხულს“ იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანია. მის მემუარებში იგრძნობა ისლამისტების მიმართ ნდობის ნაკლებობა და აბდ ალ-ფათაჰ ას-სისისადმი მხარდაჭერა. თუმცა ეს მას ხელს არ უშლის, აჩვენოს მკითხველს, როგორ მრავალწახნაგიან პოლიტიკურ თამაშს ეწევა ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი და როგორ არ უწევს ხოლმე ანგარიშს ამერიკელი პოლიტიკოსების ნაწილის სურვილებს. სირიასთან დაკავშირებით იგი მიიჩნევს, რომ სირიელი ზომიერი აჯანყებულებისთვის სათანადო გარე სამხედრო მხარდაჭერის შემთხვევაში ასადის რეჟიმი სწრაფად დაემხობოდა და ამით ასეულობით ათასი სიცოცხლე გადარჩებოდა, რასაც იგი აქტიურად ლობირებდა კიდეც მომხრე სენატორებთან ერთად.

იუჯინ როგანის *„არაბები, ისტორია“*[10] მოიცავს XIX საუკუნეში დაწყებულ ოსმალეთის იმპერიის დამპყრობლურ კამპანიებს, ევროპულ იმპერიალიზმს, ცივი ომის ეპოქასა და თანამედროვე უნიპოლარულ პერიოდს. ავტორი ეყრდნობა აღწერილი პროცესების თვითმხილველების მიერ მოწოდებულ ცნობებს, რომელთა შორისაც არიან პოლიტიკოსები, ინტელექტუალები, ჟურნალისტები, სტუდენტები, ქალები, კაცები, პოეტები, მწერლები, ცნობილი და ნაკლებად ცნობილი პირები. მიუხედავად იმისა, რომ როგანი თავის წიგნში “არაბები” (2012 წლის გამოცემა) ჰუსნი მუბარაქის წინააღმდეგ დაწყებული გამოსვლების აღწერისას შემოიფარგლება მხოლოდ იმ პროცესების გადმოცემით, რომლებმაც შემდგომში ეგვიპტის მრავალრიცხოვან მოსახლეობას უბიძგა, საპროტესტო აქციებზე გამოსულიყვნენ თაჰრირის მოედანზე და შემდგომ დეტალურად აღარ აანალიზებს მიმდინარე პროცესებს, მაინც საინტერესო წყაროა სრული წარმოდგენის შესაქმნელად იმის შესახებ, თუ რა პროცესები მიმდინარეობდა ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში 2011 წლის იანვრამდე. რაცშეეხება 2017 წლის განახლებულ გამოცემას, რომელშიც „არაბული გაზაფხულის“ პერიპეტიებიცაა გაანალიზებული, ჩვენი ყურადღება მიპყრო მე-15 თავმა: „არაბები ოცდამეერთე საუკუნეში“, სადაც განხილულია ტერორიზმის საფრთხეები 2000-იანი წლებიდან და ამ თავის ძირითადი ნაწილი

[10] **Eugene Rogan.** The Arabs A history. Second edition 2012, Penguin Books. 2017 New York Basic Books 2017. (e-Book)

ბაჰრეინის, საუდის არაბეთის, იემენის, სირიის, ეგვიპტისა და თუნისის „არაბული გაზაფხულის“ ქრონოლოგიას ასახავს ავტორის კომენტარებით, რისი მეშვეობითაც ჩამოთვლილ ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებში რეალური სიტუაციის აღქმის კიდევ ერთი საშუალებაა.[11]

„არაბული გაზაფხულის“ შედეგად ისლამისტური ძალების გააქტიურების მიზეზთა კვლევის საკითხებსში ყურადღებას იპყრობს შადი ჰამიდის “ისლამური განსაკუთრებულობა: ისლამისთვის ბრძოლა როგორ ცვლის მსოფლიოს“[12] საინტერესოა იმით, რომ ამერიკელი მწერლის, ბრუკინგსის ინსტიტუტის უფროსი მკვლევრის და ფულერის სემინარიის ისლამისმცოდნეობის პროფესორის მიერ ადრე მოყვანილი არგუმენტის გაგრძელებაა, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: მუსლიმურ საზოგადოებაში დემოკრატია იშვიათად წარმოშობს ლიბერალურ საზოგადოებას, ამის ნაცვლად, შესაძლოა, ისლამმა კიდევ უფრო გაიმყაროს პოზიციები ხალხის ცხოვრებაში. ამასთან, ხაზგასმულია ის ფაქტორიც, რომ ისლამი, ასევე ისლამიზმიც, არ წარმოადგენს მონოლითურ ფენომენს. ავტორის აზრით, ბევრი მუსლიმისთვის ისლამის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აღნიშნული რელიგიური მიმდინარეობა ხელმისაწვდომი, უბრალო და პირდაპირი ფენომენია. სწორედ ამას მიიჩნევს იგი იმის შესაძლო მიზეზად, რის გამოც იბნ თაიმიას ნაშრომი „ალ-კაიდა ალ-ვასიტია“ ძალზე პოპულარული გახდა დღესდღეობით მუსლიმების ნაწილს შორის. ჰამიდი ასევე შედარების ნაცვლად უპირისპირებს ერთმანეთს ქრისტიანობასა და ისლამს. მისი აზრით, ქრისტიანობა, როგორც გადარჩენის რელიგია, თავის ჩამოყალიბების პირველ სტადიაზე უარყოფილი კულტი იყო, რაც სავსებით განსხვავდება ისლამის ისტორიისგან, რომელიც თავიდანვე დიდი პოლიტიკური წარმატებით სარგებლობდა. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ მეჩეთისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დაშორება ეწინააღმდეგება ისლამის კულტს. მისი ნაშრომის ყოვლისმომცველი მტკიცებულების მიხედვით, პოლიტიკა და ისლამი უნდა დარჩეს ერთმანეთთან დაკავშირებული განჭვრეტად მომავალში.

წიგნის ძირითადი ნაწილი ეძღვნება „მუსლიმი ძმების“, თურქეთის

[11] **Eugene Rogan.** The Arabs A history. Second edition 2012, Penguin Books. 2017 New York Basic Books 2017. (e-Book)

[12] **Shadi Hamid** - Islamic exceptionalism: How the Struggle Over Islam is Reshaping the World. New York: Martin’s Press, 2017.

„სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ და „ისლამური სახელმწიფოს“ გარშემო შექმნილი სიტუაციის ანალიზს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი „მუსლიმი ძმების“ თავს. ჰამიდი აღწერს „ძმების“ უფროსი თაობის ლიდერების მიმართ ახალგაზრდების უკმაყოფილების დეტალებს. გენერალ აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის (ეგვიპტის მოქმედი პრეზიდენტი 2014 წლიდან დღემდე) მიერ მოწყობილ გადატრიალებას იგი ტრაგედიად მიიჩნევს, რადგან ამ მოვლენამ, მისი აზრით, ეგვიპტის ახალგაზრდა თაობაში დემოკრატიზაციის მიმართ რწმენის დაკარგვა გამოიწვია. სურათის უკეთ წარმოჩენის მიზნით, იხსენებს თავის საუბარს „მუსლიმი ძმების“ წარმომადგენელ ოფიციალურ პირთან და ჟურნალისტთან, ასმაა შუქრისთან, რომელმაც განაცხადა, რომ თუკი ისევ მოხვდებოდა ხელისუფლებაში, მიმართავდა რევოლუციურ სასამართლოებს სამხედროების წინააღმდეგ ას-სისის ჩათვლით, გაწმენდდა სახელმწიფო ინსტიტუტებს და გარდაქმნიდა სახელმწიფოს. უნდა ითქვას ისიც, რომ ჰამიდი გარკვეულწილად სიმპათიებსაც განიცდის „მუსლიმი ძმების“ მიმართ და ორგანიზაციის ექსტრემისტულად განწყობილი წევრების პოზიციას მიიჩნევს დემოკრატიის კრახის საპასუხო რეაქციად და არა ძირითად იდეოლოგიად. „ისლამურ სახელმწიფოსთან“ დაკავშირებით იგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ორგანიზაციის პოპულარობა ნაწილობრივ იყო პასუხი იმ დამცირებაზე, რომელსაც მუსლიმები აწყდებოდნენ როგორც დასავლეთში, ისე არაბული საერო დიქტატურების მხრიდანაც. ამასთან, მკითხველს ახსენებს, რომ თუნისი იყო დიქტატურისა და სეკულარიზაციის კომბინაციის მაგალითი, რამაც, მისი აზრით, შესაძლოა, გამოიწვია ბევრი თუნისელის გაწევრიანება „ისლამურ სახელმწიფოში“. იგი ასევე მიიჩნევს, რომ „ისლამურმა სახელმწიფომ“ ისარგებლა არაბული მმართველობის სტილის აშკარა ჩავარდნებით, მოძველებული რეგიონული წესრიგითა და საერთაშორისო საზოგადოების პასიურობით, რომელსაც არ სურდა ემოქმედა, როდესაც სირია ჩაეფლო მკაცრ რეპრესიებსა და სამოქალაქო ომში. ავტორი ამერიკული ინტერვენციის მომხრეა და ამაზე პირდაპირაც საუბრობს. ერაყში აშშ-ის ჩარევას იგი ცუდ გამოცდილებად მიიჩნევს, რადგან სისხლისღვრა მოჰყვა. თუმცა თვლის, რომ მიუხედავად ამისა, ზოგადად, ინტერვენცია უარყოფით ქმედებად არ შეიძლება იყოს განხილული. იგი ემხრობა აშშ-ის მიერ ლიბიისა და სირიის

ინტერვენციის იდეასაც.

მწერალი, კოლუმნისტი და „ალ-ჯაზირას“ პოლიტიკური პროცესების ანალიტიკოსი მარვან ბიშარა წიგნში „უხილავი არაბი: მოლოდინი და საფრთხე არაბული რევოლუციებისგან“[13] თავის პოზიციას აფიქსირებს „არაბულ გაზაფხულთან“ დაკავშირებული დასავლური ინტერპრეტაციების წინააღმდეგ, რომლებშიც დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სოციალური ქსელების როლს და ისლამიზმის საფრთხეს, რაც, მისი აზრით, მეტწილად ისლამური სამყაროს სათანადოდ არცოდნითაა გამოწვეული. ავტორი არაბულ სამყაროში მომხდარ რევოლუციებში რეალურ პერსპექტივებს ხედავდა და თვლიდა, რომ რევოლუციური მოძრაობები მოწყვლადი იყო ფუნდამენტალიზმის, დასავლეთის მხრიდან ჩარევისა და რეგიონული პოლიტიკის წინაშე. მისი შეხედულებების ჩამოყალიბებაზე „ალ-ჯაზირაში“ უფროსი ანალიტიკოსის პოზიციაზე მუშაობის საკმაო გავლენა იგრძნობა. ბიშარას აზრით, არაბულ სამყაროში არსებული პრობლემების არსი შექმნილ პოლიტიკურ სისტემაში მდგომარეობს, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობს, ხოლო ამ ყველაფერს კი სათავე დაუდო დასავლეთის ჩარევამ მას შემდეგ, რაც რიგმა არაბულმა ქვეყნებმა კოლონიალიზმს დააღწიეს თავი. აქედან გამომდინარე, ავტორი მიიჩნევს, რომ ულმობელი სამხედროები და უგულო დიქტატორები მხოლოდ დამკვირვებლის როლით იფარგლებოდნენ სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრების მიმართ, რაც იწვევდა მთელ რეგიონში ჩამორჩენილობის, სიღარიბის და შიშის გამეფებას; ამით უნებლიეთ ხელი შეუწყვეს ცვლილებებისთვის ნიადაგის შექმნას: აღნიშნულმა აქტორებმა ასეთი მიდგომებით შექმნეს გაბრაზებული და უმუშევარი, იდეოლოგიის არმქონე ახალგაზრდების თაობა, რომელიც შემდგომ იქცა საპროტესტო აქციების მთავარ ბირთვად. დასავლური მასმედიისგან განსხვავებით, რომელიც „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეულ აქციებს სპონტანურად თვლიდა, ავტორი ცდილობს მკითხველს დაანახვოს, როგორ აქტიურობდნენ პროფკავშირები, რელიგიური ჯგუფები და ქალთა მოძრაობები რევოლუციამდე ბევრად ადრე. იგი ასევე დეტალურად აღწერს საპროტესტო აქციების აფეთქების საწყის ეტაპებს და ახდენს

[13] **Marwan Bishara**. The Invisible Arab: The Promise and Peril of the Arab Revolutions. New York: Nation Books, 2012

მთავარი აქტორების იდენტიფიცირებას თუნისში, ეგვიპტეში, ლიბიაში და მთლიანად არაბეთის ნახევარკუნძულზე.

წიგნის ბოლო ნაწილში ბიშარა ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ახალი არაბული იდენტობა. ავტორის განმარტების თანახმად, არაბული სამყარო აღარ ცხოვრობს იზოლირებულად და მათ თავისუფალი წვდომა აქვთ სატელიტურ ტელევიზიებზე. უკვე შესაძლებელი ხდება, ხალხმა მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია და მოსაზრებათ ფართო სპექტრი, დაწყებული ულტრარელიგიურით და დასრულებული - ლიბერალურით, რაც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული ტელევიზიებიდან შეუძლებელი იყო.

სირიაში განვითარებული "არაბული გაზაფხულის" წინაპირობების დეტალების გასაგებად და შემდგომ სამოქალაქო დაპირისპირებაში ჩართული ყველა შიდა და გარე აქტორების შესახებ ინფორმაციის გაცნობის მიზნით, ღირებული აღმოჩნდა მაჯიდ რაფიზადეს ფლორიდის უნივერსიტეტში დაცული სადოქტორო დისერტაცია *„სირიის სამოქალაქო ომი: დაძაბულობის ოთხი კონცენტრული წრე"*[14]. ნაშრომში დეტალურად არის განხილული სირიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები ოსმალეთის იმპერიის დაშლის პერიოდიდან: იმდროინდელი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა, ეთნიკური და კონფესიური უმცირესობების განთავსების გეოგრაფიული არეალი, მათი ურთიერთდამოკიდებულება საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ პერიოდში. აღწერილია ჰაფიზ ალ-ასადის მიერ გატარებული რეფორმები, რამაც, ავტორის აზრით, სათავე დაუდო 2011 წლის აჯანყებას. ასევე ჩამოთვლილია და დეტალურად არის განხილული ყველა ოპოზიციური, ხელისუფლების მომხრე, შიდა და გარე აქტორების რაოდენობა, მიზნები, ურთიერთკავშირები, შექმნისა და დაშლის თარიღები თავის მიზეზებთან ერთად.

უილიამ კლივლენდის და მარტინ ბანტონის "*თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ისტორია"*[15] წარმოადგენს კომპლექსურ ნაშრომს და თანამედროვე

[14] **Majid Rafizadeh.** The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions -2014. University of south Florida.
[15] **William L. Cleveland, Martin Banton** – A History of the Modern Middle East – 2016 (Sixth Edition). United States, Colorado, Westview Press.

ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესების დეტალურ ანალიზს. მოიცავს ოსმალეთის იმპერიის ბატონობის პერიოდს, დასავლური იმპერიალიზმის ფონზე ეგვიპტის სახელმწიფოს მიერ გატარებულ რეფორმებს, ირანის რევოლუციასა და ყურის ომს. რეგიონის ისტორია იწყება ისლამის ჩასახვის პერიოდიდან და შემდგომ კლივლენდი ყურადღებას ამახვილებს უკანასკნელ ორ ასწლეულში განვითარებულ პროცესებზე. წიგნში წარმოდგენილია სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პროცესების დეტალები კარგად გააზრებული ანგარიშის სახით. ამავე წიგნის მე-6 გამოცემაში ყურადღება გამახვილებულია უკანასკნელ პერიოდში განვითარებულ ტრანსფორმაციულ პროცესებზე და ცალკე თავი ეთმობა რეგიონში აფეთქებულ საპროტესტო მუხტს, მასში მონაწილე ისლამისტური პარტიების როლს ახლო აღმოსავლეთში ჩამოყალიბებული ახალი პოლიტიკური წესრიგის პირობებში, „არაბული გაზაფხულის“ პერიპეტიების ანალიზს.

სირიის სამოქალაქო დაპირისპირებასთან დაკავშირებით საინტერესო წყაროს წარმოადგენს მაიკლ ვაისისა და ჰასან ჰასანის წიგნი *„ისლამური სახელმწიფო-ტერორის არმია“.*[16] ნაშრომი ეხება ორგანიზაცია “ისლამური სახელმწიფოს” წარმოქმნის მიზეზებსა და საქმიანობას.[17] ავტორებს არაერთი წლის განმავლობაში მიჰყავდათ რეპორტაჟები ერაყიდან და სირიიდან. მათი წიგნი დაწერილია პირადი გამოცდილებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით, რაც, თავის მხრივ, გამყარებულია აშშ-ს სამხედრო და სადაზვერვო სამსახურების ოფიცრებისგან, დასავლელი დიპლომატებისგან, სირიელი და ერაყელი უფლებადამცველებისგან, “ისლამური სახელმწიფოს” მებრძოლებისგან, არალეგალი აგენტებისა და რეგიონის უბრალო მაცხოვრებლებისგან აღებული ათეულობით ინტერვიუთი. აღნიშნული წიგნი ყურადღებას იმითაც იპყრობს, რომ ავტორების ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი თემაა, თუ რა უბიძგებდა სირიელი ხალხის ნაწილს, გაერთიანებულიყო სისასტიკით ნომერ პირველ ტერორისტულ ორგანიზაცია “ისლამურ სახელმწიფოში”

---

[16] **Майкл Вайс Хасан Хасан**- Исламское Государство-Армия Террора. Перевод с Английского- 2016. Москва: анф.

[17] ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი, The Daily Beast-ის უფროსი რედაქტორი, Foreign Policy-ის კოლუმნისტი, ეროვნული უსაფრთხოების ანალიტიკოსი და CNN-ის არხზე წამყვანი სპეციალისტი. ჰასან ჰასანი სირიული წარმომავლობის ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი. მის მიერ მომზადებული სტატიები ქვეყნდება The New York Times, Foreign Policy, The Guardian, Foerign Affairs, Financial Times, The Daily Beast-ში.

და კითხვებზე პასუხების გაცემის დროს უღრმავდებიან ისეთ დეტალებს, როგორებიცაა: მათთვის საინტერესო ობიექტების განათლება, ოჯახური წარმომავლობა, მათი ადრინდელი საქმიანობა. ასევე საინტერესოდ აქვთ აღწერილი, რა ფსიქოლოგიური ზეწოლის მეთოდებსა და სხვა სახის ტექნიკას მიმართავდნენ ზემოთ ხსენებული ორგანიზაციის წევრები რეკრუტების გადაბირებისას.

რუსულენოვანი ლიტერატურიდან ყურადღება მიიქცია ვლადიმირ ახმედოვის წიგნმა *„ისლამური ფაქტორის როლი ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაში და ევოლუცია სირიის აჯანყების პირობებში (90 წწ. X-ს. XXI ს. დასაწყისი)“*[18]. ცალკეულ ეპიზოდებში ავტორი, მართალია, ზუსტად აფასებს რეგიონში განვითარებულ პროცესებს და მათ გამომწვევ მიზეზებს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე პასუხების გასაცემად დამატებით კვლევასა და მასალების დამუშავებას საჭიროებს. საბოლოოდ, მაინც საინტერესო და კომპლექსურ წყაროს წარმოადგენს, ვინაიდან წიგნში გაშუქებულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: პოლიტიკურ პროცესებში რელიგიის როლის ზრდა და ამ ფენომენის გავლენა ხელისუფლების ხასიათზე, რელიგიური კანონმდებლობის როლი საერო სამართალწარმოების საპირწონედ. ავტორი საინტერესოდ და ლოგიკურად ასაბუთებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტების და მოსახლეობაში ავტორიტეტის დაკარგვის შემდეგ, რასაც თან ერთვის კორუმპირებული და დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ შექმნილი ანტიპათია, იდეოლოგიურ ვაკუუმს რელიგიური, უმეტესად, რადიკალური იდეოლოგია ავსებს. ახმედოვი დეტალურად განიხილავს ისტორიულ მიზეზებსა და სოციალურ-პოლიტიკურ წინაპირობებს, რომლებიც წინ უძღვოდა “არაბული გაზაფხულით” გამოწვეულ საპროტესტო გამოსვლებს რეგიონში. გაანალიზებულია რეგიონის ქვეყნების პოლიტიკურ განვითარებაში ეთნონაციონალური და კონფესიური ფენომენის როლი. ძირითადად სირიის მაგალითზეა შესწავლილი ისლამისტთა სხვადასხვა დაჯგუფება, მათი როლი საზოგადოებაში, პოლიტიკასა და შეიარაღებულ დაპირისპირებაში.

[18] **Владимир Ахмедов.** Роль Исламского фактора в обшественно-политическом развитии Арабских стран ближнего востока и его еволюция в условиях сирийского восстания (90-е гг. XX-начало XXI вв.), Москва, 2015

პატრიკ კოკბერნის *„ჯიჰადის საუკუნე: „ისლამური სახელმწიფო“ და დიდი ომი ახლო აღმოსავლეთისთვის“*[19] ავტორი ერაყსა და სირიაში განვითარებულ კონფესიათაშორის კონფლიქტს აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციას უკავშირებს, რამაც სუნიტები, შიიტები და ქურთები ერთმანეთთან დააპირისპირა. ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები კი, მისი აზრით, ჯაჭვური რეაქციით გადაედო სირიას, რასაც თან დაერთო ირანისა და საუდის არაბეთის ფარული ომი ერაყში, სირიასა და იემენში. ავტორი ერთდროულად ახერხებს საკითხის გლობალურ გაშუქებას და რიგი პრობლემების სააშკარაოზე გამოტანას კონკრეტული პირებისგან აღებული ინტერვიუების მეშვეობით. მის მიერ აღებული ინტერვიუებიდან ჩანს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ერაყის ქალაქ ფალუჯაში სუნიტ მოსახლეობას "ისლამური სახელმწიფოს" მიმართ დასაწყისში და ოდნავ მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციამ პოზიციები გაიმყარა მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. მის რესპონდენტებს შორის შედიოდნენ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, მათ შორის ქალებიც. მათ მიერ აღწერილი სიტუაცია კრიტიკულად განხილვის შემთხვევაშიც კი იძლევა იმ დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ ექსტრემისტული ძალები ბოლოს მიუღებელი ხდება მათი მომხრეების დიდი ნაწილისთვისაც. სირიაში განვითარებულ მოვლენებს და ის-ის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით საინტერესო პარალელს ავლებს ჩეჩნეთის ომთან და მსგავსი კონფლიქტების ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად არსებულ რეჟიმთან დაახლოებული დაჯგუფებების ნაწილისა და ექსტრემისტულად განწყობილი ოპოზიციის კორუფციული და კრიმინალური ინტერესების თანხვედრა მიაჩნია.[20]

---

[19] **Patrick Cockburn** – The Age of Jihad Islamic State and the Great War for the Middle East. – 2016. London.New York: Verso.

[20] პატრიკ კოკბერნი არის ბრიტანული ონლაინ გამოცემა Independent-ის ყველაზე ცნობილი ახლო აღმოსავლეთის საკითხების კომენტატორი. რეგიონში მიმდინარე პროცესების გაშუქება მან ჯერ კიდევ 1970 წლის ლიბანის სამოქალაქო ომის დროიდან დაიწყო და 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ იმყოფებოდა ავღანეთში და ერაყში აშშ-სა და კოალიციური ძალების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს. მოგვიანებით როდესაც "არაბული გაზაფხულით" გამოწვეული საპროტესტო მოძრაობების ტალღა მოედო მთელ ახლო აღმოსავლეთს, მოვლენათა ეპიცენტრი იყო ლიბიაში, ბაჰრეინში, იემენსა და სირიაში. ასევე მისი იქ ყოფნის პერიოდს დაემთხვა "ისლამური სახელმწიფოს" გამოსვლა და აღზევება.

პატრიკ კოკბერნი თავის მეორე წიგნშიც *„ჯიჰადისტების დაბრუნება: „ისლამური სახელმწიფო“ და ახალი სუნიტური აჯანყება”*[21] „ისლამური სახელმწიფოს” აღზევებას ერაყში შექმნილ სიტუაციას უკავშირებს, რასაც ძნელია, არ დაეთანხმო. მისი მსჯელობის თანახმად, ერაყის არმიამ არ იბრძოლა სადამ ჰუსაინის დასაცავად ისევე, როგორც მოგვიანებით ის-ის წინააღმდეგ. ჰუსაინის რეჟიმის დამხობის შემდეგ ისინი არ თვლიდნენ თავს დამარცხებულად და დასაქმების იმედიც ჰქონდათ ახალი ხელისუფლების პირობებში, თუმცა სინამდვილეში საპირისპირო შედეგი მიიღეს და დაიწყო სუნიტების მასობრივი გათავისუფლება სამსახურებიდან, რის გამოც ისინი შეუერთდნენ სადამის დროს რეპრესირებული შიიტებით დაკომპლექტებული ახალი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ძალებს.

რაც შეეხება სირიას, ამ ქვეყანაში „ისლამური სახელმწიფოს“ პოზიციების გაძლიერებას ავტორი დასავლელი ლიდერებისა და მასმედიის მხრიდან სიტუაციის არასწორ ანალიზს უკავშირებს. მისი მსჯელობის თანახმად, დასავლეთში თვლიდნენ, რომ ბაშარ ალ- ასადის რეჟიმი ისევე ადვილად დაემხობოდა, როგორც მუამარ კადაფისა ლიბიაში. თუმცა კადაფი დასავლეთის კოალიციურმა ძალებმა დაამხვეს და არა აჯანყებულებმა. მეორე ფაქტორი არის ის, რომ დასავლეთი ყოველთვის ეყრდნობა ზომიერ ოპოზიციასთან ალიანსს, მაგრამ სიტუაციაზე კონტროლი დროებით ჯიჰადისტებმა აიღეს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კოკბერნი, ახმედოვის მსგავსად, ჯიჰადისტური იდეოლოგიის გაღვივებას უკავშირებს საბჭოთა კავშირის კოლაფსს, რეგიონში დასავლური ფასეულობების დისკრედიტაციას, რის ფონზეც იდეოლოგიურ ვაკუუმს რადიკალიზმი და ექსტრემიზმი ავსებს.

საყურადღებოა ჯონათან ლითელის „2012 წლის 16 იანვარი - 2 თებერვალი, სირიული ბლოკნოტები ჰომსის აჯანყების შიგნით“[22]. 2012 წელს ჯონათან ლითელი სირიული აჯანყების შუაგულში იმყოფებოდა. სირიის თავისუფალი არმიის დახმარებით შეაღწია ჰომსში. სამი კვირის განმავლობაში საკუთარი თვალით დანახულ პროცესებს აღწერდა, რაც საბოლოოდ დასახელებული სათაურით გამოაქვეყნა. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მის მიერ აღწერილი პროცესები არ არის

[21] **Patrick Cockburn** - The Jihadis Return ISIS and the new Sunni uprising. – 2014. New York and London: OR Books.

[22] Syrian Notebooks Inside the Homs Uprising. January 16–February 2, 2012. Translated by Charlotte Mandell. – 2015. London: Verso.

მხოლოდ თვითმხილველის მიერ მოწოდებული მშრალი დოკუმენტური მასალა. იგი პატრიკ კოკბერნის მსგავსად, სირიის სპეცსამსახურების ქმედებასა და თავის დროზე ჩეჩნეთში რუსული სპეცსამსახურების მიერ გატარებულ ღონისძიებებში საკმაოზე მეტ მსგავსებას ხედავს. შედარებები არა მხოლოდ მის მსჯელობას, არამედ დოკუმენტებით გამყარებული ფაქტების იდენტურობასაც ეყრდნობა. ლოგიკურად ასაბუთებს იმ გარემოებას, თუ რატომ იყო დაინტერესებული მმართველი რეჟიმი ოპოზიციისთვის ხელი შეეწყო ან ებიძგებინა ექსტრემისტული ნაბიჯები გადაედგათ. ქრონოლოგიურად გადმოსცემს იმ დეტალებს, თუ როგორ ითრევდნენ ოპოზიციურად განწყობილ ძალებს სისხლისღვრაში ხელოვნურად. შესაბამისად, აღნიშნული წიგნი კარგი საშუალებაა კულისებს მიღმა მიმდინარე პროცესების დანახვისა და გაანალიზებისთვის. სირიის კრიზისზე მუშაობისას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამალებული საინფორმაციო ომის პირობებში, ყველა დაინტერესებული მხარე ცდილობდა მოწინააღმდეგის მარგინალიზაციასა და მის დაკავშირებას ქვეყნის გარე ძალებთან. მკვლევართა ერთი ნაწილი ცალსახად ადანაშაულებს ყურის მონარქიებსა და დასავლეთს კონფლიქტის გაღვივებასა და ექსტრემისტებისთვის ხელშეწყობაში, მეორე ნაწილი - რეჟიმს, რუსეთსა და ირანს. ლითელის წიგნი იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით სიმპათიებსაც კი გამოხატავს ზომიერი ოპოზიციის მიმართ. იგი მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც იბომბებოდნენ სამოქალაქო პირები და ექიმები ცდილობდნენ უდანაშაულო მოქალაქეების სიცოცხლის გადარჩენას. ავტორის განწყობა ზოგიერთ ეპიზოდში იგრძნობა და ექსტრემისტული ოპოზიციის ყველა ქმედებას რუსულ სპეცსამსახურებს უკავშირებს. მიუხედავად ყოველივე ზემოთ თქმულისა, დანარჩენ ეპიზოდებში მასალებს ორიგინალურ, ლოგიკურ მსჯელობასთან, პარალელებთან და მოვლენათა დეტალურ აღწერასთან ერთად გვაწვდის.

აშშ-ის ქვეყანათმცოდნეობის ფედერალური კვლევითი განყოფილების ცნობარი სირიის შესახებ.[23] სირიაში „არაბულ გაზაფხულამდე“ არსებული სიტუაციის შესახებ მნიშვნელოვან და დეტალურ ცნობებს გვაწვდის სირიაში არსებულ მდგომარეობაზე და არის ერთ-ერთი ტომი იმ წიგნთა სერიიდან, რომელიც

[23] Edited by **Thomas Collelo**, Federal Research Division. Library of Congress. Research Completed April 1987. United States Government as represented by the Secretary of the Army, Third Edition, 1988; First Printing, 1988.

მომზადებულია არმიის დეპარტამენტის დაკვეთით კონგრესის ბიბლიოთეკის კვლევების განყოფილების მიერ. მიგვაჩნია, რომ სირიის სამოქალაქო ომის პერიპეტიების კვლევისას ამ ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია კარგად იქნას გააზრებული ქვეყნის უახლეს ისტორიაში განვითარებული პროცესები, ვინაიდან დღესდღეობით წარმოქმნილი პრობლემების საკმაო ნაწილი ჰაფიზ ალ-ასადის მიერ დატოვებულმა პოლიტიურმა სისტემამაც განაპირობა. აღნიშნულ სერიაში შეტანილი წიგნები ეხება კონკრეტულ უცხო ქვეყნებს, მათში აღწერილი და გაანალიზებულია პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეროვნული უსაფრთხოების სისტემები და ინსტიტუტები, ასევე შესწავლილია ამ სისტემების ურთიერთკავშირი და ფორმირება კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით. ავტორები ცდილობენ და უნდა ითქვას, რომ ახერხებენ კიდეც ობიექტურობის მეცნიერული სტანდარტებიდან გადახვევის გარეშე გადმოსცენ მათი დაკვირვების არეალში მოქცეული საზოგადოებების შესახებ საბაზისო ცოდნა, რომელიც ეყრდნობა დინამიკურ და არა სტატიკურ გამოხატულებებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ხალხის იმ ნაწილს, რომელიც შეადგენს არსებულ საზოგადოებას, მათ წარმომავლობას, მთავარ მოსაზრებებსა და ფასეულობებს, საერთო ინტერესებს, ასევე იმ პრობლემებს, რომლებიც მათ დაყოფას იწვევს, ნაციონალურ ინსტიტუციებში მათი ჩართულობის ხასიათსა და ხარისხს, ხალხის დამოკიდებულებას როგორც ერთმანეთის, ისე პოლიტიკური სისტემისა და წესრიგის მიმართ. მოცემულ ტომში დეტალურად არის გადმოცემული საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა იყო სირიაში ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ. ასევე, საფრანგეთის სამანდატო ტერიტორიის პირობებში არსებული პოლიტიკური ვითარების და დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან შექმნილ სიტუაციაზე როგორც ასადების ოჯახის ხელისუფლებაში მოსვლამდე, ისე მის შემდგომ მდგომარეობაზეც. იგი მდიდარ წყაროს წარმოადგენს სირიაში მაცხოვრებელი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების რაოდენობის, მათი გეოგრაფიული განთავსების, მათ წინაშე მდგარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევების შესახებ. სკრუპულოზურად არის განხილული ყველა ის დეტალი, რომლებმაც შექმნა დღევანდელობით გამოწვეული სიტუაცია ქვეყანაში,

არსებული პოლიტიკური ელიტის სტრუქტურა და თუ რა გარემოპირობებმა ჩამოაყალიბა ჯერ ჰაფიზის, შემდგომ ბაშარ ალ-ასადის მმართველობითი სისტემა.

სირიაში „არაბულიგაზაფხულის“ გამომწვევი მიზეზების და ჰაფიზ ალ-ასადის მიერ დატოვებული პოლიტიკური მემკვიდრეობის სურათის უკეთ აღქმის თვალსაზრისით დახმარება ასევე გაგვიწია რაიმონდ ჰინაბუშის კვლევამ „ავტორიტარული განახლება და არაბული აჯანყება: რევოლუცია ზემოდან“.[24] წიგნში განხილულია სირიის სახელმწიფოს განვითარება 35-წლიანი სამხედრო-ბაასისტური რეჟიმის მმართველობის პირობებში, რაც ძირითადად ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდს მოიცავს. ასევე გაანალიზებულია ის ფაქტორები, რომელთა გამოც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მყიფე პოზიციების მქონე სახელმწიფო ვერ გაუმკლავდა მზარდ ნაციონალისტურ დაპირისპირებებსა და კლასობრივ კონფლიქტებს, რამაც, თავის მხრივ, გზა გაუხსნა ბაასის პარტიის ხელისუფლებაში მოსვლას და იკვლევს იმასაც, თუ როგორ „რევოლუციამ ზემოდან“ მოახდინა აღნიშნული პარტიის სოციოპოლიტიკურ არეალად ტრანსფორმაცია. შემდგომ განხილულია ჰაფიზ ალ-ასადის მიერ დანერგილი ძალაუფლების კონსოლიდაციის შერეული სტრატეგია, რომლის მეშვობითაც ნდობით აღჭურვილი და რეპრესიული სადავეების მქონე ნათესავებისა და კლიენტთა მხარდაჭერით დამყარდა საპრეზიდენტო მონარქია, რომელიც შეერწყა ლენინისტური ორგანიზაციის მსგავს სტრუქტურას და თავის თავში ასევე აერთიანებდა სასოფლო საარჩევნო ოლქებსაც. ყურადღება გამახვილებულია ისეთ გარემოებებზე, როგორებიცაა: ურთიერთდამოკიდებულება სახლემწიფოთა და საზოგადოებას შორის, ისლამური აჯანყება, სამოქალაქო საზოგადოების თვითგადარჩენის რეჟიმში ყოფნა და ასადის მიერ დემოკრატიის განვითარების ნაცვლად სახელმწიფო წნეხის შერბილების მცდელობა. ავტორი აფასებს ეკონომიკური განვითარების პოლტიკასაც, აჩვენებს, როგორ ჩამოაყალიბა სოფლის მეურნეობის რეფორმებმა, ინდუსტრიალიზაციამ და ეკონომიკურმა ლიბერალიზაციამ შედარებით სამართლიანი და მრავალფეროვანი, მაგრამ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოქცეული, იმთავითვე წამგებიანი ეკონომიკა. ეს წიგნი შეგვიძლია მივიჩნიოთ

[24] **Hinnebusch Raymond** – Revolution from above. – 2001.2002. London and New York: Routledge

სირიაში დაწყებულ “არაბულ გაზაფხულამდე” დაგროვილი ფაქტებისა და გამომწვევი მიზეზების მასალებად.

ქართული სამეცნიერო ლიტერატურიდან აღსანიშნავია თინათინ ქაროსანიძის წიგნი “ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში: “მუსლიმი ძმების” და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია” (2009). წიგნში დეტალურად არის განხილული “მუსლიმი ძმების” ისტორია გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 90-იანების ჩათვლით. მათი ტაქტიკა და სტრატეგია მონარქიის პერიოდიდან დაწყებული გამალ აბდ ან-ნასირის, ანვარ ას-სადათისა და ჰუსნი მუბარაქის მმართველობის პერიოდში. ცალკე ყურადღება აქვს დათმობილი “ძმებისა” და ფაშისტური გერმანიის ინტერესთა თანხვედრას მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. დეტალურად არის განხილული ასოციაცია “მუსლიმი ძმების” სხვადასხვა რადიკალური და ექსტრემისტული განშტოებების აქტივობაც. აღნიშნული წიგნი ქართულ აკადემიურ სივრცეში ერთადერთ ამომწურავ და კომპლექსურ წყაროს წარმოადგენს.

პროფესორ რევაზ გაჩეჩილაძის ნაშრომში „ახლო აღმოსავლეთი: გეოპოლიტიკა“ (ორ ტომად, ტომი II – 2019) აღწერილია რეგიონის რელიგიური, გეოგრაფიული, დემოგრაფიული, საზოგადოებრივი, კულტურული და ეკონომიკური საკითხები. ყურადღება ეთმობა რეგიონში მიმდინარე კონფლიქტების აღწერას და სოციალურ-ეკონომიკური გარემოს გავლენას პოლიტიკურ პროცესებზე. ასევე განხილულია ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტების თავისებურებები და მათი მოუგვარებლობის მიზეზები. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია მე-3 თავმა: „რეგიონის გეოპოლიტიკა“, რომელიც შიდარეგიონული გეოპოლიტიკური მოთამაშეების მოტივებსა და მიმდინარე პროცესების დეტალებს ძალზე საინტერესოდ აშუქებს. რაც მთავარია, აღნიშნული თავი ეთმობა „არაბული გაზაფხულის“ ანალიზსაც და რიგ ქვეყნებში წარმოქმნილ კონფლიქტებში მონაწილე როგორც სახელიმწიფო, ისე არასახელმწიფო აქტორების თავისებურებების წარმოჩენასაც.

პროფესორების - გ. სანიკიძის, გ. ალასანიასა და ნ. გელოვანის ავტორობით გამოცემული წიგნი „ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები

სამხრეთ კავკასიასთან“ (XIX ს.–XXIს.–ის დასაწყისი) მრავალრიცხოვან წყაროზე დაყრდნობით გადმოგვცემს მთლიანი რეგიონის ისტორიას XIX საუკუნიდან XXI საუკუნის დასაწყისამდე (2011). ჩვენთვის საინტერესო თავებში, ნ. გელოვანის ავტორობით, ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: არაბული ნაციონალიზმი და ისლამიზმი, პოლიტიკური ისლამი, ისლამური რადიკალიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმის წარმოქმნის მიზეზები და ძირითადი მიმართულებები, ისლამური ტერორიზმი, ქვეთავი - ისლამური რადიკალიზმი, წინაპირობები და მიზეზები, რაც დაგვეხმარა ჩამოგვეყალიბებინა და სტრუქტურულად დაგველაგებინა ჩემოთვლილ სამ ქვეყანაში „არაბული გაზაფხულის“შემდგომ დაწყებული პროცესები.

„არაბული გაზაფხულით“ დაწყებული რევოლუციური ტალღის ფონზე ისლამისტების გააქტიურების გამომწვევი მიზეზების, განხილულ ქვეყნებში განვითარებული მოვლენების და მიმდინარე პროცესების გაანალიზების კუთხით, ასევე მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანისთვის მნიშვნელოვანი დაახმარება გაგვიწიეს შემდეგმა სტატიებმა: ამელ ბუბექური „Islamists Secularists and Old Regime Elites in Tunisia: bargained Competition“ (ისლამისტები, სეკულარები და ძველი რეჟიმის ელიტები თუნისში: გარიგებული კონკურენცია), კასპერ ნეტტერსტრომი „The Islamists' Compromise in Tunisia“ (ისლამისტების კომპრომისი თუნისში), რაიმონდ ჰინაბუში „President and Party in Post-Ba‘thist Syria from the Struggle for “Reform” to Regime Deconstruction. Syria from Reform to Revolt“ (პრეზიდენტი და პარტია პოსტბაასისტურ სირიაში რეჟიმის ჩამოშლისკენ მიმართულ „რეფორმისთვის“ დაწყებული ბრძოლაში. სირია რეფორმიდან აჯანყებამდე), რისა ბრუკსი „Why the Tunisian Military Defected from the Ben Ali Regime in January 2011“ (რატომ აირიდეს თავიდან თუნისელმა სამხედროებმა ბინ ალის რეჟიმის დაცვა 2011 წელს), ემი ჩურშილი „Labour organisation in the Arab Spring: A comparison of Tunisia and Egypt“ (დამსაქმებელი ორგანიზაცია „არაბული გაზაფხულის“ დროს: თუნისისა და ეგვიპტის შედარება), აისი ტეკდალ ფილდისი „Roots of Alawite-Sunni Rivalry in Syria“ (ალავიტურ-სუნიტური დაპირისპირების ფესვები სირიაში), შარან გრევალისა და შადი ჰამიდის „The Dark Side of Consensus in Tunisia: Lessons from 2015-2019“ (კონსენსუსის ჩრდილოვანი მხარე

თუნისში: გაკვეთილები 2015-2019 წლებიდან), შარან გრევალი „Winners and losers of Tunisia's parliamentary elections" (გამარჯვებულები და დამარცხებულები თუნისის საპარლამენტო არჩევნებში), მონიკა მარკსი „Tunisia's Ennahda: Rethinking Islamism in the context of ISIS and the Egyptian coup" (თუნისის *„ან-ნაჰდა":* ისლამიზმის ხელახლა გააზრება „ისლამური სახელმწიფოსა" და ეგვიპტეში განხორციელებული გადატრიალების კონტექსტში), ჩარლზ ლისტერი „Profiling Jabhat al-Nusra" (ჯაბჰათ ალ-ნუსრას პროფილირება), ელისაბედ ო'ბაგი „Jihad in Syria" (ჯიჰადი სირიაში), დენიელ სილვერმანი „The Arab Military in the Arab Spring" (არაბი სამხედროები „არაბული გაზახულის" დროს) და სხვები.

თავი I. რევოლუცია თუნისში და ისლამისტების გამარჯვების რეალური მიზეზები

1.1. ისლამისტების გავლენა თუნისში რევოლუციამდე და ქვეყანაში ჩატარებულ პირველ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ

ზინ ალ აბიდინ ბინ ალი თუნისს 1987 წლიდან 2011 წლამდე მართავდა. თავდაპირველად იგი პირობას დებდა, რომ ქვეყანაში თანდათანობით გაძლიერდებოდა დემოკრატია. 1989-94 წლების არჩევნებში უალტერნატივოდ გაიმარჯვა. 1999 წელს პირველად შემოღებული მრავალპარტიული საპრეზიდენტო არჩევნებიც ცალმხრივად ჩატარდა და კვლავ ბინ ალიმ გაიმარჯვა. ქვეყნის კონსტიტუცია ორჯერ შეიცვალა, რათა ბინ ალის მმართველობა გაეხანგრძლივებინა.[25] ბოლოს ის ქვეყნის პრეზიდენტი გახდა 2009 წელს, როცა ხმათა 90% მიიღო. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკა სტაბილურად ვითარდებოდა, მეტ-ნაკლებად დაცული იყო ქალთა უფლებები და მის მიერ წამოწყებულ ეკონომიკურ რეფორმებსაც ჰყავდა მომხრეები, მაგრამ უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის და სიღარიბე ქვეყნის სხვადასხვა რაიონის მოსახლეობაში არ იკლებდა.[26] აღნიშნულ გამოწვევებს თან ერთვოდა ქვეყანაში გამეფებული კორუფციული ფონიც. კორუფციის სათავე სწორედ პრეზიდენტის ოჯახიდან მოდიოდა, კერძოდ, მისი მეორე ცოლის, ლაილა ტარაბულსის და მისი სანათესაოსგან.

---

[25] 2002 წლის მაისში რეფერენდუმის შედეგად დამტკიცდა საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტ ბინ ალის საშუალება ეძლეოდა, თავის კანდიდატურა წარედგინა დამატებითი ვადით და შექმნა საკანონმდებლო ორგანოს უმაღლესი პალატა, მრჩეველთა პალატა.
2008 წლის საკონსტიტუციო ცვლილების თანახმად კი დაუშვეს მრავალ კანდიდატიანი საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, ამომრჩეველთა ასაკმა დაიწია 18 წელზე და აღნიშნულმა ცვლილებამ ასევე უზრუნველჰყო საარჩევნო პროცესში გაძლიერებული რეგულაციების შემოღება. Constitutional history of Tunisia. – *CONSTITUTIONNET,* accessed July 3, 2021 at web page https://constitutionnet.org/country/tunisia

[26] Obituary: Zine al-Abidine Ben Ali. – *"BBC"*, September 2019, accessed July 3, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-africa-12196679
Lin Noueihed. Unemployment breeds anger in home of Arab Spring. // *"REUTERS",* May 2012, accessed July 3, 2021 at web page
https://www.reuters.com/article/us-tunisia-unemployment-idUSBRE84T0WT20120530

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ საფრანგეთის ფილიალის ხელმძღვანელის, დანიელ ლიბიგის, განცხადების თანახმად, პრეზიდენტის ოჯახი ქვეყნის ეკონომიკის 30-40%-ს აკონტროლებდა. ლაილა ტარაბულსი, რომელიც 10-შვილიანი ოჯახიდან იყო და თავის ნათესავებს ნიშნავდა სხვადასხვა თანამდებობებზე, საბოლოოდ პრეზიდენტის ცოლის კლანის (მათ მფლობელობაში იყო ყველა მნიშვნელოვანი ეკონომიკური სექტორი: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, დისტრიბუცია, ტრანსპორტი, ტურიზმი, კერძო საკუთრება) მიერ მიტაცებულმა თანხამ 10 მილიარდ ევრომდე შეადგინა.[27] ბინ ალის სიძე, იმ პერიოდში ჯერ კიდევ 29 წლის სახირ ალ-მატრი, ქვეყნის დეფაქტო ბანკირივით იქცეოდა. ფლობდა საკრუიზო გადაზიდვების ხაზს, ფარმაკოლოგიური ნაწარმის ფირმას, უძრავი ქონების კომპანიებს, სპეციალური შეღავათებით სარგებლობდა ისეთი ავტობრენდებისგან როგორებიცაა: აუდი, ფოლკსვაგენი, პორშე და რენაულტი.[28] 2015 წლის თებერვალში შვეიცარიამ ბინ ალის ოჯახის მიერ მათ ბანკში შენახული 29 მილიონი ევრო დაუბრუნა თუნისს. იმავე წლის მარტში მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, აღმოაჩინეს 221 კომპანია, რომლებიც პრეზიდენტის ოჯახს ეკუთვნოდა და შვეიცარიის ხელისუფლებამ თუნისიდან შესული 50 მილიონი ევრო გაყინა მას შემდეგ, რაც ბინ ალიმ ქვეყანა დატოვა (2011 წ).[29] „Wikilieaks-ის“ მიერ გამოქვეყნებული მასალების მიხედვით, აშშ-ის ერთ-ერთი ყოფილი ელჩი თუნისში ბინ ალის ოჯახს „კვაზი მაფიად“ მიიჩნევდა, რომელიც გადაჯაჭვული იყო ქვეყანაში

---

[27] **Kim Willsher.** Leila Trabelsi: the Lady Macbeth of Tunisia. // *"Guardian",* January 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.theguardian.com/world/2011/jan/18/leila-trabelsi-tunisia-lady-macbeth
Leila Ben Ali; Tunisia's power-hungry first lady. // *"almaghribtoday",* June 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.almaghribtoday.net/en/329/leila-ben-ali-tunisias-power-hungry-first-lady
Aidan Lewis. Tracking down the Ben Ali and Trabelsi fortune. // *"BBC",* January 2011, accessed July 3, 2011 at web page
https://www.bbc.com/news/world-africa-12302659
[28] **Marwan Bishara.** The Invisible Arab the Promise and peril of the Arab Revolutions. Nation Books. New York: Nation Institute and the Persus Books, 2012. გვ. 14.
[29] Switzerland to give part of Ben Ali money to Tunisia. // *"MIDDLE EAST EYE",* Fabruary 2015, accessed July 3, 2021 at web page
https://www.middleeasteye.net/news/switzerland-give-part-ben-ali-money-tunisia
Tunisia's Ben Ali flees amid unrest. // *"ALJAZEERA",* January 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2011/1/15/tunisias-ben-ali-flees-amid-unrest
Tunisian autocrat Ben Ali dies in Saudi exile. // *"ALJAZEERA",* September 2019, accessed July 3, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2019/9/19/tunisian-autocrat-ben-ali-dies-in-saudi-exile

ფესვგადგმულ კორუფციასთან.[30] ასეთი სიტუაცია გრძელდებოდა თუნისში მანამ, სანამ ბოსტნეულით მოვაჭრე ახალგაზრდამ პროტესტის ნიშნად თავი არ დაიწვა იმის გამო, რომ პოლიციამ კანონით აკრძალული გარე ვაჭრობის ნება არ მისცა და უხეშად მოეპყრო. ამ ფაქტს მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა. აქციაზე გამოსულებს პრეზიდენტმა ბინ ალიმ სიტყვით მიმართა. იგი დაჰპირდა ხალხს, რომ აღარ შეიტანდა შესწორებას კონსტიტუციაში, რომლის მიხედვითაც 2014 წელსაც შეძლებდა საპრეზიდენტო არჩევნებზე თავის კანდიდატურის დაყენებას.[31] მაშინდელი კონსტიტუციის თანახმად, 75 წელზე ასაკით უფროს კანდიდატს არ შეეძლო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ბინ ალი იმ დროს უკვე 74 წლის იყო და არსებობდა იმის მოლოდინი, რომ კონსტიტუციაში კვლავ ცვლილება შევიდოდა, თუმცა მან თავის ტელემიმართვაში, რომელშიც ადგილობრივ დიალექტზე საუბრობდა და არა ლიტერატურულ არაბულზე, განაცხადა, რომ აღარ აპირებდა მუდმივ პრეზიდენტად ყოფნას 2014 წლიდან. მან ასევე მიმართა ძალოვნებს, რომ შეეწყვიტათ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება საპროტესტო აქციაზე გამოსულების წინააღმდეგ, რასაც უკვე იმ პერიოდისთვის 23 ადამიანი ემსხვერპლა. ბინ ალიმ ასევე დადო იმის პირობაც, რომ კვების პროდუქტებზე ფასები დაიწევდა, პრესას სრულ თავისუფლებას მიანიჭებდნენ და აღარ იქნებოდა დაბლოკილი ინტერნეტსაიტები. მან ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისის შექმნაში თავის მრჩევლები დაადანაშაულა, რომლებმაც, მისი განმარტებით, იგი მოატყუეს. მის გამოსვლას დიდი მოწონებით შეხვდა თუნისის მაშინდელი ოპოზიციის მთავარი ლიდერი, აჰმად ნაჯიბ შაბი[32], ოპოზიციური დემოკრატიული პროგრესული პარტიის დამფუძნებელი. ის ოდნავ მოგვიანებით, რევოლუციის შემდგომ (2011 წ.)

---

[30] France: Prosecutors ask for extradition of ousted Tunisian President's brother in law. // *"MIDDLE EAST MONITOR",* June 2020, accessed July 3, 2021 at web page
https://www.middleeastmonitor.com/20200626-france-prosecutors-ask-for-extradition-of-ousted-tunisian-presidents-brother-in-law/
Ben Ali nephew apologises to Tunisia for corruption. // *"NEWS24",* May 2017, accessed July 3, 2021 at web page
https://www.news24.com/news24/africa/news/ben-ali-nephew-apologises-to-tunisia-for-corruption-20170520

[31] **John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll.** Islam and Democracy after the Arab Spring, New York: Oxford University press, 2016, გვ. 175.

[32] Ben Ali rules out 'presidency for life,' vows less police violence, more press freedom. // *"FRANCE24",* January 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.france24.com/en/20110113-tunisia-protests-ben-ali-speech-will-not-seek-reelection
Tarek Amara T. Tunisian leader bows to unrest, sets departure date. // *"REUTERS",* January 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.reuters.com/article/us-tunisia-protests-idUSTRE70C1VB20110113

ფორმირებულ დროებით მთავრობას რეგიონული განვითარების მინისტრის რანგში შეუერთდა.[33] ბინ ალის სიტყვით გამოსვლას და ოპოზიციის ლიდერის განწყობას არ მოჰყოლია რეჟიმისთვის რაიმე სახის სასიკეთო ცვლილება. საბოლოოდ, პრეზიდენტმა მას შემდეგ, რაც სამხედროებმა არსებული რეჟიმის დაცვაზე უარი განაცხადეს[34], ქვეყანა დატოვა, რითაც მისი 23-წლიანი მმართველობა დასრულდა. მან თავი საუდის არაბეთს შეაფარა და 2019 წლის სექტემბერში იქვე გარდაიცვალა.

თუნისი „არაბული გაზაფხულის“ ე.წ. „აკვანი“ და პირველი ქვეყანა იყო, სადაც არჩევნებში ისლამისტებმა გაიმარჯვეს, რასაც ახლო აღმოსავლეთის მთელ რეგიონში მოჰყვა პოლიტიკური ისლამის მიმდევარი ზომიერი, რადიკალური თუ ექსტრემისტულად განწყობილი ისლამისტური ძალების გააქტიურება როგორც პოლიტიკაში, ისე მის მიღმა, სირიის მაგალითზე. სწორედ ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს იმ საკითხის გამოკვლევა, თუ რამ განაპირობა ტერორიზმთან ბრძოლაში დასავლეთის მოკავშირე ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყანაში ზომიერი ისლამისტური პარტიის „ან-ნაჰდას“ გამარჯვება. ლოგიკურად ჩნდება კითხვები:

- იყო თუ არა ეს პირველი წარმატება პოლიტიკურ ასპარეზზე ამ პარტიისთვის?
- თუნისელი ამომრჩევლების უმრავლესობა ქვეყნისა და მოქალაქეების კეთილდღეობას ისლამისტურ იდეოლოგიაში ხედავდა, თუ დემოკრატიული პროცესების განვითარებაში?

რევოლუციის შემდეგ ისლამისტთა გამარჯვების მიზეზებისა და დეტალების შესწავლის დაწყებამდე აუცილებელია თუნისში პოლიტიკური ისლამის განვითარების ისტორიული ანატომიის მოკლე მიმოხილვა და ასევე პოსტრევოლუციურ პერიოდში შექმნილი ნიადაგის გაანალიზება. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ისლამის განვითარებამ ორი ეტაპი გაიარა: „არაბულ გაზაფხულამდე“ და მას შემდეგ. ამ ქვეყნის პირველი და მეორე

---

[33] More Resignations from Tunisia's Interim Government. – *voanews,* February 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.voanews.com/africa/more-resignations-tunisias-interim-government

[34] **William Maclean.** Tunisia army pivotal to Ben Ali ousting. // *"REUTERS",* January 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.reuters.com/article/us-tunisia-protests-army-idUSTRE70G52B20110117

პრეზიდენტების - ჰაბიბ ბურგიბასა და ბინ ალის მმართველობის პერიოდში ისლამისტები დევნას და რეპრესიებს განიცდიდნენ. თუნისში, ისევე როგორც ოდნავ მოგვიანებით ეგვიპტეში, ისლამისტებს არ შეუტანიათ რაიმე განსაკუთრებული წვლილი მმართველი რეჟიმის დამხობაში, თუმცა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს პოსტრევოლუციურ, გარდამავალ პერიოდში. თუნისის ზომიერი ისლამისტური პარტია „ან-ნაჰდა“ მუდმივად ცდილობდა იმ პერიოდში შექმნილ გარემოსთან ადაპტაციას იმისათვის, რომ მისაღები გამხდარიყო არა მხოლოდ კონსერვატიული პოლიტიკური ძალებისა და ისლამისტი ამომრჩევლებისთვის, არამედ მთელი მოსახლეობისთვის. პოლიტიკური პარტიები ჩამოაყალიბეს სალაფიტებმაც: *„ჯაბჰათ ალ-ისლაჰ“, „ჰიზბ უთ-თაჰრირ“, „ალ-რაჰმა“.* ულტრაკონსერვატიული სალაფიტებიც, ზომიერი ისლამისტების მსგავსად, ცდილობდნენ გარემოსთან ადაპტაციას: ლობირებდნენ მოსახლეობის მხრიდან წამოსულ მოთხოვნებს, ატარებდნენ საქველმოქმედო ღონისძიებებს და ა.შ.

თუნისში ბინ ალის 23-წლიანი მმართველობის შემდეგ გამართულ პირველ დემოკრატიულ არჩევნებში გამარჯვებული ზომიერი ისლამისტური პარტიის, *„ან-ნაჰდას“,* მოქმედებების ისტორიის ხელახალი მიმოხილვა შედარებითი ანალიზის ჭრილში განმასხვავებელი ფაქტორების გარდა, გვიჩვენებს გარკვეულ მსგავსებებსაც ოდნავ მოგვიანებით ეგვიპტეში განვითარებულ მოვლენებთან.

მოძრაობა *„ან-ნაჰდამ“* აქტიურობა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ თუნისის საფრანგეთისგან დამოუკიდებლობის (1956 წ.) მოპოვებიდან და ქვეყნის პირველი პრეზიდენტის, ჰაბიბ ბურგიბას (1957-87 წ.წ.), სათავეში მოსვლის პერიოდიდან ჩაეყარა. პრეზიდენტმა ბურგიბამ დაიწყო ქვეყნის მოდერნიზაციის პროცესი, რომლის ფარგლებშიც შეზღუდა რელიგიური პირების აქტივობა, მეჩეთების, ყურანის შემსწავლელი სკოლებისა და რელიგიური საქველმოქმედო ფონდების დაფინანსება. ასევე აიკრძალა პოლიგამიაც. მე-20 საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს რაშიდ ღანუშიმ, აბდ ალ-ფათაჰ მურუმ და ჰამიდ ან-ნაიფარმა დააარსეს მოძრაობა „და'ვა“. ეს იყო ისლამის სწავლებაზე ორიენტირებული აპოლიტიკური მოძრაობა. „და'ვას“ გააქტიურება არ იყო გამოწვეული მხოლოდ რელიგიური მოტივებით. მოძრაობა განსაკუთრებით

მიმზიდველი აღმოჩნდა ქვეყნის პერიფერიებში მაცხოვრებლებისთვის, რომელთა რიგებშიც შედიოდნენ რელიგიური და სეკულარული სკოლების კურსდამთავრებული ფენები და თვლიდნენ, რომ ბურგიბას მიერ დაწყებული ქვეყნის მოდერნიზაციის კურსი აფერხებდა მათ წინსვლას ცხოვრებაში. აღნიშნულ კატეგორიას შეუერთდნენ საშუალო ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები, რომელთაც სახელმწიფოსგან უფასო განათლება მიიღეს, მაგრამ მაინც ვერ ახერხებდნენ ქვეყანაში სოციალიზაციას. ყოველივე ამას ერთვოდა ისიც, რომ ორივე ჯგუფი მარგინალიზებული იყო თუნისელი ვესტერნიზებული ბურჟუაზიისგან.[35] აღნიშნული მოძრაობის ფუნდამენტური პრინციპების თანახმად, ისლამის ღვთაებრივი ყოვლისმომცველი ინტერპეტაციის აღმოჩენაა შესაძლებელი, რომელიც ყოველგვარი ფიზიკური, პერიოდული თუ კულტურული შეზღუდვების გარეშე მთელი კაცობრიობის მისამართითაა გამოხატული. მოძრაობის მუსლიმური პრინციპები უნდა იყოს მორწმუნეთა პოლიტიკური და სოციალური არჩევანის გზამკვლევი, რაც საბოლოოდ ჩამოაყალიბებს უმმას-მუსლიმურ თემს.[36] „და'ვას" ფესვები დაკავშირებული იყო ორგანიზაცია *„ჯამა'ა ალ-ისლამიასთან"* (1970 წ.), რომელიც ეგვიპტეში სტუდენტური მოძრაობის სახით ჩამოყალიბდა და მისი მთავარი მიზანი იყო „მუსლიმი ძმების" იდეოლოგიის გავრცელება ეგვიპტესა და თუნისში. როგორც თავის დროზე „მუსლიმი ძმები", ასევე მოძრაობა *„ან-ნაჰდაც"* თავის წევრებს დაბალი ფენებიდან იზიდავდა და ფინანსდებოდა საწევროების შეტანით. მოძრაობა აიკრძალა 1973 წელს, მაგრამ ის არსებობას მაინც განაგრძობდა იატაკქვეშეთში. ოდნავ მოგვიანებით *„ან-ნაჰდაში"* მოხდა განხეთქილება რაშიდ ღანუშისა (მოგვიანებით *„ან-ნაჰდას"* ლიდერი) და „მუსლიმი ძმების" იდეოლოგიის ერთგულ წევრთა შორის, რასაც მოჰყვა ისლამური ტენდენციების მოძრაობის „Mouvement de la tendance islamique" შექმნა 1979 წელს. ეს ახალი ასოციაცია ეწინააღმდეგებოდა თუნისის სეკულარიზაციას ჰაბიბ ბურგიბას პრეზიდენტობის პერიოდში. მკვლევართა შორის არ არის ცალსახა პასუხი იმაზე, იყო თუ არა

[35] **Hamza Meddeb.** Ennahda's Uneasy Exit From Political Islam. – *MALCOLM K. HERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER,* September 2019, accessed July 3, 2021 at web page https://carnegie-mec.org/2019/09/05/ennahda-s-uneasy-exit-from-political-islam-pub-79789

[36] **Mouldi Lahmar.** Arab Spring Modernity, Identity and Change. Eid Mohamed, Dalia Fahmi Editor, Palgrave macmilan, 2020. გვ. 44.

„ისლამური ტენდენციების მოძრაობა“ (იტმ) „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი მოძრაობა. ნაწილი თვლიდა, რომ მათ შორის არსებობდა გარკვეული კავშირი, თუმცა რა ხასიათის იყო ეს ურთიერთობა, გაურკვეველია. დანარჩენები თვლიდნენ, რომ თავდაპირველად კი იყო ეგვიპტელ „ძმებთან“ მჭიდრო კავშირი, მაგრამ თუნისური მოძრაობა ინარჩუნებდა ინტელექტუალურ დამოუკიდებლობას იტმ-ს ზოგიერთი წევრის „ძმებისადმი“ განუხრელი ერთგულების მიუხედავად.[37]

ჩვენ ვფიქრობ, რომ მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრება უფრო ახლოსაა რეალობასთან, ვინაიდან შემდგომში *„ან-ნაჰდამ”* გაცილებით მეტი სიცოცხლისუნარიანობა, მოქნილობა და პოლიტიკურ პროცესებში მოხერხებული მანევრირების უნარები გამოამჟღავნა, ვიდრე მათმა ეგვიპტელმა „კოლეგებმა“.

2011 წლის ოქტომბერში მთლიანად აღმოსავლეთის რეგიონსა და კონკრეტულად თუნისში მიმდინარე პროცესებით დაინტერესებულ მედიასა და მკვლევართა წრეებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სამი შეკითხვა:

1. „მიიღებენ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას თუნისელები?“
2. „რისთვის იღებენ მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობას?“
3. „ვის მისცემენ ისინი ხმას“?

პოლიტიკურ საკითხთა მიმომხილველებს შორის არჩევნებამდე აღარ იწვევდა დავას ის, რომ სწორედ *„ან-ნაჰდა“* იქნებოდა გამარჯვებული პარტია და იხრებოდნენ იმ აზრისკენ, რომ თუნისი, რომელიც მანამდე ფრანკოფონულ კულტურას ნაზიარები ელიტების მიერ იმართებოდა, ისლამისტების პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ თურქეთის ამჟამინდელი მმართველი - „სამართლიანობისა და განვითარების პარტიის“ - ზომიერი ისლამისტური გზით წავიდოდა. კითხვაზე, თუ რა ძირითადმა მიზეზებმა განაპირობა თუნისში ისლამისტების გამარჯვება, ერთ-ერთ ლოგიკურად დასაბუთებულ პასუხად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ როგორც მუბარაქის შემდგომ ეგვიპტეში განიხილებოდა თურქული მოდელის მიხედვით ისლამისტური ძალების ქვეყნის სათავეში მოსვლა და განვითარება, იგივე იდეები დომინირებდა ცოტათი

[37] **Lisa Watanabe.** Islamist Actors: Libya and Tunisia. - *Center for Security Studies (CSS), ETH Zurich,* June 2018, accessed July 3, 2021 at web page https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/Watanabe-06282018-IslamistActors.pdf

ადრე პოსტრევოლუციური თუნისის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. თურქული მოდელის მიმართ თუნისელთა ლოიალურობა 2011 წლის ღია წყაროებში ისტორიული მეხსიერებითაც იხსნებოდა და „ალ-ჯაზირაზე“ გამოქვეყნებულ სტატიაში „თუნისის არჩევნების რეალური მნიშვნელობა“ ხაზგასმული იყო ჯერ კიდევ 150 წლის წინ ხაირ ად-დინ ფაშას მიერ ქვეყანაში გატარებული რეფორმები.[38] ასევე ხაზგასმული იყო თუნისის პოლიტიკური კულტურის თავისებურებაც. კერძოდ, ქვეყნის მოქალაქეებს არ სურდათ დაშორებოდნენ არც ისლამურ მემკვიდრეობას და არც რეფორმისტულ პოლიტიკას, ვინაიდან ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დაშლიდან მოყოლებული, მუსლიმური ფასეულობები ფრანგული და ევროპული კულტურის ელემენტებთან საკმაოდ კარგად იყო შერწყმული. *„ან-ნაჰდას“* ლიდერი რაშიდ ღანუში 2011 წლის ოქტომბერში პირდაპირ მინიშნებებს აკეთებდა ქვეყანაში თურქული მოდელის დანერგვის შესახებ და აცხადებდა: „თურქეთსა და ეგვიპტეში ისლამსა და მოდერნიზმს შორის თანხმობის დამამყარებელი ერთი და იგივე მოძრაობა არსებობდა, ჩვენ კი ამ მოძრაობის შთამომავლები ვართ“.[39] პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებების თანახმად, *„ან-ნაჰდა“* აპირებდა ნებისმიერ პარტიასთან კოალიციაში შესვლას, მათ შორის სეკულარებთან და მემარცხენეებთანაც კი.[40] ზოგადი განხილვის და საკითხის ზედაპირული შეფასებითაც კი კარგად ჩანს, რომ სწორედ ეს ფაქტორია ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად მიჩნეული, რის მიხედვითაც, თუნისელი ამომრჩევლებისთვის მიწოდებულმა მსგავსმა პოლიტიკურმა გზავნილებმაც განაპირობეს ამ ზომიერი ისლამისტური პარტიის გამარჯვება ქვეყანაში ჩატარებულ 2011 წლის არჩევნებში. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პარტიის გამარჯვებას ხელი მისმა მოქნილი

---

[38] ხაირ ად-დინ ალ-თუნისი, ასევე ხაირ ად-დინ ფაშა - თუნისელი მუსლიმი მოდერნისტი და დიდი ვეზირი ოსმალეთის იმპერიაში აბდ ალ-ჰამიდ II-ის კარზე. იგი ასევე იყო თუნისის პრემიერ-მინისტრი 1873 წელს. თავის დროზე მან გაატარა ეკონომიკური და ადმინისტრაციული რეფორმები, ქვეყნის ფინანსური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით. 1878 წელს დაინიშნა ოსმალეთის იმპერიის დიდ ვეზირად, თუმცა მალე დაითხოვეს პოსტიდან, საპარლამენტო მმართველობის მხარდაჭერისთვის. 1875 წელს დააარსა სადიქის კოლეჯი, რომელშიც განათლებას იღებდნენ თუნისის მოდერნისტული ელიტის წარმომადგენლები.
Khayr al-Din al-Tunisi. – *Oxford Islamic Studies Online,* accessed October 2020 at web page http://www.oxfordislamicstudies.com/article/opr/t125/e1284

[39] **Larbi Sadiki.** The real significance of Tunisia's election. // *"ALJAZEERA",* October 2011, accessed July 3, 2021 at web page https://www.aljazeera.com/opinions/2011/10/23/the-real-significance-of-tunisias-election/

[40] **Aidan Lewis.** Profile: Tunisia's Ennahda Party. // *"BBC",* October 2011, accessed July 3, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-africa-15442859

პოლიტიკური თამაშის მდიდარმა პრაქტიკამაც შეუწყო ხელი, რის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალაითადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგი გერმეობები: ჯერ კიდევ 1981 წლიდან მოყოლებული, როდესაც „ისლამური ტენდენციების მოძრაობა“ ჯერ ისევ თავის სამართლებრივი სტატუსის შესანარჩუნებლად იბრძოდა, იმ პერიოდიდანვე ახერხებდა პოლიტიკურ სარბიელზე მოქნილად მოქმედებას, გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას, პრაგმატული ნაბიჯების გადადგმას და ხშირად კურსის შეცვლასაც. მაგალითად, 1985 წელს პარტია დაუპირისპირდა ჰაბიბ ბურგიბას მიერ შემოღებულ პირადი სტატუსის სამართალს[41] და ითხოვდა რეფერენდუმის ჩატარებას აღნიშნულ საკითხზე. მოგვიანებით, როდესაც „ხავერდოვანი“ გადატრიალების შედეგად სათავეში მოვიდა ზინ ალ-აბიდინ ბინ-ალი და დასაწყისში აპირებდა მოსახლეობისთვის ეჩვენებინა, თითქოს იგი ქვეყანაში მრავალპარტიული მმართველობის შემოღებას აპირებდა, ამისათვის მან ამ პოლიტიკურ პროცესებში ჩართო *„ან-ნაჰდა“,* რის შემდეგაც ამ პარტიამ ზემოთ ხსენებულ ინიციატივას მხარი დაუჭირა. თუმცა არჩევნები ბინ ალისთვის მოულოდნელად დასრულდა: ისლამისტები მეორე ადგილზე გავიდნენ და ხმების 17% მოაგროვეს, რასაც მოძრაობის კანონგარეშედ გამოცხადება, მისი წევრების დაპატიმრება, წამება და ქვეყნის გარეთ გაქცევა მოჰყვა.[42] *„ან-ნაჰდა“* 2005 წელს ასევე შეუერთდა 18 ოქტომბრის მოძრაობა „საერთო პლატფორმას“, რომლის მეშვეობითაც თუნისის ოპოზიციურმა პარტიებმა გააპროტესტეს ბინ ალის რეჟიმის მმართველობა. ეს არ იყო

---

[41] პირდი სტატუსის სამართალი-1956 წლეს მიღებული კანონთა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ქორწინებას, გაყრას, მეურვეობას და მემკვიდრეობის მიღების საკითხებს. აღნიშნულმა კანონმა ძირეულად შეცვალა საოჯახო სამართალი და ქალების სამართლებრივი სტატუსი. 1926 წლის თურქეთის სამოქალაქო კოდექსის მსგავსად, თუნისის 1956 წლის პირადი სტატუსის სამართალი იყო ნოვატორული საკანონმდებლო აქტი, რომელმაც ამ არაბულ ქვეყანაში შეზღუდა გენდერული უთანასწორობა კანონის წინაშე.
Mourina M. Charrad. Tunisia: Personal Status Code. – *Encyclopedia.com.* accessed July 3, 2021 at web page https://www.encyclopedia.com/humanities/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/tunisia-personal-status-code
Neila Sellini. The guardian angels of the Tunisian Personal Status Code. // *"The Arab Weekly",* August 2015, accessed July 3, 2021 at web page
https://thearabweekly.com/guardian-angels-tunisian-personal-status-code
John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll. Islam and Democracy after the Arab Spring, გვ. 177.
[42] **Monica Marks.** Tunisia's Ennahda: Rethinking Islamism in thecontext of ISIS and the Egyptian coup. – *Project on U.S. Relations with the Islamic World at BROOKINGS,* August 2015, accessed July 3, at web page
https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/Tunisia_Marks-FINALE-5.pdf გვ. 4.
Tunisia legalises Islamist group Ennahda. – *BBC.com,* March 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.bbc.com/news/world-africa-12611609

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც პარტია სხვა პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობდა.[43]

თუნისში ზომიერი ისლამისტების, *„ან-ნაჰდას“,* გამარჯვების კიდევ ერთი დამატებითი მიზეზი იყო ბინ ალის დამხობისთანავე ქვეყანაში სწრაფად გამოჩენილი 81 პარტია და ასამდე დამოუკიდებელი პოლიტიკური კანდიდატი. აქედან მცირე ნაწილი ჯერ კიდევ ყოფილი დიქტატორის მმართველობის პერიოდში დაარსდა. ისინი რეჟიმის ფორმალურ ოპოზიციას წარმოადგენდნენ. დანარჩენები კი სრულიად ახლები იყვნენ, რომელთაც არც ჩამოყალიბებული პროგრამა გააჩნდათ და არც პოლიტიკურ პერიპეტიებში მონაწილეობის გამოცდილება. მათგან ყველაზე უკეთ მომზადებული და გამოცდილი სწორედ *„ან-ნაჰდა“* იყო, რომელმაც ქვეყნის პერიფერიებში მაცხოვრებელი ამომრჩევლების მიზიდვაზე იმუშავა წინასაარჩევნოდ, რამაც საბოლოოდ სასურველი შედეგი გამოიღო.[44]

აღწერილ სიტუაციას ხელს უწყობდა ისიც, რომ თუნისელი ამომრჩევლები დაქსაქსულები იყვნენ გარკვეული თვალსაზრისით. კერძოდ, მათ დიდ ნაწილს ეშინოდა ყოფილი რეჟიმის წევრების პოლიტიკაში დაბრუნების, რომლებიც დიდი რაოდენობით იყვნენ წარმოდგენილნი ახალ გარდამავალ მთავრობაში. შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობა ბინ ალის ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკოსებით დაკომპლექტებულ პარტიებს არათუ უნდობლობით, არამედ ძლიერი საპროტესტო მუხტითაც უპირისპირდებოდნენ.[45]

თუნისელი ამომრჩევლების შიში არ იყო უსაფუძვლო, ვინაიდან ბინ ალის რეჟიმის დროინდელი, 1988 წელს დაარსებული დემოკრატიული საკონსტიტუციო ასამბლეის წევრთა დიდი რაოდენობა აქტიურად ეწეოდნენ პოლიტიკურ ძალებში გადაჯგუფებას. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდნენ პარტიები „ალ-ვატანი“, რომელსაც სათავეში ედგა ბინ ალის მთავრობის ყოფილი შინაგან საქმეთა და შემდგომ თავდაცვის მინისტრი, 67 წლის მოჰამედ ჯეღამი და „ალ-მუბადარა“,

---

[43] **Kasper Ly Netterstrøm.** The Islamists' Compromise in Tunisia. // *“JOURNAL OF DEMOCRACY”,* N 4, 2015, https://www.researchgate.net/publication/283086872_The_Islamists%27_Compromise_in_Tunisia PDF გვ. 110-124.

[44] **Sam Bollier.** Who are Tunisia’s political parties? // *“ALJAZEERA”,* October 2011, aaccessed July 3, 2021 at web page https://www.aljazeera.com/features/2011/10/27/who-are-tunisias-political-parties

[45] Tunisia legalises Islamist group Ennahda. // *“BBC”,* March 2011, accessed July 3, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-africa-12611609

რომელსაც სათავეში ედგა ასევე ყოფილი პრეზიდენტის რეჟიმის დროინდელი თავდაცვის მინისტრი ქამალ მურჯანი.

მოჰამედიც და ქამალიც მცირე ხნის განმავლობაში შედიოდნენ რეჟიმის დამხობის შემდეგ შექმნილ დროებით მთავრობაში, რომელიც უკომპრომისო საპროტესტო აქციების შედეგად დაიშალა. ყოფილი მმართველი პარტიის წევრთა პოლიტიკასა და ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობა იმ პერიოდში რაშიდ ღანუშიმაც დაადასტურა და განაცხადა, რომ „დემოკრატიული საკონსტიტუციო ასამბლეა რამდენიმე წვრილ პარტიად დაიშალა, რათა დაიბრუნონ ქვეყანა“.[46]

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, „*ან-ნაჰდა*“ იყო ის ერთადერთი ძალა თავის გამოცდილებითა და მოქნილობით, რომელმაც შეავსო ძლიერი და სანდო პოლიტიკური ძალების ნაკლებობით გამოწვეული ვაკუუმი პოსტრევოლუციურ გარდამავალი პერიოდის თუნისში. თუმცა მოვლენათა შემდგომი განვითარება სხვა სურათს აჩვენებს, რაზეც ქვემოთ ვრცლად იქნება საუბარი.

ზემოთ აღწერილ გარემოებებთან ერთად, აუცილებელია ერთი თითქოს სავსებით გასაგები დეტალის ხელახლა და სიღრმისეულად გააზრება, კერძოდ, „*ან-ნაჰდას*“ არჩევნებში გამარჯვება და საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება 2011 წელს. ამ ეპიზოდის ხელახალი გაშუქება ნათელს მოჰფენს შემდეგ შეკითხვას:

მიუხედავად ზემოთ აღწერილი გამოწვევებისა, იყვნენ თუ არა ისლამისტები იმ პერიოდში თუნისელი ამომრჩევლების უმრავლესობის სურვილით გამარჯვებულები? ამისათვის საჭიროა კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი 2011 წლის 23 ოქტომბრის არჩევნებს. საბოლოო შედეგებით ცნობილი გახდა, რომ საარჩევნო კომისიის ანგარიშის თანახმად, ამომრჩეველთა აქტივობამ შეადგინა 54,1%, დარეგისტრირებული 7,6 მილიონი ამომრჩევლიდან აქტიური იყო 4 111 600. არჩევნებში გამარჯვებულმა „*ან-ნაჰდამ*“ 217-ადგილიან საკონსტიტუციო ასამბლეაში (გარდამავალ პარლამენტში, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია) მიიღო 89 მანდატი, რაც საერთო რაოდენობის 41%-ს შეადგენდა. 29

[46] **Eileen Byrne.** Fears as Tunisia's old guard regroups. // *"Financial Times",* July 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.ft.com/content/cfef3a66-b77e-11e0-b95d-00144feabdc0

მანდატის აღება შეძლო პარტიამ „კონგრესი რესპუბლიკისთვის“, 26 მანდატის - „სახალხო პეტიციამ“, 20 მანდატის - მემარცხენე ფრთის წარმომადგენელმა „ათ-თაქათულმა“, 16 მანდატის - „პროგრესულმა დემოკრატიულმა პარტიამ“, 5 მანდატის - „დემოკრატიულმა მოდერნისტულმა პოლუსმა“. დარჩენილი ხმები გადანაწილდა მცირე პარტიებზე, მათ შორის კომუნისტებზე, რომლებმაც სამი მანდატი მიიღეს. 16 ადგილი დაიკავეს დამოუკიდებელმა კანდიდატებმა.[47] საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად საარჩევნო პროცესში მონაწილეობას იღებდა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა ნახევარზე ოდნავ მეტი, ხოლო *„ან-ნაჰდას“* 41% გვიჩვენებს, რომ მართალია, ამ პარტიამ სხვა პოლიტიკურ გაერთიანებებთან შედარებით უკეთესი შედეგი აჩვენა არჩევნებში, მაგრამ საკონსტიტუციო ასამბლეაში მანდატების ნახევარიც ვერ მოაგროვა. ხელისუფლებაში უმრავლესობით მოსვლა განაპირობა მხოლოდ მანდატების გადანაწილებამ[48] და *„ან-ნაჰდას“* გამარჯვება იყო თუ არა თუნისელი ამომრჩევლების უმრავლესობის სურვილი, სერიოზული კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

თუნისში ისლამისტების გამარჯვებას დიდი რეზონანსი მოჰყვა მსოფლიოს იმ ქვეყნებში, სადაც „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ დემოკრატიული პროცესების განვითარებას ელოდნენ. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნის საპარლამენტო არჩევნებში ზომიერი ისლამისტური *„ან-ნაჰდას“* გამარჯვება პირველად საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ცნო. არაბულენოვან ელექტრონულ მედიაში, კერძოდ, *„ალ-ჯაზირაზე“* გამოქვეყნებული ცნობების თანახმად, 2011 წლის შემოდგომაზე საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალენ ჟიუპემ მიულოცა თუნისის აღორძინების მოძრაობის ლიდერს, რაშიდ ღანუშის, არჩევნებში გამარჯვება; თავის რადიო განცხადებაში ჟიუპემ აღნიშნა, რომ პატივისცემას იწვევდა 2011 წლის 23 ოქტომბერს „ან-ნაჰდას“ მიერ ქვეყნის ეროვნულ დამფუძნებელ კრებაში ადგილების 40%-ის მოპოვება და ამ პოლიტიკური ძალის მცდელობა, განამტკიცოს თავისი ხელისუფლებით ისლამი და დემოკრატია.

---

[47] Final Tunisian election results announced. // *“ALJAZEERA”,* November 2011, accessed July 3, 2021 at web page https://www.aljazeera.com/news/2011/11/14/final-tunisian-election-results-announced

[48] **ჯონ მაკკეინი, მარკ სალტერი.** დუცხრომელი ტალღა, კარგი დღეები, სწორი მიზნები, დიდი ბრძოლები და სხვა ძვირფასი მოგონებები. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2019. გვ. 181. ინგლისურიდან თარგმნა ზაზა შენგელიამ.

ჟიუპეს პოზიცია ჰარმონიული აღმოჩნდა აშშ-ის მაშინდელი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადების მიმართაც: „ამერიკის შეერთებული შტატები მზად არის, ითანამშრომლოს ისლამისტებთან თუნისში“ და ასევე დაამატა, რომ „ზოგიერთი ტირანული რეჟიმი მრავალი წლის განმავლობაში ეუბნება თავის ხალხს იმას, რომ სჯობს, ისევ ისინი დარჩნენ ხელისუფლებაში, ვიდრე სხვა ექსტრემისტებმა დაიკავონ მათი ადგილი და ჩვენც ხშირად ამავე ლოგიკას მივყვებით.“[49]

მიუხედავად ზემოთ აღწერილისა, მაინც რჩება თუნისში ზომიერ ისლამისტთა გამარჯვების ფენომენის მიზეზების კვლევის დეტალებში უკმარისობის გრძნობა და კიდევ მეტ დაზუსტებას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, განხილულ გარემოებებთან ერთად, მსჯელობას კრავს და ლოგიკურ ჩარჩოში სვამს საგარეო ევროპის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა მკვლევარი, ამელ ბუბექური თავის სტატიაში: „ისლამისტები, სეკულარები და ძველი რეჟიმის ელიტები თუნისში: გარიგებული კონკურენცია“[50]. ბუბექურიც ადასტურებს იმ აზრს, რომ ბინ ალის მმართველობის პერიოდში მმართველი პარტია და მისი წევრები მარგინალიზებული იყვნენ პრეზიდენტის ოჯახთან დაახლოებული ბიზნესსექტორისა და უსაფრთხოების აპარატის მიერ. ოპოზიციური, მაგრამ ხელისუფლებისადმი მაინც ლოიალურად განწყობილი პარტიები სუსტ პოზიციაში აღმოჩნდნენ. ასევე არსებობდნენ ისეთი პოლიტიკური გაერთიანებები და ორგანიზაციებიც, როგორებიც იყვნენ: თუნისის საყოველთაო პროფკავშირები[51], „ცენტრისტული პროგრესული დემოკრატიული

---

[49] توجه غربي لإسلاميي تونس // *“ALJAZEERA”,* November 2011, accessed July 3, 2021 at web page https://www.aljazeera.net/news/arabic/2011/11/9/%D8%AA%D9%88%D8%AC%D9%87-%D8%BA%D8%B1%D8%A8%D9%8A-%D9%84%D8%A5%D8%B3%D9%84%D8%A7%D9%85%D9%8A%D9%8A-%D8%AA%D9%88%D9%86%D8%B3

[50] **Amel Boubekeur.** Islamists Secularists and Old Regime Elites in Tunisia: bargained Competition, Mediterranean Politics. // *“Taylor & Francis”*, 2015, გვ. 107-128.

[51] ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს ქვეყნის 4 მილიონი აქტიური მშრომელიდან 750 000 წევრს და ქვეყნის მასსთაბით არსებულ 15 000 გაერთიანებას. დაარსდა 1946 წელს და მნიშვნელოვანი წვლილი გაიღო თუნისის საფრანგეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების საქმეში. ამის გამო ორგანიზაცია ინარჩუნებდა ვტონომიურობის გარკვეულ დონეს, ჰაბიბ ბურნგიბას ავტორიტარული მმართველობის დროს. თავის მხრივ ბურგიბაც ეყრდნობოდა აღნიშნულ ორგანიზაციას რეჟიმის ლეგიტიმაციის განმტკიცების საკითხებში. ორგანიზაცია არასოდეს ყოფილა ბოლომდე ინტეგრირებული სახელმწიფო აპარატში, ვინაიდან გასული საუკუნის 60-80-იან წლებში ხან სტაბილურად თანამშრომლობდა რეჟიმთან ხან ეწინააღმდეგებოდა სხვადასხვა გადაწყვეტილებებს, მაგ, ძალისმიერი წინააღმდეგობა გაწიეს 1980 წესლ ნეოლიბერალური ეკონომიკური კურსის

პარტია“ ნაჯიბ შააბის ხელმძღვანელობით, „დემოკრატიული ფორუმი შრომისა და თავისუფლებისთვის“ მუსტაფა ბინ ჯა'ფარის თავმჯდომარეობით, ე.წ. საერო პროგრესული ინტელექტუალები და აღნიშნულ მოძრაობებთან ტანდემში მყოფი საშუალო კლასის მოქალაქეები, რომლებიც ითხოვდნენ დემოკრატიის გაძლიერებას ქვეყანაში, მაგრამ ყოველთვის ჩუმად ყოფნას ამჯობინებდნენ, როდესაც რეპრესიები მიმდინარეობდა ისლამისტებისა და რადიკალი მემარცხენეების წინააღმდეგ. სხვა ოპოზიციური პარტიები, *„ან-ნაჰდა“* რაშიდ ღანუშის მეთაურობით, „კონგრესი რესპუბლიკისთვის“ მუნსიფ მარზუკის ხელმძღვანელობით და „კომუნისტური მუშათა პარტია“ ჰამმა ჰამმამის თავმჯდომარეობით მუდმივ რეპრესიებს განიცდიდნენ. მათ აცხადებდნენ უკანონოდ, ხოლო მათ წევრებს ხშირად აპატიმრებდნენ ან ქვეყნიდან აძევებდნენ.

ჩამოთვლილი პარტიების წევრები 2005 წლის ოქტომბერში შეუერთდნენ ზემოთ ხსენებულ 18 ოქტომბრის პლატფორმას, რომლის ეგიდით გამართული საპროტესტო აქციის დროს ითხოვდნენ ადამიანის უფლებების დაცვას და ლიბერალიზაციას. რევოლუციის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნდა *„ან-ნაჰდას“* ხელმძღვანელობა და პარტიის იატაკქვეშა უჯრედები ლეგალურად მოქმედების რეჟიმზე გადავიდნენ. პარტიის ხელმძღვანელობამ პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედების ორმაგი სტანდარტების სტრატეგია აირჩია, რამაც ე.წ. გარიგებულ კონკურენციას მოუმზადა ნიადაგი. პარტია, ერთი მხრივ, ეწინააღმდეგებოდა ბინ ალის მომხრეთა მიერ პოლიტიკური სადავეების მონოპოლიზაციას, რის გამოც შეუერთდა რადიკალური მემარცხენე პარტიებით დაკომპლექტებულ 14 იანვრის ფრონტს და ცდილობდა 28 ალიანსისგან შექმნილი რევოლუციის დაცვის ეროვნული საბჭოს მეშვეობით მოეხდინა გარდამავალ პროცესებზე კონტროლი და არ დაეშვა ახალ ხელისუფლებაში ბინ ალის დროინდელი პოლიტიკოსები, ხოლო, მეორე მხრივ,

---

შემოღების მცდელობისას. თუმცა პროფკავშირების ხელმძღვანელობა მაინც წარმოადგენდა სახელმწიფოს ნაწილს და მხოლოდ მაშინ იჭერდნენ მშრომელთა მხარეს, როდესაც რეჯიმი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ მიმართავდა ღონისძიებებს, კრიზისულ პერიოდში. სწორედ ასეთმა ლავირების ტაქტიკამ განაპირობა ის, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ მოახერხა ხალხის მხრიდან ნდობის მოპოვება. 1995-99 წლებსი საყოველთაო პროფკავშირების გაერთიანება აქტიურად უჭერდა მხარს ბენ ალის საპრეზიდენტო კამპანიებს.

Amie Churshil. Labour organisation in the Arab Spring: A comparison of Tunisia and Egypt. – *SciencesP oKuwait Program,* 2016, accessed July 3, 2021 at web page https://www.sciencespo.fr/kuwait-program/wp-content/uploads/2018/05/KSP_Paper_Award_Fall_2016_CHURCHILL_Amie.pdf

მოლაპარაკებებს აწარმოებდა მათთან. გარდამავალი მთავრობის პრემიერ-მინისტრი მუჰამმად ღუნუში თავდაპირველად არ დაეთანხმა აღნიშნულ ინიციატივას, მაგრამ მოგვიანებით დასთანხმდა შეთავაზებას იმ პირობით, თუ ხსენებული საბჭო შეუერთდებოდა იურისტი ექსპერტებით დაკომპლექტებულ პოლიტიკური რეფორმების კომისიას, რომელმაც ბინ ალის რეჟიმის დამხობის შემდეგ შეიმუშავა გარდამავალი პერიოდის სტრუქტურა. ამ გადაწყვეტილებას 14 იანვრის ფრონტი მკვეთრად უარყოფითი რეაქციით შეხვდა და აღნიშნულ გეგმაზე დათანხმება რევოლუციის ღალატად ჩათვალეს. გამომდინარე იქიდან, რომ პარტია *„ან-ნაჰდას“* მთავარი მიზანი იმ პერიოდში არჩევნებში გამარჯვება იყო და საყოველთაო პროფკავშირები, რომლის ლიდერიც საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობდა პოსტრევოლუციურ თუნისში და თავის დროზე ახლოს იყო ბინ ალის რეჟიმთან, დასთანხმდნენ აღნიშნულ შეთავაზებას, რამაც, თავის მხრივ, ოპოზიციური რიგების დასუსტებაც გამოიწვია. მიუხედვად იმისა, რომ *„ან-ნაჰდა“* საჯაროდ ინარჩუნებდა ყოფილი რეჟიმის წარმომადგნელ პოლიტიკოსთა ახალ ხელისუფლებაში რეინტეგრაციის საწინააღმდეგო პოზიციას, მაინც დასთანხმდა 2011 წლის 15 მარტს ფორმირებული დროებითი მთავრობის მეთაურის პოსტზე მუჰამმად ალ-ბაჯი კა'იდ ალ-საბსის კანდიდატურის დამტკიცებას.[52] საყოველთაო პროფკავშირების და *„ან-*

[52] მუჰამმად ალ-ბაჯი კა'იდ ას-საბსი - (თუნისის პრეზიდენტი (2014-2019 წ.წ.), მას ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე მოღვაწეობის ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდა. 1956 წლიდან იყო ჰაბიბ ბურგიბას მრჩეველი და ხშირად ეკავა მნიშვნელოვანი სამსახურების ხელმძღვანელის როლი, როგორც პირველი პრეზიდენტის, ისევე ბინ ალის მმართველობის პერიოდში. წლების განმავლობაში იყო ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორი და შინაგან საქმეთა მინისტრი. შემდეგ ჩაბარებული ჰქონდა თავდაცვის მინისტრის პორტფელი, სანამ დაინიშნებოდა ელჩად საფრანგეთში, იმ ქვეყანაში, სადაც თავის დროზე მან განათლება მიიღო. მოგვიანებით, სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც ყოფილი რეჟიმის დანაშაულებების სააშკარაოზე გამოტანა ჰქონდა დავალებული, მიაგნო ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ალ-საბსი 1960-იან წლებში ეროვნული უშიშროების სამსახურის უფროსი იყო და მოგვიანებით კი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი მიიღო, რეჟიმის მსხვერპლთა შესახებ ინფორმაციის გაუთქმელობის სანაცვლოდ. შემდეგ იგი ელჩად მიავლინეს გერმანიაში, რასაც მოჰყვა მისი საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნა. ალ-საბსის ასევე ეკავა პარლამენტის სპიკერის პოსტი 1990-91 წლებში. ოპონენტები მას ბინ ალის რეჟიმის აღდგენის მცდელობაში ადანაშაულებდნენ. ალ-საბსი თავის მხრივ აცხადებდა, რომ ყოფილი რეჟიმის წარმომადგენლებს სრული უფლება ჰქონდათ სხვა პოლიტიკური ძალების პარალელურად მიეღოთ მონაწილეობა ქვეყნის მართვაში. „ჩვენ გვჭირდება XXI საუკუნის სახელმწიფო, პროგრესული სახელმწიფო“-აცხადებდა იგი.
Beji Caid Essebsi: Veteran who ushered in democracy in Tunisia. // *“ALJAZEERA”,* July 2019, accessed July 3, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2019/7/25/beji-caid-essebsi-veteran-who-ushered-in-democracy-in-tunisia

ნაჰდას“ ნაბიჯი მძაფრად გააკრიტიკეს სხვა ოპოზიციურმა ძალებმა და მათ ბრალი დასდეს ყოფილ რეჟიმთან თანამშრომლობაში. ახალი გაერთიანების რიგები თანდათან უფრო ივსებოდა ახალი საზოგადოებრივი გაერთიანებებით, მათ შორის იყვნენ „თუნისის მრეწველთა კავშირი“, „ვაჭრობისა და ხელსაქმის გაერთიანება“, „დამსაქმებელთა ეროვნული კავშირი“, რომელიც თავის დროზე დაკავშირებული იყო ბინ ალის კორუფციულ სისტემასთან, რამაც საბოლოოდ შეასუსტა ადგილობრივი კომიტეტების სადამკვირვებლო როლი. ამ ყველაფერს 2011 წლის მაისსა და ივლისში მესამე საპროტესტო ტალღა მოჰყვა, რის შემდეგაც ას-საბსი იძულებული გახდა, დაეტოვებინა მთავრობის მეთაურის პოსტი.

საბოლოოდ, *„ან-ნაჰდას“* მიერ დათმობებზე წასვლამ, ძველი რეჟიმის წარმომადგენლებთან და უსაფრთხოების სამსახურებთან მოლაპარაკებამ და იმის ჩვენებამ, რომ არ აპირებდნენ ქვეყნის ერთპიროვნულად მართვას, ხოლო ძველი რეჟიმის წარმომადგენელთა სურვილმა, არ ამოვარდნილიყვნენ პოლიტიკური პროცესებიდან, შექმნა ის გარემო, რომელმაც *„ან-ნაჰდა“* და ას-საბსი გახადა მთავარი პოლიტიკური მოთამაშეები.[53]

„ან-ნაჰდას“ ორმაგ სტანდარტს, ერთი მხრივ, ყოფილი რეჟიმის წევრთა პოლიტიკაში დაბრუნების წინააღმდეგ გამოსვლას და იმავდროულად მათთან მოლაპარაკებას, მკვლევარი ალი ბუბექური ერთი შეხედვით ურთიერთგამომრიცხავად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს, რომ ამ ნაბიჯის ერთადერთი ლოგიკური ახსნა არის პარტიის ცუდი გამოცდილება. კერძოდ, ბინ ალის მიერ ბურგიბას წინააღმდეგ განხორციელებული გადატრიალების შემდეგ *„ან-ნაჰდამ“,* როგორც უკვე აღინიშნა, ახალი პრეზიდენტის მიწვევით 1989 წელს მიიღო არჩევნებში მონაწილეობა და გარკვეულ წარმატებას მიაღწია, შემდეგ კი ძლიერი რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

2012 წელს იგი მთავარი ფიგურა იყო პარტია ნიდა'ა თუნისის დაარსების პერიოდში (რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება საუბარი), 2014 წელს ალ-საბსი პირველი დემოკრატიული არჩევნების შედეგად გახდა ქვეყნის პრეზიდენტის და პოსტი ეკავა 2019 წლის 25 ივლისამდე-გარდაცვალებამდე.
Beji Caid Essebsi: Tunisia's first freely elected president dies aged 92. // *"BBC",* July 2019, accessed July 3, 2021 at web page
https://www.bbc.com/news/world-africa-49111905

[53] **Amel Boubekeur.** Islamists Secularists and Old Regime Elites in Tunisia: bargained Competition, Mediterranean Politics. // "Taylor & Francis", 2015, გვ. 107-128.

მიგვაჩნია, რომ ასეთი ახსნა ბოლომდე ლოგიკური ჩანს, თუ გავითვალისწინებთ მუბარაქის რეჟიმის დამხობის შემდეგ საპრალამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული „მუსლიმი ძმების“ შემთხვევას. სწორედ ანალოგიური გზა გაიარეს მათ მუჰამმად მურსის პრეზიდენტის პოსტის იძულებით დატოვების შემდეგ და უმკაცრესი რეპრესიული წნეხის ქვეშ მოჰყვნენ.

რაოდენ ლოგიკურიც უნდა ჩანდეს ზემოთ ხსენებული მკვლევრის მსჯელობა, ერთ წყაროზე ბოლომდე დაყრდნობა მთლად მართებულად და საკმარისად არ მიგვაჩნია. სწორედ ამიტომ, შეძლებისდაგვარად დეტალურად უნდა გაშუქდეს ზემოთ ხსენებული გარიგების შემდგომ განვითარებული მოვლენების მთელი სერია, რომელიც, ჩვენი აზრით, ადასტურებს დამუშავებული მასალებიდან გამომდინარე გამოტანილ დასკვნებს.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯონ ესპოზიტო, თამაარა სონნი და ჯონ ვოლიც ზემოთ განხილული მიზეზების მსგავსად, თავიანთ წიგში „Islam and Democracy after the Arab Spring“ „ან-ნაჰდას“ გამარჯვებას, მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციის დასაწყისში მათ არავითარი მონაწილობა არ მიუძღვოდათ, მიაწერენ შემდეგ ფაქტორებს: ბინ ალის მიერ ქვეყნის დატოვების შემდეგ არ არსებობდა ალტერნატიული, კარგად ჩამოყალიბებული სისტემა. ძველი რეჟიმის წევრები ძალებს არ იშურებდნენ, რომ პოლიტიკაში დაბრუნებულიყვნენ, ეს კი არ შედიოდა რევოლუციონერთა გეგმებში. რაშიდ ღანუშის დაბრუნების შემდეგ „ან-ნაჰდა“ ყველაზე კარგად ორგანიზებული ძალა იყო და ასევე ჰყავდათ ქარიზმატული ლიდერები.[54] გარდა ამისა, არსებობდა მოსაზრება, რომ რაშიდ ღანუში არ ეწინააღმდეგებოდა ქალთა რაოდენობის ზრდას საკანონმდებლო ორგანოებში (რაც შესრულდა კიდეც ოდნავ მოგვიანებით: არჩევნების დასრულების შემდეგ თუნისის პარლამენტში 52 ქალი მოხვდა და აქედან 42 „ან-ნაჰდას“ წევრი იყო), უმცირესობათა უფლებების დაცვას და მთლიანად დემოკრატიის იდეის რეალიზებას.[55] თუმცა ამ შეხედულებას მიუხედავად იმისა, რომ სიმართლის საკმაოდ დიდ ნაწილს შეიცავს,

---

[54] **John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll.** Islam and Democracy after the Arab Spring, გვ. 189.

[55] **Robin Wright.** Tunisia: Interview with Sheikh Rachid Ghannouchi. // *“wilsoncenter.org,* November 2012, accessed September 11, 2022 at web page https://www.wilsoncenter.org/article/tunisia-interview-sheikh-rachid-ghannouchi
Interview transcript: Rachid Ghannouchi. // *“ft”,* January 2011, accessed September 11, 2022 at web page https://www.ft.com/content/24d710a6-22ee-11e0-ad0b-00144feab49a

ცალსახად ვერ გავიზიარებთ. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია იმ განწყობებზე კიდევ ერთხელ თვალის გადავლება, რომლებიც პოსტრევოლუციურ პერიოდში სუფევდა თუნისელ ამომრჩევლებს შორის. მათი საკმაოდ დიდი ნაწილი სიფრთხილეს იჩენდა ისლამისტური პარტიის მიმართ. ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც სათავეში ედგა რევოლუციას, ჩამოყალიბდა ბინ ალის ერთპარტიული დიქტატურის პერიოდში და არაფერი იცოდა *„ან-ნაჰდას“* იდეების შესახებ. ქვეყნის მოქალაქეთა საშუალო კლასიც ფრთხილობდა, ვინაიდან მათ ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ ხსენებული პარტიის წარმომადგენელთა მიერ 1990-იან წლებში განხორციელებული ძალადობრივი აქტები, დემოკრატიული საკონსტიტუციო ასამბლეის ოფისზე თავდასხმა და მშვიდობიანი მოქალაქის მკვლელობა. აღნიშნულ ინციდენტს პოსტრევოლუციურ პერიოდში პარტიის ლიდერი რაშიდ ღანუშიც გამოეხმაურა. მან აღიარა ჩადენილი ძალადობრივი აქტები და აღნიშნა, რომ ეს იყო ცალკეული პირების ქმედება, რომელსაც არ ჰქონდა პარტიის ხელმძღვანელობის მხრიდან თანხმობა.[56] აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუნისში რევოლუცია არ დაუწყიათ არც ისლამისტებს (*„ან-ნაჰდა“*), არც არაბ ნაციონალისტებს და მემარცხენე მარქსისტებს. საპროტესტო აქციებზე გამოსულთა ძირითადი ბირთვი არ ითხოვდა არაბულ ერთიანობასა და ისლამური ფასეულობების აღორძინებას. მათი 50% სოფლად მაცხოვრებლები იყვნენ და მათ მოთხოვნებში მიწების დარიგებაც არ გაჟღერებულა. ისინი ითოხვდნენ სამუშაოს, კორუფციის აღმოფხვრას და პოლიტიკურ თავისუფლებას, რაც საბოლოოდ გაერთიანდა ერთ სლოგანში: „ღირსება, თანასწორობა და თავისუფლება“.[57]

ზოგადად, „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეული საპროტესტო აქციების ფონზე წამოყენებულ მოთხოვნებში ძირითადი პრობლემა თითქმის ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით ნაშრომში განხილულ სახელმწიფოებში იყო სოციალური სამართლიანობის დამყარება და ხელისუფლებების მხრიდან ძალაუფლების

---

[56] **Rajaa Basly.** The Future of Ennahda in Tunisia. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* April 2011, accessed July 3, 2o21 at web page https://carnegieendowment.org/sada/43675

[57] **Mouldi Lahmar.** Arab Spring Modernity, Identity and Change, გვ. 46.

John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll. Islam and Democracy after the Arab Spring, გვ. 189.

რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა. ტ. II, ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2019. გვ. 147.

ბოროტად გამოყენების მიმართ გამოთქმული უკმაყოფილება. 2010 წლის მიწურულს დაწყებულ რევოლუციურ ტალღამდე ათწლეულებით ადრე განხილული ქვეყნების მოსახლეობა სულ უფრო მეტ იმედგაცრუებას განიცდიდა კორუმპირებული რეჟიმების მიმართ, რომელბიც, თავის მხრივ, არ თმობდნენ ძალაუფლებას, ქმნიდნენ პრივილეგირებულ ვიწრო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს ხელიდან აცლიდნენ ეკონომიკურ სარგებელს, სოციალურ მობილობასა და პოლიტიკურ ხმებს. სტრუქტურული რეფორმების შედეგად მოპოვებული სიმდიდრე ვერ აღწევდა ქვედა ფენებამდე და აძლიერებდა კლანური ელიტის პრივილეგირებულ მდგომარეობას.[58] შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული განწყობების ფონზე შეუძლებელი იყო პოლიტიკური ისლამის მიმდევარი, თუნდაც ზომიერი პარტია, ყოფილიყო თუნისელების უმრავლესობის არჩევანი, თუ არა ზემოთ ხსენებული ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებული გარიგება, დანარჩენ განხილულ ფაქტორებთან ერთად.

არჩევნებში *„ან-ნაჰდას“* გამარჯვება და ე.წ. სამეულის (პარტიები: *„ან-ნაჰდა“*, „კონგრესი რესპუბლიკისთვის“ და *„ათ-თაქათული“*) მმართველობის პერიოდის დეტალები კიდევ მეტ ნათელს ჰფენს იმას, რეალურად იყვნენ თუ არა ისლამისტები თუნისის მოსახლეობის უმრავლესობისთვის ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა და ქვეყნის ამომრჩევლების მნიშვნელოვანი ნაწილი ბოლომდე ბინ ალის რეჟიმისდროინდელი პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაში დაბრუნების წინააღმდეგი.

თავდაპირველად სამეულის ხელისუფლების სათავეში მოსვლა ისტორიულ ფაქტად შეფასდა, მაგრამ მოგვიანებით თავი იჩინა ისლამისტური პარტიის დომინანტურ მდგომარეობაში ყოფნამ და დანარჩენი ორი სეკულარული პარტიის სისუსტეებმა. პარტიის „კონგრესი რესპუბლიკისთვის“ სისუსტე იმაში მდგომარეობდა, რომ მისმა გენერალურმა მდივანმა მუნსიფ მარზუკიმ დატოვა პოსტი 2011 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის მიზნით (რასაც მან წარმატებით გაართვა თავი და პრეზიდენტის პოსტი ეკავა 2011-14 წლებში). მისმა წასვლამ გამოიწვია ვაკუუმი პარტიის ხელმძღვანელობის რიგებში, რასაც მოჰყვა

[58] **Andrea Teti, Pamela Abbott, Francesco Cavatorta.** The Arab Uprisings in Egypt, Jordan and Tunisia. Social, Political and Economic Transformations. Palgrave macmillan, 2018, გვ. 28.

პარტიის თავმჯდომარეების ხშირი ცვლა. შედეგად თავი იჩინა იდეოლოგიურმა აზრთა სხვადასხვაობამ პარტიაში. ნაწილი არ მიესალმებოდა *„ან-ნაჰდასთან“* კოალიციური ხელისუფლების ფორმირებას, ვინაიდან თვლიდნენ, რომ ისლამისტურმა პარტიამ მთლიანად აიღო ხელში ძალაუფლება. სხვა სეკულარული პარტიები პარტიას „კონგრესი რესპუბლიკისთვის“ *„ან-ნაჰდას“* მარიონეტად თვლიდნენ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პარტიამ 2013 წელს ეგვიპტეში მუჰამმად მურსის პოსტიდან გადაყენება მკაცრად დაგმო და გადატრიალებად შეაფასა მაშინ, როდესაც თუნისის სხვა სეკულარულმა პარტიებმა მომხდარზე პასუხისმგებლობა „მუსლიმ ძმებს“ დააკისრეს.

„ათ-თაქათული“, ზემოთ ხსენებული სეკულარული პარტიისგან განსხვავებით, უფრო ერთიანი, ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მქონე და *„ან-ნაჰდას“* მიმართ კრიტიკულად განწყობილი პარტია იყო. თუმცა მისი წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ თავიანთი ლიდერის, ბინ ჯა’ფარის მიმართ, რომელიც, მათი აზრით, ნაკლებად უთანხმებდა თავის გადაწყვეტილებებს პარტიის დანარჩენ წევრებს, მათ შორის *„ან-ნაჰდასთან“* კოალიციის შექმნას. მართალია, პარტიის წევრთა უმრავლესობა არ იყო ასეთი ნაბიჯის წინააღმდეგი, მაგრამ უკმაყოფილებას მაინც გამოთქვამდნენ. ამის გამო *„ათ-თაქათული“* ექვსმა დეპუტატმა დატოვა. ერთ-ერთი დეპუტატის განცხადების თანახმად, *„ან-ნაჰდას“* სჭირდებოდა *„ათ-თაქათული“* იმისათვის, რათა შეექმნა თითქოს და მრავალპარტიული მმართველობითი სისტემა ქვეყანაში, ხოლო ჯა‘ფარს სჭირდებოდა ისლამისტები იმისთვის, რომ დამფუძნებელი კრების ხელმძღვანელის პოსტი დაეკავებინა.

ხელისუფლებაში მოსულმა ისლამისტურმა პარტიამ კვლავ განაგრძო ორმაგი თამაშის სტრატეგიის გამოყენება. თავდაპირველად მათ ქვეყნის სამართავად სხვა პარტიებიც მოიწვიეს. შეთავაზება მიიღო მუშათა პარტიის ხელმძღვანელმა ჰამმა ჰამმამიმაც, თუმცა ყველა წინადადება უპასუხოდ დარჩა. სეკულარები თვლიდნენ, რომ ისლამისტები ეცდებოდნენ ხელისუფლებაში დომინირებას და მათ თავიანთი ვარაუდების დასტურად მიიღეს ის ფაქტი, რომლის შედეგადაც *„ან-ნაჰდამ“* ყველა

საკვანძო სამინისტროს პორტფელი თავისი წარმომადგენლების კონტროლის ქვეშ მოაქცია.[59]

---

[59] ჰამადი ჯაბალის კაბინეტი 2011-2013 წლებში:
ჰამადი ჯებალი, თუნისის პრემიერ-მინისტრი 2011-2013 წლებში-*„ან-ნაჰდა“*.
რიდა საიდი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ეკონომიკურ საკითხებში- *“ან-ნაჰდა”*.
ნურ ად-დინ ბაჰირი, იუსტიციის მინისტრი-*„ან-ნაჰდა“*.
ალი ალ-ყარაიადი, შინაგან საქმეთა მინისტირ-*„ან-ნაჰდა“*. მან 2013 წელს შეცვალა პრემიერ-მინისტრი ჰამადი ჯაბალი.
რაფიკ აბდ ას-სალამი, საგარეო საქმეთა მინისტრი-*„ან-ნაჰდა“*.
სამირ დილუ, ადამიანის უფლებათა და გარდამავალი იუსტიციის მინისტრი-*„ან-ნაჰდა“*.
‘აბდ ალ-ლატიფ ალ-მაქი, ჯანდაცვის მინისტრი-ან-ნაჰდა. ალ-მაქის ჯანდაცვის პოსტის მინისტრი ეკავა 2020 წელსაც, პარტია ათ-თაქათულის წევრის, პრემიერ-მინისტრ ილიას ფახფახის კაბინეტში. თავის მხრივ ილიასი ჯაბალის პრემიერმინისტრობის პერიოდში იყო ჯერ ტრანსპორტის და შემდეგ ფინანსთა მინისტრი.
‘აბდ ალ-ქარიმ ალ-ჰარუნი, ტრანსპორტის მინისტრი-*„ან-ნაჰდა“*. პარალურ რეჟიმში იყო საკონსტიტუციო ასამბლეის წევრი, ხოლო 2020 წელს ეკავა ან-ნაჰდას შურას საბჭოს ხელმძღვანელის პოზიცია.
მუჰამმად ალ-ამინ აშ-შახარი, მრეწველობის და ვაჭრობის მინისტრი- *“ან-ნაჰდა”*.
რიად ბილტაიბი, ინვესტიციების და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრი- *“ან-ნაჰდა”*.
მუჰამმად სალმანი, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ბინათმშენებლობის მინისტრი- *“ან-ნაჰდა”*.
მუნსიფ ბენ სალამი, უმაღლესი განათლების მინისტრი-ან-ნაჰდა.
ჯამილ ად-დინ ღარბი, დაგეგმარების და რეგიონული განვითარების მინისტრი- *“ან-ნაჰდა”*.
სოფლის მეურნეობის მინისტრი, მუჰამმად ბენ სალამი- *“ან-ნაჰდა”*.
Tunisia Prime Minister Hamadi Jebali resigns. // *“BBC”,* February 2013, accessed July 3, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-africa-21508498
Tunisian economy makes tentative recovery. // *“ARAB NEWS”,* July 2012, accessed July 3, 2021 at web page https://www.arabnews.com/tunisian-economy-makes-tentative-recovery
Tunisia judges start indefinite strike over purge. // *“REUTERS”,* May 2012, accessed July 3, 2021 at web page https://www.reuters.com/article/us-tunisia-strike/tunisia-judges-start-indefinite-strike-over-purge-idUSBRE84S1C520120529
Tunisia: Ali Larayedh named new prime minister. // *“BBC”,* February 2013, accessed July 3, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-africa-21550375
Visit by HE E. Ahamed, Minister of State for External Affairs of India to Tunisia, 5-7 November, 2012. – *Embassy of India,* November 2012, accessed July 3, 2021 at web page https://www.embassyofindiatunis.gov.in/visit-by-he-e-ahamed-minister-of-state-for-external-affairs-of-india-to-tunisia-5-7-November-2012.php
Tunisian Minister of Human Rights and Transitional Justice Visits AJCS. – *ALJAZEERA CENTRE FOR STUDIES,* November 2012, accessed July 3, 2021 at web page https://studies.aljazeera.net/en/centernews/201211261144032894.html
World Health Organization-Address by H.E. Dr Abdellatif Mekki Minister of Health of Tunisia, and Vice-Chair of the Fifty-ninth Session of the WHO Regional Committee for the Eastern Mediterranean Region. – *World Health Organization,* accessed July 3, 2021 at web page https://apps.who.int/iris/handle/10665/123363
Tunisian Minister of Health A “Rising Star” – *al-monitor,* 2013, accessed October 2020 at web page https://www.al-monitor.com/pulse/politics/2013/08/abdellatif-mekki-tunisia-ennahda-rising-star.html
Tunisia’s Prime Minister Elyes Fakhfakh resigns. – *“FRANCE24”,* July 2020, accessed July 3, 2021 at web page https://www.france24.com/en/20200715-tunisia-s-prime-minister-elyes-fakhfakh-resigns
Elyes Fakhfakh: Tunisia’s New Prime Minister Designate Races against Time to Form New Government. // *“Majalla-London”,* February 2020, accessed July 3, 2021 at web page https://eng.majalla.com/node/82101/elyes-fakhfakh-tunisia%E2%80%99s-new-prime-minister-designate-races-against-time-to-form-new
Interview: Tunisia satisfied with Tunisia-China cooperation in fighting COVID-19: health minister. – *AFRICA,* August 2020, accessed July 3, 2021 at web page http://www.xinhuanet.com/english/2020-05/08/c_139038916.htm

კოალიციურმა მთავრობამ მხოლოდ 2013 წლამდე იარსება და 5-თვიანი ინტერვალით ორი ოპოზიციური ლიდერის, შუქრი ბილ'იადის და მუჰამმად ბრაჰმის, მკვლელობების შემდეგ იძულებული გახდა, გადამდგარიყო მძლავრი საპროტესტო მუხტის ფონზე. ორივე მათგანს ოპოზიციური კოალიციის სახალხო ფრონტის ხელმძღვანელი პოსტები ეკავათ. აღნიშნული ლიდერების მკვლელობებს ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფები სწორედ *„ან-ნაჰდას“* მიაწერდნენ, თუმცა შემდგომი გამოძიებებით დამნაშავედ ნაშრომის მეორე თავში განხილული მოძრაობა *„ანსარ აშ-შარია“* ცნეს და ჯერ კიდევ ხელისუფლების სათავეში მყოფმა ზომიერმა ისლამისტურმა პარტიამ დანაშაულში ეჭვმიტანილი დაჯგუფება ტერორისტულ ორგანიზაციად გამოაცხადა.[60]

Maghreb high line speed project progresses with a meeting in Tunis. – *Unisity, Solidarity, Universality,* March 2012, accessed July 3, 2021 at web page
https://www.uic.org/com/enews/nr/281/article/maghreb-high-speed-project?page=news
Fahmi Huwaidi. Letter from Tunisia. // *"MIDDLE EST MONITOR",* January 2014, accessed July 3, 2021 at web page
https://www.middleeastmonitor.com/20140125-political-islam-and-its-supposed-dangers-2/
Ennahda Shura Council: 'We will prepare for early elections. // *"MIDDLE EAST MONITOR",* February 2020, accessed July 3, 2021 at web page
https://www.middleeastmonitor.com/20200207-head-of-ennahda-shura-council-ennahda-to-prepare-for-early-elections/
Motasem A Dalloul. Who is to blame for Tunisia's political stalemate? // *"MIDDLE EAST MONITOR",* February 2020, accessed July 3, 2021 at web pge
https://www.middleeastmonitor.com/20200217-who-is-to-blame-for-tunisias-political-stalemate/
Decree n° 2012-168 dated 10 April 2012, relating to the change of appointment. 2012, accessed November, 2020 at web page
http://www.legislation.tn/en/detailtexte/D%C3%A9cret-num-2012-168-du-10-04-2012-jort-2012-030__2012030001683
Iranian minister visits Tunisia. Accessed November, 2020 at eb page
https://www.dailymotion.com/video/xs9w00
U>S._ARAB CHAMBER HOSTS TUNISIAN MINISTERIAL DELEGATION AT WORLD BANK HEADWUARTERS. – *NATONAL U.S.-ARAB CHAMBER OF COMMERCE,* accessed July 3, 2021 at web page
http://www.nusacc.org/uploads/2/2/9/7/22977530/12tunisiaworldbankprfinal-may2en.pdf
"Directorate of Intelligence, Chiefs of State & CabinetMembers of foreign governments." (2012) Page: 101.
https://www.cia.gov/library/publications/resources/world-leaders-1/pdfs/2012/February2012ChiefsDirectory.pdf
Anne Wolf. Can Secular Parties Lead the New Tunisia? – *CARNEGIE ENDAOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* April 2014, accessed July 4, 2021 at web page
https://carnegieendowment.org/2014/04/30/can-secular-parties-lead-new-tunisia-pub-55438
Biography MOHAMED MONCEF MARZOUKI. – *moncefmarzoui.com,* accessed July 4, 2021 at web page
http://www.moncefmarzouki.com/biography-2/?lang=en
[60] **James Legge.** Tunisia shocked by assassinations: Opposition leaders Mohamed Brahmi and Chokri Belaid killed with the same gun. // *"INDEPENDENT",* July 2013, accessed July 4, 2021 at web page
https://www.independent.co.uk/news/world/africa/tunisia-shocked-assassinations-opposition-leaders-mohamed-brahmi-and-chokri-belaid-killed-same-gun-8733972.html
Borzou Daragahi. Tunisian opposition leader assassinated. // *"Financial Times",* February 2013, accessed July 4, 2021 at web page
https://www.ft.com/content/873b350e-7041-11e2-85d0-00144feab49a
Tunisian politician Mohamed Brahmi assassinated. // *"BBC",* July 2013, accessed July 4, 2021 at web page
https://www.bbc.com/news/world-africa-23452979

ბუნებრივია, ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს საკითხის ისე გაშუქება, თითქოს, თუნისში ისლამისტებს არ ჰყავდათ თავიანთი ელექტორატი, მაგრამ ზემოთ აღწერილი მოვლენების გარდა, კიდევ გარკვეული ფაქტორები ადასტურებს იმას, რომ მათი ხვედრითი წილი ნამდვილად არ იყო იმ რაოდენობის, რასაც „არაბული გაზაფხულის“ შემდგომ უნდა განეპირობებინა ბურგიბასა და ბინ ალის მმართველობის დროს ისლამისტების მიმართ არსებული და დაფარული სიმპათიების სააშკარაოზე გამოტანა. ამას მოწმობს ზემოთ აღნიშნული ის ფაქტიც, რომ ამომრჩევლების საერთო რაოდენობის ნახევარზე ოდნავ მეტმა იაქტიურა არჩევნებში და მათმა 41%-მა მისცა ხმა ისლამისტებს.[61]

ცალკე აღნიშვნისა და ყურადღების ღირსია ერთ-ერთი ფრიად უცნაური ფაქტორი: საქმე ეხება პარტია „თავისუფლების, სამართლიანობის და განვითარების სახალხო პეტიციას“, შემოკლებით „სახალხო პეტიციას“. ზოგადად, თუნისში ბინ ალის რეჟიმის დამხობის შემდეგ განვითარებული მოვლენებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ არსებულ მასალებში საუბარია არჩევნებში გამარჯვებულ სამ პარტიაზე „*ან-ნაჰდა*“, „კონგრესი რესპუბლიკისთვის“ და „ათ-თაქათული“. არსებობს უამრავი მასალა, რომელთა განხილვის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება 2011-2014 წლებში ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ამ სამი პარტიის გამარჯვების მიზეზების, შედეგების და აღნიშნული სამეულის კოალიციური მმართველობით შექმნილი ვითარების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ფაქტორების გაანალიზება.

კარტერის ცენტრის მიერ თუნისში 2011 წლის ოქტომბრის არჩევნებზე დაკვირვებისა და გაანალიზების შედეგად გამოქვეყნებულ ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი ქვეყანაში არსებული საარჩევნო პროცესის როგორც წინა პერიოდი, ისე მისი მიმდინარეობა და შედეგებიც. ანგარიშში ნაჩვენებია, რომ 217-მანდატიან

Peter Beaumont. Tunisia: killing of leftist leader brings secularists on to the streets. // *"Guardian",* July 2013, accessed July 4, 2021 at web page
https://www.theguardian.com/world/2013/jul/25/tunisia-protests-killing-leader
Tunisia declares Ansar al-Sharia a terrorist group. // *"BBC",* August 2013, accessed July 4, 2021 at web page
https://www.bbc.com/news/world-africa-23853241?ocid=socialflow_twitter_africa
Tunisia arrests suspected Ansar al-Sharia militants. // *"BBC",* September 2013, accessed July 4, 2021 at web page
https://www.bbc.com/news/world-africa-24019368

[61] Final Tunisian election results announced. // "ALJAZEERA", November 2011, accessed July 3, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2011/11/14/final-tunisian-election-results-announced

პარლამენტში პირველ ადგილზე გავიდა *„ან-ნაჰდა“* 89 მანდატით (41%), მეორე ადგილზე - „კონგრესი რესპუბლიკისთვის“ 29 მანდატით (13,4%), მესამეზე - „სახალხო პეტიცია“ 26 მანდატით (12%), „ათ-თაქათული (20 მანდატით (9,2%).

მესამე ადგილზე გასული „სახალხო პეტიციის“ შესახებ მასალები ძალზე მწირია, მაგრამ საკმაოდ მრავლისმთქმელი.[62] „სახალხო პეტიციას“ სათავეში ედგა ლონდონში მცხოვრები წარმატებული, მაგრამ ბურუსით მოცული თუნისელი ბიზნესმენი მუჰამმად ალ-ჰაშიმ ალ-ჰამიდი. არჩევნების შემდგომი ყურადღების მიღმა დარჩენილი და თავის დროზეც თითქმის უცნობი პარტიის გამარჯვებამ 2011 წელს თუნისში ხანმოკლე, მაგრამ მაინც საგრძნობი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ყურადღებას იქცევს ალ-ჰაშიმის ბიოგრაფია და საქმიანობა. იმ პერიოდისთვის მას უკვე დაარსებული ჰქონდა ორი კონსერვატიული ტელეარხი, ხოლო 1980-იან წლებში იყო ზემოთ ხსენებული ისლამური ტენდენციების მოძრაობის (შემდგომში *„ან-ნაჰდას“*) წევრი. რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე მას ადანაშაულებდნენ ბინ ალის რეჟიმთან გარიგებების დადებასა და თავის არხებზე რეჟიმის მომხრე რიტორიკის გავრცელებაში. პარტია ასევე საერთოდ არ ფიგურირებდა წინასაარჩევნო პროცესებში, მაგრამ არღვევდა წინასაარჩევნო კანონს ყველა პარტიისთვის საეთერო დროის თანაბრად დათმობის შესახებ და მუდმივად გადასცემდა თავის პოპულისტურ გზავნილებს, რამაც თვალშისაცემი შედეგი მოუტანა. ყოველივე ზემოთ თქმულის გამო აღნიშნული პარტიის გამარჯვება შეიძლება მაინც გაუთვალისწინებელ შემთხვევითობად ჩავთვალოთ, რომ არა ალ-ჰაშიმის ორმაგი თამაშის ტაქტიკა - *„ან-ნაჰდას“* წევრობა და ბინ ალის რეჟიმთან ახლო ურთიერთობა. ყოველივე ამას ემატება თუნისელთა რეაქციები: სეკულარული პარტიების ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ „სახალხო პეტიცია“ *„ან-ნაჰდას“* ნაწილი იყო, რათა ისლამისტურ პარტიას ასეთი მანიპულაციით მიეღო მეტი ხმა, ხოლო მეორენი კი ძველი რეჟიმის მომხრეებად თვლიდნენ მათ. საბოლოოდ, საარჩევნო კომისიამ ხმების დათვლის პროცესში პარტიის ცხრა მანდატის ანულირება მოახდინა საარჩევნო კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევის მიზეზით, რის გამოც მათ

[62] National Constituent Assembly, Elections in Tunisia”.- CARTER CENTER Final Report, October 2013, accessed July 4, 2021 at web page https://www.cartercenter.org/resources/pdfs/news/peace_publications/election_reports/tunisia-final-Oct2011.pdf

მეოთხე ადგილზე გადაინაცვლეს. ზოგიერთი წყაროს მიხედვით, ასეთ გადაწყვეტილებას არცთუ მცირე რაოდენობის ამომრჩეველთა საპროტესტო აქციაც მოჰყვა. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ პორტალმა „Tunisia Live-მა“ გამოძიება ჩაატარა იმ რაიონებში, სადაც პარტიას არჩევნების შედეგების თანახმად, ყველაზე მეტი ამომრჩეველი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ გამოკითხულ პირებს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომელ პარტიაზე იყო საუბარი.[63]

აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით შესაძლებელია ახალდ დაფუძნებული პარტიის მოულოდნელი წარმატება ჩვეულებრივ მოვლენად ჩაითვალოს, ისეთ ქვეყანაში, სადაც ერთპარტიული დიქტატურის შემდეგ ასამდე პარტია დაარსდა. ეს დასაშვებია იმის გამოც, რომ ამ პარტიის ლიდერი ფლობდა არჩევნებში გამარჯვებისთვის საჭირო ისეთ მძლავრ ბერკეტებს, როგორებიცაა: ორი ტელეარხი, დამატებული პოპულისტური განცხადებები, გათვლილი დაბალი კლასის და ეკონომიკურად შეჭირვებული მოსახლეობის მიზიდვაზე, რაც საკმარისი იქნებოდა ახალ პოლიტიკურ მოთამაშედ ჩამოყალიბებულიყო თუნისის პოლიტიკურ ასპარეზზე. თუმცა პარტია თანდათან საერთოდ გაქრა ქვეყნის პოლიტიკური ავანსცენიდან და ხელიდან გამოცლილი გამარჯვების დასაბრუნებლად აღარ უბრძოლია მომავალ არჩევნებში იმისდა მიუხედავად, რომ საამისოდ ყველა რესურსი გააჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ პარტიის დამფუძნებელი კონსერვატიული ხასიათის არხებს ფლობდა და თავის დროზე იყო ისლამური ტენდენციების მოძრაობის წევრი, მისი პარტიის გამარჯვება წყაროების მიხედვით, არა ისლამისტურმა იდეოლოგიამ, არამედ ეკონომიკურად შეჭირვებული ფენების მისამართით გაკეთებულმა პოპულისტურმა განცხადებებმა განაპირობა. ამ პარტიის ლიდერი გამოდიოდა ინიციატივით, რომ ყველა ოჯახს 100 დინარი დარიგებოდა. პოპულისტურ განცხადებებს *„ან-ნაჰდაც“* აკეთებდა და რელიგიურ დღესასწაულებზე ხალხისთვის თითო ცხვრის ჩუქების ინიციატივით გამოდიოდა. გარდა ამისა,

---

[63] **Daphne McCurdy.** Tunisia's Surprise Success Story—And What He Means for the New Democracy. – *The Atlantic,* October 2011, accessed July 4, 2021 at web page https://www.theatlantic.com/international/archive/2011/10/tunisias-surprise-success-story-and-what-he-means-for-the-new-democracy/247588/
Jo Adetunji. Tunisian elections: Al Aridha Chaabia party has some seats revoked. // *"Guardian",* October 2011, accessed July 4, 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2011/oct/28/tunisian-elections-al-aridha-chaabia

„სახალხო პეტიციის“ უეცარი გამოჩენა და შემდეგ გაქრობა, ჩვენი აზრით, ირიბად მიანიშნებს იმაზე, რომ მისი ხელმძღვანელის ტაქტიკა, ერთდროულად ალიანსში ყოფილიყო თავის დროზე *„ან-ნაჰდას“* წინამორბედ მოძრაობასთან და შემდეგ ბინ ალის რეჟიმთანაც (როგორც ზემოთ ითქვა, მათ ხან ისლამისტური, ხან სეკულარული ძალების დანამატად განიხილავდნენ), მაღალი ალბათობით, ნაშრომში აქამდე ხსენებული გარიგებული კონკურენციის ნაწილი იყო. აღნიშნული სიტუაცია გარკვეულწილად ჰგავს ეგვიპტის მაგალითს, როდესაც „მუსლიმი ძმების“ გამარჯვება რამდენიმე თვის შემდეგ არასაკმარისი არგუმენტების საფუძველზე, სამხედროების ზეწოლით არალეგიტიმურად ცნეს. ამ შემთხვევაშიც იკვეთება, რომ საარჩევნო კომისიის მიერ პარტიისთვის მანდატების გაუქმება ხელოვნური მანიპულაცია იყო. ასეთ პარტიას თავისუფლად შეეძლო გარიგების დარღვევისას, თუნდაც ნაკლები მანდატებით, საჭიროების შემთხვევაში შეევსო დისბალანსი ან ისლამისტებისთვის, ან სეკულარული პარტიების სასარგებლოდ.

1.2. პოლიტიკური სიტუაცია არჩევნების შემდგომდროინდელ თუნისში

2014 წელს, მას შემდეგ, რაც სამეულის მთავრობა დაიშალა, ახალი არჩევნების შედეგად პარტია *„ნიდა᾽ა თუნისი“* უმრავლესობით მოვიდა ხელისუფლებაში (85 მანდატი 217-ადგილიან პარლამენტში).[64] შემდგომ მოდიოდა *„ან-ნაჰდა“* - 69 მანდატით, მესამე ადგილზე გავიდა „თავისუფალი პატრიოტული გაერთიანება“ (რომელსაც სათავეში ედგა პოლიტიკაში ახლადმისული სალიმ რიაჰი, მილიონერი) - 16 მანდატით, მეოთხე ადგილი ერგო მემარცხენე პარტიების კოალიციას სახელწოდებით „სახალხო ფრონტი“, რომლის რამდენიმე წევრი ექსტრემისტებმა მოკლეს 2013 წელს. მეხუთეზე - ლიბერალური *„აფაკ თუნისი“.* დანარჩენი ხმები უფრო წვრილ პარტიებზე გადანაწილდა. პირველი პარტია დაკომპლექტებული იყო ბიზნესმენებით, პროფკავშირების წევრებითა და ბინ ალის რეჟიმის დროინდელი პოლიტიკოსებით, რომლებმაც გამორიცხეს კოალიცია „ისლამისტურ ძალებთან“ და

[64] **Inmaculada Szmolka.** Political Change in the Middle East and North Africa after Arab Spring. Edited by Inmaculada Szmolka. Edingubrg: University press, 2017. გვ. 354.

ამჯობინეს უფრო მცირერიცხოვან პარტიებთან კავშირის დამყარება საკონსტიტუციო უმრავლესობისათვის საჭირო 109 მანდატის მოგროვების მიზნით.[65]

მიუხედავად გამარჯვებისა, *„ნიდა՝ა თუნისი“* ვერ ახერხებდა პარლამენტში საჭირო ხმების მოგროვებას, რაც აუცილებელი იყო ახალი მთავრობის დასამტკიცებლად. საგულისხმოა ისიც, რომ *„ან-ნაჰდა“* ახალ მთავრობაში საკმაოზე მეტად მოკრძალებულად იყო წარმოდგენილი და მინისტრთა კაბინეტში არ ჰქონდა რაიმე განსაკუთრებული გავლენა. მათმა წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ისეთი სამინისტროების ხელმძღვანელების პოსტების დაკავება, როგორებიც იყო განათლების, რელიგიის, სოციალური და კულტურის სამინისტროები. *„ან-ნაჰდამ“* თავის დროზე ვერ შეძლო სოციალური გამოწვევების დაძლევა და კორუფციასთან ეფექტური ბრძოლა. ასევე, მათ ძირითად მისიას, რევოლუციის დაცვასაც, წყალი შეუდგა მას შემდეგ, რაც ახალ მინისტრთა კაბინეტში გამოჩნდნენ ბინ ალის რეჟიმის მთავრობის წევრები.[66] მოგვიანებით, 2017 წელს, აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით, IRI-ს გამოკითხვების თანახმად, პარტიას უარყოფითად აფასებდა ზაფხულში გამოკითხულთა 48%, ნოემბერში - 41%. პარტიის ლიდერს, რაშიდ ღანუშის, არასასურველ ლიდერად მიიჩნევდა გამოკითხულთა 63%, ხოლო ნაწილობრივ არასასურველად - დამატებით 5%. რეიტინგში შემდეგ მოდიოდნენ პრეზიდენტ ას-საბსის შვილი ჰაფიზ ას-საბსი - 57%-ით, ზემოთ ხსენებული კორუფციულ სკანდალში გახვეული სალიმ რიაჰი - 56%-ით, პრეზიდენტი ას-საბსი - 45%-ით.[67]

---

[65] Tunisia election results: Nida Tunis wins most seats, sidelining Islamists. // *"Guardian",* October 2014, accessed July 4, at web page
https://www.theguardian.com/world/2014/oct/30/tunisia-election-results-nida-tunis-wins-most-seats-sidelining-islamists

[66] მთავრობის ხელმძღვანელი ჰაბიბ ას-სიდი, რომელიც ბინ ალის მმართველობის პერიოდში შინაგან საქმეთა სამინსტროში პოლიციის დეპარტამენტს განაგებდა და რეჟიმის დამხობის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტიც ეკავა გარდამავალ მთავრობაში.
Tunisia names old regime veteran to form new government. // *"Associated Press",* January 2015, accessed July 4, 2021 at web -age
https://apnews.com/article/33d9afa5353a4d8f8918d99fc6ee1f2b
Mohamed Argoubi. Former Interior Minister nominated as Tunisian prime minister. // *"Reuuters",* January 2015, accessed July 4, 2021 at web page
https://de.reuters.com/article/us-tunisia-politics/former-interior-minister-nominated-as-tunisian-premier-idUSKBN0KE0LC20150105

[67] **A. K. Yildirim.** ISLAM AND IN POST–2011 TUNISIA. // *"Rice University's Baker Institute for Public Policy"*, 2018, გვ. 6-7.
https://www.bakerinstitute.org/media/files/files/1b476ca4/cme-pub-carnegie-tunisia-050118.pdf

ასეთი განწყობები კიდევ ერთხელ მოწმობს იმას, რომ თუნისის პოლიტიკურ ასპარეზზე მართლაც არ არსებობდა სხვა პოლიტიკური ძალა და, აქედან გამომდინარე, მონოპოლია აიღეს სეკულარებმა ყოფილი რეჟიმის წევრებით და ზომიერმა ისლამისტებმა, რომელთა დასაყრდენსაც არალიბერალურად, არადასავლურად და კონსერვატიულად განწყობილი, სოციალურად შეჭირვებული ხალხი წარმოადგენდა. სეკულარები დისკრედიტებული იყვნენ ყოფილ რეჟიმთან სიახლოვის გამო, რაც ხალხს დიქტატურასა და კორუფციას ახსენებდა, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობდა დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში მაცხოვრებელი, საერო მმართველობისადმი ლოიალური ამომრჩევლების ნაწილი, რომელიც მიუხედავად *„ან-ნაჰდას“* ზომიერი, პრაგმატული და ფრთხილი მოქმედებებისა, მაინც ანტაგონისტურად იყო განწყობილი ისლამისტების მიმართ და მათი სახით საფრთხეს ხედავდა, რადგან ზომიერ ისლამიზმს მაინც აიგივებდა ამ იდეოლოგიის რადიკალურ და ექსტრემისტულ გამოვლინებებთან. მათი განწყობები გააძლიერა 2014 წლიდან გააქტიურებულმა „ისლამურმა სახელმწიფომ“ და ამ ორგანიზაციის მიერ თუნისში მოწყობილმა ტერაქტებმაც, რომელსაც 2015 წელს 59 უცხოელი ტურისტი ემსხვერპლა. ასევე „ისლამურმა სახელმწიფომ“ აიღო პასუხისმგებლობა 2015 წელს თვითმკვლელი ტერორისტის მიერ პრეზიდენტის 12 მცველის მკვლელობაზე.[68] აღნიშნული ტერაქტები, რომელთაც ემატებოდა ქვეყანაში არსებული სოციალური გამოწვევები, გახდა პრემიერ-მინისტრ ას-სიდის (2015 წლის 6 თებერვლიდან 2017 წლის 27 აგვისტომდე) პოსტიდან გადადგომის მიზეზი 2016 წელს.[69] აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ შეიძლება სავსებით ლოგიკურად და ბუნებრივად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ *„ან-ნაჰდას“* და სეკულარებს ერთმანეთი სჭირდებოდათ, მიუხედავად მათ შორის არსებული აზრთა სხვადასხვაობის და დაპირისპირებებისა. ერთმანეთის საჭიროებას მოწმობს ის გარემოებაც, რომ თავდაპირველად გამარჯვებულმა *„ნიდა᾽ა თუნისმა“* მთავრობის დაკომპლექტება

[68] **Kieron Monks.** Tourists return to Tunisia after terror. // "*CNN"*, August 15 2017, accessed September 10, 2022 at web page https://edition.cnn.com/2017/08/15/africa/tunisian-tourism-terror/index.html
Mary Colombel. At least 12 presidential guards killed in bomb attack in Tunis. // *"AFP",* November 24 2015, accessed September 10, 2022 at web page: https://www.france24.com/en/20151124-eye-africa-tunisia-bus-attack-liberia-ebola-athletes-kenya-protest-corruption
[69] Tunisian parliament votes to dismiss PM Habib Essid. // *"ALJAZEERA",* July 2016, accessed July 4, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2016/07/31/tunisian-parliament-votes-to-dismiss-pm-habib-essid/?gb=true

დააპირა მხოლოდ ორი პარტიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. ახალ კაბინეტში შედიოდა 10 მინისტრი „ნიდა՝ა თუნისიდან“ საგარეო საქმეთა მინისტრის ჩათვლით, ხოლო დანარჩენი - თავისუფალი პატრიოტული გაერთიანებიდან. ლიბერალური „აფაკ თუნისი“ უეცრად გამოეთიშა კოალიციას, ვინაიდან არასაკმარისი პორტფელების მიღებამ მათი უკმაყოფილება გამოიწვია.[70] აღსანიშნავია ისიც, რომ ახალ მთავრობაში შედიოდა 9 ქალი, რაც პირველი შემთხვევა იყო ქვეყნის ისტორიაში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1956 წ.). ახალი მთავრობის დამტკიცების საწინააღმდეგო პოზიცია გამოხატა *„ან-ნაჰდამ“* და განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერდა ახალი მთავრობის ფორმირებას. ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა მემარცხენე ბლოკმა. მათი ამ პოზიციის მიზეზი ახალ ხელისუფლებაში ბინ ალის რეჟიმის კორუმპირებული წევრების არსებობა იყო. *„აფაკ თუნისის“* გამოთიშვით და მემარცხენე ბლოკის განწყობებით ისარგებლა *„ან-ნაჰდამ“*, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ მზად იყო თანამშრომლობისთვის ახალი მთავრობის შემადგენლობაში, რათა ქვეყანაში სტაბილურობა შენარჩუნებულიყო. შეთავაზებას საბოლოოდ *„ნიდა՝ა თუნისისგან“* თანხმობა მოჰყვა და გადაწყდა *„ან-ნაჰდას“* მმართველ აპარატში ჩართვა. ამ გადაწყვეტილებას მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცეს თავად *„ნიდა՝ა თუნისის“* წარმომადგენლებმა - პარლამენტის წევრების ნაწილმა და მემარცხენე ფრონტის ლიდერმა ჰამმა ჰამმამიმ. *„ან-ნაჰდას”* ახალ მთავრობაში ჩართვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო „სახალხო ფრონტიც“, რომელიც შედგებოდა მემარცხენეებისა და პროფკავშირების წარმომადგენლებისგან. ეს პარტია ადანაშაულებდა *„ან-ნაჰდას“* 2013 წელს თავისი ორი წევრის, შუქრი ბილ՝იადისა და მუჰამმად ბრაჰმის, მკვლელობებში.

ამ ორი პარტიის *(„ან-ნაჰდა“, „ნიდა՝ა თუნისი“)* ასეთი გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, ძალზე უცნაური და ულოგიკო ჩანს, თუმცა, თუ თვალს გავადევნებთ მოვლენების შემდგომ განვითარებას, კიდევ ერთხელ სარწმუნო ხდება ე.წ. „ერთმანეთის საჭიროების“ ტაქტიკა ყოფილი რეჟიმის წევრებსა და თუნისელ ზომიერ ისლამისტებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ *„ან-ნაჰდა“,* როგორც ზემოთ

[70] **Bouazza Ben Bouazza.** Tunisia announces new minority government without Islamists”. // *“Associated Press”,* January 2015, accessed July 4, 2021 atweb page https://apnews.com/article/be4383a11dda4297b001544f604e2165

ითქვა, თითქმის არ იყო წარმოდგენილი ახალ მინისტრთა კაბინეტში, მაინც მოახერხა მინისტრთა საბჭოში ერთი ადგილის მოპოვება და ქვეყანაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღებ მთავარ ორგანოსთან მჭიდრო კონტაქტის დამყარება. გარდა ამისა, *„ნიდა'ა თუნისთან"* თანამშრომლობით მან თავიდან აიცილა მემარცხენე კონსტიტუციონალისტების მხრიდან ხელისუფლების მონოპოლიზაცია, რაც საბოლოოდ *„ან-ნაჰდას"* პოლიტიკურ იზოლაციას გამოიწვევდა, მითუმეტეს, როცა მათ ამის გამოცდილება გასული საუკუნის 90-იან წლებში მიიღეს და თვალწინ ჰქონდათ მაგალითი ეგვიპტელი „მუსლიმი ძმების" ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ. ამასთანავე, *„ან-ნაჰდა"* გამიზნულად არ ცდილობდა უმრავლესობის მოპოვებას პარლამენტში, რითიც ოპონენტების შიშს იმის შესახებ, რომ ისლამისტები დომინანტი ძალა იქნებოდა ქვეყნის პოლიტიკაში, საფუძველს აცლიდა. პარტია *„ნიდა'ა თუნისს"* მოქმედების სამი ვარიანტი გააჩნდა:

1. უნდა მომხდარიყო *„ან-ნაჰდას"* და „სახალხო ფრონტის" მაქსიმალური იზოლაცია, მათ მაგივრად კი კავშირი დამყარებულიყო „თავისუფალ პატრიოტულ კავშირთან" და პარტია „თუნისის პერსპექტივებთან". თუმცა ამ შემთხვევაში ვერ მოახერხებდა საჭირო 109 ხმის მოგროვებას და ვერც წინააღმდეგობის გაწევას ისლამისტებისა და მემარცხენე ბლოკის მიმართ.
2. უნდა მოეხდინა *„ან-ნაჰდას"* ბლოკირება და კოალიცია შეექმნა „სახალხო ფრონტთან" და დამოუკიდებელ დეპუტატებთან ერთად. თუმცა ასეთ გადანაწილებას არც პარლამენტი და არც ხალხი მხარს არ დაუჭერდა და ქვეყანას ორ ბანაკად - სეკულარებად და ისლამისტებად - დაყოფდა.
3. უმრავლესობით მოსულ პარტია *„ნიდა'ა თუნისს"* უარი უნდა ეთქვა კოალიციაზე „სახალხო ფრონტთან" და კავშირი დაემყარებინა *„ან-ნაჰდასთან"*.

პარტიამ მესამე ალტერნატივა აირჩია, რამაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა მემარჯვენეების ახალი კოალიცია: *„ნიდა'ა თუნისი"*, „თუნისის პერსპექტივები", „თავისუფალი ეროვნული კავშირი" და *„ან-ნაჰდა"*. ასეთმა კომბინაციამ ახალ ხელისუფლებას პარლამენტში უპრეცედენტო ხმათა უმრავლესობა მოუტანა და თავიდან აიცილა სოციალურ ნიადაგზე გამოწვეული შესაძლო საპროტესტო აქციები,

მათ შორის ისეთები, რომლებიც შეიძლებოდა ისლამისტებისგანაც ყოფილიყო ინიცირებული. გარდა ამისა, პარტია ამ ნაბიჯით ეცადა, მოეშორებინა ძველი რეჟიმის წარმომადგენლის დამღა და საშუალება მიეცა, თავი წარმოეჩინა ისეთ საერო ლიბერალურ პარტიად, რომელსაც შეეძლო თანამშრომლობა ისლამისტურ ოპოზიციასთანაც კი. შემდეგი ფაქტორი იყო ას-საბსისა და რაშიდ ღანუშის პირადი და კეთილგანწყობილი ურთიერთობა. ისინი პირისპირ ხვდებოდნენ ერთმანეთს 2013 წლიდან და ერთად ეძებდნენ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზებს.

თავდაპირველად ღანუში და ას-საბსი ერთმანეთს საიდუმლოდ პარიზში შეხვდნენ, რის შესახებაც მოგვიანებით *„ან-ნაჰდას“* ლიდერმა აღნიშნა, რომ 2013 წლის კრიზისის კრიტიკულ მომენტში მისმა აღმატებულება პრეზიდენტმა იგი მიიწვია მოლაპარაკებებისთვის, რათა „თუნისის გემი არ ჩაძირულიყო დაპირისპირების ჭაობში“. მოლაპარაკებების შედეგად მიღებულ იქნა გარდამავალ პერიოდში საკონსტიტუციო პროცესის საგზაო რუკა და შეთანხმდნენ შემდეგ საკითხებზე: 1) *„ან-ნაჰდა“* მზადყოფნას გამოთქვამდა, რომ წავიდოდა კომპრომისზე და ნებაყოფლობით გადასცემდა ხელისუფლებას ტექნოკრატების მთავრობას კონსტიტუციის მიღებამდე. 2) კონსტიტუციის დაგეგმილ ვადებში მიღებაზე. 3) ახალი კონსტიტუციის საფუძველზე თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ორგანიზებაზე. 4) თუნისის ეროვნული დიალოგის კვარტეტის შუამავლობის ცნობაზე.

საიდუმლო შეხვედრები კვლავ გრძელდებოდა 2014 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და მომდევნო წლის დასაწყისში ჰაბიბ ას-სიდის კოალიციურ მთავრობაში *„ან-ნაჰდას“* ინტეგრაციის დეტალებზე დებატების მიზნით. საბოლოოდ, *„ან-ნაჰდა“* შეუერთდა ახალ მთავრობას შეზღუდული კონტინგენტით.[71]

თავის მხრივ, ას-საბსიც თავის განცხადებებში არ მალავდა, რომ მასზე დადებითად იმოქმედა ღანუშის მხრიდან არჩევნებში გამარჯვების მილოცვამ. გარდა

[71] აღნიშნულმა ორგანიზაციამ 2015 წელს ნობელის პრემია მიიღო თუნისის 2011 წლის რევოლუციის გარიჟრაჟზე ქვეყანაში ლურალისტული დემოკრატიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. The Nobel Peace Prize for 2015, accessed July 6, 2022.
https://www.nobelprize.org/prizes/peace/2015/press-release/
Julius Dihstelhoff. Arab Spring Modernity, Identity and Change. Eid Mohamed, Dalia Fahmi Editor, Palgrave macmilan, 2020. გვ. 241-242. გვ. 245.
Inmaculada Szmolka. Political Change in the Middle East and North Africa after Arab Spring, გვ. 52.

ამისა, ამ გაერთიანებამ გზა გაუხსნა ორივე პარტიას თავისუფლად წამოეწყოთ ანტიკრიზისული მტკივნეული რეფორმები და შეეკვეცათ საყოველთაო პროფკავშირების ძალაუფლება, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევდა მომავალ რეფორმებს.[72]

მიგვაჩნია, რომ კვლევის სრულყოფისათვის აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს (რაც არ შეიმჩნევა სხვადასხვა მასალაში) შემდეგ ფაქტორზე: მემარცხენე ბლოკის პროტესტი იმის შესახებ, რომ *„ან-ნაჰდა“* ძველი რეჟიმის წევრებს აბრუნებდა ხელისუფლებაში, არ იყო საფუძველს მოკლებული, ვინაიდან თუნისელ ზომიერ ისლამისტებსა და ძველი რეჟიმის წარმომადგენლებს შორის წარმოიქმნა ინტერსთა თანხვედრა, რაც პოლიტიკური ველიდან მემარცხენე ბლოკის გაყვანაში მდგომარეობდა. აქედან გამომდინარე, ნათელი ხდება, რატომ შეიძლებოდა გარიგება შემდგარიყო აღნიშნულ ორ ძალას შორის. ხაზგასმით აღსანისნავია ისიც, რომ გარიგებები ხდებოდა პარტიების პირველ პირებს შორის, რასაც ხშირად ქვედა რგოლების წარმომადგენლები არ ეთანხმებოდნენ, რისი თვალსაჩინო მაგალითიცაა *„ნიდა՝ა თუნისი“*. ამ დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს თუნისის უახლეს ისტორიაში უკვე მომხდარი პრეცედენტი, კერძოდ, ზემოთ ნახსენები *„ან-ნაჰდას“* წინამორბედი მოძრაობა *„და՝ვას“* აქტივობა. მას შემდეგ, რაც მოძრაობისთვის ერთნაირად მიუღებელი აღმოჩნდა პირველი პრეზიდენტის მოდერნიზაციის კურსი და იმ პერიოდის თუნისის ტრადიციული რელიგიური ელიტები იმის გამო, რომ ისინი თანამშრომლობდნენ დიქტატორულ რეჟიმთან, *„და՝ვას“* მოქმედება იატაკქვეშეთში უწევდა. სწორედ ამ დროს მათ გამოუჩნდათ მოულოდნელი

---

[72] **Tarek Amara.** Tunisia new government faces resistance before ratification vote. // "*REUTERS",* January 2015, accessed July 4, 2021 at web page
https://in.reuters.com/article/us-tunisia-politics/tunisia-new-government-faces-resistance-before-ratification-vote-idUSKBN0KY0R520150125
Monica Marks. Tunisia opts for an inclusive new government. // "*Washingtonpost*", 2015, February 4. Accessed July 4, 2021 at web page
https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/02/03/tunisia-opts-for-an-inclusive-new-government/
Shahran Grewal, Shadi Hamid. THE DARK SIDE OF CONSENSUS IN TUNISIA: Lessons from 2015-2019. – *Brookings.edu,* January 2020, accessed July 4, 2020 at web page
https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2020/01/FP_20200131_tunisia_consensus_grewal_hamid.pdf გვ. 7-8.
Anouar Jamaoui. The impact of the coalition on Ennahda and Nidaa Tounes. – *Open Democracy,* March 2015, accessed July 4, 2021 at web page
https://www.opendemocracy.net/en/north-africa-west-asia/impact-of-coalition-on-ennahda-and-nidaa-tounes/

მოკავშირე, რომელიც დაეხმარა მოძრაობას თავისი აქტივობის გაფართოებაში. ეს იყო სოციალისტური - 1964-88 წლებში „თუნისის მმართველი საკონსტიტუციო პარტია“, რომლის ისლამური ფრთაც მიზნად ისახავდა რადიკალი მემარცხენე პოლიტიკური ძალებისთვის წინააღმდეგობა გაეწია თუნისის საზოგადოების ისლამიზაციისა და არაბიზაციის მეშვეობით, რის გამოც მხარს უჭერდა ისლამის ახალგაზრდა მქადაგებლებს და ბერკეტად იყენებდა ყურანის დაცვის შესახებ 1967 წელს დაწესებულ ოფიციალურ და იურიდიულ გადაწყვეტილებას.[73] ასე რომ, მმართველი პარტიისა და ისლამისტების „კავშირი“ არ იყო პირველი პრეცედენტი თუნისისათვის.

„ნიდა'ა-ს“ ლიდერის გადაწყვეტილება საბოლოოდ კარგის მომტანი არ აღმოჩნდა პარტიისთვის. 2018 წელს მისმა გენერალურმა მდივანმა სალიმ რიაჰიმ ქვეყნის სამხედრო ტრიბუნალში სასამართლოს საქმის წარმოების ინიცირება მოახდინა, რომლის მიხედვითაც ბრალი დასდო მაშინდელ პრემიერ-მინისტრ იუსუფ შაჰიდს და სხვა ოპოზიციურ პირებს პრეზიდენტ ას-საბსის წინააღმდეგ ორგანიზებულ შეთქმულებასა და გადატრიალების მცდელობაში. განხეთქილება და კრიზისი მოჰყვა პარტიის შიგნით შაჰიდის მიერ დაგეგმილ გადაადგილებებსაც. ეკონომიკური გეგმის მიმართ უკმაყოფილების მიზეზი იყო შაჰიდის მიერ დაანონსებული კორუფციასთან ბრძოლა, რომლის სამიზნეც მდიდარი ბიზნესმენები ხდებოდნენ, ხოლო კორუფციასთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოფხვრაში მთავარ მოკავშირედ პრემიერი შაჰიდი სწორედ *„ან-ნაჰდას“* მოიაზრებდა. ჯერ კიდევ 2015 წლიდან პარტია ათობით წევრმა დატოვა ორი მიზეზით: 1. ისინი არ ეთანხმებოდნენ წარმოდგენილ ეკონომიკურ გეგმას, 2. აპროტესტებდნენ *„ან-ნაჰდასთან“* კოალიციას. ამის შემდეგ *„ან-ნაჰდამ'* პარლამენტში კვლავ უმრავლესობა მოიპოვა.

საბოლოოდ, პარტიაში წამოწყებული სერიოზული რყევების მიზეზები გარდა იმისა, რომ ას-საბსიმ დატოვა გენერალური მდივნის პოზიცია, იყო მისი შვილის, ჰაფიზის, მემკვიდრედ დატოვების მცდელობა. ასეთი გადაწყვეტილება მიუღებელი

[73] **Hamza Meddeb.** Ennahda's Uneasy Exit From Political Islam. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER,* September 2019, accessed July 4, 2021 at web page https://carnegie-mec.org/2019/09/05/ennahda-s-uneasy-exit-from-political-islam-pub-79789

აღმოჩნდა ბევრი პოლიტიკოსისთვის, მათ შორის პარტიის წევრებისთვისაც. მეორე მიზეზი *„ან-ნაჰდასთან“* თანამშრომლობა იყო, რაც ღიად დააფიქსირა პარტიის ყოფილმა გენერალურმა მდივანმა მუჰსინ მარზუკიმაც (იგი პარტიის დატოვების შემდეგ პარტია „მაშრუ᾽ თუნისის“ წევრი გახდა). ის და მისი მომხრეები თვლიდნენ, რომ ისლამისტებთან კოალიციის დამყარება მათი ამომრჩევლების ღალატი იყო. ჰაფიზ ას-საბსის მომხრე ბანაკი, რომელიც ძველი რეჟიმის თანამოაზრეებისგან შედგებოდა, აცხადებდა, რომ *„ან-ნაჰდასთან“* კავშირზე უარის თქმა მათ ამომრჩევლების მესამედს დააკარგვინებდა.[74]

ეს გარემოება ჩვენ მიერ საკმაოდ მრავლად მოპოვებულ მასალებში სათანადოდ არ არის გაშლილი. რატომ მიიჩნევდნენ *„ან-ნაჰდას“* მომხრეებს თავიანთ ამომრჩევლებადაც *„ნიდა'ა თუნისის“* ძველი რეჟიმის წარმომადგენლები, თითქოს გაუგებარია, მაგრამ მათი ასეთი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ამყარებს ზემოთ მოყვანილ მსჯელობას იმის შესახებ, რომ ძველი რეჟიმის მომხრე პოლიტიკოსები და ბიზნესმენები *„ან-ნაჰდასთან“* ერთად ყველა ღონეს ხმარობდნენ, არ დაეშვათ მემარცხენე ბლოკის გაძლიერება და ძალაუფლება მხოლოდ მემარჯვენე სეკულარებსა და ორმაგი თამაშის ტაქტიკის მიმდევარ ასევე მემარჯვენე, ზომიერ ისლამისტებს შორის ყოფილიყო გადანაწილებული. კორუფციასთან ბრძოლა და მდიდარი ბიზნესმენების საქმეების გადახედვა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ *„ნიდა'ა თუნისის“* წევრთა ნაწილის *„ან-ნაჰდასთან“* კოალიციის გამო გამოწვეული პროტესტი არა ისლამისტური იდეოლოგია და კურსი იყო, არამედ უფრო მართებულია, რომ პირადი სარგებლის შენარჩუნება გახდა პროტესტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამ მოსაზრებას გვიმყარებს ის ფაქტიც, რომ *„ან-ნაჰდას“* ისლამისტური იდეოლოგია აღარ იყო ისეთი საფრთხის შემცველი ზემოთ ხსენებულ პირთათვის, ვინაიდან 2016 წელს მოხდა ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა: *„ან-ნაჰდას“* ლიდერმა რაშიდ ღანუშიმ განაცხადა, რომ თუნისში პოლიტიკური ისლამის არსებობის გამამართლებელ არგუმენტი აღარ არსებობდა. თავდაპირველად მისი გამოსვლა ისე შეფასდა, თითქოს პარტიამ უარი თქვა ტრადიციულ ისლამიზმზე.

---

[74] **Asma Ajroudi, Ramy Allahoum.** Tunisia's Nidaa Tounes in shambles amid political turbulence. // *"ALJAZEERA",* December 2018, accessed July 4, 2021 at web page https://www.aljazeera.com/features/2018/12/05/tunisias-nidaa-tounes-in-shambles-amid-political-turbulence/?gb=tru0e

სინამდვილეში პარტიამ თავის საქმიანობა ორად გაყო - რელიგიური და პოლიტიკური მიმართულებების ხაზით.

დედაქალაქსა და სხვა დიდ ქალაქებში მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, ქვეყნის პერიფერიების შედარებით ეკონომიკურად შეჭირვებული და უფრო კონსერვატიული მოსახლეობის ნაწილი *„ან-ნაჰდაში“* კვლავ ხედავდა ისეთ პოლიტიკურ ძალას, რომელიც მათ ინტერესებს წარმოადგენდა. პარტიის ლიდერის გათვლაც სწორედ დაბალ ფენებზე კეთდებოდა და იმ პერიოდისთვის დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნებისთვის მხოლოდ *„ან-ნაჰდა“* იყო ყველაზე უკეთ მომზადებული, რადგან ასეთი მანევრით პარტიამ შეძლო ადგილი შეენარჩუნებინა პოლიტიკურ სარბიელზე და მეტ-ნაკლებად მისაღები ძალა გამხდარიყო სხვადასხვა პოლიტიკური გემოვნების მქონე თუნისელი ამომრჩევლებისთვის. პარტიის საერთაშორისო სპიკერის, იურსა ღანუშის განმარტების თანახმად, აღნიშნული ნაბიჯი გამოწვეული იყო იმით, რომ პარტიისა და ქვეყნისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა იდეოლოგიის ჩარჩოებიდან გამოსვლა. ასევე, იმ დროს, როდესაც პოლიტიკოსები პარლამენტში ცხარედ კამათობდნენ პოლიტიკაში რელიგიის ავ-კარგიანობაზე, მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევრობითა და ეკონომიკური პრობლემებით იტანჯებოდა. აქედან გამომდინარე, პარტიამ მოძებნა პრაგმატული გადაწყვეტილება: კოალიციაში შევიდა მეტოქეებთან, რათა შეენარჩუნებინა გარდამავალი დემოკრატიის დინება ქვეყანაში.[75]

2019 წელს მორიგი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა ქვეყანაში. ვერცერთმა პარტიამ ვერ მოიპოვა 20%-ზე მეტი. პირველ ადგილზე კვლავ *„ან-ნაჰდა“* გავიდა, რომელმაც ამომრჩევლებს ისევ რელიგიური მოტივები და კორუფციის დამარცხება შესთავაზა. კერძოდ, მანდ ზაქათის (რელიგიური შემოწირულობა ისლამში) შემოღების წინადადება წამოაყენა. საპრეზიდენტო არჩევნებში *„ან-ნაჰდას“* კანდიდატი ’აბდ ალ-ფათაჰ მურუ მესამე ადგილზე გავიდა.[76]

---

[75] Karina Piser. The Mainstreaming of Tunisia’s Islamists. // *“Foreign Policy”,* August 2016, accessed July 4, 2021 at web page
https://foreignpolicy.com/2016/08/07/the-mainstreaming-of-tunisias-islamists/

[76] **Sharan Grewal.** Winners and losers of Tunisia’s parliamentary elections. – *Brookings.edu,* October 2019, accessed July 4, 2021 at web page
https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/10/11/winners-and-losers-of-tunisias-parliamentary-elections/

თავის კანდიდატურა პირველად წამოაყენა რაშიდ ღანუშიმაც, მაგრამ საბოლოოდ პარტია *„ან-ნაჰდამ“* პირველ ტურში გამარჯვებულ უპარტიო პრეზიდენტობის კანდიდატს, კაის საიდს, დაუჭირა მხარი.[77] მისი მომხრეები დაარწმუნა, რომ მხოლოდ ისინი შეძლებდნენ მათი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში ერთობლივი ძალებით ახალი მთავრობის ფორმირებას. მეორე ადგილზე გავიდა *„კალბ თუნისი“*, ახლად შექმნილი პარტია, რომელსაც პოლიტიკაში ასევე ახლადმოსული ბიზნესმენი და ტელეკომპანია *„ნასმა*-ს“ მფლობელი ნაბილ კარუვი იყო.[78] მისი ტელეკომპანიის არხზე გადიოდა საქველმოქმედო შოუ, რომელშიც ნაბილი წარმოჩენილი იყო, როგორც ღარიბების და სისტემისგან მივიწყებული თუნისელების დამცველი. მან ოფიციალური საარჩევნო კამპანია ვერ ჩაატარა, ვინაიდან დაპატიმრებული იყო ფულის გათეთრების ბრალდებით.[79]

საბოლოოდ პარლამენტში ადგილები ისე გადანაწილდა, რომ უმრავლესობაში კვლავ *„ან-ნაჰდა“* დარჩა 52 მანდატით, მაგრამ ვერცერთი პარტია და ალიანსი ვერ აგროვებდა საპარლამენტო უმრავლესობას თავის წარმომადგენლებით. ამის გამო საკმაოდ დიდხანს გაჭიანურდა ახალი მთავრობის დამტკიცება. საბოლოოდ 2020 წლის თებერვალში პრეზიდენტ საიდის მიერ დანიშნულმა პრემიერ-მინისტრმა ილიას ფახფახმა მოახერხა *„ან-ნაჰდასთან“* მოლაპარაკება და ახალი კოალიციური მთავრობის ფორმირება.[80] მანამდე *„ან-ნაჰდამ“* არ დაუჭირა მხარი პრემიერ-მინისტრ ჰაბიბ ჯამილის მიერ შეთავაზებულ მთავრობას, რომელიც დამოუკიდებელი ტექნოკრატებით იყო დაკომპლექტებული.[81] კოალიციური მთავრობის შექმნა კატეგორიული მოთხოვნა იყო როგორც *„ან-ნაჰდას“*, ისე *„კალბ თუნისის“* მხრიდან.

---

[77] Tunisia's Islamist Ennahda throws weight behind vote frontrunner. // *"Arab News",* September 2019, accessed July 4, 2021 at web page
https://www.arabnews.com/node/1557461/middle-east

[78] Tunisian media mogul and presidential candidate Nabil Karoui arrested. // *"FRANCE24",* August 2019, accessed July 4, 2021 at web page
https://www.france24.com/en/20190823-tunisia-media-mogul-presidential-candidate-nabil-karoui-arrested-tax-evasion

[79] **Rachael Bunyan.** Tunisia's Presidential Election 2019: Who's Running, What's at Stake. // *"Time",* September 2019, accessed July 4, 2021 at web page
https://time.com/5676904/tunisia-elections-2019/

[80] Tunisia's parliament approves a coalition government. // *"MIDDLE EAST MONITOR",* Fabruary 2020, accessed July 4, 2021 at web page
https://www.middleeastmonitor.com/20200227-tunisias-parliament-approves-a-coalition-government/

[81] Tunisia parliament rejects gov't of PM-designate Habib Jemli. // *"ALJAZEERA",* January 2020, accessed July 4, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2020/1/11/tunisia-parliament-rejects-govt-of-pm-designate-habib-jemli

პრეზიდენტის განცხადების თანახმად, თუ ხელისუფლება არ დამტკიცდებოდა, პარლამენტს დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა ელოდებოდა. საბოლოოდ მინისტრთა კაბინეტში შევიდნენ ხსენებული პარტიების კანდიდატები და ასევე სხვა ნაკლებად ცნობილი პარტიების *„აშ-შაყბის“, „ათ-თაიარის“, „ალ-ბადილის“* წარმომადგენლები და სხვა დამოუკიდებელი, უპარტიო პოლიტიკოსები. ახალმა მთავრობამ მხოლოდ 5 თვე იარსება. Covid-19-ის პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე განხეთქილება მოხდა *„ან-ნაჰდასა“* და პრემიერს შორის, რასაც მისი გადადგომა მოჰყვა. 2020 წლის აგვისტოში შინაგან საქმეთა მინისტრი ჰიშამ მაშიში პრეზიდენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე გადაიყვანა, რომელმაც ახალი მთავრობა დააკომპლექტა. მინისტრთა კაბინეტში 28 უპარტიო ტექნოკრატი შევიდა, რომელთა შორისაც 8 ქალი იყო.[82]

2021 წლიდან თუნისის გარდამავალ დემოკრატიას, რომელსაც დასავლური ქვეყნები და მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობა „არაბული გაზაფხულის“ ერთადერთ წარმატებულ პრეცედენტად თვლიდნენ იმის გამო, რომ ამ სახელმწიფოში გარდამავალი დემოკრატია სხვა არაბული სახელმწიფოებისგან განსხვავებით მაინც შედგა, აღნიშნული მოსაზრება სერიოზული ეჭვის ქვეშ დადგა. მოვლნათა განვითარების პირველ ეტაპებზე დაკვირვების შემდეგ, ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ იქნება ის დასკვნაც, რომ პრეზიდენტ კაის საიდის მიერ განხორციელებულ პოლიტიკურ ცვლილებებში თუნისის ავტოკრატული მმართველობის გზაზე დაბრუნების ნიშნებიც იკვეთება. 2021 წლის 25 ივლისს პრეზიდენტმა თანამდებობიდან გადააყენა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის ნაწილი (ოპოზიციური პარტიები, მათ შორის *„ან-ნაჰდაც“*) დაითხოვა

---

[82] Tunisia’s Elections, Explained/The world’s youngest democracy votes. - *CARNEGIE ANDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* 2019, accessed July 4, 2021 at web page
https://carnegieendowment.org/publications/interactive/tunisian-elections-2019
Zied Boussen. Tunisia: New Government, New Dynamics? – *Arab Reform Initiative,* June 2020, accessed July 4, 2021 at web page
https://www.arab-reform.net/publication/tunisia-new-government-new-dynamics/
2014 წლის იანვრის ბოლოს მიღებული კონსტიტუცია ცნობდა თანაბარ უფლებებს მამაკაცებსა და ქალებს შორის, ასევე გენდერული ნიშნით დაცული იყო პარიტეტი ყველა არჩეულ ასამბლეაში. ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, მაგრამ შარიათი არ წარმოადგენდა კანონმდებლობის ძირითად წყაროს. მე-6 მუხლის თანახმად სახელმწიფო ხდებოდა რწმენის, რელიგიური კულტების თაყვანისცემის და სინდისის თავისუფლების დაცვის გარანტი.
Inmaculada Szmolka. Political Change in the Middle East and North Africa after Arab Spring, გვ. 356.

და თავის თავს ქვეყნის მთავარი პროკურორის თანამდებობა მიანიჭა. საიდის მომხრეების განმარტებით, აღნიშნული ნაბიჯი იყო რევოლუცია ბინ ალის რეჟიმის შემდეგ *„ან-ნაჰდას“* მეთაურობით მოსული არაკომპეტენტური და კორუმპირებული მთავრობების წინააღმდეგ. მოარული ხმების თანახმად კი რაშიდ ღანუშიმ განაცხადა: „ისლამისტების მთავრი პრობლემა ის არის, რომ ისინი მისაღებნი არიან როგორც ოპოზიციური ძალა და სძულთ, როცა ხელისუფლებაში იმყოფებიან“. რევოლუციის ათი წლის თავზე მიუხედავად იმისა, რომ „ან-ნაჰდა“ 2013 წლიდან ყოველთვის კოალიციურ მთვრობაში იყო და პარლამენტშიც ამ დროიდან მოყოლებული მხოლოდ მთავრობების ფორმირებაში უფრო იღებდა მონაწილეობას, ისლამისტურ პარტიას სეკულარიზმის მომხრე მოქალაქეები რატომღაც ტალიბანს და იმ დაჯგუფებებს ადარებენ, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში შარიათის დაკანონებას ითხოვენ. ამასთან, არპროპორციულ პასუხისმგელობას აკისრებდნენ ყველა იმ იმედგაცრუებაზე, რაც 2011 წლის რევოლუციის შემდეგ განიცადეს.

2021 წლის 24 აგვისტოს საიდმა ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა მიმართვა, რომლის მიხედვითაც იგი აგრძელებდა ერთი თვით ადრე შემოღებულ საგანგებო მდგომარეობას. გასათვალისწინებელია, რომ 2014 წლის კონსტიტუციის მე-80 მუხლი ქვეყნის პრეზიდენტს უფლებას აძლევს „მიიღოს ნებისმიერი ზომები განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე“ სამი ძირითადი შეზღუდვის საფუძველზე: მიღებული ზომები მოქმედებს მხოლოდ 30 დღის განმავლობაში, პრეზიდენტმა ზომების მიღებამდე კონსულტაციები უნდა გაიაროს ხელისუფლების სხვა შტოებთან (რაც მან არ გააკეთა) და პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის მუშაობის შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოსთან შეთანხმების გარეშე, აღნიშნული სტრუქტურა კი ჯერ არ იყო ფორმირებული. აქედან გამომდინარე, კაის საიდის მიმართ კრიტიკულად განწყობილმა ძალებმა მისი ნაბიჯი გადატრიალებად შეაფასეს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 25 ივლისის გადატრიალებას მხარი დაუჭირეს სამხედროებმაც, ასევე მოსახლეობის საკმაო ნაწილისთვის პრეზიდენტის არადემოკრატიული სვლა მისაღები აღმოჩნდა. ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის კვლევის ინსტიტუტის ექსპერტების, სარა ფეუერის, გრანტ რამლის, ბენ ფიშმანისა და აარონ ზელინის აზრით, თუნისელთა ასეთი რეაქცია არ იყო გამოწვეული იმით,

რომ მათ უარი თქვეს დემოკრატიაზე ან არასათანადოდ აფასებდნენ პირად თავისუფლებას. მოსახლეობის ნაწილის აზრით, ათწლიანი პოლიტკური პლურალიზმის ექსპერიმენტი წარუმატებელი აღმოჩნდა კორუფციასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემებისა და მთავრობების პოლიტიკური უუნარობის გამო.[83] პრეზიდენტი თავის გადაწყვეტილებას ბურგიბას სეკულარული რიტორიკის ელფერით აფორმებდა. ამის გამო რაშიდ ღანუში მოზომილი რეაქციით შეხვდა პრეზიდენტის გადაწყვეტილებას, რადგან არ სურდა, ხელისუფლებისთვის უფრო მკაცრი ზომების გატარების საშუალება მიეცა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თუნისელ ისლამისტებს ეგვიპტელი კოლეგების მაგალითი უკვე გააზრებული ჰქონდათ. ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების ტაქტიკისთვის მიმართვის ნაცვლად *„ან-ნაჰდა“* 2022 წლის აპრილში ფორმირებული გადატრიალების საწინააღმდეგო ერვონული გადარჩენის ფრონტს შეუერთდა, რომელიც დათხოვილ პარლამენტში შემავალ 5 პარტიას და რამდენიმე სამოქალაქო საზოგადოებრივ ჯგუფს აერთიანებდა და გადაწყვიტა, ნახსენებ პოლიტკურ ძალებთან ერთად ებრძოლა მათთან შეთანხმების საფუძველზე. ისლამისტების მთავარი მოთხოვნა იყო პარლამენტის აღდგენა და „ეროვნული დიალოგის“ გამართვა. 2022 წლის იანვარში პრეზიდენტმა მონიშნა წლის სამოქმედო რუკა, რომლის მიხედვითაც ჩამოაყალიბა ახალი კონსტიტუციის შემქნელი კომიტეტი და 25 ივლისს დაინიშნა ამ გადაწყვეტილების მხარდამჭერი რეფერენდუმი, 17 დეკემბერს კი საპრლამენტო არჩევნები. ასევე გადაწყვიტა პოლიტიკურ ძალებთან დიალოგის გამართვა, სადაც *„ან-ნაჰდა“*, როგორც „მოღალატეებისა და ქურდების“ პარტია დაიბლოკა. ოდნავ მოგვიანებით სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, ზემოთ ხსენებული დამსაქმებელთა ეროვნული კავშირიც აღარ იქნა დაშვებული პრეზიდენტის მიერ ინიცირებულ დიალოგში. მხოლოდ 2022 წლის გაზაფხულზე, მას შემდეგ, რაც მსოფლიო სავალუტო ფონდმა აუცილებელ პირობად დასვა გაფართოებული სოციალური დიალოგი ფინანსური დახმარების გამოყოფის სანაცვლოდ, პრეზიდენტმა ნაწილობრივ შეცვალა იანვარში მიღებული გადაწყვეტილება და

[83] **Sarah Feuer, Grant Rumley, Ben Fishman, Aaron Y. Zelin -** Political Uncertainty Deepens in Tunisia / The Washington institute fo near east policy. Aug 31, 2021. Accessed 26 July, 2022. At web page: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/political-uncertainty-deepens-tunisia?fbclid=IwAR1X7E7TC2BBgiUK7_fbMBaQYGsmaGr8N81G87pOnp6KTvP9jgq5ZOIK0c0

მიმართა დამსაქმებელთა ეროვნულ კავშირს, რათა ეს უკანასკნელი პროცესებში ჩართულიყო.[84]

2022 წლს თებერვლიდან პრეზიდენმა საიდმა კიდევ მეტად მოახდინა ძალაუფლების უზურპაცია. დაითხოვა უმაღლესი სასამართლო საბჭო, შემდეგ გამოსცა განკარგულება აღნიშნული სტრუქტურის დროებით შექმნის შესახებ და დაიტოვა უფლება, რათა ამა თუ იმ გზით გავლენა ჰქონოდა წევრების არჩევასა და დანიშვნაზე. მარტის ბოლოს, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა იშვიათი ერთსულოვნება გამოიჩინა და ონლაინსხდომაზე ერთხმად დაუჭირა მხარი საგანგებო მდგომარეობის გაუქმებას, პრეზიდენტმა კაისმა პარლამენტი ბოლომდე დაითხოვა, რასაც მოჰყვა პარლამენტის ზოგიერთი წევრის მიმართ გამოძიების დაწყება-დადაპატიმრება, რომელთა შორისაც იყო *„ან-ნაჰდას“* ლიდერი და პარლამენტის სპიკერი რაშიდ ღანუში.[85]

ოპონენტების პოლიტიკური დევნა და დემოკრატიული პრონციპების რღვევა მხოლოდ ზემოთ აღნიშნული ფაქტებით არ შემოიფარგლებოდა. თუნისში სიტუაცია თანდათან ემსგავსებოდა მანამდე, ეგვიპტეში (2013 წლიდან) განვითარებულ მოვლენებს. საუბარია ერთპიროვნული მმართველობისა და პოლიტიკური ტერორის დამკვიდრების მცდელობებზე. 2021 წლის ივლისიდან 2022 წლის გაზაფხულამდე ქვეყანაში არ იყო დანიშნული პრემიერ-მინისტრი და არ არსებობდა ჩამოყალიბებული ეკონომიკური დღის წესრიგი. ამის ნაცვლად მიმდინარეობდა კორუმპირებულ ბიზნესმენთა და პოლიტიკოსთა დევნა, რასაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერდა. ქვეყნის პრეზიდენტი ასევე არ ჩქარობდა იმ რეფორმების გატარებას, რომელთა მეშვეობითაც ეკონომიკური პრობლემების გადასაჭრელად

---

[84] Ennahda: Before and After the Coup in Tunisia - A Conversation with Andrew F. March, Organized and edited by David Siddhartha Patel. // Brandies University, Crown Center for Middle East Studies. July 8, 2022. Accessed 26 July, 2022. At web page https://www.brandeis.edu/crown/publications/crown-conversations/cc-14.html?fbclid=IwAR30EPs8Hh8u1KKYwB3UaK2PEO-t7oFBgnRaPrRStUJQEUDkE7hKCh_qekI
Chiraz Arbi. Kais Saied's Resolute Strategy to Uproot Tunisia's Post-2011 Governance Model / The Washington institute for Near East policy. May 24, 2022. Accessed 27 July, 2022. At web page: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/kais-saieds-resolute-strategy-uproot-tunisias-post-2011-governance-model?fbclid=IwAR2-__6exVfnSavZIFklbXIgbtr2ouuBxbGIDL3S4Omu9G_eUg1nPViETpw

[85] 2022 წლის 19 ივლისს, ახალი კონსტიტუციის მხარდამჭერ რეფერენდუმამდე ერთი კვირით ადრე, 81 წლის რაშიდ ღანუშის ფულის გათეთრების საქმესთან დაკავშირებული 10 საათიანი მოსმენის შემდეგ, *„ან-ნაჰდას“* ლიდერს სახლში დაბრუნების უფლება მისცეს.
Tunisian judge lets Rached Ghannouchi leave after court hearing. // "Al-Jazeera" 19 July, 2022. Accessed 28 Jyl, 2022. At web page: https://www.aljazeera.com/news/2022/7/19/tunisian-court-opens-hearing-into-ghannouchi-charges

შესაძლებელი გახდებოდა მსოფლიო სავალუტო ფონდისგან თუნისისთვის 4 მილიარდი დოლარის გამოყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ამ სტრუქტურის მანდატით შემოთავაზებული რეფორმები პოპულარობით არ სარგებლობდა, არსებობდა მოსაზრებები, რომ კაის საიდი აქტვიებისა და ფინანსების მოზიდვას საუდის არაბეთიდან უფრო ესწრაფოდა. რაც შეეხება ადამიანის უფლებებს, ხელისუფლება აპატიმრებდა პრეზიდენტის მიმართ კრიტიკულად განწყობილ პირებს, მოგზაურობას უკრძალავდა ბიზნესმენებს, პოლიტიკოსებსა და მოსამართლეებს. გახშირდა რეპრსიები და ჟურნალსტებისა და აქტივისტების დაუსაბუთებელი დაპატიმრებები, პოლიტიკური ოპონენტების გატაცებები და შინაპატიმრობაში აყვანა, სამოქალაქო პირების გასამართლება სამხედრო სასამართლოების მიერ. ამას გარდა, პრეზიდენტმა ცალმხრივად შეცვალა 2022 წლის დეკემბერში ჩანიშნული საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების წესები. ამომრჩევლებს შეეძლებათ ხმა მისცენ მხოლოდ ცალკეულ პირებს და არა სიებით წარდგენილ კანდიდატებს. 2022 წლის აპრილში გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც ცვლილება შედიოდა დამოუკიდებელ საარჩევნო კომისიაში, რაც პრეზიდენტს ანიჭებდა უფლებას, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით საარჩევნო კომისიის 7 წევრიდან 6 აერჩია თავად და ამ ორგანოს ხელმძღვანელიც მასვე დაენიშნა.[86]

თუნისის შერყეული დემოკრატიის მიმართ ევროკავშირს ძალზე რბილი რეაქცია ჰქონდა და კაის სიდის მიერ გადაგმული პოლიტიკური ნაბიჯი ოფიციალურად არ შეუფასებია გადატრიალებად. მოვლენათა განვითარების დინამიკაზე დაკვირვების შედეგად, მიგვაჩნია, რომ ევროკავშირის ამგვარ დამოკიდებულებას სწორად აფასებს „კარნეგის ფონდის“ პოლიტიკურ საქმეთა ანალიტიკოსი უსეფ შარიფი. მისი აზრით, ასეთი განწყობა გამოწვეული იყო იმით, რომ თუნისელთა არცთუ მცირე ნაწილი, ერთი მხრივ, კაის საიდს როგორც მხსნელს, ისე აღიქვამდა და, მეორე მხრივ, ძალზე იმედგაცრუებული იყო დათხოვნილი

[86] **Sarah Feuer, Grant Rumley, Ben Fishman, Aaron Y. Zelin** - Political Uncertainty Deepens in Tunisia / the Washington institute for near east policy. Aug 31, 2021. Accessed 26 July, 2022. At web page: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/political-uncertainty-deepens-tunisia?fbclid=IwAR1X7E7TC2BBgiUK7_fbMBaQYGsmaGr8N81G87pOnp6KTvP9jgq5ZOIK0c0
Sabina Henneberg. Promoting Stability and Reform in Tunisia / The Washington institute fo near east policy. May 3, 2022. Accessed 27 July, 2022. At web page: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/promoting-stability-and-reform-tunisia?fbclid=IwAR1Tw-pr2ASRcTCrzX1JIMiEnGIyBqyUt-NOX3Ufg0IKmSJyYNv4BVLlj64

მთავრობის საქმიანობით, მათი მხარდაჭერა კი ქვეყნის მოსახლეობის საკმაო ნაწილის თვალში რეპუტაციის შელახვის მეტს არაფერს მოუტანდა ევროკავშირს.

ამ ორგანიზაციის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა საკითხებსა და უსაფრთხოების პოლიტიკაში, ჟოზეფ ბორელმა, ქვეყნის პრეზიდენტთან ვიზიტი 2021 წლის 10 სექტემბერს, თვე-ნახევრის შემდეგ გამართა მაშინ, როდესაც 3 ივლისს თუნისს ესტუმრა საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეგვიპტის - 3 აგვისტოს და საამიროების წარმომადგენელი - 7 აგვისტოს. 2021 წლის ივლისიდან დეკემბრამდე სატელეფონო საუბრები არ შემდგარა თუნისის პრეზიდენტსა და ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლეიენს შორის. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკავშირის ზემოთ აღწერილი რეაქცია 2021 წლის ოქტომბრიდან მკაფიოდ შეიცვალა. ევროპარლამენტმა მიიღო მკვეთრად ფორმულირებული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მოუწოდებდნენ თუნისს შემობრუნებულიყო დემოკრატიისკენ და აღნიშნული დოკუმენტით მიანიშნებდა ხელისუფლებას, ქვეყნისთვის აერიდებინა საგარეო ჩარევა შემდეგი სახელმწიფოებისგან: საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საამიროები და ეგვიპტე. ჟოზეფ ბორელმა და ევროსაბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა კაის საიდისგან მოითხოვეს საგზაო რუკის შემუშავება, რომლის მიხევითაც ქვეყანა დაბრუნდებოდა დემოკრატიის განვითარების გზაზე.[87]

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, მას უკანასკნელ პერიოდში თუნისისთვის ეკონომიკური მხარდაჭერის, კერძო სექტორის და სატრანსპორტო ქსელის განვითარების მიზნით 1,4 მილიარდი დოლარი აქვს გამოყოფილი და ასევე ძალზე მნიშვნელოვანია, რა მდგომარეობაში აღმოჩნდება დემოკრატიული პროცესების განვითარება ამ ქვეყანაში. [88]

2022 წლის 25 ივლისს ჩატარებული რეფერენდუმით დამტკიცდა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია, რომელიც განუსაზღვრელ ძალაუფლებას ანიჭებს პრეზიდენტ საიდს.

---

[87] **Youssef Cherif.** Has the EU Failed Democratic Tunisia? / Carnegie Endowment for International Peace. 16 December, 2021. Accessed July27, 2022. At web page: https://carnegieendowment.org/2021/12/16/has-eu-failed-democratic-tunisia-pub-85946?fbclid=IwAR3PCPe-NSaGZhh0hYbO5Fc0cp3ZJ9hszJ-bz_d0oZrzTZEw5jOjTdcmluk

[88] **Sarah Feuer, Grant Rumley, Ben Fishman, Aaron Y. Zelin** - Political Uncertainty Deepens in Tunisia / the Washington institute for near east policy. Aug 31, 2021. Accessed 26 July, 2022. At web page: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/political-uncertainty-deepens-tunisia?fbclid=IwAR1X7E7TC2BBgiUK7_fbMBaQYGsmaGr8N81G87pOnp6KTvP9jgq5ZOIK0c0

ახალი ტექსტის მიხედვით, ქვეყნის პრეზიდენტი ხდება შეიარაღებული ძალების მეთაური, შეუძლია დანიშნოს მთავრობა პარლამენტის თანმხობის გარეშე, რაც პრეზიდენტის თანამდებობიდან ჩამოშორებას კანონიერი გზით შეუძლებელს ხდის. ქვეყნის მეთაურს ასევე შეუძლია პარლამენტში წარადგინოს კანონ-პროექტები, რომელთაც უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი. რაოდენობისა და ხარისხის ბაზების გამომთვლელი კვლევითი ჯგუფის „Sigma Conseil-ის“ მიხედვით, რეფერენდუმში მონაწილეთა 92-93%-მა მხარი დაუჭირა ქვეყნის ახალ კონსტიტუციას. მონაწილეობის მიმღებთა მინიმალური ზღვარი არ იყო დაწესებული, საარჩევნო კომისიამ წინასწარი მონაცემების საფუძველზე აქტივობის 27,5% დააფიქსირა. 9,3 მილიონი დარეგისტრირებული ამომრჩევლიდან დაახლოებით მესამედმა მიიღო მონაწილეობა რეფერენდუმში. ოპოზიციურმა პარტიებმა რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადეს და მოგვიანებით ხელისუფლებას და საარჩევნო კომისიას ხმების გაყალბებაში დასდეს ბრალი.[89] აღნიშნულის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გავუსვათ ერთ გარემოებას: ისევე, როგორც თავის დროზე არჩევნებზე აქტივობის მიხედვით ისლამისტები არ წარმოდგენდნენ თუნისელთა უმრავლესობის არჩევანს, ანალოგიური სურათი იკვეთება საიდ კაისის შემთხვევაშიც. ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა აპათიური თუ არა, ნეიტრალურია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიმართ. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუნისი, როგორც „არაბული გაზაფხულით“ მოტანილი დემოკრატიის პრეცედენტი სერიოზული კითხვის ნიშნისა და გამოცდის წინაშე დგას.

---

[89] **Martin Chulov.** Tunisia referendum approves expansion of president's powers – officials // *„The Guardian" ,* 27 July, 2022. Accessed 28 July, 2022. At web page: https://www.theguardian.com/world/2022/jul/26/tunisia-president-referendum-result-new-phase-kais-saied
Tunisia approves new constitution in vote with low turnout. // *"France 24",* 26 July, 2022. Accessed 28 July, 2022. At web page: https://www.france24.com/en/africa/20220726-tunisian-president-hails-constitutional-referendum-set-to-boost-executive-power

Tunisians Back New Constitution in Early Results, but Turnout Just 25%. // *"Vaoanews",* 25 July, 2025. Accessed 28 July, 2022. At web page: https://www.voanews.com/a/tunisians-back-new-constitution-in-early-results-but-turnout-just-25-/6673459.html

1.3. სამხედროების როლი ძველი რეჟიმის პირობებსა და პოსტრევოლუციურ თუნისში

თუნისის შეიარაღებულ ძალებზე საჭირო ინფორმაცია, ეგვიპტისა და სირიისგან განსხვავებით, ძალზე მცირეა. თუმცა ხელმისაწვდომი მასალების დამუშავების შემდეგ შესაძლებელი გახდა დამატებითი დასკვნების გამოტანა იმის შესახებ, თუ რამ განაპირობა გარკვეული სახის მსგავსებებთან ერთად, თუნისის „არაბული გაზაფხულის“ როგორც რევოლუციის, ისე მის შემდგომ პერიოდში მოვლენათა განსხვავებული სცენარით განვითარება, რაც, ბუნებრივია, დაკავშირებულია სამხედროებთან.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის, რომ საპროტესტო აქციების დაწყებიდან უმოკლეს დროში ზინ ალ-აბიდინ ბინ ალის პოსტიდან გადადგომის და შემდგომ მის მიერ ქვეყნის დატოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ თუნისის გაერთიანებული შტაბის მეთაურის, გენერალ რაშიდ ბინ ამარის დაქვემდებარებაში მყოფმა შეიარაღებულმა ძალებმა არ დაიცვეს რეჟიმი.[90] აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ „არაბული გაზაფხულის“ შედეგად ქვეყანაში მომხდარი რევოლუციის დროს არ დაიცვეს პრეზიდენტი ჰუსნი მუბარაქი, რის გამოც მას პოსტიდან გადადგომა მოუწია. ბინ ალისაგან განსხვავებით, მუბარაქს ეგვიპტე არ დაუტოვებია. ის დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს. მოგვიანებით ეგვიპტის ექსპრეზიდენტი გაამართლეს და გაათავისუფლეს სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე.[91]

აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა: არაბული ქვეყნების სპეციფიკის გათვალისწინებით, ასევე ეგვიპტისა და სირიის მაგალითზე, რა იყო განმასხვავებელი მიზეზები იმისა, რის გამოც მიიღეს აღნიშნული გადაწყვეტილება თუნისელმა სამხედროებმა?

ამ მოვლენებში პირველი და უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ სხვა არაბულ ქვეყნებთან შედარებით, თუნისის შეიარაღებული ძალები მცირერიცხოვან

---

[90] **Marwan Bishara.** The Invisible Arab, გვ. 116-117.
John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll. Islam and Democracy after the Arab Spring, გვ. 175.
[91] **Ruth Michaleson.** Hosni Mubarak: Egypt's toppled dictator freed after six years in custody. // *"Guardian",* March 20017, accessed July 4, 2021 at web page
https://www.theguardian.com/world/2017/mar/24/hosni-mubarak-returns-to-cairo-home-after-six-years-in-custody

ძალას წარმოადგენდა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, კონკრეტულად ბურგიბას მმართველობის დროს, თუნისის არმიაში შედიოდა ბეილიქის გვარდიის მემკვიდრე - 850, საფრანგეთის არმიის - 1500 და გაწვეული 3000 ჯარისკაცი.[92] ბინ ალის მმართველობის პერიოდში კი 11-მილიონიანი ქვეყნის თავდაცვის ძალებში 40 500 სამხედრო პირი მსახურობდა, ხოლო თავდაცვის ხარჯები, სხვადასხვა მონაცემებით, 1956 წლიდან 2010 წლამდე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 0,5%-დან 2%-მდე მერყეობდა.[93] დაბალბიუჯეტიანი შეიარაღებული ძალები პრეზიდენტების, ბურგიბას და ბინ ალის, მმართველობის პერიოდში არ ფლობდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ბერკეტებს. შესაბამისად, სამხედროებს არასოდეს გასჩენიათ რეჟიმთან რაიმე სახის მჭიდრო კონტაქტის სურვილი. ჰაბიბ ბურგიბა მაქსიმალურად ცდილობდა, თავიდან აეცილებინა 1950-იან წლებში მთელი რეგიონის მასშტაბით გავრცელებული სამხედრო გადატრიალებები და ამის გამო მაქსიმალური ძალისხმევა გასწია იმისათვის, რომ თუნისელი სამხედროებისთვის ანალოგიურის გაკეთების საშუალება არ მიეცა. მისი ამოცანა იმანაც გააიოლა, რომ თუნისის შეიარაღებული ძალები შეიქმნა ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და არ არსებობდა კოლონიური პერიოდიდან მემკვიდრეობით გადმოსული ეროვნული არმია, როგორც ეგვიპტეში. რაც შეეხება ეგვიპტეს, ამ ქვეყნის არმია თუნისის შეიარაღებული ძალებისაგან განსხვავებით, ბევრად პოლიტიზირებული იყო ჯერ კიდევ მამლუქების პერიოდიდან მოყოლებული. რაოდენობის მხრივ კი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ეგვიპტის არმია ბევრად მრავალრიცხოვანი იყო თუნისისგან განსხვავებით. ეგვიპტეში სამხედრო გადატრიალებების თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. ამ ქვეყნის არმიის აქტივობის შედეგად ორჯერ მოხდა (პირველად 1952 წელს - „თავისუფალი ოფიცრების“ მიერ მონარქიის დამხობა.

---

[92] თუნისის ბეილიქი - XVII საუკუნეში თუნისში აღმოცენდა ცენტრალიზებული დინასტიური სახელმწიო, რომელსაც მართავდა ოსმალეთის რეგენტი. ეს ნიშნავდა იმას, რომ ამ სახელმწიფოს მმართველებმა შეძლეს მონარქიული სტრუქტურისა და სოსტემის ფორმირება, რომელიც იმავე დროს თეორიულად რჩებოდა ოსმალეთის იმპერიისა და მისი სულთნების სუბიექტად.
Dalenda Largueche, Julia Clancy-Smith & Caroline Audet. The Mahalla: The Origins of Beylical Sovereignty in Ottoman Tunisia during the Early Modern Period. // “The Journal of North African Studies” *Vol. 6,* 2011. https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13629380108718423?journalCode=fnas20

[93] **Sharan Grewal.** A Quiet Revolution: The Tunisian Military after Ben Ali. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* February 2016, accessed July 4, 2021 at web page https://carnegieendowment.org/2016/02/24/quiet-revolution-tunisian-military-after-ben-ali-pub-62780
Tunisia Military Spending/Defense Budget 1960-2021. – *Macrodrents,* accesed July 4, 2021 at web page https://www.macrotrends.net/countries/TUN/tunisia/military-spending-defense-budget

მეორედ 2013 წელს - მუჰამმად მურსის პოსტიდან გადაყენება სამხედრო საბჭოს აქტიური ჩარევის შედეგად) სამხედრო გადატრიალება. სირიის შემთხვევაში კი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ჰაფიზ ალ-ასადის ხელისუფლებაში მოსვლამდე სამხედრო გადატრიალებების მთელ სერია იყო. ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობიდან მოყოლებული სირიის არმიაც ძალზე პოლიტიზირებული იყო და აღნიშნული სტრუქტურა შეერწყა ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ აპარატს.

თუნისის პირველი პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში ბიუჯეტის 40-50% განათლებასა და სოციალური მომსახურების სფეროებში იხარჯებოდა. აქედან ძალზე მცირე ნაწილი იყო გამოყოფილი არმიისთვის.[94] ბურგიბა თუნისის უსაფრთხოების დაცვას მოკავშირეების გაჩენითა და დიპლომატიით ამჯობინებდა, ვიდრე სამხედრო ძალით. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ოფიცრებსა და ჯარისკაცებს აკრძალული ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობა და პოლიტიკურ პარტიებში გაწევრიანება. ეგვიპტის არმიის ფინანსები ბევრად სჭარბობდა თუნისისას, აღნიშნული არმია ჯერ საბჭოთა - , შემდეგ კი აშშ-ის შეიარაღებით მარაგდებოდა. სამხედრო შენაძენებისთვის გამოყოფილი იყო სოლიდური თანხები. გარდა ამისა, ეგვიპტის არმია კემპ-დევიდის შეთანხმების[95] შემდეგ აშშ-ისგან ყოველწლიურად იღებს საკმაოდ დიდ თანხებს. სირიის შემთხვევაშიც, იარაღის შესყიდვასა და სამხედრო პირების სოციალური პრივილეგიებისთვის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის სოლიდური ნაწილი იყო მიმართული. თუნისის მსგავსად, ამ ორ ქვეყანაშიც სამხედროები არჩევნებში არ მონაწილეობენ.

1978-1984 წლებში საყოველთაო პროფკავშირების მიერ მოწყობილმა გაფიცვებმა, ლიბიისგან მხარდაჭერილმა აჯანყებამ და პურის უკმარისობით გამოწვეულმა საპროტესტო აქციებმა აიძულა ბურგიბა, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციაზე ეზრუნა. აქედან დაიწყო ზინ ალ-აბიდინ ბინ ალის კარიერული აღმასვლაც. ბინ ალიმ დაამთავრა სან-სიროს სამხედრო აკადემია საფრანგეთში, ასევე გაიარა უსაფრთხოებისა და დაზვერვის კურსი აშშ-ში. კარიერის დასაწყისში

[94] **Sharan Grewal.** A Quiet Revolution: The Tunisian Military after Ben Ali (ელექტრონული ვერსია). https://carnegieendowment.org/2016/02/24/quiet-revolution-tunisian-military-after-ben-ali-pub-62780

[95] Milstones 1977-1980 - Camp David Accords and the Arab-Israeli Peace Process. - *Office of the Historian*, accessed July 4, 2021 at web page https://history.state.gov/milestones/1977-1980/camp-david

მსახურობდა სამხედრო დაზვერვაში. 1964 წელს სათავეში ედგა სამხედრო უსაფრთხოების სამსახურს, 1977 წლიდან მუშაობა დაიწყო ნაციონალური უსაფრთხოების გენერალურ დირექტორად შინაგან საქმეთა სამინისტროში, 1980 წელს მიავლინეს ელჩად პოლონეთში, 1984 წელს დაიკავა ეროვნული უსაფრთხოების გენერალური მდივნის პოსტი, 1986 წელს შინაგან საქმეთა მინისტრის - და 1987 წელს პრემიერის პოსტი. იმავე წლის ნოემბერში ბინ ალიმ ხავერდოვანი რევოლუცია მოუწყო ჰაბიბ ბურგიბას.[96]

მისი სამხედრო კარიერიდან გამომდინარე, ქვეყნის პრეზიდენტად გახდომის შემდეგ იგი წინა პრეზიდენტთან შედარებით მეტ ყურადღებას უთმობდა შეიარაღებულ ძალებს. აწინაურებდა მის ერთგულ ოფიცრებს სამხედრო, უსაფრთხოების სამსახურების და სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა თანამდებობებზე. ასეთი მიდგომა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდან პრეზიდენტის ასეთმა ნაბიჯებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გახსნეს გადატრიალების საქმე, რომლის მიხედვითაც სამხედრო ოფიცრები და *„ან-ნაჰდა“* გეგმავდნენ გადატრიალებას, რაც საბოლოოდ არ აღმოჩნდა სიმართლე, თუმცა ბინ ალის ნდობა შეიარაღებული ძალების მიმართ მალე შეირყა და მომდევნო წლებში ისევ უყურადღებოდ დარჩა სამხედრო სფერო. ახალი შეიარაღება, ფინანსები და სხვა წახალისებები ძირითადად ვრცელდებოდა შსს-სა და პოლიციის აპარატზე, რამაც საბოლოოდ ქვეყანა პოლიციურ სახელმწიფოდ აქცია.[97]

---

[96] **Sharan Grewal.** A Quiet Revolution: The Tunisian Military after Ben Ali (ელექტრონული ვერსია). https://carnegieendowment.org/2016/02/24/quiet-revolution-tunisian-military-after-ben-ali-pub-62780

[97] **Risa Brooks.** Abandoned at the Palace: Why the Tunisian Military Defected from the Ben Ali Regime in January 2011. // *"Journal of Strategic Studies",* 2013. Accessed July 4, 2021 at web page http://www.jonathanmpowell.com/uploads/2/9/9/2/2992308/brooks_2013jss_-_abandoned_at_the_palace_-_why_the_tunisian_military_defected_from_the_ben_ali_regime.pdf

თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ბინ ალის ჰყავდა 5-6 ათასიანი სათანადოდ აღჭურვილი და კარგად გაწვრთნილი ძლიერი პირადი გვარდია, რომელიც პრეზიდენტის ერთგული დარჩა მაშინაც კი, როდესაც რეჟიმის საწინააღმდეგო აქციებმა პიკს მიაღწიეს ქვეყანაში. 14 იანვარს ბინ ალის მიერ ქვეყნის დატოვების თანავე სამხედროებს და პოლიციის ცალკეული ჯგუფებს აღნიშნულ გვარდიასთან ინტენსიური შეტაკებები და ურთერთსროლა უწევდათ, ვინაიდან მათი წევრები ბინ ალის რეჟიმის მიერ გადაბირებულ დაქირავებულ მებრძოლებთან ერთად ძარცვავდნენ ქალაქებს და ძალადობდნენ ხალხზე. 2017-2020 წლებში West Point-ის თანამედროვე ომის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის და პოლიტოლოგიის პროფესორის რისა ბრუკსის აზრით ასეთი ქცევა ყოფილი რეჟიმის სტრატეგიის ნაწილი იყო, მიმართული იმისკენ, რომ დათესილი ქაოსის ნიადაგზე ექს-პრეზიდენტის დაბრუნებისთვის ნიადაგი მოემზადებინათ.

Risa Brooks. Armies and insurgencies In the Arab Spring, Edited by Holger Albrecht, Aurel Croissant, and Fred H. Lawson. PENN: Univesity of Pennssylvania press Philadelphia, 2016. გვ. 208.

ეგვიპტის არმიის მოდერნიზება დაიწყო მონარქიის დამხობიდან, რაშიც ლომის წვლილი სწორედ სამხედროებს მიუძღვით. ამ ქვეყანაში ხელისუფლება 1952 წლიდან ახალგაზრდა ოფიცრებმა აიღეს ხელში. ეგვიპტის პირველი პრეზიდენტი ნაგიბი სამხედრო წრიდან იყო (1953-1954 წ.).[98] ქვეყნის მეორე პრეზიდენტი გამალ აბდ ან-ნასირიც ახალგაზრდა ოფიცერთაგანი იყო (1953-1970 წ.). ან-ნასირის პრეზიდენტობამ მნიშვნელოვანი კვალი არა მარტო ეგვიპტეზე, არამედ მთელ რეგიონზე დატოვა. ნასირიზმი იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენი მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბდ ან-ნასირმა ეგვიპტეში სათავე დაუდო ავტოკრატულ მმართველობას, რომელიც მიუხედავად „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეული რევოლუციისა, დღემდე გრძელდება.

სირიაში პოლიტიზირებული არმიის მოდერნიზება ჰაფიზ ალ-ასადის დროიდან იწყება. მისი პერიოდიდან დღემდე არმია მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცებისა და ოფიცრების ნაწილი ჯერ კიდევ საპროტესტო გამოსვლების საწყის პერიოდში აჯანყებულების მხარეს გადავიდა, მაინც რეჟიმის ერთ-ერთ საიმედო დასაყრდენს წარმოადგენს, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებაში დარჩენა, მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე თითქმის ათწლიანი სამოქალაქო ომისა.

თუნისში რევოლუციის შემდეგ არმიასა და პოლიციას შორის ძალთა ბალანსმა ცვლილება დაიწყო. უსაფრთხოების საკითხებში სერიოზული გამოწვევების გაჩენამ თუნისის პოსტრევოლუციური ლიდერები აიძულა, შეიარაღებული ძალების გაძლიერებაზე ეზრუნათ. 2016 წლის მონაცემებით, 2011 წლიდან თავდაცვის ბიუჯეტი სხვა სამინისტროებისგან განსხვავებით, ყოველწლიურად იზრდებოდა 21%-ით. სამხედროები სტაბილურად სარგებლობდნენ ახალი შეიარაღების მიღებასთან დაკავშირებული კონტრაქტებითა და საერთაშორისო პარტნიორობით მიღებული ბენეფიტებით. განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატებისგან, რომელმაც 2015 წლისთვის სამჯერ გაზარდა სამხედრო დახმარება თუნისისთვის. არმიის სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას მოჰყვა მისი პოლიტიკური

[98] **Amr Salahi.** Egypt's history of erasing presidents from Mohamed Naguib to Mohamed Morsi. // *"The New Arab",* July 2019, accessed July 4, at web page https://english.alaraby.co.uk/analysis/egypts-history-erasing-presidents-naguib-morsi

გავლენის ზრდაც. „სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის“ მონაცემების მიხედვით, თუნისის სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც 2012 წელს შეადგენდა 666 მილიონ დოლარს, 2020 წლისთვის 1,14 მილიარდს მიაღწია, აქედან 65-95 მილიონი დოლარი ბოლო 5 წელიწადში ვაშინგტონის მიერ გამოყოფილ სამხედრო დახმარებაზე მოდიოდა. 2015 წელს აშშ-მ თუნისი ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის მთავარ მოკავშირედ დაასახელა.[99] მას შემდეგ, რაც თუნისი („არაბული გაზაფხულის“ შედეგად) საპარლამენტო მმართველობაზე გადავიდა, შეიარაღებული ძალები წინა ავტოკრატი პრეზიდენტების პერსონალური დაქვემდებარებიდან ქვეყნის ახალი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ერთობლივ განკარგულებაში აღმოჩნდა. შეიარაღებული ძალების კონტროლისთვის პრეზიდენტისა და პრემიერის ინსტიტუციურმა დაპირისპირებამ კი გამოიწვია ის, რომ ორივე მათგანმა შექმნა ცალკე უშიშროების საბჭო და დაინიშნეს სამხედრო მრჩევლები. ყოველივე ამას მოჰყვა სამხედროების როლის გაძლიერება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში.

თუნისში სამხედროების როლის ზრდის კიდევ ერთი ინდიკატორი გახდა მათი წრიდან გამოსული პირების სამოქალაქო პოზიციებზე დანიშვნა. ბინ ალის 23-წლიანი მმართველობის პერიოდში მხოლოდ ერთი სამხედრო პირი იყო დანიშნული ერთ-ერთი პროვინციის გუბერნატორად. რევოლუციიდან 5 წლის განმავლობაში კი საერთო ჯამში 11-მა მოქმედმა და გადამდგარმა სამხედრო პირმა დაიკავა გუბერნატორის პოსტები ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთ თანამდებობებზე ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი სამხედრო პირები ინიშნებოდნენ. 2014 წელს კი გადამდგარმა ოფიცრებმა უზრუნველყვეს ახალი კონსტიტუციის შემუშავების ხელმძღვანელობა და პრეზიდენტობის კანდიდატებს კონსულტაციებს უწევდნენ თავდაცვის პოლიტიკაში. 2017 წელს პარტია *„ნიდა᾽ა თუნისმა“* პარლამენტში მოახდინა საკითხის ინიცირება სამხედროებისთვის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით. საბოლოოდ კანონი დამტკიცდა 144 ხმით 11-ის წინააღმდეგ, 3-მა

[99] **Sarah Feuer, Grant Rumley, Ben Fishman, Aaron Y. Zelin** - Political Uncertainty Deepens in Tunisia / The Washington institute fo near east policy. Aug 31, 2021. Accessed 26 July, 2022. At web page: https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/political-uncertainty-deepens-tunisia?fbclid=IwAR1X7E7TC2BBgiUK7_fbMBaQYGsmaGr8N81G87pOnp6KTvP9jgq5ZOIK0c0

თავი შეიკავა. შედეგად შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს მხოლოდ ადგილობრივ და არა საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდათ. ქვეყნის საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემების თანახმად, 36,495 დარეგისტრირებული უშიშროების და სამხედრო პერსონალიდან არჩევნებში მონაწილეობა 4,249 პირმა მიიღო. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად დაბალი აქტივობისა, საბოლოო ჯამში სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმაც განაპირობა კაის საიდის ე.წ. გადატრიალების მიმართ თუნისელი სამხედროების მხარდაჭერა, როდესაც სამხედროებმა პრემიერ-მინისტრ მეჩიჩის ოფისის და პარლამენტის შენობის ტანკებით ბლოკირება მოახდინეს პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე.[100]

ეგვიპტის დღევანდელი პრეზიდენტი აბდ ალ-ფათაჰ ას-სისიც სამხედრო წრიდანაა გამოსული, რომელმაც თავისი უახლოესი გარემოცვა სამხედრო აკადემიაში სწავლისა და არმიაში სამსახურის დროს შეძენილი მეგობრებითა და ნათესავებით დააკომპლექტა.[101] მას შემდეგ, რაც გადატრიალების გზით ხელისუფლებას ჩამოაშორეს „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთი ლიდერთაგანი, ეგვიპტის პრეზიდენტი მუჰამმად მურსი, ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ას-სისიმ აიღო და სამხედრო საბჭოსთან ერთად მართავს ქვეყანას. აქედან ჩანს, რომ სამხედროების გავლენა ეგვიპტეში კვლავინდებურად საკმაოდ ძლიერია.

სირიაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლების შეუცვლელობა სხვა გარემოებებთან ერთად, სამხედროების დამსახურებაცაა. აღნიშნული სტრუქტურა, გამომდინარე იქიდან, რომ მისი მმართველი რგოლები დაკომპლექტებულია შიიტი-ალავიტებისა და შერეული სუნიტურ-შიიტური ოჯახებიდან გამოსული ოფიცრებით,

---

[100] **Sharan Grewal.** How Tunisia’s military has changed during its transition to democracy. // *“Wachington post”, 2016, accessed July 4, 2021 at web page*
https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2016/03/08/how-tunisias-military-has-changed-during-its-transition-to-democracy/
Daniel Silverman. The Arab Military in the Arab Spring: Agent of Continuity of Change? A Comparative Analysis of Tunisia, Egypt, Libya, and Syria. // *The Ohio State University*, 2012. Accessed July 4, 2021 at web page
https://www.polisci.osu.edu/sites/polisci.osu.edu/files/Silverman%20CPRW%202012.pdf გვ. 21-24.
Amel Al-hilali. Tunisia's military votes for first time in 62 years. // *“Al-Monitor”.* 11 May, 2018. Accessed 28 July, 2022. At web page: https://www.al-monitor.com/originals/2018/05/tunisian-military-staff-cast-ballots-first-time-elections.html
Radwan A. Masmoudi. Keep Tunisia’s Military out of Politics. / *“Foreignpolicy”.* 2 September, 2021. Accessed 28 July, 2022. At web page: https://foreignpolicy.com/2021/09/02/unisia-kais-saied-constitution-coup-parliament-suspension-military-apolitical/

[101] **ს. გურეშიძე.** ეგვიპტე გზაგასაყარზე. // „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“. N4, 2013, გვ. 26-29. Accessed July 4, 2021 at web page
https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf

სირიაში სამოქალაქო ომისგან შექმნილი სიტუაციის გამო სხვა ალტერნატივაც კი არ ჩანს, რომ შეიარაღებული ძალები რეჟიმისადმი ლიალურად განწყობილები არ იყვნენ.

თავი II. ეგვიპტური "არაბული გაზაფხული" – ისლამისტების მოსვლა ხელისუფლებაში და მათი კრახის მიზეზები

2.1. ვითარება ეგვიპტეში "არაბული გაზაფხულის" წინ და ისლამისტების გააქტიურების წინაპირობები

ზოგადად, ახლო აღმოსავლეთში მოსახლეობის მხრიდან ბოლო ათწლეულებში დაწყებულ ისლამისტების მიმართ მზარდი სიმპათიების გამოხატვას მკვლევართა ნაწილი საბჭოთა კავშირის კოლაფსს და ამ მოვლენის შემდგომ გაჩენილ სიტუაციას უკავშირებს.[102] გავრცელებული მოსაზრებების თანახმად, ისლამური რადიკალიზმის „არაბული გაზაფხულით" გამოწვეული ბოლო ტალღა განაპირობა შემდგომმა ფაქტორებმა: „საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, XX საუკუნის 60-70-იან წლებში „ცივი ომის" დროს შექმნილმა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურმა არქიტექტურამ დაიწყო ეტაპობრივი ცვლილება. რეგიონში თანდათან ძლიერდებოდა აშშ-ის გავლენა, რადგან სწორედ ეს ქვეყანა ანაწილებდა როლებს თავის ევროპელ და აზიელ პარტნიორებს შორის" - აღნიშნავს ვლადიმერ ახმედოვი და იქვე განაგრძობს, რომ ამ პროცესმა ხელი შეუწყო ერთპოლუსიანი სამყაროს ფორმირების დასაწყისს. აქედან გამომდინარე, რეგიონის ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტას, ასევე რელიგიურ უმაღლეს პირებს მოუწიათ ახალ რეალობასთან შეგუება. ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნების საკმაოდ დიდი ნაწილის ხელისუფლებებმა გააცნობიერეს, რომ მასების ინერტულობიდან გამომდინარე, ისინი მოუმზადებლები იყვნენ და ვერ მოახერხებდნენ ცვლილებებისთვის ფეხის სწრაფად აწყობას. ახმედოვი ასევე ხაზს უსვამს, რომ მათ მიერ სწრაფი ადაპტაციისთვის გატარებული მცდელობები გამოირჩეოდა „რეაქციული" ხასიათით. დასავლეთის და შეერთებული შტატების გავლენა რეგიონში მიმდინარე პროცესებსა და ცვლილებებზე საერთო ჯამში მაინც

[102] **Владимир Ахмедов.** Роль Исламского Фактора., გვ. 7-12.
Маийкл Вайс, Хассан Хассан. Исламское Государство Армия Террора. Нью- Йорк, 2016.

ზედაპირული იყო.[103] მის ამ მოსაზრებას გარკვეულწილად ჩვენც ვიზიარებთ.

ახმედოვისავე აზრით, არ იგრძნობოდა სწრაფი პროგრესი რეგიონის რიგი ქვეყნების მოსახლეობის ცალკეულ ფენებში, რამაც გამოიწვია ანტიდასავლური პროტესტის ფორმირება. იზრდებოდა უნდობლობაც საკუთარი ხელისუფლებების მიმართა. შედეგად სულ უფრო ეცემოდა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ავტორიტეტი მასებში და ხელისუფლებების მიერ შეთავაზებული იდეოლოგიები მიუღებელი ხდებოდა. ამ იდეოლოგიურ ვაკუუმს კი ავსებდა ისლამისტური იდეები.[104]

ასეთი სახის შეფასება ახლო აღმოსავლეთში ისლამური რადიკალიზაციის ახალი ტალღის წარმოქმნის შესახებ რუსი მკვლევრისგან სავსებით ბუნებრივად მიგვაჩნია, მაგრამ საინტერესოა ის გარემოებაც, რომ აღნიშნულ ფენომენს დასავლელი და აღმოსავლელი მკვლევრებიც საბჭოთა კავშირის დაშლასა და ბიპოლარული სისტემის მოშლას უკავშირებენ. ჟურნალისტები მაიკლ ვაისი და ჰასან ჰასანი თავიანთ წიგნში „„ისლამური სახელმწიფო“ - ტერორის არმია“ აღნიშნავენ, რომ „ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუციური მოწყობა არ შეცვლილა I და II მსოფლიო ომების დასრულების შემდეგ განხორციელებული დეკოლონიზაციის ტალღის ფონზე და არც XX საუკუნის მეორე ნახევარში ფორმირებული ბიპოლარული სისტემის პერიოდში. ამ მოწყობას საფუძვლად ედო ინსტიტუციონალური სახელმწიფოების არსებობა (ზოგი მათგანი ხელოვნურად იქნა შექმნილი, ზოგიც ბუნებრივად წარმოიშვა: ერაყი, სირია, ლიბია, ლიბანი, ტრანსიორდანია-ს.გ.) და ავტორიტარული რეჟიმები. მათგან ნაწილი იმართებოდა აბსოლუტური მონარქიის პირობებში, ნაწილი კი რესპუბლიკად ჩამოყალიბდა.

„ცივი ომის“ დროინდელი ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის არსებობა ამყარებდა შემდეგი სახის მოდელს: „რეგიონის ქვეყნების ლიდერებს ჰქონდათ საშუალება სურვილისამებრ აერჩიათ ძლიერი მფარველები ქვეყნის გარედან და მათი პატრონაჟის ქვეშ შეეძლოთ გაეძლიერებინათ საკუთარი რეჟიმები. „ცივი ომის“ დასრულებამ არსებული სიტუაცია შეცვალა. მსოფლიოში და მთელს ახლო აღმოსავლეთში დომინირებდა მხოლოდ ერთი ქვეყანა - ამერიკის შეერთებული

[103] **Владимир Ахмедов.** Роль Исламского Фактора., გვ. 9-12.
[104] **Владимир Ахмедов.** Роль Исламского Фактора., გვ. 11-17.

შტატები“ - მათი აღნიშნული მოსაზრება სავსებით თანხვდება ვლადიმერ ახმედოვის შეხედულებებს.[105]

მიგვაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული მოსაზრებები არცთუ უსაფუძვლო და საკმაოდ ლოგიკურია, მაგრამ უფრო ზოგადი მიმოხილვაა იმ გამომწვევი მიზეზებისა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა კონკრეტულად ჩვენს საკვლევ ქვეყნებში – თუნისი, ეგვიპტე, სირია – რადიკალური და ექსტრემისტული ისლამის გაძლიერება “არაბულ გაზაფხულამდე” და მის შემდგომ პერიოდებში.

ეგვიპტის (როგორც დანარჩენი ქვეყნების) შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ მეტი დაზუსტება და დამატებითი ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო, ვინაიდან ამ ქვეყანაში ათწლეულების მანძილზე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის კოლაფსამდე, არსებობდა მთელი რიგი ფაქტორები. ზოგადად, რეგიონის ქვეყნების საკმაოდ დიდი ნაწილი მსგავსი მახასიათებლებით გამოირჩეოდა: უკიდურესი აზრთა სხვადასხვაობა, იმედგაცრუებული მოსახლეობა, არასტაბილურობა, ძალადობის საფრთხე, შიდა და საგარეო კონფლიქტები[106] - ეს საკმარისი იყო ამ ქვეყანაში ისლამისტთა გააქტიურებისთვის ნოყიერი ნიადაგის შესაქმნელად, რასაც პარალელურ რეჟიმში მოჰყვა ეგვიპტელი ხალხის დიდი ნაწილის გამოსვლა თაჰრირის მოედანზე (2011 წ.). შესაბამისად, არსებული ვითარების გაანალიზება პოსტსაბჭოთა პერიოდში შექმნილი სიტუაციიდან ვერ იქნება ამომწურავი.

ეგვიპტეში, ისევე როგორც თუნისში, 2011 წლის საპროტესტო გამოსვლები იყო ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მოსახლეობაში არსებული დაგროვილი უკმაყოფილების ამოხეთქვა[107], რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სექტორების წარმომადგენლები: ახალგაზრდული მოძრაობები, ასევე არასამთავრობო პოლიტიკური ჯგუფები. ხსენებულ აქტორებს აღარ შეეძლოთ უპერსპექტივო პირობებისა და ქვეყანაში დიდი ხნის მანძილზე არსებული ავტორიტარიზმის ატანა. პროტესტის მთავარი გამომწვევი მიზეზი, რომელსაც უცხოელ ექსპერტთა დიდი ნაწილი ემხრობა, იყო სოციალური პრობლემები, სახელმწიფო სტრუქტურებში გამეფებული კორუფცია, მატერიალური სიკეთეების

---

[105] **Маийкл Вайс, Хассан Хассан.** Исламское Государство., გვ. 9-11.
[106] **Marwan Bishara.** The Invisible Arab, გვ. 9.
[107] **Marwan Bishara.** The Invisible Arab, გვ. 90.

უსამართლოდ გადანაწილება, მკვეთრი გამიჯვნა მდიდრებსა და ღარიბებს შორის, უმუშევრობა, სოციალური დახმარების ინსტიტუტის განუვითარებლობა, მოსახლეობის განათლებული ნაწილისთვის კარიერული ზრდის არარსებობა და მუბარაქის რეჟიმის მიერ დამყარებული ე.წ. კრონო-კაპიტალიზმი, გაყალბებული არჩევნები და ხელისუფლების თვითნებობა. ყოველივე ამას ემატებოდა ისიც, რომ მმართველ ძალას არ გააჩნდა აღნიშნულ პრობლემათა მოგვარების რაიმე სახით გადაწყვეტის რეალური გეგმა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალური სიდუხჭირის მიზეზები მხოლოდ ხელისუფლების უუნარობით არ იყო განპირობებული. არსებული სიტუაციის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად კვლავ რჩებოდა იმ პრობლემების ნაწილი, რომლის წინაშეც ჯერ კიდევ არაბი ნაციონალისტები იდგნენ 1920-60 წლებში. „ნაციონალისტთა ყველაზე პოპულარული ლიდერებისთვისაც კი ძნელი იყო უზრუნველეყოთ საუკუნეობრივი ეკონომიკური და ტექნიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, რადგანაც ისინი არ ფლობდნენ მნიშვნელოვან კაპიტალს, კვალიფიციურ კადრებს, თანამედროვე ტექნოლოგიებს და სხვ. ამას დაემატა დემოგრაფიული აფეთქება მუსლიმურ ქვეყნებში, რამაც უკიდურესად გაართულა მათ წინაშე მდგარი პრობლემები."[108]

აღნიშნულ წლებში ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დინამიკა ასე გამოიყურება:

"ეკონომიკური ინდიკატორები: მოსახლეობა (მილიონი) – 1925 -14, 1938 -16,4, 1950 -20,4.

იმპორტი (მილიონი დოლარი) – 1925 -250, 1938 -184, 1950 -564.

რკინიგზა (კილომეტრები) – 192 -4,555, 1938 -5,606, 1950 -6,092.

ავტომობილები – 1925 -17,740, 1938 -33,700, 1950 -77,900.

ცემენტის წარმოება (მეტრული ტონა)[109] – 1925 -90,000, 1938 -, 1950.

რაფინირებული შაქრის წარმოება ტონობით – 1925 -109,000, 1938 -375,000, 1950 -1,022,000.

სტუდენტები სასწავლებლებში – 1925 -635,000, 1938 -1,309,000, 1950 -1,597,000.

---

[108] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია., გვ. 585.

[109] ბრიტანული წონის ერთეული, უდრის 100 კგ-ს.
Metric Ton. – *Cambridge Dictionary, accessed July 4, 2021 at web page*
https://dictionary.cambridge.org/dictionary/english/metric-ton

ელექტროენერგიის წარმოება “(მილიონი კილოვატ საათი) – 1925 -, 1938 -, 1950 -642.”[110]

1967 წლიდან ეგვიპტეში შემოღებულ იქნა საგანგებო კანონი, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის ხელისუფლებას საშუალებას აძლევდა, ჩაეხშო საპროტესტო გამოსვლები, ცენზურისთვის დაექვემდებარებინა მასმედიის საშუალებები, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დაეპატიმრებინა მოქალაქეები ოფიციალური ბრალდების წაყენების გარეშე. 2007 წლიდან მუბარაქმა კონსტიტუციაში შეატანინა 34 ცვლილება, რომლებმაც გააძლიერეს მისი კონტროლის მექანიზმები, რისი მეშვეობითაც კიდევ მეტი ძალაუფლება მოიპოვა მასებზე. ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ემატებოდა სამოქალაქო პირების ჩართულობა სამხედრო სასამართლოებში, სასამართლოს კონტროლის გაუქმება საპარლამენტო არჩევნებზე და დამოუკიდებელი კანდიდატებისთვის სახელმწიფო სამსახურში მუშაობის შეზღუდვა.[111] 2008 წლის გაეროს განვითარების პროგრამის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, ეგვიპტის მოსახლეობის 20%-მდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა (UNDP, 2008) და სოციალურად გაჭირვებულთა მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. აღნიშნული პირობები სულ უფრო აძლიერებდა საზოგადოების უკმაყოფილებას მუბარაქის რეჟიმის მიმართ.[112] ეგვიპტეში 2011 წლის ივნის-ივლისში გამოკითხულთა 81%-მა ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ პრობლემად ეკონომიკური მდგომარეობა (სიღარიბე, უმუშევრობა, ინფლაცია) დაასახელა. გამოკითხულთა 80%-ისთვის კორუფციაც არანაკლები გამოწვევა იყო და მათი ნახევარი ასევე თვლიდა, რომ საჭირო კავშირების გარეშე დასაქმება

---

[110] **Hazem El Beblawi.** Economic Growth in Egypt: Impediments and Constraints (1974–2004). - *The World Bank On behalf of the Commission on Growth and Development,* 2008, accessed July 4, 2021at web page http://documents1.worldbank.org/curated/en/457861468024586289/pdf/577140NWP0Box31UBLIC10gc1wp10141web.pdf გვ. 7.

[111] **Brown, N. J. Dunne, M. Hamzawy, A.** EGYPT'S CONTROVERSIAL CONSTITUTIONAL AMENDMENTS. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* March 2007, accessed July 3, 2021 at web page https://carnegieendowment.org/files/egypt_constitution_webcommentary01.pdf

[112] **Nahed Eltantawy, Julie B. Wiest.** Social Media in the Egyptian Revolution: Reconsidering Resource Mobilization. // *“International Journal of Communication”,* N5, 2011, accessed July 3, 2021 at web page https://ijoc.org/index.php/ijoc/article/viewFile/1242/597

წარმოუდგენლად ძნელი იყო.[113]

ჰუსნი მუბარაქის პრეზიდენტობის პერიოდში (1981-2011 წ.წ.), მისი ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, სახელმწიფო პირობითად და არაოფიციალურად იყო დანაწილებული რამდენიმე სახელისუფლებო კლანს შორის. მათ რიგებში შედიოდნენ სამხედროები, პოლიცია, უშიშროება, სასამართლო სექტორი, სხვადასხვა ჩინოვნიკები და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი კომპანიები. არასახელმწიფო აქტორებს შორის იყვნენ ბიზნესმენები, მუსლიმური და ქრისტიანული რელიგიური ორგანიზაციები. ასეთ ორ უძლიერეს კლანს წარმოადგენდა და დღესდღეობითაც წარმოადგენს სამხედროები და პოლიცია. არავის წინაშე პასუხისმგებელობის ქონით, პირადი სარგებლითა და გამორჩენით მოტივირებული, ბრუტალური, ასევე თავისი სოციოპოლიტიკური და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელების დაბალი დონით პოლიციამ დაიმსახურა მოსახლეობის ფართო სეგმენტის რისხვა ეგვიპტეში "არაბული გაზაფხულის" გარიჟრაჟზე.[114]

ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად არსებობდა დამატებითი გამოწვევები. გამომდინარე იქიდან, რომ XXI საუკუნის დასაწყისში დაირღვა მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან დადებული შეთანხმება, რომლის თანახმადაც ავტოკრატიული რეჟიმები იღებდნენ ვალდებულებას თავიანთი მოქალაქეების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე მათი მხრიდან პოლიტიკაზე სრული მონოპოლიის მოპოვების სანაცვლოდ. XXI საუკუნის დასაწყისიდან ნავთობით მდიდარი ქვეყნების გარდა, ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დანაპირების ასრულება. ჩამოყალიბდა რეგიონის ქვეყნების ვიწრო და ოჯახური ჯგუფები, რომლებიც იქცნენ ყველა ეკონომიკური შესაძლებლობის ბენეფიციარებად. ღარიბებსა და მდიდრებს შორის უთანასწორობა სულ უფრო იზრდებოდა, განსაკუთრებით უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში. მოსახლეობის მხრიდან გამოხატულ ლეგიტიმურ

---

[113] **Andrea Teti, Pamela Abbott, Francesco Cavatorta.** The Arab Uprisings in Egypt, Jordan and Tunisia, გვ. 43. გვ 45.
William L. Cleveland, Martin Bunton. AHistory of the Modern Middle East. Sixth Edition, Westview, 2016, გვ. გვ. 696-697. (ელექტრონული ვერსია)
[114] **Ashraf El-Sherif.** Egypt's Post-Mubarak Predicament. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* January 2014, accessed July 4, 2021 at web page https://carnegieendowment.org/2014/01/29/egypt-s-post-mubarak-predicament-pub-54328

უკმაყოფილებას მმართველი ელიტა რეპრესიებით პასუხობდა. ასეთ პირობებში „იმისათვის, რომ თავისი ძალაუფლება შეინარჩუნოს, მმართველ ელიტას ესაჭიროება მრავალრიცხოვანი პოლიცია, უშიშროების (ფარული პოლიციის) სამსახური და არმია; საჭიროების შემთხვევაში ხელისუფლება მზადაა გამოიყენოს ეს ძალა საკუთარი ხალხის წინააღმდეგაც.“[115]

ასეთი რეჟიმების არსებობის მაგალითი იყო თუნისში ბინ ალის, ხოლო ეგვიპტეში - მუბარაქის მმართველობის პერიოდი, რომლებიც იმავდროულად პროდასავლური ორიენტაციის მქონე ხელისუფლებებად ითვლებოდნენ და უფრო მეტიც, ზემოთ ხსენებული მართვის სტილით დისკრედიტაციას უწევდნენ დასავლეთს და დასავლურ ფასეულობებს მოსახლეობის ფენებში.[116] გარემოებებიდან გამომდინარე, ეგვიპტელი ხალხის ნაწილის მხრიდან ისლამისტური იდეოლოგიის მიმართ მზარდი ლოიალურობა ერთი შეხედვით ავტოკრატიული რეჟიმის საწინააღმდეგო ბუნებრივ რეაქციას წარმოადგენდა შემდეგი მიზეზების გამო:

ზემოთ თქმულის გარდა, ისლამისტებისადმი სიმპათიების გამოხატვის გამომწვევი მიზეზები ისლამურ ფუნდამენტალიზმშიც უნდა ვეძებოთ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიის წინააღმდეგ ყველა მუსლიმის გაერთიანების, დასავლეთის კულტურული და იდეოლოგიური გამოწვევების დაძლევისა და მუსლიმთა შორის იდეური განსხვავებების აღმოფხვრის მიზნით, სულთან აბდულ ჰამიდ II-ის ზეობის (1876-1909) დროს ოსმალეთის იმპერიაში ფართო გაქანება ჰპოვა – პანისლამიზმმა. XX საუკუნის 20-60-იან წლებში ისლამურ სამყაროში პოპულარული გახდა ნაციონალიზმისა და სოციალიზმის იდეოლოგია. შემდგომში ნაციონალიზმის დასუსტებას მოჰყვა მისივე წიაღში ისლამიზმის წარმოშობა, რომლის მთავარი იდეა იყო „ისლამის, როგორც უნივერსალური რელიგიის როლის განმტკიცება, რომელსაც უნდა გადაეჭრა თანამედროვე საზოგადოების ყველა პრობლემა.”[117] ცოტა მოგვიანებით კი, 1928 წელს,

---

[115] **რევაზ გაჩეჩილაძე.** ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., „დიოგენე“ გვ. 335.
Eugene Rogan. The Arabs – A history. Pengiun Books, 2012, გვ. 402
Andrea Teti, Pamela Abbott, Francesco Cavatorta. The Arab Uprisings in Egypt, Jordan and Tunisia, გვ. 29.
William L. Cleveland, Martin Bunton. AHistory of the Modern Middle East, გვ. 695-696.
[116] **William L. Cleveland, Martin Bunton.** A History of the Modern Middle East, გვ. 701.
[117] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია., გვ. 586.

როდესაც ყალიბდებოდა ასოციაცია „მუსლიმი ძმები“, ამ მოძრაობის დამაარსებელი „ჰასან ალ-ბანა ხალხს მოუწოდებდა ჭეშმარიტ ისლამს, სუნას და ყურანს დაბრუნებოდნენ და ხაზს უსვამდა, რომ ეგვიპტელი ხალხის გადარჩენის ერთადერთ გზას ისლამური ფასეულობების აღორძინება წარმოადგენდა.“[118] ჰასან ალ-ბანა (1906-1949) ცხოვრობდა ქალაქ ისმაილიაში, რომელიც მდებარეობდა სუეცის არხის ნაპირზე, სადაც იგრძნობოდა დასავლური გავლენა და ეგვიპტის მოსახლეობის დიდი ნაწილი თავს დამცირებულად გრძნობდა ევროპული სახელმწიფოების კოლონიური ხელისუფლების ქვეშ.”[119] სწორედ აქ დაიწყო ალ-ბანამ თავისი ქადაგებები მეჩეთებსა და ყავახანებში, შესაბამისად, ისლამისტური ძალების მიმართ გაჩენილი ლოიალურობა მოსახლეობის დუხჭირი მასების მხრიდან თითქოს სრულიადაც არ იყო მოულოდნელი და ერთი შეხედვით ლოგიკურიც ჩანდა. ეგვიპტეში საპროტესტო გამოსვლების დასაწყისში ეგვიპტელი ისლამისტებისთვის, უფრო კონკრეტულად კი მოძრაობა “მუსლიმი ძმებისა” და სალაფიტების აქტივობისთვის იდეალური ფონი იყო შექმნილი, მაგრამ ისინი არ მდგარან რევოლუციის ავანგარდში. თავდაპირველად “მუსლიმმა ძმებმა” უარიც კი განაცხადეს საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობის მიღებაზე, რადგან თვლიდნენ, რომ ეს იყო თინეიჯერების მიერ ორგანიზებული ჩვეულებრივი დემონსტრაცია.[120] “ძმები” მიმდინარე პროცესებს მოგვიანებით შეუერთდნენ, რადგან მათ გადაწყვიტეს, ესარგებლათ შექმნილი სიტუაციითა და ხელსაყრელი მომენტით. მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ დაწყებული საპროტესტო გამოსვლების მთავარი ორგანიზატორები იყვნენ:

---

[118] **თინათინ ქაროსანიძე.** ისლამური რადიკალიზმის ისტორიიდან–კუტბიზმი მისი ნაირსახეობები. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, 2008, გვ. 179-180.

[119] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია. გვ. 577.

[120] ჟურნალისტი და მწერალი დევიდ კირპატრიკი თავის წიგნში Into the Hands of the Soldiers Freedom and Chaos in Egypt მიიჩნევს, რომ „ძმებმა“ ამ ნაბიჯით ეგვიპტის ძალოვნებს იერიშის მიტანის საშუალება არ მისცეს, ვინაიდან ისლამისტების მრავალრიცხოვნობის გამო ხელისუფლება საპროტესტო აქციას ექსტრემისტულ ხასიათს დასწამებდა და გარდა ამისა, ჰუსნი მუბარაქი ეგვიპტის წინა ორ ექს-პრეზიდენტთან შედარებით მეტ-ნაკლებად დაბალანსებულ ურთიერთობას ინარჩუნებდა ისლამისტებთან და „ძმებს“ ამ დამოკიდებულების რისკის ქვეშ დაყენება არ სურდათ. იგი ასევე აღნიშნავს იმასაც, რომ „მუსლიმი ძმების“ ხელმძღვანელობა და უფროსი თაობა ინარჩუნებდა დისტანციას საპროტესტო აქციებისგან, მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის ნაწილი კი მოვლენათა ეპიცენტრში ტრიალებდა.

Davind Kirkpatrick. Into the Hand of the Soldiers Freedom and Chaos in Egypt. New York: Viking, 2018.გვ. 43. (ელექტრონული ვერსია).

1. მუჰამმად ელ-ბარადეი – ნობელის პრემიის ლაურეატი და ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ყოფილი დირექტორი. იგი 2010 წელს ეგვიპტეში დაბრუნდა, მას მიიჩნევდნენ "მხსნელად" და "მუბარაქის რეჟიმის ალტერნატივად", ასევე ჰქონდა გმირის რეპუტაცია თავის ქვეყანაში;

2. აჰმად მაჰერი – მას და მის "6 აპრილის მოძრაობას"[121] მთავარი როლი მიუძღვით თაჰრირის მოედანზე გამართულ საპროტესტო გამოსვლებში მონაწილე 30 წლამდე ახალგაზრდების (რომელთაც ინტერნეტთან წვდომა გააჩნდათ) სოციალური ქსელების მეშვეობით მობილიზებაში;

3. ვა'ილ ღანიმი – პოპულარული ფეისბუქ ჯგუფის "ყველანი ხალიდ საიდი ვართ"[122] დამფუძნებელი. ეგვიპტური გაზეთ *"ალ-აჰრამის"* პოლიტიკური ანალიტიკოსის, სამიჰ რაშიდის განცხადებით, ღანიმის ფეისბუქგვერდის მეშვეობით მოხერხდა ასობით ათასი ადამიანის გამოყვანა თაჰრირის მოედანზე;

4. აჰმად შაფიკი – ავიაციის მარშალი, რომელსაც 2002-2011 წლებში ტრანსპორტის მინისტრის პოსტი ეკავა. თავდაპირველად იგი მიიჩნეოდა

---

[121] حركة شباب 6 ابريل - *Shabab. 6 April*, accessed Jul4, 2021 at web page https://shabab6april.wordpress.com/about/shabab-6-april-youth-movement-about-us-in-english/
2006-2007 წლებში მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია მუშათა საპროტესტო აქციები. 2008 წელს ნილოსის დელტის ქალაქ ალ-მალჰალა ალ-ქუბრაში 6 აპრილს გაიფიცნენ ტექსტილის მუშები. სწორედ ამ აქციის მხარდაჭერის მიზნით ახალგზრდა აქტივისტებმა მოძრაობა „ქაფიადან", რომლის საფუძველზეც ჩამოაყალიბეს კოალიცია სახელწოდებით 6 აპრილის მოძრაობა. გამოიყენეს ახალი ინსტრუმენტები, კერძოდ სოციალური ქსელები. მათმა პირველმა ფეისბუქ გვერდმა 70 000 ადამიანის ყურადღება მიიპყრო.
William L. Cleveland, Martin Bunton. A History of the Modern Middle East, გვ. 698.

[122] ხალიდ მუჰამმად საიდი გაფრთხილების გარეშე დააკავა სამოქალაქო ტანსაცმლიანმა პოლიციელმა ქალაქ ალექსანდრიის ინტერნეტ კაფეში 2010 წლის 6 ივნისს. თვითმხილველთა მონაყოლის თანახმად, პოლიციელმა 28 წლის ბლოგერს ხელები შეუკრა ზურგს უკან და ცემის შედეგად ტრავმები მიაყენა. დაწესებულების მეპატრონის მოთხოვნის შემდეგ, რომ მათ დაეტოვებინათ ინტერნეტ კაფე, ხალიდი გადაიყვანეს იქვე არსებულ პოლიციის განყოფილებაში, სადაც ის ცემით მოკლეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ადგილობრივმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ საიდი იძებნებოდა ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო შენახვის გამო. ხოლო პოლიციის განცხადების თანახმად, მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა ასფიქსია, რაც ჰაშიშის პაკეტის გადაყლაპვამ გამოიწვია, რომლის დამალვაც სურდა დაკავებულს. თუმცა გარდაცვლილის ძმის მიერ მორგში გვამის იდენტიფიცირების დროს გადაღებულმა ფოტომ სულ სხვა რეალობას მოჰფინა ნათელი. აღნიშნული ფოტო განთავსდა ინტერნეტში, დაიბეჭდა პლაკატებსა და პოსტერებზე, გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში. ნანახმა ეგვიპტის მოსახლეობის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, ვინაიდან ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ხელისუფლებას შეეძლო სასტიკად მოეკლა უდანაშაულო მოქალაქე. ასეთი მწვავე საპროტესტო გამოსვლების ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ეგვიპტის მოსახლეობისთვის გასაგები გახდა შემდეგი, "სამართლიანობის დაცვაზე გაჩუმება მათ ვერ იხსნიდა უსამართლობისგან." - ასეთი ფრაზით დაამთავრა თავის სტატია დამოუკიდებელ ეგვიპტურ გაზეთში ნოველისტმა ალლა ალ ასვანიმ, რომელსაც თან ერთვოდა მისი ცნობილი ხელწერა: "დემოკრატიაა სწორი გადაწყვეტილება".
Eugene Rogan. The Arabs., გვ. 403-404.

რევოლუციის მოწინააღმდეგე ჯგუფის მეთაურად, დაკავშირებული იყო ალ-აზჰარის მუსლიმური ცენტრის, კოპტური ეკლესიისა და მედიის ხელმძღვანელ პირებთან. 2011 წელს საპროტესტო აქციების ფონზე გადადგა თანამდებობიდან, ხოლო 2012 წელს იყო პრეზიდენტობის კანდიდატი პოსტრევოლუციურ ეგვიპტეში გამართულ არჩევნებში. მოგვიანებით შაფიკი ძალზე მცირე განსხვავებით დამარცხდა "მუსლიმი ძმების" წარმომადგენელ მუჰამმად მურსისთან.[123]

5. ეგვიპტის უმაღლესი სამხედრო საბჭოს მეთაური, ფელდმარშალი მუჰამმად ჰუსაინ ტანტავი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა 2011 წლის საპროტესტო გამოსვლებში და არაერთი წყაროს მტკიცებით, ხელი არ შეუშალა ქუჩის აქციებს, რის შედეგადაც საბოლოოდ დაემხო მუბარაქის რეჟიმი.[124]

გამომდინარე იქიდან, რომ რევოლუციის მთავარი ორგანიზატორები არ იყვნენ ისლამისტები, ჩნდება ლეგიტიმური კითხვა: რა იყო იმ პერიოდში ეგვიპტელი ხალხის მთავარი მოთხოვნა? ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის მიერ შეთავაზებულ ჭეშმარიტ ისლამთან დაბრუნება და ამ გზით თავიანთი პრობლემების გადაწყვეტა, თუ დემოკრატიული პრინციპების გატარება, რაც თავისთავად მოასწავებდა ფესვგადგმული ავტოკრატიის დასრულებას? ვფიქრობთ, რომ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, კიდევ ერთხელ უნდა გავაანალიზოთ ისლამისტების მიერ წინა პლანზე წამოწეული რელიგიური კონტექსტი იყო თუ არა სიახლე, როგორც "არაბული გაზაფხულის" საპროტესტო გამოსვლების დროს, ისე მის შემდგომ პერიოდში.

ზოგადად, ხალხის მასებთან ურთიერთობაში რელიგიური საკითხების წინა პლანზე წამოწევა სოციალური პრობლემების გადაჭრის მცდელობასთან დაკავშირებულ საკითხებთან შედარებით, მხოლოდ ისლამისტებისთვის

---

[123] ეგვიპტის 2012 წლის არჩევნების შედეგები: I ტური – მუჰამმად მურსი -5,764,952 (24,78%), აჰმად შაფიკი 5,505,327 (23,66%), აბდ ალ-მუნიმ აბულ ფათუჰი -4,065,239 (17,47%), ამრ მუსა (2,588,850 (11,13%). II ტური - მუჰამმად მურსი -13,230,131 (51,73%), აჰმად შაფიკი -12,347,380 (48,27%).
Presidential Election in Egypt. - *THE CARTER CENTER Final Report,* May-June 2012, accessed July 4, 2021 at web page
https://www.cartercenter.org/resources/pdfs/news/peace_publications/election_reports/egypt-final-presidential-elections-2012.pdf გვ. 5.

[124] Key players in Egypt's Jan. 25 revolution: Where are they now? // *"Alarabiya News",* January 2014, updated May 2020, accessed July 4, at web page
https://english.alarabiya.net/en/perspective/analysis/2014/01/25/Key-players-in-Egypt-s-Jan-25-revolution-Where-are-they-now-.html

დამახასიათებელი პრაქტიკა არ იყო თანამედროვე ეგვიპტის ისტორიაში. ისლამური ფაქტორის გააქტიურებას ისეთი სეკულარი პრეზიდენტებიც კი იყენებდნენ საჭიროების შემთხვევაში, როგორებიც იყვნენ გამალ აბდ ან-ნასირი და ანვარ ას-სადათი. ჩვენი აზრით, ამის ერთ-ერთი მაგალითია ან-ნასირის სიტყვით გამოსვლა 1966 წლის 1 მაისს: "რელიგია არის ერთიანობა, რელიგია – ეს ნიშნავს იმას, რომ მუსლიმი აძლევდეს ფულს მუსლიმს და არ ართმევდეს ერთი ადამიანის, ერთი ოჯახის ან მცირერიცხვოვანი ექსპლუატატორების სასარგებლოდ. რელიგია არის სოციალური სამართლიანობა. ვისაც სურს რელიგიას მნიშვნელოვანი ადგილი ეჭიროს მის ცხოვრებაში, უნდა ემხრობოდეს მუსლიმისგან მუსლიმისთვის ფულის მიცემის პრაქტიკას, სხვანაირად რომ ვთქვათ: ...სწორედ ეს არის რელიგია". მაშინ ჩვენ ვეტყვით მას: "შენ გახდი სოციალისტი, რადგან ხელს უწყობ ხალხთა შორის თანასწორობისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას."[125]

სადათის შემთხვევაში იგნატენკო აღნიშნავს, რომ 1970 წელს ხელისუფლების სათავეში ანვარ ას-სადათის მოსვლიდან ქვეყანაში სრული დატვირთვით ამუშავდა რელიგიური იდეოლოგია და სტრუქტურები, რომელთაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეეწყოთ ან-ნასირის დროინდელი პროსაბჭოთა საგარეო პოლიტიკური ვექტორების პროდასავლურისკენ შებრუნების პროცესისთვის. ამის ნათელი დასტური იყო ას-სადათის დროინდელი ხელისუფლებისა და სახელმწიფო სტრუქტურებში ჩართული ულემების იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული საქმიანობის თანხვედრა. ასევე, 1974 წლის აპრილში წარმოდგენილი ას-სადათის "ოქტომბრის დოკუმენტის" სახელით ცნობილი მოხსენება. ქვეყნის უმსხვილესი რელიგიური ჟურნალი "ეგვიპტის ტრიბუნა" რეგულარულად გამოსცემდა ანვარ ას-სადათის მოხსენებას შემდეგი სათაურებით: "'ოქტომბრის დოკუმენტი" – საზოგადოების შენების ინტეგრალური მეთოდი", "ისლამური გაგებები "ოქტომბრის დოკუმენტზე" დაყრდნობით", "ისლამი და ღია კარის პოლიტიკა ეკონომიკაში". განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის, რომ მასებზე ზემოქმედებისთვის გათვლილი სადათისეული პროპაგანდის ლექსიკონი და გამოყენებული კლიშეები არაფრით განსხვავდებოდა მანამდე გავრცელებული

[125] **Александр александрович Игнатенко.** Халифы без халифата. Исламские неправительственные религиозно-политические организации на Ближнем Востоке: история, идеология, деятельность. М., 1988, გვ. 7.

პროპაგანდისგან. მასში საუბარი იყო "არაბულ სოციალიზმზე", რომლის მთავარი ასპექტიც იყო "რელიგია, რომლისაც ჩვენ გვწამს – როგორც მუსლიმებს, ასევე ქრისტიანებს." განსხვავება იყო მხოლოდ ის, რომ ძველი ლოზუნგები ივსებოდა ახალი ანტიდემოკრატიული და ანტიკომუნისტური შინაარსითაც.[126] იგნატენკოს მოსაზრებას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, ვინაიდან მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დონის წნეხი მოეხსნათ ისლამისტებს სადათის პრეზიდენტობის პერიოდში, მთავარი ისლამისტური ძალა - "მუსლიმი ძმები" - მაინც იატაკქვეშეთში განაგრძობდა საქმიანობას და მათ დამოუკიდებულად არცერთ არჩევნებში არ მოუღიათ მონაწილეობა იმ პერიოდში.

ასევე, აუცილებლად გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: მიუხედავად იმისა, რომ ან-ნასირის, ას-სადათის და მუბარაქის მმართველობის პერიოდში "მუსლიმ ძმებსა" და ხელისუფლებას შორის სერიოზულ დაპირისპირებები არსებობდა,[127] 1952 წლიდან შეინიშნებოდა თანამშრომლობის მცდელობებიც. იმავე წლის სექტემბერში ამნისტიით გაათავისუფლეს მეფე ფარუკის მმართველობის პერიოდში დაპატიმრებული "მუსლიმი ძმების" წევრები და დაუბრუნეს კონფისკაციით წართმეული ქონება. ახალი სამთავრობო კაბინეტის ფორმირების პერიოდში კი განიხილებოდა მათთვის მინისტრის რამდენიმე პორტფელის გადაცემა. უფრო მეტიც, "მუსლიმი ძმების" ერთ-ერთი ხელმძღვანელი, უმარ თილმისანი, რამდენიმე წლის შემდეგ "ძმებს" 1952 წლის რევოლუციის შემოქმედებად ასახელებდა და ამტკიცებდა, რომ ერთი წლით ადრე დამყარდა საიდუმლო კავშირი ასოციაციასა და გამალ აბდ ან-ნასირს შორის. აღნიშნული კავშირის მიზანი იყო აჯანყების გეგმის შემუშავება, მომავალი რევოლუციის პოლიტიკური შინაარსის განსაზღვრა და საიდუმლო შეთანხმების თანახმად, გადატრიალების შემდეგ ან-ნასირს "მუსლიმი ძმების" პრინციპები უნდა გაეტარებინა ყველა სფეროში. თილმისანის მტკიცებით, ან-ნასირს ფიციც (ბაიათი) ჰქონდა

---

[126] **Александр александрович Игнатенко.** Халифы без халифата., გვ. 9-10.
في ذكرى أكتوبر
اقتصاديات الحرب من 1967 إلى 1973
http://www.masralarabia.com/%D8%A7%D8%B6%D8%A7%D8%A1%D8%A7%D8%AA/%D9%85%D9%81%D8%A7%D9%87%D9%8A%D9%85/753559-%D8%A7%D9%82%D8%AA%D8%B5%D8%A7%D8%AF%D9%8A%D8%A7%D8%AA-%D8%A7%D9%84%D8%AD%D8%B1%D8%A8-%D9%85%D9%86-1967-%D8%A5%D9%84%D9%89-1973

[127] **Eugene Rogan.** The Arabs., გვ. 240.

დადებული “ძმებთან”. მასთან ერთად იყვნენ “თავისუფალი ოფიცრების” წევრი სხვა სამხედრო პირებიც.”[128] რაც შეეხება ას-სადათს, “იგი მუდმივად ცდილობდა ხაზი გაესვა “ძმებთან” თავისი სიახლოვისთვის და აცხადებდა, რომ აღფრთოვანებული იყო ასოციაციის ფუძემდებელ ჰასან ალ-ბანათი.”[129] 1971 წელს პრეზიდენტმა ანვარ ას-სადათმა ”ძმების” წამყვანი თეორიტიკოსები კონსტიტუციის შემუშავებაში მონაწილეობის მისაღებადაც მიიწვია.[130]

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო “არაბული გაზაფხულის” დასაწყისში თაჰრირის მოედანზე შეკრებილი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობისთვის ისლამისტების მიერ შეთავაზებული ისლამური პრინციპების ცხოვრებასა და პოლიტიკურ პროცესებში დანერგვა არ იყო სიახლე, რადგან ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ”მუსლიმი ძმების” და სხვა რეაქციული ძალების მოთხოვნები მნიშვნელოვანწილად სრულდებოდა. რაც შეეხება რელიგიურ სფეროს, მაგალითად, 1971 წლის 11 სექტემბერს მიღებული ეგვიპტის მორიგი კონსტიტუცია აძლიერებდა რეჟიმის რელიგიურ მფარველობას, ისლამი გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (გვ. 2), რომლის თანახმადაც, “ოჯახი იქმნება რელიგიურ პრინციპებზე დაყრდნობით” (გვ. 9), დასმული იყო რელიგიური განათლების გაღრმავების ამოცანა (გვ. 12), 1976 წლის პირველი აგვისტოს # 63 კანონით აიკრძალა ალკოჰოლის გაყიდვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, 1975 წლის 15 აგვისტოს დადგენილებით იმ პირებს, რომლებიც მარხვას არ იცავდნენ რამადანის თვეში, აეკრძალათ ამის ღიად გამოხატვა, 1978 წლის 18 ივლისის # 47 კანონით სახელმწიფო მოხელეებს აეკრძალათ სპირტიანი სასმელების დალევა და აზარტული თამაშები კლუბებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. 1977 წელს სახალხო საბჭო (მაჯლის აშ-შა’ბი) სერიოზულად განიხილავდა კანონპროექტს ურწმუნოებისა და ისლამის საწინააღმდეგო გამოსვლების შემთხვევაში სიკდილით დასჯის შემოღებაზე. 1980

---

[128] **Александр александрович Игнатенко.** Халифы без халифата., გვ. 9-10.

[129] **Александр александрович Игнатенко.** Халифы без халифата., გვ. 10.

Eliahu Ben Elissar, Wat Cluverius, Hermann Frederick Eilts, Ahmed Fakhr, Saad Eddin Ibrahim, Martin Indyk, Samuel Lewis, Ahmed Maher el-Sayed, Robert Pelletreau, Kenneth Pollack, Peter Rodman, Camelia Anwar Sadat, Abdel Monem Said, Robert Satloff, Shimon Shamir, Kenneth Stein, Shibley Telhami, Robert Pelletreau, Ehud Ya' ari. Sadat and His Legacy. – *Washington Institute for Near East Policy,* 1998, accessed July 4, 2021 at web page
https://www.washingtoninstitute.org/media/3591

[130] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია., გვ. 580.

წლის 22 მაისის "საკონსტიტუციო რეფორმამ" შარიათი აქცია კანონმდებლობის ერთ-ერთ წყაროდ. იმავე წლის დასაწყისში გამოცხადდა ათასი ახალი მეჩეთის მშენებლობის გეგმა. ეს იმ დროს, როდესაც ქვეყანაში უკვე იყო 40 000 მეჩეთი (აქედან 15 000 კაიროსა და მის გარეუბნებში).[131]

ეგვიპტის პრეზიდენტის, ჰუსნი მუბარაქის რეჟიმი მკვეთრად გამოხატული ავტორიტარული მმართველობის ფორმა იყო. მისი პრეზიდენტობის პერიოდში აკრძალული იყო სახალხო დემონსტრაციები, პრეზიდენტის კრიტიკა კანონით ისჯებოდა და 60000 სახელმწიფო მეჩეთიდან 35000-ს სახელმწიფო აკონტროლებდა. 2000 წლიდან ყველა მეჩეთი ვაკუფთა სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. სამინისტრო აკონტროლებდა პარასკევის ლოცვებს და ქადაგებების ნებადართულ სიებს აქვეყნებდა. 3 წლის შემდეგ 83000 მეჩეთიდან 63000 სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მოექცა. ისლამისტ მებრძოლებს სამხედრო ტრიბუნალი ასამართლებდა სამართლიანობის დაცვის ძალზე დაბალი მაჩვენებლებით. ქვეყანაში ასევე არ არსებობდა პოლიტიკური პლურალიზმი და რელიგიური აქტივისტებისთვის ქვეყნის შიგნით საკუთარი აზრის გამოხატვის ყოველგვარი საშუალება ჰქონდათ დახშული. აუცილებლად მიგვაჩნია, ცალკე გამოვყოთ ჰუსნი მუბარაქისა და ისლამისტების ურთიერთობების პერიპეტიები, ვინაიდან მისი პრეზიდენტობის პერიოდში მმართველი რეჟიმისა და "მუსლიმი ძმების" ურთიერთობა ძალზე მრავალწახნაგიანი და ხანდახან ისეთი დეტალებით იყო გაჯერებული, რომელთა სათანადოდ გაშუქების გარეშე ვერ მოხერხდება სრულყოფილად იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუ რატომ არ იყვნენ საპროტესტო აქციების საწყის ეტაპებში ეგვიპტელი ისლამისტები ჩარეულები.

პრეზიდენტის პოსტის დაკავების დასაწყისში ჰუსნი მუბარაქი რეპრესიებით დასუსტებულ ისლამურ მოძრაობასთან ცდილობდა მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინა. ამ ნაბიჯით მას სურდა, რომ "ალ-ჯიჰადის" დაპატიმრებულ წევრებს წამებულის იმიჯი არ შექმნოდათ. დამატებით მან "ალ-ჯამაა ალ-ისლამიას" სულიერი ლიდერი გაათავისუფლა, დანარჩენ წევრებს სასჯელი შეუმსუბუქა, დაპატიმრებულ ისლამისტებზე სასტიკ მოპყრობაში ეჭვმიტანილ უშიშროების და

[131] **Александр александрович Игнатенко.** Халифы без халифата., გვ. 10.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ძალოვნების (მათ შორის მაღალი რანგის ოფიცრების) მიმართ სისხლის სამართლის საქმეებიც აღიძრა. პარალელურად მან მისი წინამორბედის, პრეზიდენტ ას-სადათის კურსი (სახელმწიფოს მხრიდან ისლამიზაცია) გააგრძელა, რათა სახელმწიფო მმართველობის ლეგიტიმაცია განემტკიცებინა და ისლამური ორგანიზაციების ინიციატივა ხელში ჩაეგდო. იმავდროულად, ხელისუფლება ცდილობდა, ისლამისტებზე გავლენის მოხდენის მიზნით ოფიციალური სასულიერო პირები გამოეყენებინა, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ ახალგაზრდა რადიკალების (მათ შორის დაპატიმრებულებისაც) დარწმუნებას იმაში, რომ თაქფირის და შეიარაღებული ბრძოლის იდეები შარიათთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. მეჩეთებზე კონტროლის დამყარებისას ეგვიპტის ქალაქებში: ასიუტში, მანიასა და სუჰაჯიში, სადაც 1750 მეჩეთი "ექსტრემისტების" მიერ კონტროლდებოდა, ხელისუფლება ისლამისტ იმამებს აპატიმრებდა და მათ ფიზიკურ ლიკვიდაციასაც მიმართავდა.

ასეთ ტაქტიკას ისლამისტების მხრიდან საპასუხო ძალადობა მოჰყვა, რომელმაც 1995 წელს პიკს მიაღწია. ამ წელს რადიკალურმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა 182 ტერაქტი მოაწყვეს, რომელთაც 366 ადამიანი შეეწირა. ხელისუფლება ასევე ცდილობდა, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა მასობრივი საშუალებების დახმარებით ისლამიზაცია სოციალური ასპექტებით განეხილათ მისი "დეპოლიტიზაციის" მიზნით.

ისლამური რადიკალიზმის წინააღმდეგ შემუშავებული პოლიტიკურ-პროპაგანდისტული მეთოდების არაეფექტურობის შემდეგ რეჟიმმა ძალისმიერ მეთოდებს მიმართა, რამაც კონფლიქტის კიდევ მეტი ესკალაცია გამოიწვია და ისლამისტური რადიკალური დაჯგუფებების ტერაქტების უმრავლესობა ხელისუფლების მხრიდან დაწესებული სასტიკი რეპრესიული წნეხის პასუხი იყო. 1992 წელს პარლამენტმა "ტერორიზმთან ბრძოლის კანონი" მიიღო, რომლის მიხედვითაც სიკვდილით დასჯის გამოყენება ფართოვდებოდა. იმავე წელს პრეზიდენტმა ჰუსნი მუბარაქმა გატარებული ზომები არასაკმარისად ჩათვალა და სახელმწიფო უსაფრთხოების კუთვნილი საქმეები სამხედრო ტრიბუნალებს გადასცა, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1998-1999 წლებში "ალ-ჯამაა ალ-ისლამიას" 6200

წევრი გაათავისუფლეს. შინაგან საქმეთა სამინისტრო დაპატიმრებულებს აწამებდა და მათი ოჯახის წევრები მძევლად აჰყავდა.

რეჟიმის მიერ განხორციელებულმა რეპრესიულმა ტაქტიკამ "ალ-ჯამაა ალ-ისლამიას" დეზორგანიზება და შესუსტება კი გამოიწვია, მაგრამ ამას კიდევ უფრო ცუდი შედეგები მოჰყვა, ვინაიდან ამ პროცესების ნიადაგზე მრავალი წვრილი დაჯგუფება აღმოცენდა, რომლებიც ხელისუფლებისთვის ეკონომიკური კრიზისის შექმნის მიზნით ტურისტებზე თავდასხმებს აწყობდა.

"მუსლიმი ძმები", მართალია, რადიკალურ რევოლუციურ ორგანიზაციას აღარ წარმოადგენენ, მაგრამ ერთდროულად ეწინააღმდეგებიან როგორც დასავლურ ტრადიციებს, ისე მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ძალისმიერი მეთოდების გამოყენებასაც, თუმცა რადიკალების დევნას მხარს არ უჭერენ. ჯერ კიდევ "არაბულ გაზაფხულამდე" "ძმებს" დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ საზოგადოების საშუალო ფენებში და აკონტროლებდნენ ეგვიპტის ყველაზე დემოკრატიულ ისეთ გაერთიანებებს, როგორებიცაა: ინჟინერთა, ექიმთა, ადვოკატთა და ჟურნალისტთა პროფკავშირები. ცალკე ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ საზოგადოების საშუალო ფენა კი უჭერდა მხარს პოლიტიკურ ისლამს, მაგრამ ემიჯნებოდა რადიკალებს და მათ ექსტრემისტულ აქტივობებს, კერძოდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავის აფეთქებებსა და ტურისტების დახოცვას.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან "მუსლიმი ძმების" ორგანიზაცია ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე ახალი, "ნეომუსლიმი ძმების", სახელით გამოვიდა და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ხსენებულ ორ სფეროში. ამავე პერიოდში "ძმებმა" სტუდენტური გაერთიანებების არჩევნებში გაიმარჯვეს. იმ სტუდენტებმა, რომლებიც ას-სადათის პრეზიდენტობის პერიოდში მხოლოდ აქტივისტები იყვნენ, ჰუსნი მუბარაქის დროს მთავრობასა და კერძო სექტორში თანამდებობები დაიკავეს, 1990-იან წლებში კი ყველაზე ფართო ოპოზიციის სტატუსიც მოიპოვეს. გარდა იმისა, რომ "ძმების" მხარდამჭერებს ექიმების, ინჟინრების, ჟურნალისტების ასოციაციებსა და სტუდენტურ კლუბებში მაღალი თანამდებობები ეჭირათ, მათ ფინანსურ ინტერესებს ემსახურებოდა ისლამური ბანკები და საინვესტიციო კომპანიებიც. ეს ორგანიზაცია ჩუმად იყო

სწორედ იმ მოტივით, რომ მთავრობასთან დაპირისპირება მათ ლეგალურად მოქმედების საშუალებას მოუსპობდა. "ძმები" მაშინაც კი განაგრძობდნენ სიჩუმეს, როცა კონსტიტუციაში შარიათთან დაკავშირებული კანონების გატანის დროს მარცხს განიცდიდნენ. მეტიც, 1987 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში "მუსლიმმა ძმებმა" ჰუსნი მუბარაქს და ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას დაუჭირეს მხარი.

2005 წლის საპარლამენტო არჩევნებში "ნეომუსლიმი ძმები" პირველად წარდგნენ საკუთარი სახელით და ხელისუფლების მხრიდან ძალადობა-ზეწოლის მიუხედავად, 458-ადგილიან პარლამენტში მანდატების 20%-ის მიღება მოახერხეს. "მუსლიმი ძმები" ისეთ საკითხებზე აპელირებდნენ, როგორებიც იყო: დემოკრატიის არარსებობა, უმცირესობის მიერ სიმდიდრისა და ძალაუფლების მონოპოლია, პოლიტიკურ ოპონენტებზე ზეწოლა და მათი წამება.[132]

სწორედ ზემოთ აღწერილი ფაქტორების გამო, კარნეგის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული აშრაფ ალ-შარიფის[133] მიმოხილვა ყველაზე მეტად სარწმუნოა იმის შესახებ, რომ ეგვიპტელთა მთავარი მიზანი 2011 წლის დეკემბერ-იანვარში იყო ძველი რეჟიმის სრული დემონტაჟი, რომელიც არასოდეს ითვალისწინებდა უმრავლესობის აზრს, ეყრდნობოდა ბიუროკრატიულ ელიტას და ოლიგარქებს, გამოირჩეოდა სამხედრო და უსაფრთხოების ძალებისთვის მინიჭებული უსაზღვრო უფლებებით. ჩვენი აზრით, ამ მოსაზრების მართებულობას ადასტურებს ისიც, რომ 458-ადგილიან პარლამენტში „ნეომუსლიმმა ძმებმა" 20%-ის მოგროვება მეტწილად დემოკრატიის გაძლიერებაზე, სოციალურ უსამართლობასა და რეჟიმის მხრიდან პოლიტიკური წნეხის პრობლემებზე აპელირებით მოახერხეს, რაც მაშინდელი ამომრჩევლის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო.

ეგვიპტეში "არაბული გაზაფხულის" დასაწყისში ჰუსნი მუბარაქმა საპროტესტო აქციებში მონაწილეებს სიტყვით მიმართა და ქუჩაში გამოსულ ეგვიპტელებს ძირეულ რეფორმებს დაჰპირდა, თუმცა მისი ეს მცდელობა სრულიად უნაყოფო გამოდგა. ჰუსნი მუბარაქის 2011 წლის 11 თებერვლის გამოსვლაში

---

[132] **თინათინ ქაროსანიძე.** (2009) ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში - „მუსლიმი ძმებისა" და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია. თბ., „ნეკერი", 2009, გვ. 229-250.

[133] **Ashraf El-Sharif**. Egypt's Post-Mubarak Predicament. – *CARNEGIE ENDOWUMENT FOR INTERNATIONAL STUDIES,* January 2014, accessed July 4, 2021 at web page http://carnegieendowment.org/2014/01/29/egypt-s-post-mubarak-predicament-pub-54328

ყურადღებას იპყრობს მისი განცხადებები და დაპირებები კონსტიტუციური ცვლილებების შესახებ: ეს კონსტიტუციური შესწორებები, პირველ რიგში, გააადვილებდა პრეზიდენტობის პოსტის დაკავების პროცედურას და განსაზღვრავდა პრეზიდენტობის კონკრეტულ ვადებს და უზრუნველყოფდა სასამართლო ორგანოების კონტროლს მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე. სასამართლო ხელისუფლება ასევე აპირებდა დაკავებულიყო პარლამენტის წევრთა ლეგიტიმურობის საკითხით. 179-ე მუხლის[134] სავარაუდო გაუქმება იყო შესაძლო გზა იმისკენ, რომ დაცული ყოფილიყო ბალანსი ქვეყანაში ტერორიზმის საფრთხის აცილებასა და სამოქალაქო თავისუფლებას შორის, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდებოდა საგანგებო კანონის გაუქმებაც:

„ამიტომ მე გადავწყვიტე, კონსტიტუციის შესაბამისად, უფლება-მოსილება გადავცე ვიცე-პრეზიდენტს. კონსტიტუციის პირობების თანახმად, მე კარგად ვიცი, რომ სანამ ეგვიპტე იბრძვის, უნდა ეცადოს, გამოვიდეს ამ მომენტიდან, მაგრამ, იმავე დროს, ხალხის ამჟამინდელი მტკიცე გადაწყვეტილება და მათივე პატიოსნება, რაც ყველაფერზე მაღლა დგას, დაეხმარება ქვეყანას.

ჩვენ ვაპირებთ დავამტკიცოთ, რომ მზად ვართ, ხალხის მოთხოვნების შესახებ წამოჭრილ საკითხებზე ვაწარმოოთ გაფართოებული და ბრძნული ეროვნული დიალოგი. ჩვენ არ ვართ სხვათა მოსაზრებების მიმდევრები, არც ვაპირებთ ვინმესგან მივიღოთ მითითებები და არც არავინ მიიღებს გადაწყვეტილებას ჩვენი სახელით, ყველაფერს გადაწყვეტს ქუჩის რიტმი და ხალხის მოთხოვნები“ - განაცხადა მუბარაქმა.[135]

აღსანიშნავია ისიც, რომ ცოტა ხნით ადრე, 28 იანვარს, მუბარაქმა სიტყვით გამოსვლის დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოუწოდა, აქციებზე გამოსული

---

[134] 179-ე მუხლის თანახმად პრეზიდენტს ენიჭებოდა რწმუნება სამხედრო და სამოქალაქო სასამართლოებზე.
THE CONSTITUTION OF THE ARAB REPUBLIC OF EGYPT, 1971 (as Amended to 2007). – *Connstitutionnet,* 2007, accessed July 4, 2021 at web page
http://constitutionnet.org/sites/default/files/Egypt%20Constitution.pdf

[135] Full text of Mubarak's speech. // “CNN”, Fabruary 2011, accessed July 4, 2021 at web page
http://edition.cnn.com/2011/WORLD/africa/02/10/egypt.mubarak.statement/index.html
خطاب حسنى مبارك 10 فبراير 2011 الجزء الثانى Yuoutube, Feb 2011, accessed July 4, 2021 at web page
https://www.youtube.com/watch?v=9RQXR2Qp9PU

ხალხისთვის მიეცათ პროტესტის გამოხატვის საშუალება.[136] ოდნავ მოგვიანებით ჰუსნი მუბარაქმა ძალაუფლება გადასცა დაზვერვის სამსახურის შეფსა (1993-2011) და ვიცე-პრეზიდენტ (2011) უმარ სულეიმანს.[137]

2.2. "არაბული გაზაფხული" და სამხედრო ელიტა

მუბარაქის საწინააღმდეგო აქციების სულისჩამდგმელთა სიაში თავდაცვის მინისტრი, ფელდმარშალი მუჰამმად ჰუსაინ ტანტავი, ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა იყო. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ეგვიპტეში ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში სამხედროების ჩარევის ტრადიციას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. კონკრეტულად, ის იწყება XIII საუკუნიდან, მამლუქების მმართველობის პერიოდში. ეს პროცესი გაგრძელდა XIX საუკუნის დასაწყისშიც, მუჰამმად ალის ზეობის პერიოდში (1805-1848). იმავე საუკუნის ბოლოს კი სამხედროები ურაბი ფაშას მეთაურობით ცდილობდნენ ოსმალეთის ბატონობისგან ქვეყნის გამოხსნას. არმია იყო მთავარი აქტორი 1952 წლის ივლისში მონარქიის დამხობის დროსაც. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, 1936 წლიდან დაიწყო ეგვიპტის არმიის ნაციონალურ ძალად ჩამოყალიბება. 1938 წელს ეგვიპტის არმიიდან ბრიტანელი ოფიცრები დაითხოვეს. ახალი თაობის ნაციონალისტი ოფიცრები, რომლებმაც 1939 წლიდან შექმნეს ახალგაზრდა ოფიცრების გაერთიანება, რომლის ფორმირებაც სამი წლის შემდგომ დასრულდა და საბოლოოდ ეწოდათ "თავისუფალი ოფიცრები", ანტიბრიტანულად განწყობილები იყვნენ და მათ მთავარ მიზანს ბრიტანული გავლენისგან სრული გათავისუფლება წარმოადგენდა. სამხედროების ძირითადი ნაწილი ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს სამეფო ოჯახთან და არ იზიარებდა ახალგაზრდა ოფიცრების ნაციონალისტურ იდეებს. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში სამხედროების როლი განუხრელად გაძლიერდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხელისუფლებაში მოსული სამხედრო ლიდერები, ნაგიბი და ნასირი,

---

[136] Highlights: Egyptian President Hosni Mubarak's speech. // *„REUTERS",* January 2011, accessed July 4, 2021 at web page
https://www.reuters.com/article/us-egypt-mubarak-speech-idUSTRE70S0SA20110129

[137] **Jane Mayer.** Who Is Omar Suleiman? // *"NEWYORKER",* January 2011, accessed Jul 4, 2021
https://www.newyorker.com/news/news-desk/who-is-omar-suleiman

არმიას მიიჩნევდნენ ხელისუფლების მთავარ საყრდენ ძალად. შეიარაღებული ძალები თვლიდნენ, რომ სწორედ მათი გადასაწყვეტი იყო ქვეყნის და რევოლუციის ბედი. გენერლები და მაღალი რანგის ოფიცრები იქცნენ ახალი ელიტის უმნიშვნელოვანეს ელემენტებად. ყოფილი და მოქმედი სამხედროები იკავებდნენ საკვანძო პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ პოსტებს. თავიანთი პრივილეგიებით ისინი ბევრად აჭარბებდნენ სამეფო არმიაში მომსახურე წინამორბედებს. ბევრი ყოფილი რევოლუციონერი და რადიკალი ნაციონალისტი მოკლე დროში იქცა ბურჟუად და ისინი ინტენსიურად იყენებდნენ თავიანთ სამსახურებრივ მდგომარეობას პირადი გამდიდრებისთვის.[138]

2010 წლის სექტემბერში ვრცელი სტატია გამოქვეყნდა გამოცემა „Foreign policy-ში: სათაურით „არის თუ არა გამალ მუბარაქი საუკეთესო იმედი ეგვიპტის დემოკრატიისთვის?“, რომელშიც გაშუქებულია ქვეყნის ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ნაწილის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰუსნი მუბარაქის შვილის, გამალ მუბარაქის შესაძლო გაპრეზიდენტებასთან დაკავშირებით. „არა ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემას“, „ეგვიპტე არ არის პლანტაცია, რომელსაც მამა შვილს დაუტოვებს ანდერძით“ - მსგავსი ლოზუნგები ისმოდა ქვეყნის ქუჩებში გამართულ საპროტესტო აქციებზე.[139] პარალელურად, იმავე წლის ოქტომბერში გამოქვეყნებული გლობალური დაზვერვის ცენტრის კომპანია „სტრატფორის“ ანალიტიკური ანგარიშის თანახმად, ჰუსნი მუბარაქის გეგმის მიხედვით, მის ერთგულ დაზვერვის შეფს, უმარ სულეიმანს,[140] სამომავლოდ უნდა დაეკავებინა ვიცე-პრეზიდენტის პოსტი, შემდგომ პრეზიდენტის, ხოლო ერთი წლის შემდეგ მას ჩაანაცვლებდა ახალგაზრდა მუბარაქი. ეგვიპტის სამხედროებშიც

---

[138] **Владимир Ахмедов**. Армия и власть в Ближнем Востоке. Научное издание, (Сборник Статией) М., 2002.

[139] **Tarek Masoud.** Is Gamal Mubarak the best hope for Egyptian democracy? // *"Foreign Policy",* September 2010, accessed July 4, 2021 at web page https://foreignpolicy.com/2010/09/20/is-gamal-mubarak-the-best-hope-for-egyptian-democracy/
Davind Kirkpatrick. Into the Hand of the Soldiers, გვ. 17.

[140] დევიდ კირპატრიკის მიხედვით, მას შემდეგ რაც დემონსტრანტებმა თაჰრირის მოედანი დაიკავს, აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს საგანგებო შეხვედრა მოიწვია და დებატების შემდეგ დათანხმდა სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველთა მიერ შეთავაზებულ გეგმას, რომლის მიხედვითაც ჰუსნი მუბარაქი უნდა დაეყოლიებინათ იმაზე, რომ მას ძალაუფლება გადაეცა უმარ სულეიმანისთვის. მის მიმართ თანაბრად იყვნენ ნდობით აღწურვილი როგორც ამერიკის შეერთებული შტატები, ასევე ისრაელიც.
Davind Kirkpatrick. Into the Hand of the Soldiers, გვ. 56.

გამოჩნდნენ ოპოზიციურად განწყობილი ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მსგავსი სცენარის განვითარებას. ეგვიპტის შეიარაღებული ძალების სამხედრო საბჭოს მეთაურმა მუჰამმად ჰუსაინ ტანტავიმ და გენერალ-ლეიტენანტმა სამი ანანმა პრეზიდენტ ჰუსნი მუბარაქს ეგვიპტელი სამხედროების სახელით განუცხადეს, რომ არ ეთანხმებოდნენ მის გეგმას. ასევე შეახსენეს შემდეგი გარემოება: სამხედროები მხარს უჭერდნენ მას და მის წინამორბედებს, გამალ აბდ ან-ნასირსა და ანვარ ას-სადათს, რადგან ისინი სამხედრო წრიდან გამოსულები იყვნენ, ხოლო ახალგაზრდა მუბარაქი ვერ პასუხობდა ასეთ სტანდარტებს. პრეზიდენტი დაეთანხმა მათ მიდგომებს, თუმცა სამხედროებისთვის უმარ სულეიმანის კანდიდატურაც მიუღებელი რჩებოდა, რადგან მიაჩნდათ, რომ დაზვერვის შეფი დასახულ სცენარს მაინც ბოლომდე განახორციელებდა.[141] ანგარიშის დასკვნით ნაწილში გამალ მუბარაქის კანდიდატურის მიუღებლობა მისი სათანადო ქარიზმის არქონით იყო ახსნილი. „სტრატფორის“ ანგარიშის გარდა, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ ეგვიპტის ახლანდელი პრეზიდენტი და იმ პერიოდში სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი გენერალი აბდ ალ-ფათაჰ ას-სისი სწავლობდა გამალ მუბარაქის შესაძლო გაპრეზიდენტების საკითხს. არაბულ სამყაროში დაზვერვის სამსახურში პერიოდულად სახელმწიფოს მეთაურზე თვალთვალიც შედის და ალ-სისიმ ზემდგომ გენერლებს უპატაკა, რომ 2011 წლის მაისში თავის 83-ე დაბადების დღეზე ჰუსნი მუბარაქი პრეზიდენტის პოსტს თავის შვილს გადასცემდა, რასაც ხალხის აჯანყება მოჰყვებოდა. მუბარაქი საპასუხოდ აქციების ჩახშობას მოითოვდა, რის გამოც სამხედროებს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება მოუწევდათ.[142] აქვე, ხაზგასმით აღნიშვნის ღირსად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ 2004 წელს ოპოზიციურმა მოძრაობამ „ქიფაია“ („კმარა“ არაბ.) ჰუსნი მუბარაქის საწინააღმდეგო მასშტაბური აქცია გამართა და ისინი ასევე გულისწყრომას გამოხატავდნენ გამალ მუბარაქის მამის მემკვიდრედ დატოვების იდეის გამო. აქციის მონაწილეთა მოთხოვნებში ასევე შედიოდა 1967 წლიდან შემოღებული საგანგებო კანონის

[141] **Khaled Desouki.** Complications with Egypt's Succession Plan. – *Stratfor,* October 2010, accessed July 4, 2021 at web page https://worldview.stratfor.com/article/complications-egypts-succession-plan
[142] **David Kirkpatrick.** Into the Hands of the Soldiers, გვ.17.

გაუქმებაც.[143]

ჩვენი აზრით, ქარიზმის არქონის ფაქტორი უფრო გამოგონილ მიზეზს ჰგავდა, ვინაიდან გამალ მუბარაქის ბიოგრაფიის, მომავალი პოლიტიკური გეგმებისა და მისი გუნდის შესახებ გაანალიზებული წყაროების შედეგად შემდგი სურათი იკვეთება: გამალი არის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი და კაიროს ამერიკის უნივერსიტეტის მაგისტრი. სწავლის დასრულების შემდეგ მუშაობდა კაიროს ამერიკის ბანკში, ოდნავ მოგვიანებით კი იმავე სფეროში საქმიანობდა ლონდონში რამდენიმე წლის მანძილზე. 1998 წელს, ლონდონიდან დაბრუნებულმა, მამის მრჩევლის პოზიცია დაიკავა.[144] 2002 წლიდან გახდა ეგვიპტის მმართველი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ (1978-211)[145] პოლიტიკური სამდივნოს თავმჯდომარე. იგი ყოველთვის ამტკიცებდა, რომ საჭირო იყო სახელმწიფოსგან კონტროლირებული ეგვიპტის ეკონომიკის ლიბერალიზაცია, გადასახადების შემცირება, ინვესტორების მოზიდვა და სახელმწიფო ბანკების მიერ აქციების გაყიდვა. გამალ მუბარაქის ეკონომიკურ პოლიტიკას, შესაძლოა, მცირე გაუმჯობესება მოეტანა ქვეყანაში არსებული სოციალური გარემოსთვის. გამოცემა „Newyorker-ში“ გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, დასავლელ დიპლომატთა ნაწილი თვლიდა, რომ ამით კოლოსალურ სარგებელს მხოლოდ გამალი და მისი გარემოცვა მიიღებდა, ხოლო საშუალო ეგვიპტელების ცხოვრება არ გაუმჯობესდებოდა. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ქვეყნის მმართველი „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ 6-წევრიან გენერალურ სამდივნოში მოქმედებდა ძალთა ბალანსის პოლიტიკა ე.წ. ძველ და ახალ „გვარდიას“ შორის. „ძველ გვარდიას“ წარმოადგენდნენ გენერალური მდივანი საუფვატ ალ-შარიფი, პრეზიდენტის შტაბის თავმჯდომარე ზაქარია აზმი და საპარლამენტო საქმეების მინისტრი მუფიდ შებაბი, ხოლო ახალს - გენერალური მდივნის მოადგილე გამალ მუბარაქი, საორგანიზაციო საქმეთა მდივანი აჰმად აზზი და ინფორმაციების მდივანი ალი ჰილალ ალ-დესუკი. გამალ მუბარაქის გარემოცვაში მყოფი ბიზნესმენთა გუნდი 2004 წლიდან დომინირებდა პრემიერ-მინისტრ აჰმად ნაზიფის კაბინეტში. 2009 წლიდან „ძველი გვარდია“ სახალხოდ აკრიტიკებდა

[143] **William L. Cleveland, Martin Bunton.** AHistory of the Modern Middle East, გვ. 698.
[144] **Marwan Bishara.** The Invisible Arab, გვ. 15-17.
[145] **Inmaculada Szmolka.** Political Change in the Middle East and North Africa after Arab Spring, გვ. 359.

ნაზიფის მთავრობის მიერ შემუშავებულ გეგმას და ეკონომიკურ პოლიტიკას, რადგან ახალგაზრდების ეკონომიკური კურსი, რომელიც გათვლილი იყო ბიზნესმენთა ფენისთვის მაქსიმალური მოგების მიღების პოლიტიკაზე, აზარალებდა „ძველი გვარდიის“ ინტერესებს, რომელთა ძალაუფლების მთავარ რესურსსაც წარმოადგენდა სახელმწიფო, გაბერილი სამოქალაქო სექტორი და ბიუროკრატია.[146] გარდა ამისა, ზემოთ ხსენებული „სტრატფორის“ ანგარიშებში გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ „არაბული გაზაფხულის“ გარიჟრაჟზე, საპროტესტო აქციების დროს, უმარ სულეიმანი ყოველმხრივ ცდილობდა დაქსაქსულობა შეეტანა ოპოზიციურ ძალებში, მაქსიმალურად გაეჭიმა დრო და ამ გზით ლეგიტიმურად გადაეცა ძალაუფლება ახალი დროებითი მთვარობისთვის. აღნიშნული გეგმა მისაღები აღმოჩნდა თავდაცვის მინისტრ ფელდ მარშალ ჰუსაინ ტანტავის, გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელის სამი ანანისა და საჰაერო ძალების ყოფილი სარდლის აჰმად შაფიკისთვის. „სტრატფორის“ ინფორმაციის თანახმად, სამხედროებს სურდათ, შეენარჩუნებინათ ქვეყნის მართვის ბერკეტები, დაეცვათ და გადაენაწილებინათ ფინანსური ინტერესები[147] და არ დაეშვათ დემოკრატიული პროცესების გავლენით მომავალ არჩევნებში ისლამისტების გამარჯვება, თუმცა ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისა და „სტრატფორისა“ და „ბერლინის უნივერსიტეტის“ 2013 წლის საერთაშორისო კონფერენციაზე გამოტანილი მოხსენების “Arab Revolutions and beyond: change and presistance”[148] მასალების შეჯერებით გამოტანილი დასკვნა მიანიშნებს იმაზე, რომ სამხედროებისთვის ისლამისტების არჩევნებში გამარჯვება არცთუ მიუღებელი შედეგი იყო შემდეგ მიზეზთა გამო: ეგვიპტეში საპროტესტო გამოსვლების დასაწყისში სამხედროები აქციის მონაწილეებს არ არბევდნენ,[149]

---

[146] **Stephan Roll.** Gamal Mubarak and the Discord in Egypt's Ruling Elite. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* September 2010, accessed July 4, 2021 at web page http://carnegieendowment.org/sada/?fa=41490

[147] **D. Silverman.** The Arab Military in the Arab Spring: Agent of Continuity of Change? // *“The Ohio State University”,* 2012, გვ. 24-27. https://www.polisci.osu.edu/sites/polisci.osu.edu/files/Silverman%20CPRW%202012.pdf

[148] **Naual Belakhdar, Ilka Eickhof, Abla El Khawaga, Ola El Khawaga, Amal Hamada, Cilja Harders, Serena Sandri** (ed.). Arab Revolutions and Beyond. // *“Proceedings of the International Conference Tunis, 12-13”,* August 2014, Accessed July 4, 2021 at web page https://www.polsoz.fu-berlin.de/polwiss/forschung/international/vorderer-orient/publikation/working_papers/wp_11/WP11_Tunis_Conference_FINAL_web.pdf გვ. 12-15.

[149] **Davind Kirkpatrick.** Into the Hand of the Soldiers, გვ. 49.
William L. Cleveland, Martin Bunton. A History of the Modern Middle East, გვ. 699.

პირიქით, საშუალებას აძლევდნენ, ეყვირათ ჰუსნი მუბარაქის საწინააღმდეგო ლოზუნგები, თუმცა 15 დღის შემდეგ ისინი ჩაერთვნენ სისხლისღვრაში. მოვლენათა განვითარების დინამიკამ აჩვენა, რომ შეიარაღებული ძალები მანიპულირებდნენ საპროტესტო აქციების მონაწილეებით. მათსა და მანიფენსტანტებს შორის დაპირისპირება როგორც კი პიკს მიაღწევდა, ისინი ნაწილობრივ დათმობებზე მიდიოდნენ ოპიზიციის ლიდერებთან. ასევე, აშკარად გამოჩნდა, რომ სამხედროებს არცერთხელ უცდიათ რომელიმე ოპოზიციური ძალის მხარდაჭერის მოპოვება, გარდა ისლამისტებისა. ეს გარემოება იმდენად თვალშისაცემი გახდა, რომ მოგვიანებით სამხედროებს მასმედიის საშუალებით მოუწიათ სახალხოდ ემტკიცებინათ: „ჩვენ არც „ძმები“ ვართ და არც სალაფიტები... ხოლო მუბარაქი შინაპატიმრობაში იმყოფება.“ რაც მოგვიანებით იმით დადასტურდა, რომ მათ უარი განაცხადეს მუბარაქის რეჟიმის დაცვაზე.[150]

ზემოთ მოყვანილი წყაროების გაანალიზების შედეგად ჩანს, რომ „სტრატფორის“ ანგარიშისგან განსხვავებით, ხსენებული „ბერლინის უნივერსიტეტის“ 2013 წლის საერთაშორისო კონფერენციის მოხსენება უფრო მეტად ჯდება ლოგიკურ ჩარჩოში, რადგან ცნობილია, რომ ქვეყანა რაც უფრო დემოკრატიულია, მით ნაკლებია სამხედროების კონტროლი სახელმწიფოს მართვის საკითხებში, ასევე პარალელურ რეჟიმში იზღუდება მათი და სამთავრობო სტრუქტურებში გაბატონებული კორუმპირებული ელიტური ჯგუფების ძალაუფლებაც. აქედან გამომდინარე, ლიბერალური და დემოკრატიული ძალების ქვეყნის სათავეში მოსვლა არ შედიოდა არც ე.წ. “ძველი გვარდიისა” (ჰუსნი მუბარაქის გუნდი) და არც სამხედროების ინტერესებში. სწორედ ამიტომ, სამხედროებისთვის ისლამისტების გამარჯვება უფრო მომგებიანი იყო, რადგან როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, ისლამისტი პრეზიდენტი მუჰამმად მურსი არაერთხელ მანიპულირებდა ისრაელთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების გადახედვის მუქარით. ამ გარემოებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო

---

[150] **Eugene Rogan.** The Arabs, 2012 P: 406
ს. გურეშიძე . ეგვიპტის სამხედრო საბჭო და “არაბული გაზაფხული” (ეგვიპტის სამხედრო საბჭო “არაბული გაზაფხულის” კულუარებში). // *„საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომები.“* თბ., 2017, გვ. 62-70.

გახადა ქვეყნის მმართველობაში სამხედროების ჩართულობის აუცილებლობა, რადგან სწორედ ისინი ითვლებიან დღემდე ისრაელთან დადებული სეპარატული ზავის მთავარ გარანტორებად. ვვარაუდობთ, რომ ლიბერალური და დემოკრატიული ძალების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, დიდი ალბათობით, მსგავს სპეკულაციებს აღარ მიმართავენ. ჩვენს ამ მოსაზრებას კიდევ ერთი გარემოება განამტკიცებს: კონტრრევოლუციის მოწყობა ძალზე ადვილია მას შემდეგ, რაც რევოლუციით მოსული ძალები პოპულარობას კარგავს მხარდამჭერების თვალში. ასეთი რამ კი ხშირად ხდება, რადგან რევოლუციონერებისგან ყოველთვის ელიან სწრაფ და ეფექტურ შედეგებს, რაც უმეტეს შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია მთელი რიგი გამოწვევების გამო. აქედან გამომდინარე, სამხედროებს ნაკლებ უხერხულობას შეუქმნიდა ისლამისტი პრეზიდენტის წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობა დასავლელი პარტნიორების თვალში, ვიდრე ლიბერალური და დემოკრატიული ძალების ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ქვეყნის პირველი პირისთვის ხელისუფლების სადავეების ჩამორთმევა.

წარმოდგენილ მსჯელობას უმაღლესი სამხედრო საბჭოს გათვლების შესახებ ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მათი ქვეყნის მართვის სადავეებთან დარჩენის მოლოდინებზე პროგნოზები ერთდროულად კეთდებოდა თურქულ და დასავლურ ანალიტიკურ წრეებში.

პრეზიდენტ ჰუსნი მუბარაქის რეჟიმის დამხობისა და ეგვიპტის საპარლამენტო არჩევნებში ისლამისტების გამარჯვების შემდეგ (2012 წ.) თურქულ ინტერნეტგაზეთში „www.todayszaman.com“ გამოჩნდა ინფორმაცია სათაურით “ეგვიპტე მიდის თურქეთის გზით”, იტყობინებოდა არაბული „almasryalyoum.com-ი“. ჟურნალისტ ჯუმალა ონალის მიერ მომზადებულ ამ სტატიაში წერია, რომ ის პროცესები, რომელიც ეგვიპტეში 2012 წლის გაზაფხულზე მიმდინარეობდა, ძალიან ჰგავდა წარსულში თურქეთში განვითარებულ მოვლენებს. “არმია და სასამართლო ხელისუფლება ერევა ქვეყნის პოლიტიკაში და ავლებს გამყოფ ხაზს ლიბერალებს, კონსერვატორებსა და გაძლიერებული სეკულარიზმის მომხრეებს შორის. მათ არ შეუძლიათ შეთანხმდნენ კონსტიტუციის შედგენის საერთო პოზიციაზე და ვერ საზღვრავენ, რომელი სჯობს: საპარლამენტო თუ ნახევრად საპარლამენტო მოწყობა.

ქვეყანაში არსებული კრიზისი მიუახლოვდა ნულოვან ნიშნულს და ეს საფრთხეს უქმნის ჯანდაცვის, განათლებისა და ტურიზმის სფეროებს. მსგავს პრობლემებს უმკლავდებოდა თურქეთი წლების განმავლობაში და მხოლოდ ახლახან უახლოვდება გარკვეულ შედეგებს, ხოლო ეგვიპტისთვის ეს დასაწყისია, რასაც ახლავს თავისი საფრთხეებიც“.

ონალის აზრით, იმ პერიოდისთვის ეგვიპტესაც ესაჭიროებოდა ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ თურგუთ ოზალი, დღეს კი რეჯებ თაიბ ერდოღანია. 1980 წელს ოზალმა თურქეთს დაუსახა მისაღწევი მიზნები და მათი განხორციელების გზები. შემდგომ, 2000 წელს, ერდოღანმა მიიღო ზომები ეკონომიკის რეანიმირებისა და პოლიტიკური სტაბილურობის შესაქმნელად. ორივე ლიდერს ის ჰქონდა საერთო, რომ ისინი „ხალხიდან გამოსულები“ იყვნენ. ონალი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ეგვიპტესაც სასწრაფოდ ესაჭიროება ასეთი ლიდერი, რომელიც იქნება მორწმუნე, მაგრამ რელიგია არ იქნება დომინანტი მის საერო გადაწყვეტილებებში და დააბალანსებს ურთიერთობას ყველა პოლიტიკურ ძალას შორის. ამავე დროს, იგი არ უნდა იყოს უფროსი თაობის პოლიტიკოსთა წარმომადგენელი. ჩვენთვის მისი ეს მოსაზრება ნაწილობრივაა მისაღები, ვინაიდან ნაკლებად ჩანდა მოსახლეობის რიგებში სერიოზული განხეთქილების ნიშნები. თუმცა ზოგადი ხაზი მისაღებია იმ ნაწილში, რომ თურქეთში არმია მრავალი წლის განმავლობაში იყო პოლიტიკური სტაბილურობის გარანტი. ჟურნალისტის დასკვნით, „ეგვიპტეში არსებული ეკონომიკური კრიზისი ამ ქვეყნის ნებისმიერ მომავალ ლიდერს ფეთქებად, საშიშ სიტუაციას შეუქმნიდა.[151]

2012 წლის მარტის დასაწყისში, პარალელურ რეჟიმში „სტრატფორმაც“ გამოაქვეყნა ცნობები მსგავსი მონაცემებით: “ეგვიპტეში სამხედროებს არ სურთ კვლავაც დარჩნენ ხელისუფლებაში, თუმცა უნდათ მასზე კონტროლის შენარჩუნება. ეგვიპტელ სამხედროებს მსგავს საკითხებში თურქეთის მაგალითისა და პაკისტანელი

[151] صحيفة: مصر «على خطى تركيا».. والجيش والقضاء «يتدخلان» في سياسة الدولة // *Almasryalyoum,* April 2012, accessed July 4, 2021 at web page
https://www.almasryalyoum.com/news/details/173774

გენერლების გამოცდილების გაზიარება სურთ.”[152]

2.3. პოსტრევოლუციური ეგვიპტე

ეგვიპტეში სამხედროების მრავალსვლიანი კომბინაციის კიდევ ერთ დამადასტურებელ ფაქტად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგი გარემოებები: თავდაპირველად ეგვიპტის საპარლამენტო არჩევნებში, 2012 წლის 21 იანვარს, ისლამისტებმა გაიმარჯვეს უმრავლესობით ჯამურად. ხმათა 47% მიიღო „მუსლიმი ძმების“ პარტიამ „თავისუფლება და სამართალი“, სალაფიტების პარტია ნურმა - 24%, დანარჩენმა ლიბერალურმა და სეკულარულმა პარტიებმა - 30%-ზე ნაკლები.[153]

აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თუნისის მსგავსად, მართალია, ჯამურად და პროცენტულად ყველაზე მეტი ხმა მიიღეს ისლამისტებმა, მაგრამ კონკრეტულად “მუსლიმ ძმებს”, მათ იდეოლოგიასა და პოლიტიკურ კურსს, ამომრჩეველთა ნახევარზე ოდნავ ნაკლები - 47% უჭერდა მხარს, ხოლო სალაფიტებს - 24%, რაც სულ ცოტა მსჯელობის საგნად აქცევს იმ ფაქტს, რამდენად იყვნენ ისლამისტები ეგვიპტის მოქალაქეთა უმრავლესობის არჩევანი რეალურად, თუ ამას დავუმატებთ სამხედროების მიერ ორგანიზებულ საარჩევნო სქემას, რომელიც ქვემოთ უფრო ვრცლად გვაქვს განხილული. ამავე დროს, ამ შედეგებით ჩანს, რომ გამარჯვებულ ისლამისტური ძალების ამომრჩევლებში ერთსულოვნებაც არ ჩანდა.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს ის, რომ საპარლამენტო არჩევნებში ისლამისტების გამარჯვების შემდეგ მოკლე ხანში გამოჩნდა, რომ სამხედროები მართვის სადავეების დათმობას არ აპირებდნენ. 2011 წლის დეკემბრის დასაწყისში უცხოური მასმედიისთვის გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე, სადაც ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები არ იყვნენ დაშვებული, მაშინდელი თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, გენერალმა მუხტარ ალ-მულლამ, განაცხადა, რომ ისლამისტების საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების გამო აღელვება არ ღირდა,

[152] Red Alert: Mubarak Resigns, Military Is in Charge. – *Stratfor,* February 2011, accessed July 4, 2021 at web page https://worldview.stratfor.com/article/red-alert-mubarak-resigns-military-charge

[153] 2012 Egyptian Parliamentary Elections. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* January 2015, accssed July 4, 2021 at web page https://carnegieendowment.org/2015/01/22/2012-egyptian-parliamentary-elections-pub-58800

ვინაიდან პრემიერ-მინისტრს ისევ შეიარაღებული ძალების უმაღლესი საბჭო დანიშნავდა. არმია კვალვინდებურად გააკონტროლებდა მთავრობას, მისი განმარტების თანახმად, ასეთ არასტაბილურ გარემოში არც პარლამენტი და არც ისლამისტები არ წარმოადგენდნენ მთელ ეგვიპტეს და მათ რაიმე სახის რეალური ცვლილებების განხორციელებაც არ შეეძლოთ.

მუხტარ ალ-მულას სიტყვებს ლიბერალებისა და ისლამისტების დაუყოვნებლივი რეაქცია მოჰყვა, მათ სამხედროებს გადატირალების მცდელობაში დასდეს ბრალი. არმიამ უკან დაიხია და პარლამენტს ნება დართო, გაეკონტროლებინა ახალი ქარტიის შექმნის პროცესი. ბევრმა არაისლამისტმა პოლიტიკოსმა და აქტივისტმა შეთქმულებისმაგვარიც კი დაინახა ისლამისტებსა და სამხედროებს შორის. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ „მუსლიმმა ძმებმა“ საიდუმლო კავშირი შეკრეს გენერლებთან. მათი თეორიის თანახმად, ისლამისტებმა მიიღეს მთავრობის მუდმივი კონტროლი შეიარაღებული ძალებისგან, სანცვლოდ კი სამხედროები დასთანხმდნენ მოკლე დროში არჩევნების დანიშნვას, სადაც უკეთესად ორგანიზებულ ისლამისტებს გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდათ.[154] ჩვენი მხრიდან ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ სამხედროებს დროებით მეტოქეებად ისლამისტური ძალები უფრო აწყობდათ ზემოთ ხსენებულ მიზეზთა გამო და მათ შორის რაიმე შეთქმულება ეგვიპტის მაშინდელი ოპოზიციური ძალების წარმოსახვა უფრო იყო, ვიდრე რეალობა.

დავუბრუნდეთ კომბინაციის დეტალებს, რომლის მიხედვითაც, თავის დროზე ჰუსნი მუბარაქის რეჟიმის მიერ მოსამართლეებით დაკომპლექტებულმა უმაღლესმა საკონსტიტუციო სასამართლომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე ორი დღით ადრე საპარლამენტო არჩევნები არაკონსტიტუციურად გამოაცხადა და პარლამენტი დაითხოვა.[155]

ვფიქრობთ, რომ ხსენებული საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე ორი დღით ადრე მსგავსი გადაწყვეტილების მიღება არ იყო შემთხვევითი, რადგან ამ ნაბიჯით უმაღლესმა სამხედრო საბჭომ ისლამისტებს მანევრის საშუალება არ

[154] **David Kirkpatrick.** Into the Hands of the Soldiers, გვ. 130-131.
[155] **David Hearst, Abdel-Rahman Hussein.** Egypt's supreme court dissolves parliament and outrages Islamists. // *Guardian,* June 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2012/jun/14/egypt-parliament-dissolved-supreme-court

დაუტოვა, ვინაიდან „მუსლიმი ძმები“ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის ბოლომდე მიყვანით იყვნენ დაინტერესებულნი და საპარლამენტო უმრავლესობის დაკარგვის გასაპროტესტებლად მათ არც დრო ჰქონდათ და ვერც სათანადო რესურსის მობილიზებას შეძლებდნენ იმ მომენტში.

2012 წლის 24 ივნისის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შემდეგ[156], რომელშიც მონაწილეობდნენ “მუსლიმი ძმების” წარმომადგენელი მუჰამმად მურსი და აჰმად შაფიკი, გაიმარჯვა მუჰამმად მურსიმ.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ თავდაპირველად საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე „მუსლიმი ძმები“ უარს აცხადებდნენ. მათი ამ გადაწყვეტილების მოტივი იყო ის, რომ არ სურდათ, ესარგებლათ პარლამენტში მოპოვებული უმრავლესობით და ამით რაიმე გავლენა მოეხდინათ საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობაზე. შემდგომ მათ გადახედეს თავიანთ გადაწყვეტილებას. მათ მიიჩნიეს, რომ ასეთი ნაბიჯის გარეშე ბოლომდე ვერ მიიყვანდნენ რევოლუციას, რადგან უმაღლესი სამხედრო საბჭო კვლავ მართავდა ქვეყანას ქამილ ჯანზურის გარდამავალ მთავრობასთან ერთად. ასევე, “ძმების” აზრით, არსებობდა საფრთხე იმისა, რომ ჯანზურის მთავრობას შეიძლებოდა დაეთხოვა არჩეული პარლამენტი, საპრეზიდენტო არჩევნების წინ წამოეწია წინა რეჟიმისგან შემორჩენილი პრეზიდენტობის კანდიდატი და ასევე „ძმებისათვის“ დაებლოკათ ადგილები საკონსტიტუციო ასამბლეაში, რომელსაც უნდა შეედგინა ქვეყნის ახალი კონსტიტუცია. „ძმების“ მიერ საპრეზიდენტო კანდიდატის წამოყენებას გამოეხმაურა ბრიტანული გაზეთი „გარდიანიც“ და ეს მოვლენა მიიჩნია მნიშვნელოვან ტესტად როგორც ეგვიპტისათვის, ისე, ზოგადად, „არაბული გაზაფხულის“ მომავალი კურსისთვისაც.

„მუსლიმი ძმების“ პირველი კანდიდატი იყო 61 წლის ხაირათ ალ-შატირი. მან რამდენიმე წელი ციხეში გაატარა ამ ორგანიზაციასთან კავშირის გამო. მას ბრალი ედებოდა ფულის გათეთრებაშიც და პატიმრობიდან გაათავისუფლეს პრეზიდენტ

---

[156] პირველ ტურში მუჰამმად მურსიმ ხმათა 24,78% მიიღო, აჰმად შაფიკმა 23,66%. მეორე ტურში მურსი-51,73%, შაფიკი 48,27%.
Presidential Election in Egypt. - *The Carter Center Final Report,* May-June 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.cartercenter.org/resources/pdfs/news/peace_publications/election_reports/egypt-final-presidential-elections-2012.pdf გვ. 5.

ჰუსნი მუბარაქის რეჟიმის დამხობის შემდეგ. ოდნავ მოგვიანებით სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ეგვიპტის საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის უფლება არ მიეცათ 10 კანდიდატისათვის. ცნობილი გახდა, რომ ამ ათიდან უარი ეთქვათ "ძმებისა" და სალაფიტების კანდიდატებს - ხაირათ შატირს და აბუ ისმაილს. შატირს უარი ეთქვა წარსულში ნასამართლეობისთვის. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2012 წლის 10 აპრილს ისრაელის საინფორმაციო ვებგვერდზე „jpost.com" გამოჩნდა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ შატირი თავის ამომრჩევლებს ჰპირდებოდა მისი არჩევის შემთხვევაში ეგვიპტური საზოგადოების ფუნდამენტურ ისლამიზაციას. მან 2011 წლის 21 აპრილს, ციხიდან გათავისუფლების 2 თვის თავზე, ალექსანდრიაში წარადგინა „ისლამური აღორძინების პროექტიც".

აბუ ისმაილის შემთხვევაში ცნობილი გახდა, რომ დედამისმა აშშ-ის მოქალაქეობა მიიღო 2008 წელს, იგი ორმაგ - ეგვიპტისა და აშშ-ის - მოქალაქეობას ფლობდა, ხოლო მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატის მშობლებიც მხოლოდ ეგვიპტის მოქალაქეები უნდა ყოფილიყვნენ.[157]

საარჩევნო კომისიის მიერ ხაირათ შატირის კანდიდატურის უარყოფის შემდეგ „ძმებმა" წარადგინეს მუჰამმად მურსის, პარტია „თავისუფლება და სამართლის" (2011 წლის 30 აპრილს დაარსებული ორგანიზაცია „მუსლიმი ძმების" ისლამისტური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ფრთა) ლიდერის კანდიდატურა. აქვე აღსანიშნავია ის, რომ მურსი თავიდანვე იყო სარეზერვო კანდიდატი იმ შემთხვევისათვის, თუ ხაირათ შატირს რაიმე მიზეზით არ მიეცემოდა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება. მურსი იყო სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტის დოქტორი, ინჟინერი (1982), მაგისტრის ხარისხი იმავე სპეციალობაში მიიღო კაიროს უნივერსიტეტში (1978). „მუსლიმ ძმებს" ის პირველად დაუკავშირდა აშშ-ში სწავლის დროს. მისი შვილები დაიბადნენ კალიფორნიაში და ამერიკის მოქალაქეები არიან. დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ, 1982 წელს, იგი ასისტენტ-პროფესორის რანგში ასწავლიდა კალიფორნიის

[157] **Soraya Sarhaddi Nelson.** Egypt's Banned Candidates Vow Not To Go Quietly. //npr.org, April 18, 2012. Accessed September 9 at web page https://www.npr.org/2012/04/18/150859099/egypts-banned-candidates-dont-go-quietly

შტატის Northridge-ს უნივერსიტეტში 1985 წლამდე. იგი ორჯერ იყო დაპატიმრებული: პირველად 7 თვის განმავლობაში იყო დაკავებული 2006 წელს, მეორედ დააპატიმრეს 2011 წლის რევოლუციის დროს „ძმების“ რამდენიმე ხელმძღვანელ პირთან ერთად. აჯანყების კვალდაკვალ, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ იგი დანიშნა ხელახლა ფორმირებული პარტიის „თავისუფლება და სამართალი“ თავმჯდომარედ. ზემოთ აღნიშნულის თანახმად, არჩევნებში მუჰამმად მურსიმ მიიღო ხმების 51%, ხოლო მისმა მეტოქე შაფიკმა - 49%. არჩევნების შედეგებმა შეერთებულ შტატებში ფართო რეზონანსი გამოიწვია. მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება დააფიქსირა ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის დირექტორმა რობერტ სატლოფმა. მისი აზრით: „გასულ წელს უსამა ბინ ლადენის მკვლელობა (2011 წ.) და წელს მურსის გამარჯვება მოწმობს იმას, რომ ისლამური ორიენტაციის მქონე ექსტრემისტების სახით ჩნდება ახალი გამოწვევები, კერძოდ, უფრო რთული და არაძალადობრივი აქტივობები, რომელთა საშუალებითაც ხელი მიუწვდებათ ხელისუფლებაზე და, შესაბამისად, გააჩნიათ საკმაოდ ამბიციური გეგმებიც.“[158] მურსის გამარჯვებასთან აშშ-ის დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანი იყო. თეთრი სახლის ეროვნული უსაფრთხოების ოპერატიულ კაბინეტში შეკრებილ ჯგუფს, რომელიც 24-საათიან რეჟიმში მართავდა თათბირებს, შემდეგი სახის დამოკიდებულება ჰქონდათ: მათ არ სურდათ, შაფიკის გამარჯვების შემთხვევაში ეგვიპტეში კვლავ საპროტესტო აქციები და ქაოსი დაწყებულიყო და, ამავე დროს, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალებისა და სპეცსამსაურების ბევრ მესვეურს არ უნდოდათ, ისლამისტი პრეზიდენტი ყოფილიყო ეგვიპტის სათავეში. თუმცა არეულობის თავიდან აცილების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კაბინეტში თავმოყრილ პირთა უმრავლესობა აჰმად შაფიკს თანაუგრძნობდა არჩევნებში, ამერიკულმა მხარემ მუჰამმად მურსის გამარჯვება ცნო. სენატორი მაკკეინიც აღნიშნავდა თავის მემუარებში, რომ ბარაკ ობამას ადმინისტრაციას პოლიტიკის მორალურ მხარესა და შეერთებული შტატების

[158] **Robert Satlof.** Morsi's Victory in Egypt: Early Implications for America and the Broader Middle East. – *Washington institute for Near East Policy,* June 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/morsis-victory-in-egypt-early-implications-for-america-and-the-broader-midd

ინტერესებს შორის რთული არჩევანის გაკეთება უწევდა.[159] რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ ვექტორებს, არჩევნებში გამარჯვების მეორე დღეს (2012 წლის 25 ივნისს)[160] ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ირანის საინფორმაციო სააგენტო „ფარს ნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იგი აპირებდა ამ ქვეყანასთან 30 წლის წინ შეწყვეტილი ურთიერთობების აღდგენასა და პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას, რაც, მურსის აზრით, ხელს შეუწყობდა რეგიონში ძალთა ბალანსს. “ფარს ნიუსის” მიერ გავრცელებულ ინტერვიუში მურსიმ ასევე განაცხადა, რომ გადახედავდა ისრაელთან 1979 წელს დადებულ კემპ-დევიდის სამშვიდობო ხელშეკრულებას.[161]

პრეზიდენტის პირველი საგარეო ვიზიტები შედგა ჩინეთსა და შემდეგ თეირანში გამართულ „მიუმხრობელ სახელმწიფოთა“ კონფერენციაზე. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ ანვარ სადათისა და ჰუსნი მუბარაქის შემდეგ, რომლებსაც ძირითადად აშშ-ის და შემდეგ მცირე მასშტაბით ევროპისკენ აღებული საგარეო პილიტიკური კურსი ჰქონდათ, მურსის პირველი ვიზიტი ამ ორ ქვეყანაში სერიოზული ცვლილება იყო ეგვიპტის საგარეო პოლიტიკურ კურსში.

2012 წლის 30 აგვისტოს თეირანში სამიტზე სიტყვით გამოსვლისას ეგვიპტის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა პალესტინის სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობასაც. პრეზიდენტ მურსის აზრით, აუცილებელი იყო პოლიტიკური მხარდაჭერა, რათა ეღიარებინათ პალესტინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად. მისი განცხადებით, ეგვიპტე გააგრძელებდა პალესტინის ნაციონალური ინტერესების მხარდაჭერას, რათა პალესტინელებს საშუალება ჰქონოდათ,

---

[159] **David Kirkpatrick.** Into the hands of the Soldiers, გვ. 166-167.
ჯონ მაკკეინი, მარკ სალტერი. დუცხრომელი ტალღა, კარგი დღეები, სწორი მიზნები და სხვა ძვირფასი მოგონებები. 2019, გვ. 181.

[160] **David D. Kirkpatrick.** Named Egypt’s Winner, Islamist Makes History. // *“New York Times”,* June 2012, accessed July 4, at web page https://www.nytimes.com/2012/06/25/world/middleeast/mohamed-morsi-of-muslim-brotherhood-declared-as-egypts-president.html
David Kirkpatrick. Into the Hands of the Soldiers, 146-148.

[161] **Joanna Parasczczuk.** Morsy says he'll 'review' peace treaty with Israel, in interview with Iranian media. // *“Jarusalem post”,* June 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.jpost.com/middle-east/morsy-says-hell-review-peace-treaty-with-israel
Philip Podolsky. Morsi reportedly mulls amending peace treaty with Israel. // *“Times of Israel”,* August 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.timesofisrael.com/morsi-considers-amending-camp-david-accords/
სიმონ გურეშიძე. ეგვიპტე გზაგასაყარზე. - „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“. თბ., N4, 2013. Accessed November 16, 2022 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf.

წინააღმდეგობა გაეწიათ ისრაელის ოკუპაციისათვის. პეკინსა და თეირანში ჩანიშნულ ვიზიტებამდე ცოტა ხნით ადრე ამ მოვლენის მიზეზებსა და სავარაუდო შედეგებზე საკუთარი აზრი გამოთქვეს ვაშინგტონის ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის შემსწავლელი ინსტიტუტის მკვლევრებმაც.

ირანთან ურთიერთობების აღდგენასა და ისრაელთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულების დაცვაზე არანაკლებ პრობლემური საკითხი იყო აშშ-ისთვის ეგვიპტის ახალ საგარეო პოლიტიკაში გაჩენილი კაიროსა და პეკინის მომავალი ურთიერთობების კონტურები, რადგან მსგავსად ირანისა, ჩინეთი ასევე მოისურვებდა გამხდარიყო ისლამისტური ეგვიპტის პარტნიორიც. ჩინეთისთვის არცთუ მომგებიანი აღმოჩნდა „არაბული გაზაფხულით“ გამოწვეული პროცესები. ამ ქვეყანამ მილიარდობით დოლარი დაკარგა ლიბიის ენერგოსექტორში ჩადებული ინვესტიციებით. პარალელურად, ამ ქვეყანამ მხარი დაუჭირა ბაშარ ალ–ასადის რეჟიმს, არ დაეთანხმა გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციებს სირიის წინააღმდეგ, რამაც ასადის ოპოზიციონერების მიერ ჩინეთის დროშების დაწვაც კი გამოიწვია. შესაბამისად, ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დამხობის შემთხვევაში ჩინეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებსაც პრობლემები შეექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ისლამისტური ეგვიპტე სერიოზული ეკონომიკური გამოწვევების წინაშე იდგა, მკვლევართა აზრით, ეს არასტაბილური ქვეყანა ჩინეთისათვის მაინც მიმზიდველი შეიძლებოდა აღმოჩენილიყო, რაც, თავის მხრივ, გააჩენდა იმის შანსს, რომ ჩინეთი შეძლებდა ხმელთაშუა ზღვის აუზში შეღწევას ჰიპოთეტურად და შორეულ პერსპექტივაში კი საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებს მთლიანად დაუქვემდებარებდა აღნიშნული აუზის რომელიმე პორტს. ექსპერტები ასევე არ გამორიცხავდნენ იმასაც, რომ მურსის ეგვიპტე ჩინურ სამხედრო ფლოტს უფრო ხელსაყრელ პირობებს შეუქმნიდა სუეცის არხში, ვიდრე ამერიკულს, როგორც მანამდე ხდებოდა ტრადიციულად. ეს პრივილეგიები კი ძალზე მიმზიდველი და ხელსაყრელი ჩანდა ჩინეთისათვის, ქვეყნისთვის, რომელიც სულ უფრო მეტ აუცილებლობას ხედავდა იმისას, რომ დაეცვა თავისი ინვესტიციები ხმელთაშუა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებში.

ჩინეთისთვის პოტენციური სარგებელი იქნებოდა ამერიკულ ტექნოლოგიებზე

წვდომაც ეგვიპტეში. 2009 წლის აგვისტოში „ვიკილიქსმა“ გამოაქვეყნა შემდეგი სახის ინფორმაცია: „დიპლომატიურ წრეებში განსაკუთრებული შეშფოთება გამოიწვია ჩინელი სამხედრო პირების ვიზიტმა ეგვიპტეში F-16–ის სამხედრო საჰაერო ბაზაზე“. ეს მოხდა მუბარაქის მმართველობის დროს, როდესაც არსებობდა (მიუხედავად ბუშის ადმინისტრაციისდროინდელი ცალკეული სირთულეებისა) მყარი სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-ეგვიპტეს შორის. ხოლო ურთიერთობების გაცივების და აშშ-ის კონტროლის შესუსტების შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ მურსის ეგვიპტეს ნაკლებად დაეცვა ამერიკული სამხედრო ტექნოლოგიები.

ჩინეთის ინტერესები ეგვიპტესთან მიმართებით ნათელი იყო. ასევე მურსისთვისაც მომგებიანი იქნებოდა ეს ნაბიჯი, რადგან, პირველ რიგში, მოახერხებდა ეკონომიკური დახმარების მომწოდებელი წყაროების დივერსიფიკაციას. ვაშინგტონისგან განსხვავებით, პეკინს არავითარი რეაქცია არ ექნებოდა, თუკი მურსი შეზღუდავდა პრესისა და სიტყვის თავისუფლებას, ასევე ქალებისა და კონფესიური უმცირესობების უფლებებს. გარდა ამისა, ჩინეთს საკმაო ფინანსური რესურსი გააჩნდა იმისათვის, რომ თუკი ეგვიპტე აღადგენდა ქვეყნის შიგნით უსაფრთხოებას, დაეწყო ინვესტიციების განხორციელება.[162]

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ღაზას სექტორში ისრაელისა და ჰამასის 9-დღიანი დაპირისპირების დროს მურსიმ მოახერხა პრაგმატულობის დემონსტრირებაც. მან შეძლო ბალანსი დაეცვა ჰამასისათვის სახელმწიფო დონეზე დახმარებასა და ისრაელთან მშვიდობის შენარჩუნების საკითხებში. მიმდინარე კონფლიქტის დროს პრეზიდენტმა ქვეყნიდან გაამევა ისრაელის ელჩი და გამოიწვია საკუთარი იქიდან. იმავე დროს, ღაზას სექტორში ვითარების შესასწავლად და ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით მიავლინა პრემიერ-მინისტრი ჰიშამ კანდილი. საბოლოოდ კი ამერიკის შეერთებული შტატების თხოვნით, ბოლომდე შეასრულა შუამავლის როლი კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის. აშშ-მ, ისრაელმა და ჰამასმა მაღალი

[162] **David Schenker, Christina Lin.** (2012) Egypt's Outreach to China and Iran Is Troubling for U.S. Policy. – *Washington Institute for Near East Policy,* August 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/egypts-outreach-to-china-and-iran-is-troubling-for-u.s.-policy

შეფასება მისცეს ეგვიპტის შუამავლობას ცეცხლის შეწყვეტის საკითხებში.[163]

ასევე აუცილებელია დამატებით გაშუქდეს კიდევ ერთი გარემოება, რომლის გარეშეც ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები ვერ იქნება ბოლომდე ამომწურავი, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ იკვეთება ეგვიპტის "არაბული გაზაფხულის" არქიტექტურაში სამხედრო საბჭოს მთავარი და გადამწყვეტი როლი, ფაქტი რჩება ფაქტად: ქვეყნის პირველ დემოკრატიულ ჯერ საპარლამენტო არჩევნებში „მუსლიმმა ძმებმა" და სალაფიტებმა გაიმარჯვეს, შემდგომ საპრეზიდენტოში კი - "ძმების" წარმომადგენელმა მუჰამმად მურსიმ. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება გამოითქვა, რომლებიც ძირითადად კონსპირაციულ თეორიებსა და გარე ძალების ჩართულობის მიზეზებისკენ იხრებოდნენ. მაგალითად, საუდის არაბეთის და კატარის მხრიდან მსხვილი დაფინანსების გამოყოფა ეგვიპტელი ისლამისტებისთვის წინასაარჩევნო პერიოდში. მიზეზებს შორის იყო ამომრჩევლებში განათლების დონის გარკვეული პრობლემები, "მუსლიმი ძმების" უკეთესად ორგანიზებულობა, რადგან მათ მხარეს იყო პოლიტიკური აქტივობისა და ბრძოლის ხანგრძლივი გამოცდილება. არჩევნებში მონაწილე დანარჩენი პარტიების უმრავლესობა კი იმ პერიოდისათვის ახალი ჩამოყალიბებული იყო, რის გამოც ვერ მოახერხეს ამომრჩეველზე სათანადო ზემოქმედება.

ჩვენი აზრით, უკანასკნელი ვერსია მეტ-ნაკლებად მისაღები იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ საპროტესტო აქციების ავანგარდში ისლამისტები იქნებოდნენ მთავარი აქტორები და ისლამისტური ძალებიდან მხოლოდ "ძმებს" რომ გაემარჯვათ, მაგრამ მათთან ერთად სალაფიტებმაც შეძლეს საპარლამენტო მანდატების უმრავლესობის მოპოვება. „მუსლიმი ძმების მსგავსად", რევოლუციის გარიჟრაჟზე სალაფიტები არათუ საპროტესტო აქციებში არ იღებდნენ მონაწილეობას, ალექსადრიელმა (სწორედ ალექსანდრიაში იქნა ჩადენილი ხალიდ საიდის მკვლელობა პოლიციის მიერ) სალაფიტმა შაიხმა თავის მიმდევრებს მუბარაქის საპროტესტო აქციებში მონაწილეობისგან თავის შეკავების და სახლებში დარჩენისკენ

[163] **Abdel-Rahman Hussein.** Mohamed Morsi's approach to Gaza air strikes falls short for many Egyptians. // *"Guardian",* November 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2012/nov/15/mohamad-morsi-gaza-israel-egypt
სიმონ გურეშიძე. ეგვიპტე გზაგასაყარზე. - „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი". თბ., N4, 2013. Accessed November 28, 2022 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf.

მოუწოდა. მხოლოდ მუბარაქის რეჟიმის შემდეგ გააქტიურდა შაიხი ბორჰამი და თავის მიმდევრებს საკუთარი პოლიტიკური პარტიის შექმნის რეკომენდაცია მისცა, ვინაიდან თვლიდა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ „ძმები“ იაქტიურებდნენ არჩევნებზე და სალაფიტებს პოლიტიკურ სარბიელზე ადგილი აღარ დარჩებოდათ.[164] შესაბამისად, დასმულ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად და სიტუაციაში სიღრმისეულად გარკვევის მიზნით, უნდა განვიხილოთ იმ პერიოდის საარჩევნო სისტემა, რომელთან დაკავშირებითაც სათანადო მასალების მოძიების შედეგად აღმოჩნდა, რომ საკმაოდ რთული სქემის მქონე ხმის მიცემის პროცესი იყო, რაც ეგვიპტეში გახდა სამხედროებისთვის მოვლენათა განვითარების მათთვის სასურველ კალაპოტში მოქცევის საშუალება. კერძოდ, გამოყენებულ იქნა შემდგომი ფაქტორები: ჰუსნი მუბარაქის მმართველობის დროს ეგვიპტე იყო დაყოფილი ორას ოც საარჩევნო უბნად და თითოეულ მათგანში ირჩევდნენ ერთ კანდიდატს. არსებული საარჩევნო სისტემა მუშაობდა შედარებით მომცრო რაიონებში მცხოვრები ადგილობრივი ოჯახების სასარგებლოდ, რომლებიც თავის დროზე ავტორიტარული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ საყრდენად ითვლებოდნენ. მმართველი პარტია მხარს უჭერდა ადგილობრივ კანდიდატებს და თავის წევრებს სხვადასხვა ოლქებში. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც პარტიის ოფიციალური კანდიდატი კარგავდა თავის ადგილს, სისტემა კარს უხსნიდა გამარჯვებულს, ანუ ისევ მმართველი პარტიის მხარდამჭერს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ არაისლამისტური ძალები ითხოვდნენ საარჩევნო სისტემის შეცვლას. მათი მთავარი მიზანი იყო “რეჟიმის ნარჩენებისგან” პოლიტიკური სისტემის გაწმენდა და ამიტომ წარმოადგინეს პარტიული სიებით არჩევის ახალი სისტემა, რითიც ეცადნენ, გამარჯვების ყოველგვარი შანსი მოესპოთ ზემოთ ხსენებული ადგილობრივი ოჯახების წარმომადგენლებისთვის. საბოლოოდ, მაშინდელმა მმართველმა სამხედრო საბჭომ სცადა ყველა მხარის დაკმაყოფილება და აირჩია შერეული სისტემა, რომლის მიხედვითაც მანდატების 2/3 მოდიოდა პარტიულ სიებზე, ხოლო 1/3 - მაჟორიტარულ ოლქებზე. ეს ნიშნავდა იმას, რომ სამი დამოუკიდებელი ოლქი გაერთიანდა ერთში, რამაც ადგილობრივი ოჯახების

[164] **David Kirpatrick.** Into the Hands of the soldiers, გვ. 124.

წარმომადგენლები აიძულა, კონკურენცია გაეწიათ ერთმანეთისთვის უკვე თავიანთი "სამფლობელოების" გარეთაც. მათ, გარდა იმისა, რომ არაფერი აერთიანებდათ, ასევე გაიაზრეს, რომ გამარჯვების შანსი მხოლოდ პარტიული სიების თავში მოხვედრილებს ჰქონდათ. მათ არც სიების გაერთიანება შეეძლოთ. შედეგად რამდენიმე ოჯახმა გადაწყვიტა, არ მიეღოთ მონაწილეობა არჩევნებში, დანარჩენები კი ერთმანეთს ებრძოდნენ და შექმნილი ქაოსის ფონზე შედეგებს ისლამისტები იმკიდნენ თავიანთ სასარგებლოდ. ახალმა საარჩევნო სისტემამ მნიშვნელოვანი უპირატესობა მიანიჭა შედარებით მცირერიცხოვან სოფლის დასახლებებს. ახალი სისტემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო ის, რომ ეგვიპტელებს უნდა აერჩიათ ორი დამოუკიდებელი და ერთი პარტიული სიით წარმოდგენილი კანდიდატი. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს ხმების იმ სხვაობაზე, რომელიც მიიღეს პარტიული სიებით და მაჟორიტარულად მონაწილე ისლამისტების კანდიდატებმა. ისინი, ვინც ხმა მისცა დამოუკიდებელ კანდიდატებს, მართლაც ისლამისტების ამომრჩევლები იყვნენ. ქალაქებს გარეთ ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა ადგილობრივ კანდიდატებს: მათ, ვისაც იცნობდნენ და ვისგანაც თავის დროზე გარკვეული დახმარება ჰქონდათ მიღებული. გამომდინარე იქიდან, რომ იძულებულები იყვნენ, აერჩიათ პარტიული სიით წარმოდგენილი კანდიდატი ადგილობრივთან ერთად, ირჩევდნენ ისლამისტებსაც.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს სალაფიტების საარჩევნო წარმატება. მათ არ გააჩნდათ ერთიანი პარტიული ხელმძღვანელობა და მთელი მათი ელექტორალური ძალა ეყრდნობოდა ორ მთავარ კომპონენტს: სალაფიტურ ორგანიზაციებსა და შაიხებს. ორ ძირითად სალაფიტურ ორგანიზააციად ითვლება „ალ-ჯამი'ა აშ-შარია" და „გამა'ა ანსარ ას-სუნა". პირველი დააარსა შაიხ მაჰმუდ ალ-სუბკიმ 1912 წელს, მეორე - შაიხ მუჰამმად ჰამიდ ალ-ფიკიმ 1926 წელს. ორივე ორგანიზაციას აქვს ათასობით ოფისი მთელი ქვეყნის მასშტაბით და აკონტროლებენ ათასობით მეჩეთს. ულტრაკონსერვატიულმა ისლამისტურმა პარტია „ალ-ნურმა" გამოიყენა ეს ორგანიზაციები და თავისი კანდიდატების უმრავლესობა შეარჩია აღნიშნული ორგანიზაციების ადგილობრივი ფილიალებიდან. სხვადასხვა მუჰაფაზებში სალაფიტთა წარმატების განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი იყო ისიც, რომ იქ,

სადაც მათ ხმების უმრავლესობა დააგროვეს, ცხოვრობდნენ სალაფიტი შაიხები. მაგალითად, ქუფრ ალ-შაიხი და ბაჰირა, ამ ორ მუჰაფაზაში სიებით წარმოდგენილმა კანდიდატებმა მიიღეს ყველაზე მეტი ხმა და დაამარცხეს "მუსლიმი ძმები". ამის მიზეზი იყო ის, რომ შაიხი აბუ ისჰაკ ალ-ჰუვაინი იმყოფებოდა იქ. იგივე განმეორდა ალექსანდრიაშიც: აქ მათ გამარჯვებას ხელი შეუწყო ალექსანდრიის სალაფიტური სკოლის არსებობამ, რომელიც დააარსა შაიხ ალ-მუკადიმმა. ზემოთ აღწერილის საფუძველზე შეიძლება აიხსნას ის ფაქტიც, თუ რატომ მოხდა ისე, რომ სალაფიტებისთვის იდეალურ გეოგრაფიულ არეალში, მანუფიას მუჰაფაზაში, მათ 19%-ზე მეტის აღება ვერ შეძლეს. ამის მიზეზი იყო ის, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არცერთი სალაფიტი შაიხი არ ცხოვრობდა.[165]

ზოგადად, საარჩევნო პროცესის კულუარებში სამხედროების აქტივობის შესახებ ინფორმაცია ეგვიპტის "არაბული გაზაფხულის" შესახებ არსებულ მასალებში ან სათანადოდ არ არის გაშუქებული, ან კონსპირაციულ თეორიადაა მიჩნეული. თუმცა, ჩვენი აზრით, ის გარემოება, რომ სწორედ სამხედრო საბჭომ შეარჩია ისეთი საარჩევნო სისტემა, რომელმაც ხელი შეუწყო ისლამისტების გამარჯვებას, კიდევ ერთხელ გვიმყარებს აზრს იმის შესახებ, რომ სამხედრო საბჭო აშკარად არ ერეოდა საარჩევნო პროცესებში, მაგრამ შექმნა ისეთი გარემო, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობდა ხელს მისივე მრავალსვლიანი კომბინაციის გათამაშებას. რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებში მურსის გამარჯვების მიზეზებს, ამ შემთხვევაში ყურადღებას იპყრობს ალაა ალ-ასვანის "ალ-მონიტორში" გამოქვეყნებულ მიმოხილვა. თავად ასვანის მიმოხილვა ჩვენთვის ორი მიზეზის გამო არის ძალზე საინტერესო:

1. იმის გამო, რომ იუჯინ როგანი თავის წიგნში "არაბები" ეგვიპტეში "არაბული გაზაფხულის" პერიპეტიებზე მსჯელობისას რამდენიმე ეპიზოდში სწორედ მის ცნობებს ეყრდნობა და, შესაბამისად, გამოაქვს მართებული დასკვნები.;

2. იგი წარმოადგენდა იმ ძალებს, რომელთაც არც ისლამისტების მიმართ გააჩნდათ რაიმე სახის სიმპათიები, არც სამხედრო საბჭოს მმართველობას

[165] **Samuel Tadros.** Egypt's Elections: Why the Islamists Won. – *Hudson Institute,* March 2012, accessed July 4, 2021 at web page https://www.hudson.org/research/8766-egypt-s-elections-why-the-islamists-won

ემხრობოდნენ და მართლაც იბრძოდნენ ქვეყანაში დემოკრატიული სისტემის დამყარებისთვის.

“რატომ გაიმარჯვა მურსიმ?” - თავის მიმოხილვაში მურსის გამარჯვების მიზეზების განხილვისას ალაა ალ-ასუანი ყურადღებას რამდენიმე ფაქტორსა და გარემოებაზე ამახვილებდა, რომელთა შორისაც პირველ ადგილზე ისლამისტების წარმომადგენლის, ვიზავის, აჰმად შაფიკის ფაქტორს აყენებდა. არჩევნების პირველი ტურის შედეგების მიხედვით, აშკარად ჩანდა, რომ შაფიკი ლიდერობდა, ვინაიდან “ძმებს” უკვე ავტორიტეტი ჰქონდათ შერყეული რევოლუციონერთა უმრავლესობის თვალში, რადგან, როგორც ზემოთ ითქვა, თავდაპირველად ისინი არც აპირებდნენ რევოლუციურ პროცესში მონაწილეობის მიღებას იმის გამო, რომ მხოლოდ საკუთარი ინტერესების დაცვის სურვილი ამოძრავებდათ. კოპტების უმრავლესობას კი ეშინოდა ქვეყნის ხელისუფლებაში ისლამისტური ძალების მოსვლის და ამიტომ ხმას აჰმად შაფიკს აძლევდა, რომელსაც ძველი რეჟიმის წარმომადგენლები უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას უწევდნენ, ვინაიდან იგი იყო მათთვის ხელისუფლებაში დაბრუნების უკანასკნელი იმედი. შაფიკის გამარჯვებისთვის იბრძოდა მთელი სახელმწიფო სისტემა პოლიციის და უშიშროების აპარატი მაღალჩინოსანი ოფიცრების მეშვეობით, ასევე სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლები და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მედიასაშუალებები. ამის გამო ბევრმა ეგვიპტელმა, მათ შორის მიმოხილვის ავტორმაც, ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნებს, რათა ამ გზით მაინც შეეშალათ ხელი შაფიკის არჩევნებში გამარჯვებისთვის, ვინაიდან, უმრავლესობის აზრით, მას არათუ მონაწილეობა უნდა მიეღო აღნიშნულ პროცესში, არამედ უნდა დაწყებულიყო გამოძიება მის წინააღმდეგ არსებული 35 დოკუმენტის გამო, რომლებიც მის კორუფციულ პროცესებში ჩართულობას ამხელდა. ასვანის განმარტების თანახმად, ეგვიპტელთა უმრავლესობას იმდენად არ სურდა ძველი რეჟიმის წარმომადგენლის გამარჯვება, რომ ისლამისტების მიმართ სიმპათიებით განწყობილი ამომრჩევლების გარდა, სხვა დანარჩენებმაც მურსის მისცეს ხმა და ამის დასტურად მოჰყავს ეგვიპტის მოსამართლეთა საზოგადოების დამაარსებლის, ზაქარია აბდ ალ-აზიზისა და მისი ჯგუფის საქციელი, რომლებმაც აღმასრულებელ ხელისუფლებაზე დამოკიდებული სასამართლო ხელისუფლებისგან

განსხვავებით, შეინარჩუნეს პატიოსანი და სანდო ადამიანების სახელი საზოგადოებაში. აღნიშნული ჯგუფი საკუთარი ინიციატივით ატარებდა არჩევნების მონიტორინგს და სწორედ მათ მიერ გამოცხადებული შედეგების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მეორე ტურში მუჰამმად მურსი მილიონი ხმით უსწრებდა წინ თავის მოწინააღმდეგე შაფიკს. ასვანი იქვე აღნიშნავს, რომ მოსამართლეთა ჯგუფი არასოდეს იზიარებდა ისლამისტთა იდეოლოგიას, მაგრამ ამით დაიცვეს არჩევნები გაყალბებისგან და იქვე აფიქსირებს თავის პირად მოსაზრებასაც, რომ მიუხედავად მურსის, პირადად მასსა და სხვა ამომრჩევლების შორის არსებული პოლიტიკური იდეების შეუთანხმებლობისა, მისი გამარჯვება მაინც უდიდესი მიღწევა იყო თანამედროვე ეგვიპტის ისტორიაში, რადგან პირველად აირჩიეს სამოქალაქო პრეზიდენტი დემოკრატიული არჩევნების გზით.

საბოლოოდ, ასვანის გარდა, მკვლევართა გარკვეული ნაწილიც თანხმდება იმაზე, რომ ეგვიპტელ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი რევოლუციას უჭერდა მხარს. მათ არ სურდათ სამხედროების წარმომადგენელი შაფიკის გამარჯვება და სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა მათი მხრიდან არჩევანის შეჩერება მუჰამმად მურსიზე.[166]

ეს მოსაზრება დამაჯერებლად მიგვაჩნია იმის გამოც, რომ ალაა ალ-დინ არაფატის მოსაზრებები წიგნში „ისლამიზმის ზრდა ეგვიპტეში" სრულიად თანხვდება ალ-ასუანის მოსაზრებებს. არაფატის თანახმად, ახსნა იმისა, თუ რატომ გაიმარჯვა მურსიმ, არის ის, რომ სეკულარულმა და ლიბერალურმა ძალებმა ვერ მოახერხეს ძალთა კონსოლიდაცია ერთი არაისლამისტი კანდიდატის გარშემო, რითიც დაადასტურეს მათი უუნარობა. "მუსლიმი ძმებისთვის" გამარჯვება არ მოუტანია არც კარგად ორგანიზებულ კოორდინირებულ ქმედებებს, არც მათ სოციალურ პროგრამას და არც მათ საარჩევნო პროცესებში არსებულ ხანგრძლივ გამოცდილებას. მას ხმა მისცეს სეკულარებმაც და ამომრჩევლების იმ კატეგორიამ, რომლებიც არც ისლამისტების მიმართ იყვნენ სიმპათიებით განწყობილი, მაგრამ არ სურდათ აჰმად შაფიკის გამარჯვება. მურსის გამარჯვება არ აღნიშნულა სათანადო აღტაცებით, ათიათასობით ეგვიპტელი თაჰრირის მოედანზე უფრო შაფიკის

[166] **John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll.** Islam and Democracy after the Arab Spring, გვ. 218.

დამარცხებას ზეიმობდა, ვიდრე მურსის გამარჯვებას.[167]

კვლავ უნდა დავუბრუნდეთ ალაა ალ-ასვანის მიმოხილვას, სადაც მან დეტალურად გამოყო 5 ძირითადი მიზეზი, რომლებმაც განაპირობა ზემოთ ხსენებული ამომრჩევლების განწყობა:

1. ვინაიდან მურსი ამომრჩევლების იმ კატეგორიამაც აირჩია, რომელთაც არასოდეს არაფერი აკავშირებდათ ისლამისტებთან, არსებობდა მოლოდინები, რომ იგი იქნებოდა ყველა რევოლუციურად განწყობილი ძალების წინაშე ანგარიშვალდებული. ამის გამო მას მოსთხოვეს დაუყოვნებლივ შეეწყვიტა ყოველგვარი კავშირი "მუსლიმ ძმებთან" და დაედო პირობა ყველა რევოლუციაში ჩართული პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლებისგან შეექმნა კოალიციური მთავრობა.

2. რევოლუციიდან წლინახევრის გასვლის შემდეგაც არაფერი შეუცვლია მუბარაქის მიერ დატოვებულ სისტემაში უმაღლეს სამხედრო საბჭოს, რომელიც ამ პერიოდის განმავლობაში მართავდა ქვეყანას გარდამავალ მთავრობასთან ერთად. ახალი პრეზიდენტისგან კი ელოდნენ სწრაფ ცვლილებებს: სასამართლოს გათავისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენისგან, საკონსტიტუციო ცვლილებებს, ვინაიდან არსებული კონსტიტუცია არნახულ ძალაუფლებას ანიჭებდა უმაღლეს სამხედრო საბჭოს; ასევე ყველა კორუმპირებული ჩინოვნიკის გასამართლებას აჰმად შაფიკის ჩათვლით, საპროტესტო აქციებში მონაწილეთა მკვლელობებში ბრალდებულებისა და ძალადობაში მხილებულ პირთა დასჯას, კორუმპირებული პოლიციის სისტემის დაშლას და უშიშროების ძალების მხრიდან ხალხზე ზეწოლის მოხსნას, სამხედრო ტრიბუნალის მიერ სამოქალაქო პირების გასამართლების გაუქმებას, უკანონოდ დაკავებულთა ციხეებიდან გამოშვებას და მთავარი გამოწვევების - სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევას.

3. საპროტესტო აქციებში მონაწილე 1200 დაღუპულის ოჯახების მიმართ ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღების მიქცევაც იყო ამომრჩეველთა ერთ-

---

[167] **A. Al-Din Arafat.** The Rise of Islamism in Egypt. Palgrave macmilan, 2017. E-Book at Google Books https://books.google.ge/books?id=tZswDwAAQBAJ&pg=PA196&lpg=PA196&dq=why+morsi+won&source=bl&ots=d5d6udqUhV&sig=cvVS1fE21E2BsjqYLHiB5QvNpcw&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwimzvjb_u3WAhUsP5oKHf9FBeU4ChDoAQgxMAE#v=onepage&q=why%20morsi%20won&f=false გვ.196.
Eugene Rogan. The Arabs, 2017. გვ. 679-680.

ერთი მთავარი მოთხოვნა. მათ მკვლელობის ჩამდენთა გასამართლება და აქციების დროს დაშავებულებისთვის სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციების დანიშვნა უნდოდათ.

4. პრეზიდენტს იმ მომენტისთვის ჰქონდა მოქმედების ორი ვარიანტი: ან უნდა ებრძოლა ყველა ეგვიპტელის რევოლუციური მიზნების მისაღწევად, ან მხოლოდ "მუსლიმი ძმების" ინტერესებისთვის. სტატიის ავტორი იმედს გამოთქვამდა, რომ "ძმები" ძველ შეცდომებს არ გაიმეორებდნენ და გაითვალისწინებდნენ ორ მთავარ კომპონენტს. 1928 წლიდან, "მუსლიმი ძმების" ასოციაციის შექმნის პერიოდიდან, ითვლებოდა, რომ სახელმწიფოსა და ასოციაციის ინტერესები სინონიმები იყო და მათი პერიოდული ალიანსი მმართველ რეჟიმთან სერიოზულად აზარალებდა ეროვნული მოძრაობის ინტერესებს. ასეთი მაგალითი პოსტმუბარაქისეულ ეგვიპტეშიც იყო, რის შემდეგაც დაიკარგა ახალი კონსტიტუციის მიღების შანსი და ქვეყანა ახალი პოლიტიკური კრიზისის წინაშე დადგა. მურსის მოუწევდა მუბარაქის რეჟიმის ნარჩენების წინააღმდეგ ბრძოლა, რომლებიც ისევ აკონტროლებდნენ სახელმწიფოს და მთელი ძალებით ეცდებოდნენ, წინ აღდგომოდნენ ყოველგვარ ცვლილებას ქვეყანაში. ასეთ ბრძოლაში ახლად არჩეულ პრეზიდენტს სწორედ ყველა ეგვიპტელის მხარდაჭერა დასჭირდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში დარჩებოდა მხოლოდ "ძმების" მხარდამჭერთა იმედზე.

5. მურსი ყოველთვის დებდა "სამოქალაქო სახელმწიფოს" შექმნის პირობას. ტერმინის ინტერპრეტირება მრავალნაირად შეიძლება, როგორც ასვანი აღნიშნავს და მისი განმარტებებიდან ჩანს, ეგვიპტის პროგრესულად მოაზროვნე ინტელექტუალთა წრეებში ეს დაპირება შემდეგი პრინციპების დაცვის მოლოდინებს აჩენდა: 1. ყველა მოქალაქის, განურჩევლად მათი მრწამსისა, უფლება თანაბრად უნდა ყოფილიყო დაცული. 2. პირადი თავისუფლების დაცვა: ყველა ადამიანს უნდა ეცხოვრა ისე, როგორც ამას თავად გადაწყვეტდა, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში. ეგვიპტეში არ უნდა გავრცელებულიყო საუდის არაბეთსა და სუდანში არსებული პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც ადამიანები იჩაგრებიან ამა თუ იმ მორალური კანონის დარღვევის ბრალდებით. 3. ინტელექტუალური და შემოქმედებითი თავისუფლების დაცვა: პრეზიდენტს არ უნდა დაეკმაყოფილებინა კულტურისა და ხელოვნების

საწინააღმდეგო ექსტრემისტული მოწოდებები.[168]

ასვანის წარმოდგენილმა მსჯელობამ და ეგვიპტის ერთ-ერთი მოქალაქისგან აღებულმა ჩაღრმავებულმა ინტერვიუმ კიდევ ერთხელ სარწმუნო გახადა ის, რომ აღნიშნული პროცესები მართლაც ჯდება ლოგიკურ ჩარჩოში და მეტ-ნაკლებად ზუსტად ასახავს იმ პერიოდის განწყობებს ადგილობრივ მოსახლეობაში. ამისათვის, დამატებითი წყაროს სახით, ყურადღებას იპყრობს არა პროფესიონალი პოლიტიკოსის, არამედ საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლის, იბრაჰიმ ჰანაფის (რომელიც არაბულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა სხვადასხვა დროს ეგვიპტის, საუდის არაბეთისა და საქართველოს უნივერსიტეტებში) ინტერვიუ, რომლის მიხედვითაც: „რა თქმა უნდა, გამალ მუბარაქი ნამდვილად იყო გავლენიანი პიროვნება მამამისის (პრეზიდენტობის) პერიოდში და როდესაც იგი მხარდაჭერასთან ერთად ხელსაც უწყობდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მიმდინარე პროცესებს აჰმად ყაზის მოქმედებებთან ერთად, რომელიც, თავის მხრივ, სრულად აკონტროლებდა სახალხო საბჭოს და იყო რკინის უმსხვილესი მაგნატი და მონოპოლისტი. ყოველივე ამან გამოიწვია ხალხის გაბრაზება, ამ მიზეზებს თან ერთვოდა ქვეყანაში არსებული კორუფციის მაღალი დონეც.

„მუსლიმმა ძმებმა" გაიმარჯვეს ღარიბებისთვის ზეთისა და შაქრის დარიგების მეშვეობით. მათ აღნიშნული პროდუქტი საარჩევნო უბნებზე მანქანებით დაჰქონდათ და იქვე ურიგებდნენ მათ, ვისაც ეს ძალიან სჭირდებოდა და ასევე გადასცემდნენ ფულსაც. "ძმების" ძირითადი სამოქმედო არეალი იყო სოფლები და იქ მცხოვრები ეკონომიკურად შეჭირვებული ადამიანებისგან მოაგროვეს ხმების უმრავლესობა. ზოგიერთი ინტელექტუალის აქტივობა შემოფარგლული იყო მხოლოდ გაზეთებითა და ტელევიზიით, რაც ღარიბებზე არ მოქმედებდა, რადგან მათზე "მუცლის ენა"-ეკონომიკური სიდუხჭირიდან გამოსავლის ძებნა, უფრო ძლიერ გავლენას ახდენდა".[169]

---

[168] **Alaa Al-Aswany.** Why did Mohammed Morsi Win? – *Al-Monitor,* Jun 27, 2012, accessed September 14, 2017 at web page
https://www.al-monitor.com/pulse/politics/2012/06/why-mohammed-morsi-won.html

[169] ინტერვიუ აღებულია 2015 წელს, პირადი მიმოწერი საშუალებით და დასმული იყო შემდეგი კითხვები: 1) იქნებოდა თუ არა გამალ მუბარაქი კარგი არჩევანი ეგვიპტისთვის, რატომ კი ან რატომ არა? 2) რას ფიქრობენ ეგვიპტელი ინტელექტუალები იმაზე, თუ რატომ გაიმარჯვა არჩევნებში მუჰამმად მურსიმ?

ინტელექტუალების მეორე ნაწილი მუბარაქის წინააღმდეგ განეწყო, რადგან მათ უკმაყოფილებას იწვევდა მუბარაქის რეჟიმისდროინდელი სამხედრო წრიდან გამოსული აჰმად შაფიკის კანდიდატურა და ამის ნიადაგზე ემხრობოდნენ მურსის. ყველა სახელმწიფო ორგანიზაციას აკონტროლებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და მისი წევრები, რომლებიც პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ. ანალოგიური შეცდომა გაიმეორეს "მუსლიმმა ძმებმა" და მათმა "თავისუფლებისა და სამართლიანობის" პარტიამ.

ჩვენი აზრით, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ალაა ალ-ასვანის მიერ მოყვანილი ფაქტები მეტ-ნაკლებად კი ექცევა ლოგიკურ ჩარჩოში, მაგრამ სრულიად გაუგებარია, რამ გამოიწვია მისი ბოლო პუნქტში ჩამოთვლილი მოლოდინები, რადგან ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის და ორგანიზაცია "მუსლიმი ძმების" წევრის მუჰამმად მურსის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში რამდენიმე საინტერესო დეტალი გამოიკვეთა: ეგვიპტელი ისლამისტები მიზნად ისახავდნენ ისლამური სახალიფოს ფორმირებას, რომლის დედაქალაქადაც იერუსალიმს მოიაზრებდნენ. „ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, როგორ აგვიხდენს ოცნებას დოქტორი მუჰამმად მურსი ისლამური სახალიფოს შექმნის შესახებ" – ეს მიმართვა ერთ-ერთმა სასულიერო პირმა, საუფვათ ჰიჯაზიმ, ფეხბურთის სტადიონზე შეკრებილ მურსის ათასობით მხარდამჭერის წინაშე გააკეთა. „სახალიფოს დედაქალაქი – არაბთა შეერთებული შტატების დედაქალაქი – ღვთის ნებით, იერუსალიმი იქნება. ჩვენი დედაქალაქი არ იქნება კაიროში, მექასა ან მედინაში" – დაამატა მან.[170]

ჰიჯაზი იყო უპარტიო ისლამისტი, რომელსაც აკრძალული ჰქონდა დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე შესვლა, რადგან იგი აკეთებდა ებრაელების წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობის შესახებ წამახალისებელ განცხადებებს. მისი გამოსვლის ამსახველი კლიპი გადმოსცა ეგვიპტურმა ისლამისტური ტენდენციების მქონე ტელევიზია „ალ-ნასმა" (ხალხი), რომელიც შემდეგ აშშ-ის ახლო აღმოსავლეთის კვლევის ინსტიტუტმა ატვირთა ვიდეოპორტალ „youtube-ზეც". კლიპში ნათლად ჩანს და ისმის შეკრებილი მხარდამჭერების შემდეგი შინაარსის შეძახილები: „ხვალ

[170] **Oren Kessler.** Egypt Islamist vows global caliphate in Jerusalem. // *"Jarusalem post",* May 2012, accessed July 4, 2021 at web page
https://www.jpost.com/middle-east/egypt-islamist-vows-global-caliphate-in-jerusalem

მურსი გაათავისუფლებს ღაზას“, „ალ-ლაჰ აქბარ“ – დიდ არს ალაჰი, „ძილი არ მიეკარება არცერთი ებრაელის თვალს“ და ა.შ.

საბოლოოდ, მურსიმ მხარდამჭერებს იერუსალიმში ლოცვისკენ მოუწოდა და განაცხადა: „დიახ, იერუსალიმი ჩვენი მიზანია და ჩვენ ან ვილოცებთ იქ, ან დავიხოცებით, როგორც წამებულები მის ზღურბლზე“.[171] ჰიჯაზის გარემოცვაში სიტყვით გამოსვლა არ იყო ეგვიპტის ისლამისტი პრეზიდენტის კარიერაში ერთჯერადი ეპიზოდი. სენატორი მაკკეინი თავის მემუარებში ასევე აღნიშნავს, რომ მურსის ანტისემიტური გამონათქვამების გასაჯაროების შემდეგ ცნობილი გახდა, თუ როგორ უწოდებდა იგი ებრაელებს „სისხლის მწოველებს“, „მაიმუნებისა და ღორების შთამომავლებს“. აღნიშნული ფაქტის გამო პრეზიდენტმა ოპონენტები მისი სიტყვების კონტექსტიდან ამოგლეჯაში დაადანაშაულა. თუმცა სენატორი მართებულად შენიშნავს, როცა ამბობს: „ძნელი წარმოსადგენია კონტექსტი, რომელიც მსგავს გამონათქვამებს გაამართლებდა.“[172] საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქვეყნის ხელისუფლებაში მოსულმა ისლამისტმა პრეზიდენტმა, მიუხედავად ზემოთ აღწერილი პრაგმატულობის დემონსტრირებისა, ეგვიპტის დემოკრატიზაციას სერიოზული საფრთხე შეუქმნა და სცადა ძალაუფლების უზურპაცია.[173] ღაზაში ცეცხლის შეწყვეტისთანავე ეგვიპტე ჩაეფლო ღრმა შიდა პოლიტიკურ კრიზისში. მუჰამმად მურსის მიერ მიღებული დეკრეტის თანახმად, მიმდინარეობდა დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ნეიტრალიზება და ძლიერდებოდა პრეზიდენტის ძალაუფლება უმაღლესი სასამართლოს უფლებამოსილებასთან შედარებით. სასამართლო ინსტიტუტების მიმართ განხორციელებული მანიპულაციები პრეზიდენტის ხელში ძალაუფლების კონსოლიდაციის აშკარა სიგნალი იყო. შესაბამისად, ასეთ ქმედებას მოჰყვა ოპონენტების გაერთიანება. ოპოზიციურ ძალებში თავი მოიყარეს სეკულარმა კონსტიტუციონალისტებმა, კოპტებმა და სხვა ჯგუფებმა, რომელთაც შექმნეს კოალიცია და დაიწყეს აქციები. აქვე ხაზგასასმელია ისიც, რომ სამხედროებმა გადაწყვიტეს, დარჩენილიყვნენ ნეიტრალურ ძალად. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო იფეთქა ქუჩის

[171] **Oren Kessler.** Egypt Islamist vows global caliphate in Jerusalem. (E-Book).
[172] **ჯონ მაკკეინი, მარკ სალტერი.** დუცხრომელი ტალღა,. გვ. 196.
[173] **ჯონ მაკკეინი, მარკ სალტერი.** დუცხრომელი ტალღა, გვ. 195.
Eugene Rogan. The Arabs, 2017. გვ. 680.

დაპირისპირებამ, რომლის დროსაც დაიღუპა ათამდე ადამიანი, როგორც „მუსლიმი ძმების“, ისე მათი ოპონენტების რიგებიდან. საერო პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებმა დაარბიეს ისლამისტების 28 ოფისი. მასობრივმა საპროტესტო აქციებმა პრეზიდენტი მურსი აიძულა, უარი ეთქვა გაზრდილ უფლებამოსილებაზე.

2012 წლის 22 ნოემბერს გამოცემული დეკრეტის თანახმად, კონსტიტუციის მიხედვით, ახალი კონსტიტუციის დამტკიცებამდე და პარლამენტის არჩევამდე პრეზიდენტის მიერ გამოცემული საკონსტიტუციო დეკლარაციები, კანონები და დეკრეტები იყო საბოლოო, რომლებიც არ ექვემდებარებოდა გაუქმებას. იმავე მუხლში ეწერა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი მომენტალურად იქნებოდა ანულირებული. ასევე ქვეყნის მეთაურს ენიჭებოდა უფლება, მიეღო ყველა აუცილებელი ზომა, რაც რევოლუციისა და ქვეყნის დაცვისათვის იქნებოდა საჭირო. მანამდე მურსი აცხადებდა, რომ მისი გაზრდილი უფლებამოსილება დროებითი მოვლენა იყო და იგი ძალაუფლებას მომენტალურად გადაანაწილებდა მას შემდეგ, რაც მიიღებდნენ ახალ კონსტიტუციას და აირჩევდნენ პარლამენტს. მისი ქმედების მოტივად კი იმას ასახელებდა, რომ სასამართლო სისტემაში მრავლად იყვნენ ყოფილი კორუმპირებული რეჟიმის მხარდამჭერები და მათ შეეძლოთ საკონსტიტუციო ასამბელის დათხოვნა და ამ გზით ქვეყანაში არსებულ გარდამავალ პროცესზე უარყოფითი გავლენის მოხდენა. გარდა ამისა, პრეზიდენტი მუდმივად სთავაზობდა ოპონენტებს დიალოგის გამართვას, მას ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამაც, სთხოვა. ობამას განცხადებით, „ოპოზიციასთან მოლაპარაკებები ყოველგვარი წინაპირობის გარეშე უნდა გამართულიყო“. გაერთიანებულმა ოპოზიციამ, „ნაციონალური გადარჩენის ხსნის ფრონტმა“, მურსის შეთავაზება დიალოგის შესახებ კატეგორიულად უარყო.

ეგვიპტის ჟურნალისტთა გაერთიანების წარმომადგენლის, გამალ ფაჰმის განცხადებით, ახალი დეკლარაცია მაინც არ იძლეოდა „ფუნდამენტური“ პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას. ოპონენტთა განცხადებით, პრეზიდენტის კომპრომისი სასამართლოს აძლევდა მხოლოდ მისი საკონსტიტუციო დეკლარაციის გადახედვის უფლებას. მართალია, ამ გადაწყვეტილებით იზღუდებოდა მისი უფლებები, მაგრამ ეს ძალზე მცირე დათმობა იყო, რადგან დანარჩენი ნაბიჯები, რაც

მან წინა დადგენილებებით გადადგა, არ გადაიხედებოდა. მაგალითად, გენერალური პროკურორის თანამდებობიდან გადაყენება, რომელიც ამ პოსტზე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მიერ იყო დანიშნული. გაერთიანებული ოპოზიციის მოთხოვნა კვლავ უცვლელი რჩებოდა: მათ სურდათ, გადადებულიყო რეფერენდუმი და გადაეხედათ კონსტიტუციის პროექტისთვის, რაზეც პრეზიდენტმა უარი თქვა. შედეგად ოპოზიციამ ზეწოლის მეთოდით გამარჯვების იმედი დაკარგა, რის გამოც განხილულ იქნა ბოიკოტირების საკითხი. პარალელურად, მურსისა და „მუსლიმი ძმების“ მხარდამჭერებიც აწყობდნენ აქციებს და აცხადებდნენ, რომ თუ ოპოზიცია შეძლებდა ასიათასობით ადამიანის მობილიზებას, მათ შეეძლოთ მილიონობით მხარდამჭერი გამოეყვანათ ქუჩებში.[174]

ცალკე ხაზგასმის ღირსად მიგვაჩნია ის გარემოებაც, რომ ეგვიპტეში პოლიტიკური ოპონენტების გავლენის განეიტრალება ისლამისტური ძალების მეშვეობით "არაბული გაზაფხულის" პერიპეტიების დროს, არ იყო პირველი შემთხვევა და მსგავსი მანიპულაცია ახლო წარსულშიც გამოუყენებიათ, რაც, თავის მხრივ, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მსჯელობის კიდევ ერთი გამამყარებელი არგუმენტია.

---

[174] **David D. Kirkpatrick and Mayy El Sheikh.** Citing Deadlock, Egypt's Leader Seizes New Power and Plans Mubarak Retrial. // *„newyorktimes.com"* , Nov. 22 2012, Accessed November 16, 2022 at web page https://www.nytimes.com/2012/11/23/world/middleeast/egypts-president-morsi-gives-himself-new-powers.html
Peter Beamount. Protests erupt across Egypt after presidential decree. // *"theguardian.com",* Nov. 23 2012, accessed November 16, 2022 at web page https://www.theguardian.com/world/2012/nov/23/protests-egypt-presidential-decree
Bassem Sabrry. Absolute Power: Morsi Decree Stuns Egyptians. // *"al-monitor.com",* Nov. 23 2012, accessed November 16, 2022 at web page https://www.al-monitor.com/originals/2012/al-monitor/morsi-decree-constitution-power.html
Michael Brinbaum. Egypt's President Morsi takes sweeping new powers. // *"washingtonpost.com",* Nov. 22 2012, accessed November 16, 2022, at web page: https://www.washingtonpost.com/world/egypts-president-morsi-takes-sweeping-new-powers/2012/11/22/8d87d716-34cb-11e2-92f0-496af208bf23_story.html
Ahram online. Obama welcomes Morsi's call for dialogue with opposition. // *"English.ahram.org.eg",* Dec. 7 2012, accessed November 16, 2022 at web page: https://english.ahram.org.eg/NewsContent/1/64/59979/Egypt/Politics-/Obama-welcomes-Morsis-call-for-dialogue-with-oppos.aspx
Nada Hussein Rashwan. Angered Egyptian journalists blast Morsi declaration, threaten general strike. // *"English.ahram.rog.eg",* Nov. 25 2012, accessed November 16, 2022 at web page https://english.ahram.org.eg/NewsContent/1/64/59141/Egypt/Politics-/Egypt-journalists-blast-Morsi-declaration,-warn-of.aspx
Abdel-Rahman Hussein. Mohamed Morsi calls for dialogue in attempt to quell Egypt's anger. // *"theguardian.com",* Dec.7 2012, accessed November 16, 2022 at web page: https://www.theguardian.com/world/2012/dec/06/mohamed-morsi-egypt
Alistair Lyon, Tamim Elyan. Egypt's opposition scorns Mursi's concession. // *"reuters.com",* Dec. 9 2012, accessed November 16, 2022 at web page: https://www.reuters.com/article/egypt-politics-mursi-idINDEE8B805F20121209
Reuters. Egypt's opposition rejects constitutional referendum. // *"reuters.com",* Dec. 9 2012, accessed November 16, 2022 at web page: https://www.reuters.com/article/uk-egypt-politics-idUKBRE8B706S20121209

1970-იანი წლების შუა პერიოდიდან ანვარ ას-სადათმა წამოიწყო ე.წ. კონტროლირებული პოლიტიკური ლიბერალიზაცია, რისი მეშვეობითაც სურდა, ქვეყანაში შეეცვალა ერთპარტიული კორპორატიული სახელმწიფო წყობა ახალი ავტორიტარული ხელისუფლებით, რომელსაც ეგვიპტელი მკვლევრები შეზღუდულ პლურალიზმსაც უწოდებდნენ. მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა, პოლიტიკურმა ლიბერალიზაციამ ისლამისტებს მისცა საშუალება, თავისუფლად მიეღოთ მონაწილეობა ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პროცესში. იმავე პერიოდში "ძმებმა" უარი თქვეს ძალადობრივ ქმედებებზე, რის შემდეგაც მათ ნება დართეს, ხელახლა გაეხსნათ თავიანთი ოფისი კაიროში და გამოეცათ საკუთარი ჟურნალი „და'ვა" (მოწოდება). პარალელურად, სადათი საუნივერსიტეტო კამპუსებში აქტიურ რეჟიმში ცდილობდა დამოუკიდებელი ისლამური ასოციაციების, იმავე ჯამაათების ფორმირების წახალისებას იმ მიზნით, რომ ჩამოეყალიბებინა ან-ნასირის მომხრე და მარქსისტი მემარცხენეების საპირწონე ძალა. 1973 წლის ზაფხულში „ჯამაათ ისლამია" (ისლამური ასოციაციები) უეცრად გამოჩნდნენ სტუდენტურ წრეებში და გახსნეს ბანაკები თავიანთი წევრებისთვის, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ბანაკებში დაწესებულ "წმინდა ისლამურ ცხოვრებაში", რომელიც მოიცავდა რეგულარულ ლოცვებს, იდეოლოგიურ ტრენინგებს, მოძღვრებისა და პროზელიტიზმის ტაქტიკის უნარების განვითარებას, თვითონ ჯგუფში სოციალიზაციას და ა.შ. ამ ქსელის ჩამოყალიბება იმისათვის დაიგეგმა, რომ აღნიშნული ასოციაციები გამხდარიყო მთავარი ისლამური ხმა არაბული სამყაროს უნივერსიტეტებში. 1974 წელს სადათმა, მას შემდეგ, რაც ჩათვალა, რომ მემარცხენე ძალებისგან საფრთხე აღარ არსებობდა, დაუშვა გარკვეული პროცედურების დემოკრატიზაცია, რის შედეგადაც 1977 წელს ასოციაციებმა უმრავლესობით გაიმარჯვეს სტუდენტურ გაერთიანებაში.[175]

ჯამაათმა შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ მართლაც ჩაანაცვლა საუნივერსიტეტო კამპუსებში მემარცხენე წამყვანი პოლიტიკური ძალა.[176]

---

[175] **Gilles Kepel.** (2002) Jihad THE TRAIL OF POLITICAL ISLAM. Masachusets., "THE BELKNAP PRESS OF HARVARD UNIVERSITY PRESS Cambridge", 2002, გვ. 83-88.
David Kirpatrick. In the Hands of the Soldiers, გვ. 137.

[176] **Frederic Volpi.** (2011) Political Islam A Critical Reader. NY.,"routledge", 2011. E-Book at Google Books https://books.google.ge/books?id=9UHhAQAAQBAJ&pg=PA181&lpg=PA181&dq=Anwar+Sadat+replaced+marx

დაპირისპირების მუხტი წარმოიქმნა 1977 წლიდან, მას შემდეგ, რაც „მუსლიმ ძმებს" უარი უთხრეს პოლიტიკურ პარტიად რეგისტრაციაზე. ამ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო იმავე წელს მიღებული კანონი „პოლიტიკური პარტიების შესახებ", რომლის თანახმადაც, იკრძალებოდა პოლიტიკური გაერთიანების დაარსება რელიგიურ საფუძველზე. კანონის მიღების ოფიციალური მიზეზი იყო ეგვიპტის ხელისუფლების მხრიდან დასავლელი ინვესტორებისა და პოლიტიკური წრეების გულის მოგება, რომელთათვისაც ეგვიპტის ევროპული სტანდარტების მიხედვით განვითარება იყო უფრო მისაღები. ამას გარდა, ჩვენი აზრით, სადათმა ამ ნაბიჯით გარკვეულწილად ისლამისტების შემდგომი პოლიტიკური აქტივობა შეზღუდა. სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა სადათის მიერ აღებულმა პროამერიკულმა კურსმა და 1979 წელს ისრაელთან დადებულმა კემპ-დევიდის სამშვიდობო ხელშეკრულებამ. იმავე პერიოდში „მუსლიმ ძმებს" გამოეყო მრავალი ექსტრემისტული დაჯგუფება, მათ შორის *„ალ-ჯიჰადი"* („წმინდა ომი") და *„ათ-თაქფირ ვალ-ჰიჯრა"* („დადანაშაულება ურწმუნოებაში და განდგომა"). ისინი აქტიურად იყენებდნენ ტერორისტულ მეთოდებს. ეს დაპირისპირება საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ 1981 წლის ოქტომბერში, სამხედრო აღლუმზე, პრეზიდენტი სადათი მოკლა ხალიდ ისლამბულიმ. ის 1982 წელს სიკვდილით დასაჯეს.[177]

2013 წლის ზაფხულში ეგვიპტე კიდევ ერთხელ დადგა პოლიტიკურ გზაგასაყარზე. მუჰამად მურსის საპრეზიდენტო პოსტის დაკავებიდან ერთი წლის შემდეგ, 30 ივნისს, ქვეყანაში მორიგმა საპროტესტო ტალღამ იფეთქა. მასობრივი გამოსვლების საბაბად იქცა საწვავისა და ელექტროენერგიის უკმარისობა. მიმდინარე პროცესების პარალელურად, არმიამ ხელისუფლებას 3 ივლისამდე მისცა ვადა ხალხის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. საბოლოოდ, 2013 წლის 3 ივლისს, ქვეყნის თავდაცვის მინისტრ აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის, ოპოზიციის ლიდერის მუჰამმად ელ-ბარადეის, მუსლიმური სასულიერო ცენტრის ალ–აზჰარის მთავარი იმამის აჰმად ალ-ტაიბისა და კოპტური ეკლესიის პატრიარქის, თეოდოროს II–ის

---

ists+with+islamists&source=bl&ots=mw0JQ9-b1P&sig=E8Kx8pRSZwmf8oPuO-YhD3AH5pM&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjmwvPP79nYAhXHXiwKHUN-AzIQ6AEIWzAH#v=onepage&q=Anwar%20Sadat%20replaced%20marxists%20with%20islamists&f=false გვ. 181-183.

[177] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო არმოსავლეთის ისტორია., გვ: 585.

მიერ შექმნილმა საბჭომ მურსი თანამდებობიდან გადაყენებულად გამოაცხადა, ასევე დაითხოვა პარლამენტი და მთავრობა.

3 ივლისს შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია „მუსლიმი ძმებისა“ და საერთოდ, ქვეყანაში მოქმედი ისლამისტების გაღიზიანება და გააქტიურება. „ძმებმა“ თავიანთ მხარდამჭერებს მოუწოდეს მასობრივი საპროტესტო აქციებისკენ. თანამდებობიდან გადაყენებული პრეზიდენტის მომხრე რადიკალმა სალაფიტებმა განაცხადეს, რომ მათი მხრიდან გადადგმული საპასუხო ნაბიჯი ძალადობა და ტერორიზმი იქნებოდა. ალ–კაიდას ლიდერის, აიმან აზ-ზავაჰირის ეგვიპტეში მცოხვრებმა ძმამ, მუჰამად აზ-ზავაჰირიმ „მუსლიმ ძმებს“ მოუწოდა ჯიჰადის დაწყებისკენ, რათა გადაერჩინათ მურსი და მისი ისლამისტური კურსი. თუკი სიტუაცია მივა დაპირისპირებამდე, ეს მხოლოდ ჩვენთვის იქნება სასარგებლო, რადგან ჩვენ არაფერი გვაქვს დასაკარგი. ყველგან და ყოველთვის, სადაც ქაოსია გამეფებული, ასეთ მდგომარეობას მხოლოდ სარგებელი მოაქვს ჯიჰადისთვის“ – განაცხადა მუჰამად აზ-ზავაჰირიმ, რომელიც იმჟამად სინას ნახევარკუნძულზე იმყოფებოდა, რომელსაც ხელისუფლება მთლიანად ვერ აკონტროლებდა.

შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკკეინმა. მისი აზრით, ქვეყნის ხელისუფლებას როგორც არ უნდა ეცადა სიტუაციის გაკონტროლება, „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაციის ბოლომდე შეჩერებას ვერ შეძლებდნენ. ამის ნათელი დასტურია ის, რომ მათ მრავალწლიანი დევნის და იატაკქვეშეთში ყოფნის გამოცდილება აქვთ და იციან, როგორ იმოქმედონ. მისივე განცხადებით, ეგვიპტეში განვითარებული მოვლენები ძალზე წააგავდა გასული საუკუნის 90–იან წლებში ალჟირში მიმდინარე პროცესებს. კეთდებოდა პროგნოზები იმის შესახებ, რომ აღნიშნული საფრთხის ესკალაცია სავსებით რეალური იყო, რადგან იმავე წლის აგვისტოში ორი ეგვიპტელი დააკავეს ამ ქვეყნის აეროპორტში, რომელთა ბარგშიც აღმოაჩინეს სამხედრო ფორმები, ალ-კაიდას შავი დროშა და კომპიუტერის მეხსიერების ბარათები, რომლებზეც ჩაწერილი იყო ისლამისტური პროპაგანდისტული მოწოდებები. მათი პასპორტების შესწავლისას კი გაირკვა, რომ აღნიშნული პირები ჯერ ჩეჩნეთში იმყოფებოდნენ, ხოლო შემდგომ სტამბოლის გავლით შეაღწიეს ქვეყანაში. მათი

განცხადებით, აიმან აზ–ზავაჰირიმ მოუწოდა თავის იემენელ ხელქვეითებს, ჩაეტარებინათ ტერორისტული აქტი სადმე დასავლეთში და ასევე გაავრცელა ზეპირი მითითება იმის შესახებაც, რომ ისლამისტებს ბრძოლა უნდა ეწარმოებინათ ეგვიპტეშიც. იგი ასევე ადანაშაულებდა ვაშინგტონს მურსის წინააღმდეგ განხორციელებულ გადატრიალებაში. მისივე სიტყვებით, ეს აქცია დაფინანსებული იყო სპარსეთის ყურის ქვეყნების მიერ და ყოველივე ამას ხელს უწყობდნენ ეგვიპტელი ქრისტიანებიც.

ეგვიპტეში მიმდინარე პროცესების პარალელურად, „ძმების“ ლიდერებმა ურთიერთგამომრიცხავი განცხადებები გააკეთეს თავიანთი სამომავლო გეგმების შესახებ. მათი ნაწილი მხარდამჭერებს მოუწოდებდა მშვიდობიანი აქციებისკენ, მეორე ნაწილი კი ითხოვდა მათგან თავგანწირვას და ბოლომდე ბრძოლას. ზოგიერთი ანალიტიკოსი მიიჩნევდა, რომ ორგანიზაციის ლიდერები დაბნეულები იყვნენ და ვერ გადაეწყვიტათ, როგორ მოქცეულიყვნენ შემდგომში. მათი მრავალი კოლეგა დააპატიმრეს, დანარჩენები კი გაქცეულები იყვნენ და იმალებოდნენ. ანალიტიკოსთა მეორე ნაწილი თვლიდა, რომ „ძმები“ მოლოდინის რეჟიმში იყვნენ და შემდგომ არჩევნებში გამარჯვების იმედი ჰქონდათ. ასევე არსებობდა გარკვეული მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ „ძმების“ მარცხი ეგვიპტეში ორგანიზაციის არსებობის დასასრულს მოასწავებდა, თუმცა ეფრაიმ ინბარის განცხადებით, „ძმების“ წინააღმდეგ განხორციელებული გადატრიალება არ ნიშნავდა პოლიტიკური ისლამის დასასრულს რეგიონში, რადგან ორგანიზაცია კვლავ რჩებოდა ძლიერ ძალად მთელ ახლო აღმოსავლეთში. ინბარი და მისი კოლეგები ამერიკელი ექსპერტებისგან განსხვავებით მიიჩნევდნენ, რომ ძმები ძალადობას არ მიმართავდნენ, ისინი მოახდენდნენ თავიანთი რიგების რეორგანიზაციას და მომავალ არჩევნებში მოსინჯავდნენ ძალებს. ოდნავ მოგვიანებით „ძმებმა“ პერმანენტული საპროტესტო აქციების გამართვა დაიწყეს კაიროსა და ალექსანდრიაში, რაც დროდადრო პოლიციასთან და არმიის ძალებთან დაპირისპირებით სრულდებოდა. ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, აგვისტოს შუა რიცხვებში აქციების ოთხასზე

მეტი მონაწილე იყო დაღუპული.[178]

ჩვენს მსჯელობას იმის შესახებ, რომ ეგვიპტელი ხალხისთვის "არაბული გაზაფხულის" დროს მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისგან თავის დაღწევის გზა არ იყო ისლამისტური იდეოლოგიის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარება, მოწმობს ის გარემოებაც, რომ მიუხედავად ექსპერტების მხრიდან არაერთგზის პროგნოზისა, რომ ქვეყანა დადგებოდა სამოქალაქო დაპირისპირების წინაშე, ეგვიპტელი ხალხის უმრავლესობამ გადაწყვიტა, აღარ მიეღოთ მასობრივ საპროტესტო აქციებსა და ძალადობრივ აქტებში მონაწილეობა. მრავალი მკვლევარი და ანალიტიკოსი ელოდა ფართომასშტაბიან საპროტესტო აქციებსა და საპასუხო რადიკალურ ნაბიჯებს ისლამისტების მხრიდან ძალაუფლების დაკარგვის შემდეგ, თუმცა მათ მიერ ორგანიზებული რამდენიმე საპროტესტო აქცია წარუმატებლად დასრულდა და ცალკეული ძალადობრივი აქტების გარდა რაიმე სახის ორგანიზებული კონტრღონისძიება მათ არ გაუტარებიათ. მიგვაჩნია, რომ ისლამისტთა 2012 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება არამხოლოდ მათმა უკეთ ორგანიზებულობამ განაპირობა, როგორც მანამდე ითვლებოდა, არამედ ზემოთ ხსენებულმა ფაქტორებმა, ასევე იმანაც, რომ ხალხის არჩევანი უფრო პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარეობდა, ვიდრე რელიგიური ენთუზიაზმიდან. ამ მოსაზრებას იუჯინ როგანიც გამოთქვამს თავის წიგნში "არაბები", თუმცა "არაბული გაზაფხულის" შემდგომ პერიპეტიებს დეტალურად აღარ მიჰყვება.[179]

როგანის პარალელურად, აუცილებელია, დევიდ კირპატრიკის მიერ მოგვიანებით, 2018 წელს გამოცემულ წიგნში „Into the Hands of the Soldiers Freedom and Chaos in Egypt", აღწერილი ორი გარემოებაც აღინიშნოს, რაც მოყვანილი მსჯელობის კიდევ ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს: 1) ისლამისტები, კონკრეტულად „მუსლიმი ძმები", როგორც აღინიშნა, არათუ მონაწილეობას არ იღებდნენ საპროტესტო აქციებში „არაბული გაზაფხულის" დასაწყისში, არამედ მათ პოლიტიკურ ასპარეზზე რაიმე სახის ფართომასშტაბიანი გამარჯვების იმედიც კი არ ჰქონდათ და 2010 წელს აღნიშნული ორგანიზაციის წევრები ხელმოწერებს

---

[178] **სიმონ გურეშიძე.** ეგვიპტე გზაგასაყარზე. „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი". თბ., N4, 2013. Accessed November 16, 2022 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf.

[179] **Eugene Rogan**. The Arabs., გვ. 411.

აგროვებდნენ იმ მიზნით, რომ ზემოთ ხსენებულ მუჰამმად ელ-ბარადეის, რომელიც ცნობილი ლიბერალიცაა, საპრეზიდენტო პოსტზე თავის კანდიდატურა დაეყენებინა. 2) ეგვიპტეში საპროტესტო აქციების დაწყებისთვის თუნისში ბინ ალის რეჟიმის დამხობა იყო ბიძგის მიმცემი, ვინაიდან ზემოთ აღნიშნული ხალიდ საიდის შემთხვევა 6 თვით ადრე მოხდა. ამასთან, პოლიციის მხრიდან არანაკლებ სასტიკი მოპყრობის დამადასტურებელი მასალები ტრიალებდა ხალხში, მაგრამ არცერთ შემთხვევას გამოსვლები არ მოჰყოლია.[180] ანალოგიურ აზრს გამოთქვამენ უილიამ კლივლენდი და მარტინ ბანტონი თავიანთ წიგნში „A History of the Modern Middle Eest": ეგვიპტელი ხალხის მიზანი 25 იანვრის რევოლუციის წინასაპროტესტო აქციებზე არ იყო არჩევანის გაკეთება სამხედრო უსაფრთხოებასა და რელიგიური კონსერვატული სახლმწიფო წყობას შორის.[181]

ხსენებული ავტორების პარალელურად თანხვედრაში მოდის შადი ჰამიდის წიგნში „Islamic Excepsionalism: How the Struggle over Islam is Reshaping the World " მოვლენათა განვითარების გაშუქება, რომოის თანახმადაც აქვე ეგვიპტის მოქალაქეთა საკმაო ნაწილისთვის დემოკრატია მხოლოდ რწმენისა და პრინციპის საკითხი არ იყო, აღნიშნული ფენომენისგან მოელოდნენ საკუთარი ღირსების შეგრძნებას, ეკონომიკური სარგებლის დაპირებას, თავისუფლად ჩაცმას და საკუთარი შეხედულებისამებრ ფიქრს. ხოლო იმის შეგრძნებამ, რომ დემოკრატიამ ვერ მოიტანა რეალური შედეგები, გამოიწვია გენერლების დაბრუნება და ქვეყნის ისტორიაში პირველად დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის დამხობა. ავტორი ასევე თვლიდა, რომ მუჰამმად მურსის წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობის შემთხვევაში ისეთ პოლარიზებულ ქვეყანაში როგორც ეგვიპტე იყო, აუცილებლად იფეთქებდა ქუჩის დაპირისპირება. ამის ფიქრის საფუძველს მას 1954 წლიდან „ძმების" მიერ გავლილი გზა და პოლიტიკურ სარბიელზე მიღებული გამოცდილება აძლევდა. თავის დროზე წიგნის ავტორს მურსის კანადელ-ეგვიპტელმა მრჩეველმა ვა'ილ ჰადდარამ გაუმხილა, რომ ასე ფიქრობდა ექს-პრეზიდენტიც, რომელმაც არაერთხელ შეუთვალა არმიას, რომ გადატრიალების შემთხვევაში „მუსლიმი ძმები" უკან არ დაიხევდნენ და მოვლენები 1954 წლის სცენარით აღარ განვითარდებოდა.

[180] **Davind Kirkpatrick.** Into the Hand of the Soldiers, გვ. 15. გვ 25-26. გვ. 42.
[181] **William L. Cleveland, Martin Bunton.** A History of the Modern Middle East, გვ. 700.

თუმცა აღნიშნულის მიუხედავად ისლამისტური ფასეულობების დაცვის მიზეზით მასშტაბური სამოქალაქო დაპირისპირება ეგვიპტეში არ გაღვივდა.[182]

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ პრეზიდენტ მურსის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიის გამყარების მოლოდინს კვლავაც საფრთხე შეექმნა. საპროტესტო აქციების მონაწილეებზე არმიის მიერ მიტანილმა იერიშებმა და საგანგებო მდგომარეობის შემოღებამ ნათლად გამოაჩინა, რომ გენერალი ალ-ფათაჰ ას–სისი ეგვიპტის „ახალ მეფედ“ წარუდგა ქვეყნის მოსახლეობას. ისრაელის პრესაში გამოქვეყნებული მასალების თანახმად, მართალია, ეგვიპტის ახალი მთავრობა აცხადებდა, რომ ხელს შეუწყობდა გარდამავალ პროცესს და ჩაატარებდა არჩევნებს, მაგრამ მაინც მოსალოდნელი იყო არჩევნების არასამართლიანად ჩატარება. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში პროცესები წარიმართებოდა ას-სისის შეხედულებებისამებრ. ამ მოსაზრებას განამტკიცებდა ახალი მთავრობის ვიცე-პრემიერის, მუჰამად ელ-ბარადეის პოსტიდან გადადგომა, რადგან მან აქციების მონაწილეების დარბევის მაგივრად, მათთან მოლაპარაკებების გამართვის სურვილი გამოთქვა. მთავრობის ზოგიერთი წევრი მხარს უჭერდა მის ინიციატივას, მაგრამ როდესაც საქმე საბოლოო გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, რეალურ ძალას მაინც სამხედროები ფლობდნენ. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამხედროების მიერ ზურგგამაგრებულ ახალ მთავრობას უწევდა რადიკალურ ისლამისტურ ოპოზიციასთან დაპირისპირება და შექმნილი კრიზისიდან გამოსვლა შეუძლებელი იყო წესრიგის აღდგენის გარეშე.

მურსის თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ გახშირდა შემთხვევები, როდესაც ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ამოუცნობი პირები თავს ესხმოდნენ პოლიციის საგუშაგოებსა და სამხედროებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. აგვისტოს თვის დასაწყისში ერთ-ერთ ასეთ შემთხვევას 25 პოლიციელი ემსხვერპლა. ამ აქციების საპასუხოდ ძალოვნებმა გაამკაცრეს რეიდები სინაზე, სადაც აღმოაჩინეს დოკუმენტები იმის შესახებ, რომ რადიკალი ისლამისტები გეგმავდნენ სამხედრო ხელმძღვანელების, მათ შორის, გენერალ ას-სისის და პოლიციის მაღალჩინოსნების მკვლელობას. სიაში სულ ასამდე სამხედრო და პოლიციის

[182] **Shadi Hamid.** Islamic Excepsionalism: How the Struggle over Islam is Reshaping the World. St. Martin's Press. New York: 2017. გვ. 95.

მაღალჩინოსანი იყო შეყვანილი და იმავე რაოდენობის სამოქალაქო სექტორში მოღვაწე პირი. ეგვიპტის სპეცსამსახურების წარმომადგენელთა განცხადებით, ვერ დადგინდა, რამდენად იყო „მუსლიმი ძმების“ ორგანიზაცია ამ ოპერაციასთან დაკავშირებული და აღნიშნულ საკითხზე მიმდინარეობდა გამოძიება. თუმცა ვარაუდობდნენ იმას, რომ თუ მთლიანად ორგანიზაცია არა, ზოგიერთი მათი ლიდერი უეჭველად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესში. დათმობაზე წასვლას არცერთი მხარე არ აპირებდა. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობას სურდა, მოლაპარაკებების მეშვეობით დაებალანსებინა სიტუაცია და ამ პროცესში შუამავლის როლი სასულიერო ლიდერებს შეესრულებინათ, სამხედროები არ აპირებდნენ კომპრომისზე წასვლას და აცხადებდნენ, რომ არ დაუშვებდნენ მორიგ აქციებს და არეულობებს. თავის მხრივ, „ძმები“ აცხადებდნენ, რომ მათ ხალხი უჭერდა მხარს, კანონიერად გაიმარჯვეს არჩევნებში და მათი მომხრეთა რიცხვი მილიონებს აღწევდა, თუმცა მათ ეს ვერ მოახერხეს.[183] თუმცა მოპოვებული და შესწავლილი მასალებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც მურსიმ სცადა ხელისუფლების უზურპაცია, ვერ მოახერხა სერიოზული და გარდამტეხი ძვრების ინიცირება ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში და ეგვიპტელმა ხალხმა ვერ დაინახა განსხვავება[184] ძველ და ახალ რეჟიმს შორის (ამ უკანასკნელს ემატებოდა რელიგიური-ისლამისტური კომპონენტიც), ისევ ძველ სეკულარულ რეჟიმთან შეგუება ამჯობინეს.

რაც შეეხება მსჯელობას იმის შესახებ, რომ ეგვიპტეში ისლამისტი პრეზიდენტის დროებით მიშვება ქვეყნის ხელისუფლებაში და შემდგომ მისი ჩამოშორება მომგებიანი ნაბიჯი იყო, რამაც, თავის მხრივ, ქვეყანას ააცილა ისეთი სცენარი, როგორიც განვითარდა სირიაში, ჩვენი აზრით, ლოგიკურ ჩარჩოში აქცევს და მოწმობს ნეილ კეჩლის მოგვიანებით, 2017 წელს გამოცემული წიგნი “ეგვიპტე რევოლუციის პერიოდში” და იუჯინ როგანის „არაბების“ 2017 წლის გამოცემაც. კეტჩლის მიერ აღწერილია შემდეგი ფაქტები: მოძრაობა „თამარუდი“, რომელმაც პრეზიდენტ მურსის თანამდებობიდან გადაყენების საქმეში მნიშვნელოვანი როლი

[183] **სიმონ. გურეშიძე.** „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“. თბ., N4, 2013. Accessed November 16, 2022 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf.
[184] **William L. Cleveland, Martin Bunton.** A History of the Modern Middle East, გვ. 704.
Eugene Rogan. The Arabs, 2017. გვ. 682.

ითამაშა, მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ქვეყნის მთავარ სადაზვერვო სამსახურთან. აღნიშნულ სამსახურს კი მიზნად ჰქონდა დასახული, "ხალხის ძალა" მიემართა დემოკრატიულად არჩეული მუჰამმად მურსის წინააღმდეგ. მოძრაობის წევრები და მისი ორი დამაარსებელი ხვდებოდნენ სამხედრო ოფიცრებს, ასევე ყოფილ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებიც შუამავლის როლს ასრულებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამხედრო საბჭოსა და „თამარუდს" შორის. ყურადღებას იპყრობს ავტორის ინტერვიუ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ერთ-ერთ გადამდგარ თანამშრომელთან, სახელად ჰიშამთან. შეკითხვაზე, ეხმარებოდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო მოძრაობა „თამარუდს", ჰიშამმა "მუსლიმი ძმები" ვირუსს შეადარა და მასთან ბრძოლა გამართლებულად ჩათვალა: "დიახ, ჩვენ ვაძლევდით რჩევებს და ვუჩვენებდით სტრატეგიულ მიმართულებებს, რათა გამოგვეწვია კრიზისი და შემდგომ დავხმარებოდით მოძრაობას. ჩვენ ვიცოდით, რომ "მუსლიმი ძმები" დაუშვებდნენ შეცდომებს და გამოაჩენდნენ თავიანთ სახეს (იგულისხმება მურსის საკონსტიტუციო დეკლარაციის შედეგად წარმოშობილი შეტაკებები ითთიჰადიაში "ძმების" მხარდამჭერებსა და სეკულარ აქტივისტებს შორის). ჩვენ ველოდით ხელსაყრელ მომენტს მოქმედებისთვის, რომელიც დადგა 30 ივნისს. აქ კი შინაგან საქმეთა სამინისტრო გაერთიანდა სამხედროებთან, ეს ორი უწყება ერთმანეთს ექიშპებოდა, მაგრამ "მუსლიმი ძმებისა" და მურსის წინააღმდეგ შევძელით გაერთიანება".[185]

ავტორის მსჯელობა სავსებით ლოგიკურია იმ ნაწილშიც, რომ ქუჩის აქციების მეშვეობით ისლამისტი პრეზიდენტის გადაყენების გადაწყვეტილება რამდენიმე თვით ადრე იყო მიღებული სახელმწიფო მოხელეების მიერ და მსჯელობის განსამტკიცებლად მოყვანილია აჰმედ მახირის (მოძრაობა „6 აპრილი") განცხადება იმის შესახებ, რომ 2013 წლის თებერვალში მას დაუკავშირდა ეგვიპტის სახელმწიფო უშიშროების სამსახური და შესთავაზეს ქუჩის აქციების ორგანიზება. სწორედ მისი უარის შემდეგ დაიწყო აღნიშნულმა სტრუქტურამ მოძრაობა „თამარუდის" გაძლიერება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატებოდა იმით, რომ ამ მოძრაობამ მიიღო მსხვილი ფინანსური დახმარება მუბარაქის მმართველობის პერიოდის

[185] **Neil Ketchley.** Egypt in a Time of Revolution Contentious Politics and the Arab Spring. United Kingdom: Cambridge Univesity Press, 2017, გვ. 112-115.

ბიზნესელიტის წარმომადგენლებისგან, მათ შორის იყო მილიარდელი ნაგიბ სავირისი. მისი ბიზნესაქტივობა გამოძიების საგანს წარმოადგენდა მურსის ხელისუფლების პერიოდში, ვინაიდან ნაგიბი თავს არიდებდა გადასახადების გადახდას, რაც, თავის მხრივ, რამდენიმე მილიარდ დოლარს შეადგენდა. მოძრაობას ასევე გააჩნდა თავდაცვის სამინისტროს მიერ ადმინისტრირებული საბანკო ანგარიში, რომელზეც თანხები არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან (საამიროებისთვის მიუღებელი იყო "მუსლიმი ძმების" ხელისუფლებაში ყოფნა) ირიცხებოდა. „თამარუდის" პრესსპიკერმა კი სამხედროებისგან მიიღო მიწის ნაკვეთი თავისი საქმიანობის გასამრჯელოდ. საბოლოოდ, მოძრაობამ დაიწყო აქტიური შეტევები "ძმების" წინააღმდეგ. მოძრაობა "მუსლიმი ძმების" განცხადებით, დესტაბილიზაციის კამპანია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იყო სანქცირებული და მურსის წინააღმდეგ მუბარაქის დროინდელი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი წევრები მოქმედებდნენ.[186]

მუჰამმად მურსის ინაუგირაციიდან ერთი წლის თავზე მოძრაობა „თამარუდმა" პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით შექმნა პეტიცია, რომელსაც თითქოსდა ეგვიპტის 22-მა მილიონმა მოქალაქემ მოაწერა ხელი. ეს რიცხვი არ დადასტურებულა და გაჟონა ინფორმაციამ იმის შესახებაც, რომ ხელმოწერებიც დარღვევებით მოგროვდა. ასვე ბევრი ანალიტკოსის აზრით, პეტიციის კომბინაციას სამხედროები უწყობდნენ ხელს-აღნიშნავს იუჯინ როგანი.[187]

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს ის გარემოებაც, რომ მომდევნო წლების განმავლობაში აბდ ალ-ფათაჰ ას-სისის რეპრესიული წნეხი სულ უფრო გაძლიერდა "ძმების" წინააღმდეგ. 2014 წლის ბოლოსთვის აღნიშნული ორგანიზაციის ყველა უმაღლესი ლიდერი დაპატიმრებული იყო, ხელმძღვანელობა კი დევნილობაში იმყოფებოდა ლონდონში, დოჰასა და სტამბულში. ჯიუტად ითხოვდნენ პრეზიდენტის პოსტზე აღდგენას და მათი მთავარი სიტყვა იყო არჩევნების „ლეგიტიმურობა". 2013 წლის შემოდგომაზე სტამბულში გამართულ ერთ-ერთ სტრატეგიულ სესიაზე დემოკრატიის აღდგენის სანაცვლოდ „ძმები" გარკვეული დროით უარს აცხადებდნენ პოლიტიკაში პირდაპირ მონაწილეობაზე, თუმცა ასეთი

[186] **Neil Ketchley.** Egypt in a Time of Revolution, გვ. 112-115.
[187] **Eugene Rogan.** The Arabs, 2017. გვ. 680.

რადიკალური შეთავაზება მიუღებელი აღმოჩნდა ორგანიზაციის კონსერვატორი უფროსი თაობისთვის.[188] 2018 წელს ეგვიპტის სასამართლომ აღნიშნული ასოციაციის 75 წევრს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. სასამართლო პროცესზე საერთო ჯამში 739 მურსის და "მუსლიმი ძმების" მხარდამჭერი გაასამართლეს. სიკვდილმისჯილებს სხვადასხვა ბრალდება ჰქონდათ წაყენებული: მკვლელობები, კანონის დარღვევისკენ სხვების წაქეზება, აკრძალული დაჯგუფების წევრობა და უკანონოდ შეკრება. უმაღლეს განაჩენგამოტანილებს შორის იყვნენ "ძმების" ერთ-ერთი ლიდერი ესსამ ალ-არიანი, პოლიტიკოსი მუჰამმად ალ-ბალტაჯი, სალაფიტი მოძღვარი საუფვატ ჰიჯაზი, ახალგაზრდულ საქმეთა ყოფილი მინისტრი უსამა იასინი და სასულიერო პირი აბდ ალ-რაჰმან ალ-ბარრი. ორგანიზაციის უმაღლეს ლიდერს, მუჰამმად ბადისა და კიდევ 46 წევრს სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ. 5 პირი გარდაიცვალა პატიმრობის პერიოდში საბოლოო სასამართლომდე, 374 პირს, ძირითადად მურსის მხარდამჭერებს, 15-წლიანი პატიმრობა შეუფარდეს. მათ შორის იყო უსამა მურსი, ექსპრეზიდენტის შვილი, რომელსაც 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. აღსანიშნავია ისიც, რომ ყველა ვერდიქტი გასაჩივრებას ექვემდებარებოდა.[189] აღნიშნულ პროცესს „Amnesty International-მა" "სამართლის აბუჩად აგდება" უწოდა.[190] 2017 წელს 30 პირი, ხოლო შემდეგ, 2019 წლის თებერვალში, "ძმების" კიდევ 15 წევრი დასაჯეს სიკვდილით. მათ ბრალად ედებოდათ 2015 წლის ივნისში ქვეყნის მთავარი პროკურორის, ჰიშამ ბარაქათის მკვლელობა. ბარაქათი ცნობილი იყო იმით, რომ მისი პროკურორობის პერიოდში "ძმების" ათასობით წევრის წინააღმდეგ აღიძრა საქმე მურსის ხელისუფლების მხარდაჭერის გამო. საბოლოოდ ჰიშამი დანაღმული მანქანის აფეთქებას ემსხვერპლა 2015 წელს.[191] მუჰამმად მურსის თავდაპირველად პატიმრობა შეუფარდეს იმის გამო, რომ 2011 წლის საპროტესტო აქციების დროს იგი სავარაუდოდ ეცადა ციხიდან

---

[188] **Shadi Hamid.** Islamic Excepsionalism, გვ. 103.

[189] **Adham Youssef, Ruth Michaelson.** Egypt sentences 75 Muslim Brotherhood supporters to death. // *"Guardian",* September 2018, accessed July 4, 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2018/sep/08/egypt-sentences-75-to-death-in-rabaa-massacre-mass-trial

[190] Son of former Egyptian president Mohamed Morsi dies aged 25. // *"Guardian",* September 2019, accessed July 4, 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2019/sep/05/son-former-egyptian-president-mohamed-morsi-abdullah-dies-25

[191] Egypt Hisham Barakat killing: 30 sentenced to death. // *"BBC",* June 2017, accessed July 4, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-middle-east-40313267

გაქცევას. ოდნავ მოგვიანებით, 2015 წელს, მას სასიკვდილო განაჩენი გამოუატანეს. სასამართლო სისტემა სრულმასშტაბიან მონაწილეობას იღებდა „ძმების“ წინააღმდეგ ბრძოლაში. აღნიშნული სტრუქტურა ინსტრუმენტის როლს ასრულებდა იმისათვის, რომ ჯერ აკრძალულად და შემდგომ ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებულიყვნენ „მუსლიმი ძმები“. დაიხურა ორგანიზაციასთან დაკავშირებული საავადმყოფოები, კლინიკები და საქველმოქმედო ორგანიზაციები, რითაც „ძმებს“ ფინანსური არხებიც გადაუკეტეს.[192]

იმ თვალსაზრისს, რომ ეგვიპტეში არსებული ისლამისტური ძალები სხვადასხვა მიზეზებით ხდებოდნენ ხელისუფლებების პოლიტიკური თამაშების იარაღი, კიდევ უფრო ამყარებს "მუსლიმი ძმების" შემდეგ, მეორე ადგილზე მყოფი სალაფიტური მოძრაობის ფენომენი. ზემოთ მოყვანილი ანვარ ას-სადათისა და "ძმების" შემტხვევა – მმართველი ძალის მიერ ისლამისტური ორგანიზაციების წახალისებით არასასურველი ოპონენტების აქტივობის შეზღუდვის შესახებ, სალაფიტებისა და უმაღლესი სახელისუფლებო შტოების ურთიერთმხარდაჭერის ერთ-ერთი მაგალითია ეგვიპტის უახლეს ისტორიაში. მუჰამმად მურსის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების შემდეგ სალაფიტების პარტია „ნურის“ მიერ ფათაჰ ას-სისისადმი მხარდაჭერის გამოცხადება მოულოდნელი აღმოჩნდა არა მხოლოდ "მუსლიმი ძმებისთვის", არამედ თვითონ სალაფიტთა გარკვეული ნაწილისთვისაც. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება გამოითქვა ბოლო წლებში. საკითხით დაინტერესებული ყველა მკვლევარი თანხმდება იმაზე, რომ პარტია „ნურის“ გადაწყვეტილება პოლიტიკური პრაგმატულობის და თავის გადარჩენის საშუალება იყო. განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც "ძმები" ას-სისის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ დაუნდობელი რეპრესიული წნეხის ქვეშ მოყვნენ. თუმცა სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში (პრესა, სამეცნიერო და ანალიტიკური ჟურნალები...) გამოქვეყნებული მასალების შეჯერებისა და გაანალიზების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაბიჯი იყო არა მხოლოდ სალაფიტების მხრიდან თავის გადარჩენის მანევრი, არამედ ქვეყნის ახალი პრეზიდენტის პოლიტიკური კომბინაციებისთვის საჭირო სვლა. ამ შემთხვევაში არ

[192] **Shadi Hamid.** Islamic Excepsionalism, გვ. 103.

იგულისხმება ამ პარტიასა და ას-სისის შორის რაიმე სახის გარიგება. მათი ინტერესთა თანხვედრა განაპირობა თავად პარტია „ნურის“ წარმოშობის სათავეებმა, აქტივობის ისტორიამ და მოქმედებათა ტაქტიკამ.

დასაწყისისთვის აუცილებელია პარტია „ნურის“ წარმოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა მასალებთან ერთად მეტად საჭირო ინფორმაციის შეჯერება შეიძლება.[193]

ეგვიპტეში სალაფიზმის ისტორია XIX საუკუნის ბოლოდან იწყება, რაც, თავის მხრივ, ისლამში მოდერნისტული მიმდინარეობის წარმოშობით გამოწვეულმა კრიზისმა განაპირობა. სალაფიტური იდეოლოგიის მიხედვით, მხოლოდ ისლამის ფესვებთან დაბრუნება, მოციქულისა და მისი თანამედროვე მიმდევრების მოძღვრებათა განუხრელი დაცვა იქნებოდა ის გზა, რომელიც, მათი აზრით, საზოგადოებას საშუალებას მისცემდა, მთელი ძალების კონცენტრირება მიემართათ სულიერ, ეკონომიკურ და სამხედრო განვითარებაზე. 1912 და 1926 წლებში, ბრიტანული გავლენის პერიოდში, სუფიზმის პოზიციების გაძლიერებისა და შარიათის როლის შესუსტების გამო შეშფოთებულმა სალაფიტებმა ჩამოაყალიბეს ისეთი დაჯგუფებები, როგორებიც იყო „ალ-ჯამი᾽ა“, „აშ-შარია“ და „ანსარ ას-სუნა ალ-მუჰამადია“.

პარტია „ნურს“ კი სათავე დაუდო მძლავრმა რელიგიურმა ორგანიზაცია „ად-და’ვა ას-სალფიამ“ (“სალაფიტურმა მოწოდებამ”). მოძრაობის დამაარსებლები იყვნენ „ალ-ჯამა᾽ა ალ-ისლამიას“ ყოფილი წევრები ალექსანდრიიდან, რომლებისთვისაც თავის დროზე მიუღებელი აღმოჩნდა „ჯამაა ალ-ისლამიას“ “მუსლიმ ძმებთან” გაერთიანება (1977 წ.), რადგან მიაჩნდათ, რომ “ძმების” სწავლებები ფუნდამენტალურად ორთოდქსული იყო, „და’ვას“ წევრების მთავარ ამოცანას კი არ წარმოადგენდა პოლიტიკური ცვლილებებისკენ სწრაფვა. მათი მიზანი იყო სალაფიზმის იდეოლოგიის გავრცელება საზოგადოებაში. მიუხედავად იმისა, რომ ამ

[193] საუბარია კარნეგის ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, სტეფან ლაკრუას სტატიის “ეგვიპტის პრაგმატული სალაფიტები: პოლიტიკა და ჰიზბ ალ-ნური” და ჰადსონის ინსტიტუტის ვებ-გვერდზე არსებული სტატია “ალექსანდრიის სალაფიტური და’ვა: პოლიტიკა და რელიგიური მოძრაობა”, რომლის ავტორიცაა, ჯორჯ ვაშინგტონის ინსტიტუტის, ექსტრემიზმის პროგრამის მკვლევარი მოხთარ ავადი. აღნიშნული სტატიები ინფორმაციული თვალსაზრისით ერთმანეთს ავსებს და მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ თვალნათელს ხდის პოლიტიკური ინტერესების და ისლამისტური მოძრაობების აქტივობის ურთიერთ კავშირს.

მოძრაობის წევრები პროფესიით ექიმები და ინჟინრები იყვნენ, მათ საკუთარი თავი შაიხებად გამოაცხადეს და ქადაგებდნენ ალექსანდრიის მეჩეთებში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „და'ვა" საორგანიზაციო საკითხებში იმეორებდა "ძმების" მიერ შემუშავებულ სქემას, მათ მხოლოდ იდეოლოგიური კომპონენტი ჩაანაცვლეს სალაფიზმით. ისინი გამოდიოდნენ სუფიების, შიიტების, ქრისტიანებისა და ლიბერალი მუსლიმების საწინააღმდეგო განცხადებებით. თავს არიდებდნენ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პროცესების შეფასებას და არცერთხელ საჯაროდ არ დაუგმიათ არსებული რეჟიმი. ასევე აცხადებდნენ, რომ ცვლილებები მხოლოდ მათ მიერ მიზნად დასახული მორწმუნეთა თემის შექმნის შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი. „და'ვას" გავლენის ზრდა დაიწყო 1980-იანი წლებიდან. ორგანიზაციის მხრიდან პოლიტიკური პროცესების მიმართ პასიური დამოკიდებულების გამო ეგვიპტის უშიშროების აპარატისთვის აღნიშნული მოძრაობა უფრო მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე სხვა ისლამისტური დაჯგუფებები. მეტიც, პრეზიდენტ ანვარ ას-სადათის მკვლელობის შემდეგ „და'ვას" მხოლოდ რამდენიმე წევრი დააპატიმრეს მაშინ, როდესაც პატიმრობა შეუფარდეს თითქმის ყველა ისლამისტური დაჯგუფების წევრს, ისეთებსაც, რომლებსაც არავითარი კავშირი არ გააჩნდათ სადათის მკვლელობასთან. მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაშიც ეს ორგანიზაცია გაცილებით ნაკლებ ზეწოლას განიცდიდა მუბარაქის რეჟიმის მხრიდან, ვიდრე "მუსლიმი ძმები" და სხვა ჯიჰადისტური დაჯგუფებები. იყო შემთხვევები, როდესაც ხელისუფლება „და'ვას" თავის სასარგებლოდ, ოპონენტების წინააღმდეგ პოლიტიკურ საპირწონე ძალადაც განიხილავდა.[194] „და'ვასადმი" მიძღვნილ კვლევაში ლაკრუა, რომელმაც შეისწავლა ამ პარტიის პოლიტიკური აქტივობების ეტაპები, არ აკონკრეტებს, რა ფორმით და კონკრეტულად როდის იყო ორგანიზაცია ხელისუფლებისთვის სასარგებლო პოლიტიკური საპირწონე ძალა, თუმცა ასევე აღნიშნავს, მაგრამ გადაჭრით არ ადასტურებს, რომ ორგანიზაციის გაძლიერებას არა მარტო ქვეყნის სპეცსამსახურების შედარებით რბილი დამოკიდებულება უწყობდა

[194] **Stephane Lacroix.** Egypt's Pragmatic Salafis: The Politics of Hizb al-Nour. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* November 2016, accessed July 4, 2021 at web page https://carnegieendowment.org/2016/11/01/egypt-s-pragmatic-salafis-politics-of-hizb-al-nour-pub-64902

ხელს, არამედ ყურის ქვეყნების მიერ ამ მოძრაობისთვის შეწირული მსხვილი ფინანსური ნაკადებიც.

ჩვენთვის უფრო საინტერესო აღმოჩნდა მისი ამ კვლევის ის მონაკვეთი, რომელიც ეხება ამ ორგანიზაციის პოპულარობის ზრდის ახალ ტალღას 2006 წლიდან. კონკრეტულად, საქმე ეხება ხელისუფლების მხრიდან „და'ვასთვის" სატელევიზიო მაუწყებლობის ლიცენზიის გაცემას. მისი განმარტების თანახმად, ხელისუფლებას კვლავ ხელსაყრელ ნაბიჯად მიაჩნდა სალაფიტების მეშვეობით "მუსლიმი ძმების" და სხვა ჯიჰადისტური დაჯგუფებების განდევნა პოლიტიკური დისკურსიდან და ამით ხსნის იმ ფაქტს, თუ როგორ მიაღწია სხვა რამდენიმე მაუწყებლობასთან ერთად ზეპოპულარობას ორმა სალაფიტურმა არხმა, „კანათ ან-ნასმა" და „კანათ ალ-რაჰმა" ეგვიპტეში. ჩვენთვის ეს მოსაზრება მისაღებია, რადგანაც, ჩვენი აზრით, ლოგიკურია ის, რომ 2005 წლის არჩევნებში "მუსლიმი ძმების" მიერ მანამდე არნახულმა გამარჯვების მოპოვებამ ხელისუფლებას დაანახვა სალაფიტების წინა პლანზე წამოწევის აუცილებლობა, რამაც, თავის მხრივ, განაპირობა მათთვის ტელემაუწყებლობის ლიცენზიის მიცემა. რაც შეეხება ავადს, იგი, ლაკრუას მსგავსად, თავის სტატიას ეგვიპტეში სალაფიზმის ისტორიის მიმოხილვით იწყებს და ზემოთ ნახსენები ავტორისავე მსგავსად ეხება ისეთ დეტალებს, როგორებიცაა: „და'ვას" ერთ-ერთი ლიდერის, დოქტორ ბურჰამის დახასიათება, ორგანიზაციის ურთიერთობა და დაპირისპირება "მუსლიმ ძმებთან".

„და'ვა" "მუსლიმი ძმების" მიმართ განიცდიდა პარანოიზმის დონემდე გამოხატული შიშის გრძნობას, რაც განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: ორგანიზაციის ლიდერებს ჯეროდათ, რომ "ძმები" ცდილობდნენ მათთვის ძირის გამოთხრას, რაშიც შიიტების დახმარებაზეც არ იტყოდნენ უარს და, რაც ყველაზე მთავარია, არ თვლიდნენ "ძმებს" ისლამის ავანგარდში მდგომ ჭეშმარიტ ძალად. ეშინოდათ იმისიც, რომ საერო მმართველები და კოპტები ერთიანი ძალებით აღმოფხვრიდნენ ეგვიპტის ისლამურ იდენტობასა და შარიათის კანონებს მთლიანად. ასევე, არ ურიგდებოდნენ "მუსლიმი ძმების" შემდგომ მეორე ისლამისტურ ძალად არსებობას და სწორედ ამიტომ დაამყარეს ტაქტიკური ალიანსი სამხედრო და სახელმწიფო ინსტიტუტებთან, რამაც ისინი "ძმებისგან" განსხვავებით,

მნიშვნელოვნად დაიცვა ხელისუფლების თავდასხმებისგან. თუმცა ეს მათ ვერ იცავდა იმისგან, რომ პრობლემური ურთიერთობები არ ჰქონოდათ ისეთ ინსტიტუტებთან, როგორებიცაა ალ-აზჰარის ცენტრი და რელიგიური ფონდების სამინისტრო. ეს დაწესებულებები ცდილობდნენ შეესუსტებინათ და'ვას მიერ ორგანიზებული სწავლებები. მოყვანილი მსჯელობიდან ჩანს, თუ რატომ გადაწყვიტეს სალაფიტებმა ხელისუფლებასთან კავშირი. რაც შეეხება იმ კითხვას, რამ განაპირობა მმართველი რეჟიმის მხრიდან სალაფიტებთან ალიანსის დამყარება, მასალებში გამოყოფილია შემდეგი ფაქტორები: მუჰამმად მურსის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენების შემდეგ მმართველი ძალა ცდილობდა მეჩეთებზე სრული კონტროლის აღდგენას. სამთავრობო შტოებმა ამ ამოცანის გადაწყვეტა ალ-აზჰარის ცენტრის მეშვეობით სცადეს თავდაპირველად, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ არ ჰყავდათ სასულიერო სფეროში მოღვაწე კონტინგენტის სათანადო რაოდენობა, შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს და პროცესში თანდათანობით სალაფიტებიც ჩართეს.[195] ასეთ შეფასებას სავსებით ლოგიკურად მივიჩნევთ, რადგან ქვეყანაში განვითარებული მოვლენების დინამაკიაც ადასტურებს აღწერილი სურათის რეალურობას.

ალექსანდრიელი სალაფიტებისა და მუბარაქის მმართველობის პერიოდის სპეცსამსახურების ურთიერთობებზე ასევე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის კირკპატრიკიც. ძალოვანი სტრუქტურები, მართალია, დროდადრო აპატიმრებდნენ სალაფიტებს, მაგრამ არა ისე ხშირად და არც ისე ხანგრძლივად, როგორც „მუსლიმ ძმებს" და ქვეყნის უშიშროების სამსახურს სამუშაო ხასიათის ურთიერთობა ჰქონდა მათთან. სხვა ისლამისტური ძალები კი ალექსანდრიელ სალაფიტებს მუხაბარათის (დაზვერვის სამსახურის) აქტიურ აგენტებადაც თვლიდნენ.[196]

სალაფიტებთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოებაც: 2015 წლის საარჩევნო სისტემა, რომელიც 2014 წელს დააწესა პრეზიდენტის

---

[195] **Stephane Lacroix.** Egypt's Pragmatic Salafis: The Politics of Hizb al-Nour. – *Carnegie Endowment for International Peace,* Nov. 01/2016, Accessed November 16, 2022 at web page: https://carnegieendowment.org/2016/11/01/egypt-s-pragmatic-salafis-politics-of-hizb-al-nour-pub-64902
Mokhtar Awad. The Salafi Dawa of Alexandria: The Politics of A Religious Movement. – *Hudson Institute,* August 2014, accessed July 4, 2021at web page: https://www.hudson.org/research/10463-the-salafi-dawa-of-alexandria-the-politics-of-a-religious-movement-

[196] **David Kirkpatrick.** In the Hands of the Soldiers, გვ. 125.

მოვალეობის შემსრულებელმა (2013-2014 წ.წ.) ადლი მანსურმა, კრიტიკის საგანი გახდა ზოგიერთი პარტიის ლიდერების მხრიდან, ვინაიდან ისინი მიიჩნევდნენ, რომ შექმნილ პირობებში ინდივიდუალურ პირებს (როგორც დამოუკიდებლებს, ისე პარტიასთან აფილირებულებს) გამარჯვების მეტი შანსი ჰქონდათ, რაც, თავის მხრივ, აძლიერებდა ნათესაური და ბიზნესკავშირებით დაახლოებულ ძველ პოლიტიკურ ჯგუფს. საბოლოოდ 351-მა დამოუკიდებელმა კანდიდატმა გაიმარჯვა არჩევნებში, რითიც რეჟიმთან ყველაზე უფრო დაახლოებულმა ორმა პარტიამ მოაგროვა მანდატების უმრავლესობა - „თავისუფალ ეგვიპტელთა პარტიამ“ 65 მანდატი და „ერის მომავლის პარტიამ“ - 53. თავისთავად საინტერესოა და ზემოთ მოყვანილ მსჯელობას განამტკიცებს ის ფაქტი, რომ მსგავს პირობებში ჩატარებულ არჩევნებში სალაფიტურმა პარტია „ალ-ნურმა“ „მუსლიმი ძმების“ არყოფნით გამოწვეული საარჩევნო ვაკუუმი შეავსო და თერთმეტი ადგილის მოპოვება შეძლო ახალ პარლემენტში.[197]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თუნისში დაწყებული „არაბული გაზაფხული“, რომელსაც თავდაპირველად “არაბულ გამოღვიძებასაც” უწოდებდნენ და მრავალ მკვლევარს გაუჩინა მოსაზრება, რომ შესაძლებელი ხდებოდა არაბულ-მუსლიმურ ქვეყნებში დემოკრატიული პროცესების განვითარება, აბსოლუტურად მცდარი აღმოჩნდა. ეგვიპტის მაგალითი ცხდაყოფს, რომ ქვეყანაში მომხდარი რევოლუცია თუნისში სპონტანურად დაწყებული საპროტესტო აქციების და რევოლუციის ბუნებრივი გაგრძელება კი არა, ამ მუხტით სარგებლობა და შიდა გადატრიალება იყო სამხედროების ჯგუფის მიერ, ზემოთ აღწერილი პროცესების (აქ იგულისხმება გამალ მუბარაქის სათავეში მოსვლა) განვითარების თავიდან აცილებისა და საკუთარი კეთილდღეობის შენარჩუნების მიზნით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ეგვიპტეში ჰუსნი მუბარაქის გადადგომის შემდეგ გარდამავალ ხელისუფლებასთან ერთად ქვეყანას ისევ მართავდა სამხედრო საბჭო, რაც იმას ნიშნავდა, რომ სახელისუფლებო შტოებში მოხვედრილი ელიტური კლანების ინტერესები მეტწილად წინანდებურად იყო დაცული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მხრივ, როგორც უკვე ითქვა, საკმაოდ მახვილგნოივრულად იმოქმედეს

[197] **Inmaculada Szmolka.** Political Change in the Middle East and North Africa after Arab Spring. გვ, 361. 2014

სამხედროებმა. პოსტმუბარაქისეულ პერიოდში ისლამისტების საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ახალ პარლამენტს პრაქტიკულად დრო არ დაუტოვეს ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად. რაც შეეხება "მუსლიმი ძმების" წევრ პრეზიდენტ მურსის, მისმა შიდა პოლიტიკურმა კურსმაც ხელი შეუწყო იმას, რომ მმართველი კლანები არ გახდნენ იძულებულნი, თავიანთი გავლენის სფეროებისა და ბიზნესინტერესების შენარჩუნების მიზნით, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ გაეტარებინათ ისეთი ღონისძიებები, რაც ქვეყანას საბოლოოდ სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში ჩაითრევდა, კერძოდ, მუჰამმად მურსი მხარს უჭერდა სამხედროების პრივილეგირებულ მდგომარეობას. გადამდგარი ოფიცრები იკავებდნენ მინისტრების, გუბერნატორებისა და მაღალი ადმინისტრაციული მუშაკების თანამდებობებს. „ძმებმა" სამხედრო ელიტას შეუნარჩუნეს ნახევრად ავტონომიური სტატუსი 2012 წელს შემუშავებულ ახალ კონსტიტუციაში, რომლის თანახმადაც არმიას უნარჩუნდებოდა საკუთარი ბიუჯეტი, სამოქალაქო ბიზნესიდან შემოსული მოგება სამთავრობო და სამოქალაქო კონტროლის გარეშე. თავდაცვის მინისტრს შეუნარჩუნდა საზედამხედველო კონრტოლი სამხედრო ეკონომიკაზე (25,7 მილიარდი დოლარი, 2012-2013 წლების ბიუჯეტის დაახლოებით 4% და 1979 წელს ისრაელთან დადებული სეპარატული ზავის გამო აშშ-ის მხრიდან გამოყოფილი ყოველწლიური სამხედრო დახმარება, 1,3 მილიარდი დოლარი), ასევე იარაღისა და საბრძოლო მასალის ექსპორტ-იმპორტი, სამხედრო პროდუქციის სამინისტროს კონტროლი გაგრძელდა ინდუსტრიალიზაციის არაბული ორგანიზაციის დაქვემდებარებაში მყოფ ქარხნებზე. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, აღნიშნულ პოსტზე დანიშნულ პირს ეგვიპტის ეკონომიკის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლის უფლებას აძლევს. სამხედროების ფინანსური ინტერესები მხოლოდ ზემოთ აღნიშნული შემოსავლებით არ შემოიფარგლება. შეიარაღებულმა ძალებმა თავიანთი სამოქალაქო ეკონომიკური აქტივობა დაიწყეს აგრარული პროექტებით, მელიორაციით, სამოქალაქო საჯარო სამსახურების კონტრაქტებით, ტურიზმით, სასტუმროებით, მშენებლობით, საზღვაო ტრანსპორტით, ნავთობგადამამუშავებელი წარმოებით და ეკოლოგიური პროექტებით. არმიას ეკუთვნის ასევე ისეთი ბრენდები

როგორებიცაა: „Queen Pasta“ და „Safi-ს“ მინერალური წყალი, ბენზინგასამართი სადგურების ქსელი „ალ-ვატანია“, საქროწინო დარბაზები და, რაც მთავარია, ჩამოთვლილი აქტივები და აქედან მიღებული შემოსავლები სრულიად საიდუმლოა.[198]

საერთო სახალხო რეფერენდუმით 2014 წლის იანვარში მიღებულ კონსტიტუციაში, 2012 წელს დამტკიცებულ ტექსტში რიგი შესწორებები შევიდა, რითიც არსებული სტატუს-კვო კიდევ უფრო გამყარდა. შეიარაღებული ძალების ბიუჯეტს ისევ ეროვნული თავდაცვის საბჭო განიხილავდა. 197-ე მუხლში, რომელიც 203-ე გახდა, სამი შესწორება შევიდა. პირველის თანახმად, თავდაცვის ბიუჯეტი უნდა შესულიყო სახელმწიფოს წლიურ ბიუჯეტში ცალკე, ყოველგვარი განმარტებების გარეშე. ეროვნული თავდაცვის საბჭოს შემადგენლობა ოდნავ შეიცვალა, რადგან შურა (საბჭო) სამუდამოდ დაითხოვეს. აღნიშნულმა შესწორებამ ეროვნული თავდაცვის საბჭო კიდევ უფრო სამხედრო ტიპის ორგანოდ აქცია. 203-ე პუნქტს დაემატა მუხლი, რომლის მიხედვითაც სამხედრო ბიუჯეტის განხილვისას აუცილებელი გახდა ბიუჯეტის დაგეგმვის, ასევე თავდაცვის და ეროვნული უსაფრთხოების კომიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად შეიარაღებული ძალების ფინანსური განყოფილების მმართველის მონაწილეობაც.[199] ასევე, 234-ე მუხლის თანახმად, პრეზიდენტს აღარ შეუძლია უმაღლესი სამხედრო საბჭოს სრული კონტროლი.[200]

საბოლოოდ კი თვითონ ისლამისტური იდეოლოგია, მისაღები და არასასურველი ყოფიდან თავის დაღწევის გზა, მხოლოდ პერიფერიებში მაცხოვრებელი, დუხჭირი და უფრო კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობისთვის აღმოჩნდა, მიუხედავად ისლამისტების ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ გამართული საპროტესტო აქციების და მათი მომხრეების მიერ

[198] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, Edited by Holger Albrecht, Aurel Croissant,
and Fred H. Lawson. The Syrian Military and the 2011 Uprising, PENN: Univesity of Pennssylvania press Philadelphia, 2016. გვ. 188-189.
[199] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 190-191.
[200] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 198.

გაღებული მსხვერპლისა.[201] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკური სიდუხჭირის გამო 2011 წელს ეგვიპტელთა საპროტესტო გამოსვლების დაწყებამ არც ისლამისტების მმართველობის და არც ას-სისის პრეზიდენტობის პერიოდში შედეგები არ გამოიღო. 2014 წლის მონაცემებით, 2009 წელთან შედარებით აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 20,6%-დან 26,3%-მდე გაიზარდა და 5-დან 2 ბავშვი შიმშილობდა. ხელისუფლება კი სულ უფრო მკაცრ ეკონომიკურ რეფორმებს ატარებდა ან გეგმავდა ისეთ პროექტებს, როგორიც იყო „მეორე სუეცის არხი“, რომელთაც საბოლოოდ არავიტ]თარი დადებითი გავლენის მოხდენა არ შეეძლოთ ღარიბი მოსახლეობის სიტუაციის გაუმჯობესებზე.[202] ამის დასტურად მივიჩნევთ იმ გარემოებას, რომ 2017 წლის მონაცემებით, “მუსლიმი ძმები” სახელმწიფოს მხრიდან ზეწოლის პარალელურად ორად გაიყვნენ. ერთ ბანაკში მოხვდა ე.წ. “ძველი გვარდია”, უფრო რელიგიური და კონსერვატიული ძალა, მეორეში - ახალგაზრდა რევოლუციონერები. „მუსლიმი ძმების“ ახალი თაობა ცდილობს, მესამე გზა იპოვოს არჩევნებზე ფოკუსირებულ სახელმწიფო ცენტრიზმის მიმდევარ ძველ თაობასა და ექსტრემისტთა გააზრებულ მაქსიმალისტურ განწყობებს შორის. თუ როგორ უნდა მოახერხონ ეს, მათ ჯერ ნათლად გააზრებული არ აქვთ. ზოგიერთი აქტივისტი „რევოლუციურ“ და ანარქისტულ გზას ისახავს მიზნად, მათთვის მისაღებია დროებითი დესტაბილიზაცია და სისხლისღვრაც კი გრძელვადიან პერსპექტივაში პოლიტიკური ცვლილებების მიღწევის საფასურად.[203] უნდა ითქვას, რომ „ძმები“ ეგვიპტელ ხალხში ვერ ხედავენ დღესდღეობით ძლიერ დასაყრდენს, რადგან თითქმის ასწლიანი არსებობის მანძილზე, მათ 2017 წლის მონაცემებით ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ერთიანი გეგმა, როგორ ემოქმედათ რეპრესიების წინააღმდეგ და რა ნაბიჯები გადაედგათ კრიზისიდან გამოსასვლელად.[204]

---

[201] **Zeinab Abul-Magd.** Egypt’s Military Business: The Need for Change. // *Mei.edu,* November 2015, accessed July 4, 2021 at web page https://www.mei.edu/publications/egypts-military-business-need-change

[202] Andrea Teti, Pamela Abbott, Francesco Cavatorta. The Arab Uprisings in Egypt, Jordan and Tunisia, გვ. 104. **რევაზ გაჩეჩილაძე.** ახლო აღმოსავლეთი, გვ. 152.

[203] **Shadi Hamid.** Islamic Exceptionalism, გვ. 123.

[204] **Khalil Al-Anani.** What happened to Egypt’s Muslim Brotherhood? // *“ALJAZEERA”,* February 2017, accessed July 4, 2021 at web page https://www.aljazeera.com/opinions/2017/2/15/what-happened-to-egypts-muslim-brotherhood/

თავი III. სირიის ავტოკრატიული რეჟიმი და "არაბული გაზაფხული"

3.1. "არაბული გაზაფხულის" დაწყების მიზეზები სირიაში

"არაბული გაზაფხულის" შედეგად სირიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები გარკვეულწილად თუნისისა და ეგვიპტის რევოლუციების გამოძახილი იყო. საპროტესტო გამოსვლების დაწყების მიზეზებშიც კი იკვეთება მსგავსებები, თუმცა საბოლოოდ ამ ქვეყანაში მოვლენები სრულიად განსხვავებული სახით განვითარდა. სირიაში რევოლუციის მცდელობის თავისებურება თუნისსა და ეგვიპტესთან მიმართებით იმაში მდგომარეობს, რომ ამ ქვეყანაში კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია იკვეთება.[205] შექმნილმა კრიზისმა გამოიწვია შიდა დაპირისპირებაში, საომარ მოქმედებებსა და მოლაპარაკებების სხვადასხვა ეტაპებზე როგორც უცხო სახელმწიფოების, ისე სხვა აქტორების - "ისლამური სახელმწიფოს", ლიბანის ჰეზბოლასა და პალესტინური ჰამასის ირიბად ჩართვაც. ქვეყანაში არსებულმა ორივე დაპირისპირებულმა მხარემ - ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც - ჩართეს უცხო ძალები, რადგანაც როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, სჭირდებოდა მატერიალური რესურსები და ასევე საერთაშორისო ლეგიტიმურობის უზრუნველყოფა. აქვე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო უფრო მომგებიან პოზიციაში იმყოფება, ვინაიდან მას მხოლოდ ხელისუფლების გამყარების და საკუთარი ლეგიტიმური უფლებების საერთაშორისოდ აღიარება ესაჭიროება. ამბოხებულ ძალებს კი ავტოკრატიული რეჟიმების დემონტაჟისთვის ბრძოლის უფლების მოპოვებისათვის სჭირდებათ საერთაშორისო მხარდაჭერა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ქვეყნის შემთხვევაში სირიელი ხალხის უმრავლესობისა და ოპოზიციური მოძრაობების მხრიდან უცხოური სამხედრო ინტერვენცია ერთხმად იქნა უარყოფილი. ადგილობრივი

[205] **რევაზ გაჩეჩილაძე.** ახლო აღმოსავლეთი, გეოპოლიტიკა. ტ. II, ბაკურ სულაკაურის გამოცემა, 2019. გვ. 144.
Eugene Rogan. The Arabs, 2017.

საკოორდინაციო კომიტეტები უმეტესად ითხოვდნენ ადამიანის უფლებათა დამცველების მივლინებას, რათა თავიდან აეცილებინათ შემდგომი მასობრივი მკვლელობები.[206] საბოლოოდ, ქვეყანაში დაწყებულმა საპროტესტო გამოსვლებმა გამოწვევების წინაშე დააყენა სტაბილურობა არა მარტო საკუთრივ სირიაში, არამედ ზოგადად რეგიონშიც და მან ფართო, გლობალური ხასიათი მიიღო.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციით და წარმოქნილი კონფლიქტით რეგიონული აქტორები პოლიტიკური სარგებლის მაქსიმალურად მიღებას ცდილობდნენ. 2002 წელს ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური ისლამის მზარდი პოპულარობის პარალელურად, თურქეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდა „თავისუფლებისა და სამართლიანობის“ ისლამური პარტია. ანკარამ სწრაფად გააცნობიერა ის, რომ თურქეთს, როგორც ნატოს წევრ ქვეყანას, რომელიც ასევე ცდილობს ევროკავშირში გაწევრიანებას, უნდა წარმოედგინა პოლიტიკური განვითარების ახალი მოდელი, რასაც, პირველ რიგში, უნდა შეეკავებინა ისლამისტური მოძრაობების არაკონტროლირებადი ზრდა. ამისათვის საჭირო იყო პოლიტიკური ისლამის ხელისუფლების კონტროლის ქვეშ მოქცევა და სამხედროების გავლენის შეზღუდვასთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების განმტკიცება. იმავე პერიოდში თურქეთმა დაიწყო თავისი პოლიტიკის გააქტიურება არაბულ აღმოსავლეთში. ერთი მხრივ, ანკარას სურდა, განევითარებინა უკვე არსებული მსხვილი ენერგეტიკული, ნავთობის, გაზისა და სავაჭრო-ინდუსტრიული პროექტები და, მეორე მხრივ, გამხდარიყო ევროპისთვის საიმედო შუამავალი და რეგიონში არსებული კონფლიქტების მომგვარებელი ძალა.

თურქეთის გააქტიურების კვალდაკვალ, ერაყში გამეფებული ქაოსის ფონზე თეირანისთვის შეიქმნა საკმაოდ ხელსაყრელი პირობები საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. ცნობილია, რომ დროის მოკლე მონაკვეთში ირანმა შექმნა თავისი ქსელი ერაყის სამხრეთში, სირიასა და სამხრეთ ლიბანში, რომელსაც აკონტროლებდა ჰეზბოლა. ირანული საცეცი წვდებოდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროსაც, კონკრეტულად პალესტინას, სადაც ღაზას სექტორს აკონტროლებს დაჯგუფება

[206] **Marwa Daoudy.** Syria: Revolution and Repression. - *Conservative Middle East Council*, October 2011, accessed July 4, 2021 at web page https://cmec.org.uk/sites/default/files/field/attachment/October%202011%20CMEC-Arab-Spring.pdf გვ. 20-23.

ჰამასი, რომელიც პერიოდულად მჭიდრო კონტაქტებს ამყარებდა თეირანთან.

აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გაღიზიანების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ისიც იყო, რომ სუნიტური უმრავლესობით დასახლებულ ქვეყნებში შიიტური ირანის გავლენის გაძლიერების მცდელობა, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა სუნიტურ-შიიტურ დაპირისპირებას. ამ წინააღმდეგობას კი სათავე დაუდო ერაყში დასავლური კოალიციის მიერ განხორციელებულმა სამხედრო ოპერაციამ, რის შედეგადაც მნიშნველოვნად შესუსტდა სუნიტთა პოზიციები და ქვეყნის ხელისუფლების სადავეები შიიტების ხელში აღმოჩნდა.[207]

ირანის ისლამურ რევოუციამდე (1979 წ) ეს ორი ქვეყანა ერთმანეთის მიმართ ანტაგონისტრუად იყვნენ განწყობილები, ვინაიდან ირანის უკანასკნელი შაჰი მუჰამმად რეზა ფეჰლევი (1941-1979) აშშ-ის მოკავშირე იყო, სოციალისტური სირია კი - საბჭოთა კავშირის. შაჰის ჩამოგდების შემდეგ სირია იყო პირველი არაბული ქვეყანა, რომელმაც ცნო ახალი ხელისუფლება ირანში. 1980 წელს, მას შემდეგ, რაც სადამ ჰუსაინმა შეტევა განახორციელა ირანზე, სირია ირანს სამხედრო და დიპლომატიურ მხარდაჭერას უწევდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ქვეყნებში განსხვავებული მართვის სტილი იყო დამკვიდრებული, ირანში კონსერვატიული ისლამური თეოკრატია, სირიაში კი სეკულარული, ბაასისტურ-სოციალისტური პოლიტიკური სისტემა, თეირანისთვის სირია მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მოკავშირეა აშშ-სთან, ისრაელთან, საუდის არაბეთსა და ყურის სხვა სახელმწიფოებთან ინტერესთა კონფლიქტისა და დაპირისპირების პირობებში ლიბანის ჰეზბოლასთან ერთად.

ერ-რიადისთვის თავისი ინტერესების გატარების კუთხით ასადის რეჟიმი დაბრკოლებას წარმოადგენს. სირია თავის დროზე ასევე გახდა კონფლიქტის მიზეზი ყურის თანამშრომლობის საბჭოში. დაპირისპირების ძირითადი მიზეზი გახდა საუდის არაბეთის მხრიდან სალაფიტების, ხოლო კატარის მიერ „მუსლიმი ძმების“ მხარდაჭერა, რაც ორივე ქვეყნისთვის სირიაში საკუთარი გავლენის გაძლიერებასთან

---

[207] **Владимир Ахмедов.** Роль Исламского Фактора В общественно-Политическом Развитии Арабких Стран Ближнего востока и его эволюция в условиях Сирийского восстания (90-е гг. XX начало XXI вв.), Москва: 2015. გვ. 16-17.

ს. გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი - მთავარი აქტორები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. // “ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, N XI, 2018, გვ. 417-418.

იყო პირდაპირ კავშირში. გამომდინარე იქიდან, რომ ასადის რეჟიმის ერთ-ერთი უპირველეს გაერთიანება სირიის ეროვნულ საბჭოში - „მუსლიმი ძმები“ - ხელისუფლების მოწინააღმდეგე დომინანტ ძალად და მსხვილ პოლიტიკურ ჯგუფად ჩამოყალიბდნენ, საუდის არაბეთისთვის აღნიშნული ფაქტი კატარის პოზიციების გაძლიერებად და საკუთარი გავლენის დაკარგვის საფრთხედ იქნა აღქმული, რის გამოც ამ სახელმწიფომ სალაფიტთა მხარდაჭერა გააძლიერა.

ასადის რეჟიმს ჯერ კიდევ ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდიდან მკვეთრად გამოხატული ანტიამერიკული პოზიცია ეკავა, ხოლო ირანთან და ჰეზბოლასთან მჭიდრო კონტაქტის გამო კიდევ უფრო დიდ გამოწვევად იქცა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ის ექსპრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2013 წელს სირიის რეჟიმის მხრიდან ქიმიური იარაღის სავარაუდო გამოყენება „წითელი ხაზების“ გადაკვეთად შეაფასა, იგი ამერიკული სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგი რჩებოდა და აცხადებდა, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგზავნიდა ამ ქვეყანაში ჯარებს, თუ აშშ-ის “მთავარ ინტერესებს“ დაემუქრებოდა საფრთხე. შესაბამისად, ბარაკ ობამამ არჩევანი სირიაში შეზღუდულ ჩარევაზე შეაჩერა, რაც ოპოზიციური ძალების გარკვეული ნაწილის სამხედრო და პოლიტიკური დახმარებით შემოიფარგლებოდა. თუმცა მიგვაჩნია, რომ სენატორი მაკკეინი სწორად აღნიშნავს თავის მემუარებში და აჯანყების პირველივე წელს აშშ-ის აქტიური ჩარევა ევროპასთან ერთად, ასადის საჰაერო ძალების განადგურება, სირიის თავისუფალი არმიისთვის შეიარაღების, ტყვია-წამლისა და ტანკსაწინააღმდეგო იარაღის მიწოდება რეჟიმის სწრაფად დმახობას გამოიწვევდა, რის შედეგადაც ასეულობით ათასი სიცოცხლე გადარჩებოდა.[208] 2015 წლის მაისში კემპ-დევიდში შეხვედრის შემდეგ აშშ და ყურის თანამშრომლობის საბჭო შეთანხმდენ ერთობლივ მოქმედებებზე და იმაზე, რომ ასადის რეჟიმმა დააკრგა ლეგიტიმაცია, რომელსაც აღარ აქვს ადგილი სირიის მომავალში. ასევე გადაწყვიტეს ზომიერი ოპოზიციისთვის ერთობლივი დახმარების გაწევა და ბრძოლის გაძლიერება ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებების წინააღმდეგ, როგორებიც არიან:

[208] **ჯონ მაკკეინი, მარკ სალტერი.** დუცხრომელი ტალღა, გვ. 12-15.

„ ისლამური სახელმწიფო“, „ალ-ნუსრა“ - შემდგომში „ჯაბჰათ ფათაჰ აშ-შამი“ და სხვები.

სირიის მმართველი რეჟიმის მხარდაჭერით რუსეთი ცდილობს აშშ-ის და მისი მოკავშირე ყურის ქვეყნების საპირწონე ძალად დარჩეს რეგიონში. ასადის რეჟიმის დამხობა ამ ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებისთვის საფრთხეს წარმოადენს, რაც ტარტუზის პორტის შენარჩუნებაში გამოიხატება. რუსეთი რეჟიმის მომხრე ძალებს „ისლამური სახელმწიფოს“ და ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლისთვის წვრთნიდა და იარაღით ამარაგებდა. 2015 წლის სექტემრის ბოლოდან დაიწყო „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ავიადარტყმების განხორციელება და აღნიშნულ დაჯგუფებასთან მებრძოლ თანამოაზრე ქვეყნებთან - ერაყი, სირია, ირანი - ბაღდადში შექმნა დაზვერვის კომიტეტი კოორდინირებული მოქმედების მიზნით.[209]

იმავე სირიის შემთხვევაში გაჩნდნენ ქვეყნის გარედან მოქმედი არასახელმწიფო სუბიექტები, მაგალითად, საერთაშორისო დონის ტერორისტული ორგანიზაციები. აქ ვგულისხმობთ *„ალ-კაიდას“* თავისი განშტოებებით, „ისლამურ სახელმწიფოს“ ოპოზიციის, ხოლო, როგორც ზემოთ აღინიშნა, *„ჰეზბოლას“* - სახელისუფლებო ძალების მხარეს.

სირიაში “არაბული გაზაფხული” თუნისის მსგავსად დაიწყო. 2011 წლის 26 იანვარს ქალაქ ალ-ჰასაკას მკვიდრმა ჰასან ალი აკლიჰმა ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის მიზნით, გადაისხა ბენზინი ისევე, როგორც თავის დროზე, 2010 წლის 17 დეკემბერს მუჰამმად ბუაზიზიმ თუნისში. პროტესტის აღნიშნული ფორმით გამოხატვის შემდეგ აქტივისტთა ჯგუფებმა დაიწყეს აქციებისა და დემონსტრაციების გამართვა ქუჩებში. მათი აქტივობები თანამედროვე სოციალური მედიის - „ფეისბუქი“, „ტვიტერი“ - და სხვადასხვა ვებგვერდის საშუალებით შუქდებოდა. 3 თებერვალს გამოცხადებულ “მრისხანების დღის” სახელით ცნობილ აქციაში მონაწილეები ქვეყნის უსაფრთხოების ძალებმა დააპატიმრეს.[210] ერთი თვის

[209] **Prasanta Kumar Pradhan.** Arab Spring and Sectarian Faultlines in West Asia: Bahrain, Yemen and Syria. New Delhi: Institute for Defence Studies and Analyses, Pentagon Press, 2017. გვ. 107; 112-113; 118; 120; 121-122.

[210] **Mark D. Johns**, **Shing-Ling S. Shen**, **Laura A. Terlip.** Simoblic Interaction and New Social Media. UK.,”Emerald Group Publishing Limited”, 2014. E-Book at Google books

შემდეგ, 2011 წლის 6 მარტს, ქალაქ დარა'აში სკოლის 6 მოსწავლე დააპატიმრეს და აწამეს კედლებზე ანტისამთავრობო მოწოდებების დაწერის გამო.[211]

სირიის კრიზისთან და ამ მოვლენის გარშემო განვითარებული პროცესების შესახებ მკვლევართა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სირიის "არაბული გაზაფხულის" საპროტესტო აქციების სამოქალაქო ომში გადაზრდა იყო ქვეყანაში არსებული ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტერესთა კონფლიქტის შედეგი. ამ მოსაზრებას ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი საჭიროებს ოსმალეთის იმპერიის დაშლის და საიკს-პიკოს შეთანხმების პერიოდიდან განვითარებული პროცესების ხელახლა გაანალიზებას, რათა პასუხი გაეცეს ამ ქვეყანაში განვითარებულ გამოწვევებს, რომელიც თავისი სირთულით და მსხვილ რეგიონულ მოთამაშეთა ინტერესების კონფლიქტის გამო მართლაც რომ რთულ საჭადრაკო კომბინაციას დაემსგავსა.

ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც მოწმობს იმას, რომ სირიაში სამოქალაქო დაპირისპირების გამომწვევი მიზეზი არ იყო ცალსახად ეთნიკური და რელიგიური განხსხვავებები, არის ის, რომ ჯერ კიდევ ოსმალეთის იმპერიის დაშლისა და სირიის საფრანგეთის პროტექტორატში გადასვლის პერიოდიდან, მთლიანად სირიის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხთა უმრავლესობა სხვადასხვა დროს ახერხებდა გაერთიანებას საერთო მიზნისთვის. კონკრეტულად კი თვალი გადავავლოთ, თუ რა მდგომარეობა იყო სირიაში 2011 წლამდე და, სახელდობრ, რომელმა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებასა და რელიგიური ექსტრემიზმის აფეთქებას.

ამის დასასაბუთებლად კიდევ ერთხელ გადავხედავთ, თუ რომელი ეთნიკური, რელიგიური და პოლიტიკური დაჯგუფებები არსებობდნენ და სხვადასხვა დროს დომინირებდნენ ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასევე ყურადღებას გავამახვილებთ იმაზე, თუ რა შიდა და გარე ფაქტორებმა შეუწყო ხელი

---

https://books.google.ge/books?id=K5zDBAAAQBAJ&pg=PA103&lpg=PA103&dq=Ali+Akleh&source=bl&ots=Ciz8W9jPXD&sig=ACfU3U0-u53jKIkkZX8mZjf_-esXQiTr5Q&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwijhOfalcvuAhUj5uAKHcK3DBA4ChDoATAEegQIBxAC#v=onepage&q=Ali%20Akleh&f=false გვ. 103.

[211] How schoolboys began the Syrian revolution. // *„CBSNEWS",* April 2011, accessed July 4, 2021 at web page https://www.cbsnews.com/news/how-schoolboys-began-the-syrian-revolution/

კონფლიქტის ესკალაციას და რა გამოწვევების ფონზე გაიმართა ქვეყანაში ანტისამთავრობო გამოსვლები. დასმული პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად ასევე საინტერესოა, გახდა თუ არა სირიის მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სტატუს-კვო სამოქალაქო ომის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და რეალურად რა იყო სირიელი ხალხის მოთხოვნა იმ პერიოდისთვის: შიიტურ-ალავიტური ავტოკრატიული რეჟიმის შეცვლა ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობაში მყოფი სუნიტური მმართველობით და ფუნდამენტალური ისლამის მეშვეობით სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გამოწვევების დამარცხება. ამ მოსაზრებების გამყარების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია, გავაანალიზოთ ქვეყნის უახლეს წარსულში განვითარებული პროცესები, რათა ნათელი გახდეს, არსებობდა თუ არა დაპირისპირების სათანადო ნიადაგი ან რელიგიურ და ეთნიკურ საფუძველზე კონფლიქტის ანალოგიები სირიის ამ მულტიეთნიკურ და მულტიკონფესიურ საზოგადოებაში.

1916 წლის 16 მაისს საიკს-პიკოს შეთანხმებით ოსმალეთის იმპერია დაიყო რამდენიმე ნაცია-სახელმწიფოდ. აღნიშნული შეთანხმება თავიდან ბოლომდე ემსახურებოდა ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიურ, სტრატეგიულ, ნაციონალურ და გეოპოლიტიკურ ინტერესებს და მასში ნაკლებად იყო გათვალისწინებული ამ ტერიტორიაზე მცხოვრები თემებისა და მოსახლეობის შემდგომი ბედი. სწორედ ამ შეთანხმების შემდეგ, სირია აღმოჩნდა ერთა ლიგის მიერ მინიჭებული მანდატით საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ.[212]

სუნიტური უმრავლესობით დასახლებულ სირიაში ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობას წარმოადგენდნენ შიიტი ალავიტები.[213]

ჰაფიზ ალ-ასადის ხელისუფლებაში მოსვლის დროს (1970 წ.) ისინი ქვეყნის მოსახლეობის 12%-ს (2 400 000) შეადგენდნენ, ხოლო მათი სოფლებში მაცხოვრებლების წილი 42% იყო. ზემოთ ხსენებული საიკს-პიკოს შეთანხმების შედეგად ქრისტიანები და დრუზები მეორე და მესამე მსხვილ უმცირესობად ითვლებოდნენ ქვეყანაში. ქრისტიანები წარმოადგენდნენ 10%-ს, დრუზები - 5%-ს. უკვე იმ პერიოდიდან ალავიტები ცხოვრობდნენ ლატაკიის გარშემო, დრუზები კი

[212] **Bernard Lewis.** The End of Modern History in the Middle East. Hoover Institution Press, 2011.
[213] ნუსაირიტები, უკიდურესი სექტა შიიტურ ისლამში.

სახლობდნენ ჯაბალ ალ-დრუზ/ჯაბალ ალ-არაბის ტერიტორიაზე (მდებარეობს სირიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში). ქრისტიანების ძირითადი საცხოვრებელი ადგილები იყო ალეპო, დამასკო და ჰომსი. სხვა რელიგიური უმცირესობები, მაგალითად, იეზიდთა თემი, სახლობდა ჯაზირასა და ალეპოს ნაწილში, ყველაზე მცირერიცხოვანი არაბულ ენაზე მოლაპარაკე ებრაული თემი კი ალ-აჰდუდის ნაწილში.[214] ფრანგებმა დაიწყეს მათ მიერ ახლად ფორმირებულ Speciales Du Levant-ის სახელით ცნობილი საჯარისო ნაწილების (რომელიც სირიის ნაციონალური არმიის ჩანასახად მიიჩნევა) რიგებში ალავიტების, დრუზებისა და სხვა უმცირესობების წარმომადგენელთა გაწვევა. პარალელურად, ფრანგები არაბული ნაციონალიზმის გავლენის შეკავების მიზნით, მუდმივად ცდილობდნენ ეთნიკური და რელიგიური განსხვავებების გამოყენებას. მონაცემების მიხედვით, ფრანგების მიერ ეთნიკური და კონფესიური განსხვავებების გამოყენების მცდელობას მოწმობს შემდეგი გარემოება: ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან სირიელი ნაციონალისტები გამოდიოდნენ დიდი სირიის[215] სეგმენტაციის წინააღმდეგ. მათთვის მიუღებელი იყო პალესტინის, ლიბანისა და ტრანსიორდანიის დანაწილება სამ ნაცია-სახელმწიფოდ, რომლებიც შედიოდნენ საფრანგეთის და ბრიტანეთის სამანდატო ტერიტორიებში, თუმცა ფრანგული მხარის ამ მცდელობამ უკუშედეგი გამოიღო და დაპირისპირების ნაცვლად პოლიტიკური ალიანსი გამყარდა დამასკოს, ჰომსის, ალეპოსა და ჰამას შორის.[216] 1925 წელს ლოკალურმა აჯანყებამ იფეთქა ჯაბალ ალ-დრუზში:[217] დრუზების ლიდერებმა დაიწყეს ზემოთ აღნიშნული ქალაქების ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა მათ მიერ დაწყებული წინააღმდეგობის ნაციონალურ აჯანყებაში გადაზრდის მიზნით.[218] აჯანყება გაგრძელდა 1936 წლამდე.

---

[214] Religious Minorities in Syria: Caught in the Middle. - COMMITTEE ON FOREIGN AFFAIRS U.S. HOUSE OF REPRESENTATIVES, June 2013, accessed July 4, 2021 at web page https://docs.house.gov/meetings/FA/FA16/20130625/101036/HHRG-113-FA16-Wstate-SheaN-20130625.pdf

[215] **Mohammad Harfoushi.** Lebanon and the Future Of 'Greater Syria. // *Al-Monitor,* January 2013, accessed July 4, 2021 at web page https://www.al-monitor.com/pulse/originals/2013/01/final-collapse-greater-syria.html

[216] **Benjamin Thomas White.** The Emergence of Minorities in the Middle East The Politics of Community in French Mandate Syria. Edinburgh University Press, 2011, გვ. 43-69.

[217] Syria: History: The French Mandate. - *Encyclopædia Britannica Online,* 2009. http://www.britannica.com/EBchecked/topic/578856/Syria.

[218] **Robert G. Rabil.** Syria, the United States and the War on Terror in the Middle East. London., "Preager", 2006, გვ. 9-10.

მანამ, სანამ სირიამ და საფრანგეთმა არ მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც უნდა ფორმულირებულიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის დეტალები. სირიის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის საპასუხო რატიფიკაცია ფრანგულ მხარეს არ განუხორციელებია.[219]

მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც გერმანიამ საფრანგეთის ოკუპაცია განახორციელა, სირია იქცა გერმანიისა და მოკავშირე ძალებისთვის რეგიონში გავლენის მოპოვების ერთგვარ მთავარ საშუალებად. საბოლოოდ, გერმანელებს ბრიტანულმა და ფრანგულმა თავისუფალმა ძალებმა დაასწრეს სირიის დაპყრობა.[220]

II მსოფლიო ომის შემდგომ, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან, 1946 წლის 17 აპრილიდან, ახლად ფორმირებული სირიის ნაცია-სახელმწიფოს საზოგადოება შედგებოდა შემდეგი ეთნო-კონფესიებისაგან: სუნიტების, ალავიტების, ქრისტიანების, ისმაილიტების, დრუზების, ქურთების, თურქმენების, სომხების, ჩერქეზების, ჩეჩნებისა და ისრაელის სახელმწიფოს აღდგენის შემდეგ ლტოლვილებად ქცეული პალესტინელების ნაწილისგან. თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებების შენარჩუნების მიზნით, აღნიშნულ დაჯგუფებებში ჩამოყალიბდა კონკურენციის გარკვეული ფორმები. 1953 წლიდან გაუქმდა ფრანგების მიერ შემოღებული კონფესიური პოლიტიკური სისტემა, კანონმდებლობა და კანონპროექტი, რომელიც რელიგიური უმცირესობების იურიდიული, სამართლებრივი, პოლიტიკური და პერსონალური უფლებების დაცვას მოიცავდა. ლიბანის კონფესიური პოლიტიკური სისტემის მსგავსად, საფრანგეთმა მეორე კონფესიური პოლიტიკური სისტემა დააწესა თავის დროზე სირიაში. დაწესებული მმართველობითი სისტემის შესაბამისად, ყველა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფის (დრუზების, ალავიტების, სუნიტების (დაახლოებით 75%), ქრისტიანების, ქურთების, ჩერქეზების, და ებრაელების)

[219] **John D. Grainger.** The Battle for Syria, 1918-1920. "The Boydell press", 2013. E-Book at Google Books https://books.google.ge/books?id=LG2cG5SshpEC&pg=PA35&source=gbs_toc_r&cad=2#v=onepage&q&f=false გვ. 35.

[220] **Majid Rafizadeh.** The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy University of South Florida, 2014, გვ. 26. Accessed July 4, 2021 at web page http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7008&context=etd

წარმომადგენელთათვის გამოყოფილი იყო ადგილების გარკვეული რაოდენობა პარლამენტში. ადგილების მთლიანი რაოდენობა იყო 142, საიდანაც 25% ეკუთვნოდათ უმცირესობებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1950-იან წლებში სუნიტურმა უმრავლესობამ სცადა კონსტიტუციის შემოღება, რომლის მიხედვითაც ისლამი უნდა გამოცხადებულიყო სირიის სახელმწიფო რელიგიად, თუმცა მათი მცდელობა ჩანასახშივე უშედეგოდ დასრულდა.

უმცირესობებზე სამთავრობო და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების მოშლამ გამოიწვია 1950-60-იან წლებში სამხედრო გადატრიალებები, შიდა კონფლიქტები და არასტაბილურობა ქვეყანაში.[221] თუმცა შეინიშნებოდა სიტუაციის ნორმალიზების მცდელობებიც სხვადასხვა სამთავრობო ჯგუფებში, მაგალითად, შუქრი ალ-კუვათლის (1955-1958 წ), ადიბ შიშკალისა (1953-1954 წ.) და ამინ ალ-ჰაფიზის (1963-1966 წ.) მთავრობები ცდილობდნენ სხვადასხვა უმცირესობების კონსოლიდაციას სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ. შექმნილმა სიტუაციამ ქვეყანა ისე დაასუსტა, რომ პანარაბიზმის იდეის განხორციელებას შეეცადნენ ეგვიპტელებთან ერთად (უნდა შეერთებოდათ ერაყი და იორდანია, მაგრამ მათ უარი თქვეს). სირიელი პოლიტიკოსების ნაწილმა გადაწყვიტა 1958 წელს, დასთანხმებოდნენ ეგვიპტის პრეზიდენტ გამალ აბდ ან-ნასირის ინიციატივას, სირია-ეგვიპტის ერთი სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებასთან დაკავშირებით, რომელსაც ეწოდებოდა გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა. სირია გაერთიანებულ სახელმწიფოს 1961 წელს გამოეყო.[222]

არასტაბილურობა, შიდა კონფლიქტები სხვადასხვა პარტიებს, ცენტრალურ ხელისუფლებასა და უმცირესობებს შორის გაგრძელდა მანამ, სანამ ქვეყნის სათავეში სამხედრო გადატრიალების შედეგად არ მოვიდა გენერალი ჰაფიზ ალ-ასადი (1970 წ.). გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ახალი ხელისუფალი ალავიტი იყო, მან გააძლიერა უმცირესობების სამართლებრივი, სოციალური და პოლიტიკური

---

[221] **William R. Polk.** Understanding Syria: From Pre-Civil War to Post-Assad. // *"The Atlantic",* December 2013, accessed July 4, 2021 at web page https://www.theatlantic.com/international/archive/2013/12/understanding-syria-from-pre-civil-war-to-post-assad/281989/

[222] **Majid Rafizadeh.** The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy University of South Florida, 2014, Accessed July 4, 2021 at web page http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7008&context=etd გვ. 27-30. **რევაზ გაჩეჩილაძე.** ახლო აღმოსავლეთი, გვ. 149.

უფლებები.[223] მისთვის "ბაასის პარტიის" (არაბული სოციალიზმის აღორძინების) იდეოლოგია აღმოჩნდა ყველაზე მისაღები, ვინაიდან ეს ფენომენი თავის თავში აერთიანებდა არაბულ ნაციონალიზმსა და სოციალიზმს. იმავე დროს, იგი ეწინააღმდეგებოდა რელიგიის როლის, მათ შორის, ისლამის ქვეყნის პოლიტიკურ და სხვა დანარჩენ საკითხებში გაძლიერებას. თვით „ბაასის პარტია" სირიაში 1947 წელს დაარსდა მარონიტი ქრისტიანი მიშელ აფლაკის და სუნიტი მუსლიმი სალაჰ ად-დინ ბითარის მიერ. „ბაასის პარტიის" ლოზუნგია: "არაბი ერი ერთიანია, მისი მისია სამუდამოა".[224] სეკულარული პანარაბისტული პარტიები მიზნად ისახავდნენ ყველა არაბი ხალხის გაერთიანებას ერთ სახელმწიფოში თავისუფლებისა და სოციალიზმის პრინციპების დაცვის საფუძველზე, რაც აისახა პარტიის ერთ-ერთ ლოზუნგში: „ერთობა, თავისუფლება, სოციალიზმი".[225] აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებლებისა, „ბაასის პარტია" მაინც სეკულარულ პარტიად ითვლება და ბაასიზმის მიხედვით, რელიგია "ეროვნული კულტურის" ნაწილს წარმოადგენს.[226]

ქვეყნის შიდა დაპირისპირების ჩანასახი სწორედ ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდიდან დაიწყო, რომელმაც თავისი მმართველობითი სისტემის ჩამოყალიბებით წინააღმდეგობა გააჩინა სუნიტურ უმრავლესობასა და პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებით. მისი პრეზიდენტობის დასაწყისში ყველაზე მძლავრ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენდნენ "მუსლიმი ძმები". „ძმების" თავდაპირველი ამოცანა იყო ბაასისტურ-ალავიტური კორუმპირებული და დიქტატორული რეჟიმისგან ქვეყნის გათავისუფლება, რის შემდეგაც შურა (საბჭო) იქნებოდა დაკანონებული არჩეული პარლამენტის სახით. დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას და შარიათის სამართალმცოდნეებს უფლება ექნებოდათ, გაეუქმებინათ ყველაფერი, რაც ისლმურ კანონებთან წინაარმდეგობაში მოვიდოდა. სიტყვის თავისუფლება და პარტიული კონკურენცია გარანტირებული იყო

[223] **Majid Rafizadeh.** For Syria's minorities, Assad is security. // *"ALJAZEERA",* September 2011, accessed July 4, 2021 at web page http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2011/09/201191213521392719 6.html

[224] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია., გვ. 571.

[225] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია., გვ. 571.

[226] Syria. The Baath Redirections of 1966 and 1970. – *A Country Study.* Ed. By Thomas Collelo. Washington: GPO for the Library of Congress, 1987. Accessed July 4, 2021 at web page http://countrystudies.us/syria/17.htm
Hinnebusch Raymond – Revolution from above. London and New York: Routledge – 2001.2002, გვ. 28-29

ყველასათვის იმ პარტიების გარდა, რომლებიც ისლამის წინააღმდეგ იყვნენ ან კავშირები ჰქონდათ უცხო სახელმწიფოებთან (მათ შორის კომუნისტურთანაც). რელიგიური უმცირესობების უფლებებიც დაცული უნდა ყოფილიყო.[227] 1979 წელს „მუსლიმი ძმების“ მებრძოლმა ავანგარდმა ალეპოში მდებარე საარტილერიო სკოლაზე შეიარაღებული თავდასხმა მოაწყო, რომელსაც 83 ალავიტი სტუდენტი შეეწრია. ამ შემთხვევის პასუხად 1980 წელს ჰაფიზ ალ-ასადმა შემოიღო 49-ე კანონი, რომლის თანახმადაც, „მუსლიმი ძმები“ კანონგარეშედ გამოცხადდნენ და ამ ორგანიზაციის წევრობაზე სიკვდილით დასჯა დაწესდა.[228] ხელისუფლებასა და აღნიშნულ ორგანიზაციას შორის კონფლიქტი ჰამას ტრაგედიით დასრულდა 1982 წელს. “ძმების” მიერ დაწყებული საპროტესტო აქციები სამთავრობო ძალებმა ქალაქი ჰამა 27-დღიანი ალყის შემდეგ დაბომბეს საარტილერიო ცეცხლით, რომელსაც სხვადასხვა მონაცემების თანახმად, 10 000-დან 40 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, რის შემდეგაც ჰაფიზ ალ-ასადი 2000 წლამდე მართავდა ქვეყანას.[229]

3.2. ბაასის პარტიის მმართველობა სირიაში “არაბულ გაზაფხულამდე” და კონფესიათა შორის დაპირისპირება

იმისათვის, რომ კარგად გავიგოთ “არაბული გაზაფხულით” გამოწვეული საპროტესტო აქციებისა და კონფლიქტის მიზეზები, აუცილებელია სირიაში არსებული სიტუაციის შემდგომი ეტაპის გაანალიზება ჰაფიზ ალ-ასადის და „ბაასის პარტიის“ მმართველობის პერიოდიდან დაიწყოს. სუნიტური უმრავლესობის საპირწონე ძალის ჩამოყალიბების მიზნით, ჰაფიზ ალ-ასადის სათავეში მოსვლის მერე „ბაასის პარტია“ შემდეგი ეთნიკური უმცირესობებით შეივსო: ჩექრეზები,

---

[227] **Hinnebusch Raymond** – Revolution from above, გვ. 91

[228] The Muslim Brotherhood in Syria – Carnegie Endowment for Internationa Peace, Fabruari 01-2012, accessed July 26, 2022. At web Page https://carnegieendowment.org/2012/02/01/muslim-brotherhood-in-syria?fbclid=IwAR0vMq9zxr1mVZ83n21JFD1AHypFN39tzevzbenjnsGg007TE6Jlb8SRrAs
Hinnebusch Raymond – Revolution from above, გვ. 82

[229] Syria opposition commemorates Hama massacre. // *“Telegraph”,* Februay 2012, accessed July 4, 2021 at wab page https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/syria/9056350/Syria-opposition-commemorates-Hama-massacre.html

გაარაბებული ქურთები და სომხები. პრეზიდენტმა ჰაფიზმა მმართველი პარტიის მხარდაჭერით, სირიის სახალხო ასამბლეასა და საკანონმდებლო საბჭოსთან განხილვის შემდეგ შემოიღო საგანგებო კანონი. მიღებული კანონის - სააღსრულებო დეკრეტის პირველი თავის I მუხლის თანახმად, ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება შესაძლებელი ხდებოდა საომარი მოქმედებების ან ომის დაწყების საფრთხის შემთხვევაში, ან მაშინ, როდესაც უსაფრთხოებას და სამოქალაქო წესრიგს მთლიანად რესპუბლიკაში ან მის რომელიმე ნაწილში საფრთხე დაემუქრებოდა - ქვეყნის შიგნით დაწყებული აჯანყების ან სამოქალაქო კატასტროფის დროს. საგანგებო მდგომარეობა ვრცელდებოდა როგორც მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისე მის ცალკეულ ნაწილზეც. სირიის კონსტიტუციის 101-ე მუხლის მიხედვით კი რესპუბლიკის პრეზიდენტს შეეძლო გამოეცხადებინა ან გაეუქმებინა საგანგებო მდგომარეობა საგანგებო კანონით მინიჭებული უფლებების ფარგლებში.[230] აღნიშნული კანონი პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და მის მოადგილეს ანიჭებდა კანონების შემოღების, გადავადების ან გაუქმების უფლებას და არ საჭიროებდა არც სასამართლო, არც აღმასრულებელი ორგანოების თანხმობას. კანონის მეოთხე მუხლის თანახმად, სამხედრო გუბერნატორს შეეძლო, გამოეცა წერილობითი დირექტივები ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისა და ზომების მიღების მიზნით და რაიმე დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიემართა სამხედრო სასამართლოსთვის. ხელისუფლებას ეძლეოდა საშუალება, შეეზღუდა ცალკეული პირების თავისუფლება, შეკრების, გადაადგილების, საცხოვრებელი ადგილისა და სატრანსპორტო საშუალების ქონის უფლება და დაეკავებინა ყველა ის პირი, ვინც ეჭვმიტანილი იქნებოდა ხალხისა და რეჟიმისთვის საფრთხის შექმნაში. ასევე ზემოთ ხსენებული მუხლის თანახმად, შესაძლებელი ხდებოდა ცალკეული პირებზე ან ამა თუ იმ დაწესებულებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში საგამოძიებო მოქმედებების დაწყება ნებისმიერ დროს და მოქალაქეები ვალდებული იყვნენ, შეესრულებინათ ხელისუფლების ნებისმიერი დავალება. ხორციელდებოდა ყველა სახის წერილების, სატელეფონო ზარების, გაზეთების, ბიულეტენების, წიგნების, ნახატების,

[230] دستورسورية الدائم لعام 1973 accessed July 4, 2021 at web page http://emediatc.com/PublicFiles/File/%D8%AF%D8%B3%D8%AA%D9%88%D8%B1%20%D8%A7%D9%84%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A9%20%D8%A7%D9%84%D8%B9%D8%B1%D8%A8%D9%8A%D8%A9%20%D8%A7%D9%84%D8%B3%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A9%201973.pdf

გამოცემების, მასობრივი მედიის საშუალებების, მაუწყებლობის, ნებისმიერი სახის აზრის გამოხატვის, პროპაგანდისა და სარეკლამო საშუალებების სრული მონიტორინგი. ხელისუფლების მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში, ასეთი ტიპის მაღაზიები მეპატრონეებს უნდა დაეხურათ ან სულაც შეეწყვიტათ საქმიანობა.[231] ამ კანონმა არა მარტო პრეზიდენტს, არამედ ხელისუფლებაში მყოფ ალავიტურ უმცირესობასაც აბსოლუტური ძალაუფლება მიანიჭა, რომლის მეშვეობითაც ქრისტიანების გარდა, დანარჩენ ეთნო-კონფესიებს მთლიანად წაერთვა სიტყვის, გამოხატვისა და სხვა ის ფუნდამეტნური უფლებები, რომლებიც ქვეყნის კონსტიტუციაში იყო ჩაწერილი და დაცული საერთაშორისო კონვენციებით. ყოველივე ზემოთ აღწერილის პარალელურად, შეიქმნა სახელმწიფო უსაფრთხოების სასამართლო, რომელიც ასევე შთამბეჭდავი ძალაუფლებით აღიჭურვა.

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან 1960-იან წლებამდე ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებისთვის დაზვერვის სამსახურები ხელისუფლებისთვის ბრძოლაში გამარჯვების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენდნენ, ვინაიდან ის ჯგუფები, რომლებიც ამ სამსახურებს აკონტროლებდნენ, დაუბრკოლებლად ანეიტრალებდნენ თავიანთ ოპონენტებს მასობრივი დაპატიმრებებისა და ტრიბუნალზე გადაცემის მეშვეობით. ჰაფიზ ალ-ასადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რეჟიმმა კიდევ უფრო გაამლიერა ამ სამსახურებზე კონტროლი, რამაც გამოიწვია სპეცსამსახურების სრული დომინირება სამხედრო და პოლიტიკურ ინსტიტუციებში. შესაბამისად, სპეცსამსახურების უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკის ფორმირება. სპეცსამსახურებისა და საიდუმლო პოლიციის აგენტები აკონტროლებდნენ ქვეყნის ყველა დაწესებულებას, მათი ინფორმატორები იყვნენ

---

[231] نص قانون الطوارئ السوري 1962 2011/8/11
https://www.aljazeera.net/encyclopedia/events/2011/8/11/%D9%86%D8%B5-%D9%82%D8%A7%D9%86%D9%88%D9%86-%D8%A7%D9%84%D8%B7%D9%88%D8%A7%D8%B1%D8%A6-%D8%A7%D9%84%D8%B3%D9%88%D8%B1%D9%8A-1962
Majid Rafizadeh. The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy University of South Florida, 2014, Accessed July 4, 2021 at web page http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7008&context=etd გვ. 33-35.
ს. გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი - მთავარი აქტორები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. // *"ახლო აღმოსავლეთი და საქართველო",* N XI, 2018, გვ. 415-423.

ჩანერგილი ყველა სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, კაფეებში და ა.შ.[232] ალ-ასადის ბაასისტურმა რეჟიმმა კიდევ დამატებითი რეგულაციები და დეკრეტები შემოიღო, რომელთა თანახმადაც, პოლიციისა და სპეცსამსახურების ნებისმიერი თანამშრომლის მიერ სამუშაოს შესრულების დროს ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში არ უნდა დაწყებულიყო არავითარი სასამართლო საქმის წარმოება მანამ, სანამ მისი საქმე არ გადაეცემოდა შესაბამისი დეპარტამენტის დისციპლინარულ საბჭოს და სპეციალურ განკარგულებას არ გასცემდა ეჭვმიტანილი თანამშრომლის დირექტორი."[233]

ასეთმა განუზომელმა ძალაუფლებამ ჩამოაყალიბა ავტორიტარული რეჟიმი, რამაც ხელი შეუწყო რამოდენიმე ათწლეულის განმვლობაში იმ საპროტესტო მუხტის დაგროვებას, რის შედეგადაც საბოლოოდ დაიწყო სირიაში საპროტესტო აქციები ხელისუფლებაში მყოფი ალავიტურ-ბაასისტური რეჟიმის წინააღმდეგ 2011 წელს.

სირიაში "არაბული გაზაფხულის" დასაწყისისათვის პროცესებში ჩართული ქვეყნის შიგნით ჩამოყალიბდა ორი მთავარი მოქმედი ძალა: ორგანიზებული სირიის თავისუფალი არმია და თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით საპროტესტო აქციებზე გამოსული არაორგანიზებული ჯგუფები. მმართველი რეჟიმის მთავარ საყრდენ ძალებს წარმოადგენდნენ შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები, საზოგადოებრივი სეგმენტი - ძირითადად რელიგიური უმცირესობები - ალავიტები და ქრისტიანები, ასევე ბიზნესკლასი, რომელიც ბაშარ ალ-ასადის ე.წ. ელიტურ გარემოცვად ითვლებოდა. რელიგიური უმცირესობებისა და ბიზნესმენების არჩევანი ჯერ კიდევ ჰაფიზ ალ-ასადის დროს შექმნილმა სიტუაციამ განაპირობა, კერძოდ, უმცირესობების წარმომადგენელი ჯგუფების ხელისუფლებაში მოსვლამ და ბაასის პარტიის მიერ სეკულარიზმისა და სოციალიზმის იმპლემენტაციამ სირიაში

---

[232] **Hinnebusch Raymond** – Revolution from above, გვ. 81.

[233] **Majid Rafizadeh.** The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy University of South Florida, 2014, Accessed July 4, 2021 at web page http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7008&context=etd გვ. 34-36.
Andrew Rathmell. Syria's Intelligence Services: Origins and Development. // *"Journals lib.",* accessed July 4, 2021 at web page
https://journals.lib.unb.ca/index.php/jcs/article/view/11815/12636
SYRIA - Break Down of Emergency Laws in Syria. – *Wikilieaks,* August 2013, accessed July 4, 2021 at web page https://wikileaks.org/gifiles/docs/28/2825305_syria-break-down-of-emergency-laws-insyria-.html
ს. გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი - მთავარი აქტორები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. // "ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", N XI, 2018, გვ. 415-423.

მცხოვრები არამუსლიმი მოქალაქეებისთვის ბევრად ხელსაყრელი ფინანსური გარემო შექმნა. 1970-იანი წლებიდან ხელისუფლება აქტიურად უწყობდა ხელს ძირითადად ქრისტიანი და არაბული წარმომავლობის არმქონე ქვეყნიდან გასული ბიზნესმენების, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისა და მენეჯერების უკან დაბრუნებას და მაქსიმალურად ცდილობდა, მათთვის შეექმნა ყოველმხრივ სახარბიელო გარემო.[234] ბუნებრივია, ზემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებისთვის ჰაფიზის მემკვიდრე ბაშარ ალ-ასადის ავტოკრატიული რეჟიმი გაცილებით მისაღები იყო, ვიდრე მისი დამხობის შემთხვევაში სუნიტური უმრავლესობის წარმომადგენელი მთავრობის ან სულაც სალაფიტების მოსვლა ქვეყნის სათავეში.

“არაბული გაზაფხულის” შემდგომ განვითარებული პროცესები იყო თუ არა კონფესიათაშორისი დაპირისპირებით გამოწვეული რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინება, ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის, მიგვაჩნია, რომ დამატებით ასევე აუცილებელია განვიხილოთ ბაშარ ალ-ასადის, ე.წ. ნეოლიბერალური პოლიტიკური კურსის პერიპეტიები, რომელსაც სათავე ჯერ კიდევ ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდში დაედო. მაგალითად, ლიბანელი მარქსისტი ფილოსოფოსი ჟილბერტ აჩქარი მიიჩნევს, რომ პოლიტიკურ, ისტორიულ და გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე მეტად, ქვეყანაში საპროტესტო მუხტის მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები იყო.

1963 წლის შემდეგ, როდესაც გადატრიალების შედეგად ქვეყნის სათავეში მოვიდა „ბაასის პარტია“, სახელმწიფოს განვითარებაზე მონოპოლია აიღო ხელისუფლებამ და მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მიწების რეფორმაზე. სირიის მაშინდელი ხელისუფლების ამ ქმედების მაგალითს გამალ აბდ ან-ნასირის მიერ გატარებული რეფორმები წარმოადგენდა,[235] რამაც ქვეყანა სერიოზული წნეხის ქვეშ

---

[234] Syria. The Society. – “A Country Study”, Washington: GPO for the Library of Congress, 1987. Accessed July 4, 2021 at web page http://countrystudies.us/syria/20.htm

سنوات الخوف

مشروع العدالة الانتقالية في العالم العربي *تحرير رضوان زيادة* **.الحقيقة والعدالة في قضية المختفين قسريا في سورية**

[235] XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX ს.-ის პირველ ნახევარში ეგვიპტის ეკონომიკური განვითარების და ქვეყნის მოდერნიზაციის ავანგარდში იდგა მიწათმფლობელთა არისტოკრატია, კომერციულ და ინდუსტრიულ ბურჟუაზიასთან ერთად და მჭიდრო კავშირები გააჩნდათ სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფ ელიტასთან. მას შემდეგ რაც 1952 წლიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა გამალ აბდ ან-ნასირი სამხედრო წრიდან, ძალთა ბალანსი სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული ელიტური ჯგუფების სასარგებლოდ გადაიხარა. “თავისუფალ ოფიცრებს ურაბის (ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი პოლკოვნიკი ურაბი) მსგავსად აღიზიანებდათ

დააყენა, რადგან სახელმწიფომ მიზნად დაისახა უფასო განათლების და მსხვილი ინდუსტრიული პროექტების განხორციელება სახელმწიფოს ჩარევით. ყოველივე ამას თან დაერთო კორუფციის მაღალი დონე, არასაკმარისი ეკონომიკური განვითარება და მზარდ დემოგრაფიასთან ბრძოლის პრობლემები. თავის მხრივ, რეჟიმის მემკვიდრეობითმა (ნეოპატრიმონიალურმა) ხასიათმა განაპირობა კორუფციის ისეთი მაღალი დონე ქვეყნის მმართველ წრეებში, რომ 2010 წელს კორუფციის მაჩვენებლებით 178 ქვეყნიდან სირია 127-ე ადგილს იკავებდა. პარალელურად, უცხოეთიდან იმპორტირებული საქონლის შიდა პროდუქტით ჩანაცვლების იდეა ბაზრის ლიბერალიზაციის მიზეზით იქნა უარყოფილი. მე-20 საუკუნის 70-80-იან წლებში ეკონომიკისგან სახელმწიფოს ჩამოშორების ორი ტალღა გამოვლინდა. პირველ შემთხვევაში აგრარული რეფორმები განხორციელდა, მეორეში - მიწების პრივატიზაცია. 1980-იან წლებში ქვეყნის შიგნით გამოწვეული უკმაყოფილების შეჩერების და ეკონომიკის წახალისების მიზნით, ჰაფიზ ალ-ასადმა ქვეყანაში შეუშვა დიდი რაოდენობით უცხოური კაპიტალი (ძირითადად ყურის ქვეყნებიდან)[236] და გაათავისუფლა ეკონომიკა კონტროლისგან, ხოლო იმავე დროს შენარჩუნებულ იქნა ძლიერი ბიუროკრატიული აპარატი. 1980-იან წლებში სირიის დასაქმებულთა 20% საჯარო სამსახურში მუშაობდა. ასეთმა მიდგომებმა ჩამოაყალიბა ზემოთ ხსენებული მაღალი კორუფციის დონე. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კურსზე „ბაასის

ეგვიპტის სამეფო ოჯახის გარემოცვაში მყოფი თურქულ-ჩერქეზული ელიტური ოჯახების პრივილეგიები და პრეტენზიები. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ მიერ მიღებული ერთ-ერთი პირველი დადგენილება იყო ყველა თურქული ტიტულის, როგორებიცაა ბეი და ბაშა/ფაშა, გაუქმება, რომლებიც ოფიცრების აზრით არანორმალურ მეფეს ჰქონდა მინიჭებული მათთვის ყოველგვარი დამსახურების გარეშე. ტიტულების ჩამორთმევის შემდეგ არისტოკრატიას მიწებიც ჩამოერთვა. თავისუფალი ოფიცრების მიერ ინიცირებული მიწის რეფორმის შედეგად შემოღებული კანონის თანახმად, ცალკეულ პირებს არ შეეძლოთ 200 აკრ მიწაზე მეტის ფლობა. სახელმწიფოს მიერ სამეფო ოჯახის კუთვნილი უზარმაზარი პლანტაციების კონფისკაციასთან ერთად მთავრობამ 1,700 მსხვილი მიწათმფლობელის ქონების ექსპროპრიაციაც განახორციელა, რის სანაცვლოდაც მათ მიიღეს 30 წლიანი ობლიგაციები. საერთო ჯამში 365 000 აკრი ჩამოერთვა ეგვიპტის ელიტას და შემდგომში ეს მიწები გადაუნაწილდა მცირე მიწათმფლობელებს რომელთა მფლობელობაშიც ხუთ აკრზე მეტი არ შედიოდა. აღნიშნულმა პროგრამამ დაძაბულობის ფონზე ჩაიარა რადგან მას ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო ელიტის წარმომადგენელი პრემიერ-მინისტრი ალი მახერი. თავისუფალ ოფიცრებს კი მასობრივი მხარდაჭერა ჰქონდათ ექსპროპრებული ელიტის სურვილების წინააღმდეგ და ამ მხარდაჭერის ფონზე შეძლეს მახერის თანამდებობიდან გადაყენება 1952 წლის სექტემბერში." **Eugene Rogan.** The Arabs., გვ. 238

[236] Syria. Industry. – *A Country Study*. Ed. By Thomas Collelo. Washington: GPO for the Library of Congress, 1987. Accessed July 4, 2021 at web page http://countrystudies.us/syria/44.htm

პარტიის“ მხრიდან სრული მონოპოლიის აღებამ შექმნა რეჟიმისადმი ლოიალურად განწყობილი კაპიტალისტების კლასი. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია რამი მახლუფის, ბაშარ ალ-ასადის დეიდაშვილის ოჯახი, რომელიც ქვეყნის ეკონომიკის 60%-ს აკონტროლებდა.

რაიმონდ ჰინაბუშის მიხედვით, ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკურ ფონთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს გვაწვდის იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვითარებაში მოუწია ბაშარ ალ-ასადს პრეზიდენტის პოსტის დაკავება, ჰქონდა თუ არა ძირეული რეფორმების განხორციელების სურვილი იმ დროს, როდესაც ის ხელისუფლებაში მოვიდა. საინტერესოა ასევე ის გარემოებაც, თუკი ამის სურვილი ჰქონდა, რა მიზეზებმა შეუშალა ხელი ჩანაფიქრის განხორციელებაში.

2000 წელს, როდესაც ქვეყნის ხელისუფლებაში ბაშარ ალ-ასადი მოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა პოლიტიკურ სარბიელზე[237], საპრეზიდენტო პოსტის მემკვიდრეობით გადაცემის პროცესი რეჟიმთან დაახლოებულმა პარტიულმა და სამხედრო ელიტამ უზრუნველყო. თავიანთი ჩაკეტილი წრით მათ მოახერხეს შიდა ელიტური დაპირისპირებების თავიდან აცილება და სიტუაციის სტაბილიზაცია, ხოლო „ბაასის პარტიის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა და პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა აბდ ულ-ხალიმ ხადდამმა თავდაცვის მინისტრ მუსტაფა ტლასთან ერთად გამოცემული დეკრეტებით ახალი პრეზიდენტი კიდევ დამატებითი ძალაუფლებით აღჭურვეს. ახალგაზრდა პრეზიდენტმა ასევე მოახერხა ალავიტების დარწმუნება იმაში, რომ ისინი გააგრძელებდნენ უფროსი ასადის დატოვებული მემკვიდრეობის დაცვას. ბაშარ ალ-ასადი პოპულარული იყო სირიელ ახალგაზრდებშიც, ვინაიდან იმ პერიოდისთვის იგი ითვლებოდა არაკორუმპირებულ პირად და მის მიერ წარდგენილი დღის წესრიგი რეჟიმის რეფორმასაც ითვალისწინებდა.[238] 2001 წლიდან ოპოზიციური ძალები, რომელთა წახალისებასაც თავის დროზე თვით ბაშარ ალ-ასადი

---

[237] ბაშარ ალ-ასადს მიღებული აქვს სამედიცინო განათლება ლონდონში. ჰაფიზ ალ-ასადის პოლიტიკურ მემკვიდრედ მოიაზრებოდა მისი ძმა ბასილი, რომლის ტრაგიკულად დარუპვის შემდეგ გადაწყდა ბაშარ ალ-ასადის პოლიტიკურ სარბიელზე გამოყვანა.
Profile: Bashar al-Assad. // *“ALJAZEERA”,* April 2018, accessed July 4, 2021 at web page https://www.aljazeera.com/news/2018/4/17/profile-bashar-al-assad

[238] Marwan Bishara. Invisible Arab, გვ. 138.

მიმართავდა, ვინაიდან მათ მოძრაობასა და მოთხოვნებს იგი იყენებდა თავისი სამომავლო გეგმებისა და რეფორმების განსახორციელებლად, იმავე დროს რეჟიმის მოწინააღმდეგეებადაც იქცნენ.[239] პრეზიდენტმა გააცნობიერა ის ფაქტი, რომ მისი ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთი გარანტია მმართველ პარტიასთან სიახლოვე იყო. 2000 წელს ბაშარ ალ-ასადმა ასევე მოახდინა საარჩევნო სისტემის ლიბერალიზაციაც, ვინაიდან სურდა, მამამისის დროინდელი ე.წ. "ძველი გვარდიის" კორუმპირებული წარმომადგენლების ახალი თაობით და პირადად მისი მხარდამჭერებით ჩანაცვლება. იმის მაგივრად, რომ "ძველი გვარდიის" წარმომადგენლები ჩაენაცვლებინა ახალგაზრდა აქტივისტი რეფორმატორებით, გათავისუფლებული ადგილები დაიკავეს ადგილობრივი ელიტური ოჯახების წარმომადგენლებმა და კარიერისტებმა.[240] აღნიშნული კიდევ უფრო ამყარებს ჩვენს იმ მოსაზრებას, რომ სირიაში საპროტესტო მუხტის დაგროვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჰაფიზ ალ-ასადის მიერ დატოვებული პოლიტიკური სისტემა იყო, რასაც ოპოზიციის შორსმჭვრეტელობისა და მოქნილობის აბსოლუტურ უქონლობასთან ერთად, თან დაერთო მოუმზადებელი კარიერისტი ახალგაზრდა თაობის გამოჩენა. ამგვარი სისტემის მძევალი, პირველ რიგში, აღმოჩნდა ახალგაზრდა პრეზიდენტი, ხოლო შექმნილმა სიტუაციამ და იმედგაცრუებამ მოსახლეობაში გავლენა იქონია უკმაყოფილების ზრდაზე.

მამის გარდაცვალების და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბაშარ ალ-ასადმა დააჩქარა წინამორბედის მიერ დაწყებული ნეოლიბერალური რეფორმები, რის

---

[239] ოპოზიციურ ძალებს შორის იყვნენ სირიელი „მუსლიმი ძმებიც". ამ ორგანიზაციის 1996 წელს არჩეული ხელმძღვანელი ალი სადრ ად დინ ალ-ბაიანუნი სირიის ხელისუფლებასთან საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავდა. ბაშარ ალ-ასადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ძმების" ასობით წევრი გათავისუფლდა ციხეებიდან. თუმცა ალ-ბაიანუნიმ ვერ მიაღწია მთავარ შეთნხმებას: ორგანიზაციის ყველა წევრის პატიმრობიდან გათავისუფლებას, ქვეყნიდან გაქცეული პირებისთვის დაბრუნების უფლებასა და კანონის გაუქმებას „ძმების" წევრობის აკრძალავაზე.
აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ალ-ბაიანუნის და ასადის გარკვეულ დონეზე შეთანხმებას საბოლოოდ რაიმე შედეგი არ მოჰყოლია ორგანიზაციასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობების ნორმალიზების თვალსაზრისით. „ძმები" რეჟიმის ოპოზიციად დარჩნენ და ვითარება არც მას მერე შეცვლილა, რაც აღნიშნული ორგანიზაციის ლიდერად მუჰამმად რიად აშ-შაკფათი აირჩიეს.
The Muslim Brotherhood in Syria – Carnegie Endowment for Internationa Peace, Fabruari 01-2012, accessed July 26, 2022. At web Page https://carnegieendowment.org/2012/02/01/muslim-brotherhood-in-syria?fbclid=IwAR0vMq9zxr1mVZ83n21JFD1AHypFN39tzevzbenjnsGg007TE6Jlb8SRrAs

[240] **Raymond Hinnebusch.** President and Party in Post-Ba'thist Syria from the Struggle for "Reform"to Regime Deconstruction. *Syria from Reform to Revolt*. Ed. By **Raymon Hinebusch, Tina Zintl.** Syracuse University Press, 2015, გვ. 24-40.

შედეგადაც უცხოური ინვესტიციების ფონზე გაძლიერდა საბანკო, სამშენებელო და ტურიზმის სფეროები, ხოლო სოფლის მეურნეობის მთლიანი შიდა პროდუქტის წილი 2005-2010 წლებში 5,7%-დან 2,2%-მდე დაეცა. შესაბამისად, მოსახლეობის დიდი ნაწილი არამხოლოდ პოლიტიკურ წნეხს, არამედ ეკონომიკურ სიდუხჭირესაც განიცდიდა. გაეროს განვითარების პროგრამის ანგარიშის თანახმად, 2004 წლიდან 2007 წლამდე სირიაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრებთა რაოდენობა 30,1%-დან 33,6%-მდე გაიზარდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ 7 მილიონი სირიელი სიღარიბეში ცხოვრობდა, იმ ფონზე, როცა ქვეყნის მოსახლეობის 56%-ს სოფლად მაცხოვრებლები შეადგენდნენ. მიუხედავად იმისა, რომ უცხოური ინვესტიციებით წახალისებული სხვა ზემოთ ხსენებული სექტორების ხარჯზე ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი იზრდებოდა, ქვეყანაში დაგროვილი ეკონომიკური დოვლათი არათანაბრად ნაწილდებოდა მოსახლეობაში, იზრდებოდა სიღარიბე, უმუშევრობა და სოციალური უთანასწორობა. სოფლის მოსახლეობაში მზარდი სიღარიბე კიდევ უფრო გააძლიერა სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიის შეწყვეტამ და 2006 და 2010 წლებს შორის არსებულმა პერიოდულმა გვალვებმა.[241] სირიის პოლიტიკის კვლევის ცენტრის 2009 წლის ანგარიშის მიხედვით, ქვეყნის ჩრდილო და აღმოსავლეთ რეგიონები იმ პერიოდისთვის განსაკუთრებული სიღატაკით გამოირჩეოდნენ. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პატრიკ კოკბერნიც თავის წიგნში "The Age of Jihad-Islamic State and the great war for the Middle East" ქვეყნის აღნიშნული რეგიონიდან გამოსული ოპოზიციური ძალების გააქტიურებას სწორედ კლიმატურ ცვლილებებს და ამ მოვლენით გამოწვეულ პრობლემებს უკავშირებს. ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, სირიის წინაშე მდგარ გამოწვევებს ემატებოდა მოსახლეობის სწრაფი ზრდა და პარალელურად უფასო განათლების სისტემა, რამაც გამოიწვია დიდი რაოდენობით განათლებული ახალგაზრდის უმუშევრობა, ვინაიდან ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ვერ უზრუნველყოფდა სათანადო

[241] 2007 წელს თავად გახლდით ალეპოს უნივერსიტეტში არაბული ენის სტაჟირებაზე, აღნიშნული პერიოდი მართლაც გამოირჩეოდა აუტანელი კლიმატური პირობებით და როგორც იმ პერიოდის სირიის მასმედია აცხადებდა, ტემპერატურის მსგავსი მაღალი მაჩვენებელი ბოლო 40 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

რაოდენობის სამუშაო ადგილების შექმნას.[242]

ვფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ "არაბული გაზაფხული" თუნისსა და ეგვიპტეში სხვა პრობლემებთან ერთად სოციალური მიზეზებითაც დაიწყო, სირიის კონფლიქტის მხოლოდ აღნიშნულ გამოწვევასთან დაკავშირება არასაკმარისია, თუმცა ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია.

დამატებითი ფაქტორების კვლევისას, მიმდინარე პროცესების დინამიკა მოწმობს იმას, რომ საპროტესტო აქციების დასაწყისში მმართველი რეჟიმისთვის თვითგადარჩენის კიდევ ერთი სახიფათო მანევრი იყო იმ იდეოლოგიის გატარება, თითქოს ქვეყნის გარე ძალების ინტერესებში შედიოდა სირიაში ერაყის სცენარით მოვლენათა განვითარება.[243] შემდგომი ნაბიჯი კი იყო იმ გარემოებაზე ხაზგასმა, რომ ხელისუფლების კოლაფსის შემთხვევაში, ქვეყანა გაეხვეოდა ხანგრძლივ სამოქალაქო ომში და გახდებოდა ტერორისტების სამიზნე.

ამ მოსაზრებას მოწმობს საპროტესტო აქციების დაწყებიდან ოდნავ მოგვიანებით სირიის პრეზიდენტის, ბაშარ ალ-ასადის სიტყვით მიმართვა მისი რეჟიმის მოწინააღმდეგეთა მიმართ. იგი დაჰპირდა ხალხს, რომ განახორციელებდა მთელ რიგ რეფორმებს, ქვეყანაში შემოიღებდნენ მრავალპარტიული მმართველობის სისტემას, მოიხსნებოდა საგანგებო კანონი. თუმცა ბაშარ ალ-ასადი პარალელურად ქვეყნის გარეთ მოქმედ ძალებს (ყურის არაბულ მონარქიებს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებსა და მეზობელ ისრაელს) ადანაშაულებდა ოპოზიციის წაქეზებაში და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუდმივად აპელირებდა იმაზე, რომ მისი ოპოზიციის ძირითადი ბირთვი იყვნენ ტერორისტები და *„ალ-კაიდას"* ცალკეული განშტოებები. პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლამ იმედი გაუცრუა იმ ადამიანებს, რომლებიც ათწლეულები ელოდნენ მისგან რეფორმებს. ბოდიში მოიხადა, რომ რეფორმები სათავეში მოსვლისთანავე, ათი წლით ადრე არ დაიწყო და დადო პირობა, რომ

---

[242] **Alice Bonfatti.** The socio-economic roots of Syria's uprising. // *"aljumhuiya",* September 2017, accessed July 4, 2021 at web page
https://www.aljumhuriya.net/en/content/socio-economic-roots-syria%E2%80%99s-uprising
Zoe Hu. Why Bashar al-Assad is still in power. // *"ALJAZEERA",* October 2016, accessed July 4, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2016/10/4/why-bashar-al-assad-is-still-in-power
Robert Rabil. Baath Party Congress in Damascus: How Much Change in Syria? – *The Washington Instiute for Near East Policy,* June 2005, accessed July 4, 2021 at web page
https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/baath-party-congress-in-damascus-how-much-change-in-syria
[243] **William L. Cleveland, Martin Bunton.** A History of the Modern Middle East, გვ. 706.

შექმნიდა სპეციალურ კომისიას, რომელიც ხალხის მოთხოვნებს შეისწავლიდა. ერთ-ერთი ოპოზიციონერი აქტივისტის სიტყვების თანახმად, პრეზიდენტმა არაერთხელ გაიმეორა სიტყვა ღირსება, მაგრამ არ უღიარებია რეჟიმის მხრიდან ხალხის ღირსების შელახვა. მას შემდეგ, რაც მან გააუქმა „საგანგებო კანონი", პარალელურად მანამდე არნახულ დონეზე გაზარდა რეჟიმის მხრიდან ზეწოლა მთელი ქვეყნის მასშტაბით.[244] *„...სირია დღეს დიდი შეთქმულების წინაშე დგას, რომლის კვალიც შორი და ახლო ქვეყნებიდან მოდის და ასევე გააჩნია გარკვეული დასაყრდენი ქვეყნის შიგნითაც. შეთქმულება დამოკიდებულია არა დროსა და მოვლენების ფორმაზე, არამედ იმაზე, თუ რა ხდება არაბულ ქვეყნებში. დღეს ახალი ახირებაა პოპულარული, რომელსაც რევოლუციას უწოდებენ, მაგრამ ამ მოვლენას ჩვენ ვერ დავარქმევთ იმავე სახელს, რადგან ისინი ზოგადად საერთო მდგომარეობას ასახავენ... როდესაც რაიმე ხდება, მათთვის საფარველიც გამზადებულია... სირიაში ხდება რევოლუცია... იქნება რეფორმა... იქნება თავისუფლება... დევიზები... მეთოდები იდენტურია და თუ იქ არიან რეფორმების მსურველები, ჩვენ ვიქნებით რეფორმატორების დამცველები. კიდევ ერთი დეტალი, რაზეც შეთქმულებმა გათვლა გააკეთეს, არის ქვეყანაში არსებული მრავალკონფესიურობა. ისინი მიმართავდნენ პროვოკაციებს, რათა დაეთესათ არეულობა მოსახლეობაში. აგზავნიდნენ მოქალაქეების ტელეფონებზე ტექსტურ შეტყობინებებს, ხოლო ნიღბიანი ადამიანები სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს სახლებში აკითხავდნენ და ეუბნებოდნენ, რომ თავი დაეცვათ სხვა თემის წარმომადგენელთა მოსალოდნელი თავდასხმებისგან. ჩვენ შევძელით აჯანყების თავიდან აცილება, მაგრამ შეთქმულებმა დაიწყეს იარაღის გამოყენება. ისინი განურჩევლად ხოცავდნენ ხალხს ფანატიზმისა და სისხლისღვრის გაძლიერების მიზნით. ჩვენ შევძელით სტრუქტურულად კარგად გამართული შეთქმულების გეგმის მხოლოდ ნაწილის გაშიფრვა. არსებობენ მხარდამჭერი დაჯგუფებები, რომელთაც ჰყავთ აგენტები როგორც ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში, ისე მსოფლიო მასშტაბითაც. მათთან ერთად მოქმედებენ კარგად მომზადებული მოწმეების, ინფორმაციის მომპოვებელი და დეზინფორმაციის*

[244] **Marwan Bishara.** Invisible Arab, გვ. 139-140.

გამავრცელებელი ჯგუფებიც" [245] - განაცხადა სირიის პრეზიდენტმა სიტყვით გამოსვლისას.

უნდა აღინიშნოს, რომ სირიის რეჟიმის შიში არცთუ უსაფუძვლო იყო, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქვეყანაში ძალადობის გაძლიერება არა მხოლოდ გარე ძალების მიერ ინიცირებულ მოქმედებათა ჯაჭვით იქნებოდა პროვოცირებული, არამედ შიდა პრობლემებით დაგროვილი გამოწვევები ნოყიერ ნიადაგს უქმნიდა რეჟიმის მიერ წარმოდგენილ მოვლენათა სავარაუდო განვითარების სცენარს. შიდა პრობლემებში, პირველ რიგში, იგულისხმება სირიის სტეპებში მაცხოვრებელი ტომები. მათი ერთი ნაწილი რეჟიმთან იყო დაახლოებული და ხელისუფლების ერთგული დარჩა. დანარჩენი ტომები კი, სახელმწიფოსგან უყურადღებოდ დარჩენილები, მას შემდეგ, რაც ქვეყანა მსოფლიო ბაზრისთვის გაიხსნა და ბაასისტური იდეოლოგია აღარ დომინირებდა წინანდელ პერიოდთან შედარებით, გაღარიბებული და მიტოვებული ტომობრივი გაერთიანებები მოგვიანებით „ისლამურ სახელმწიფოსთან" ალიანსში შევიდნენ, რადგან აღნიშნული დაჯგუფება სთავაზობდა მათ მფარველობას. გარდა ამისა, ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის კიდევ ერთი მთავარი მიზეზი იყო ადათ-წესები, რომელთა მიხედვითაც, ამა თუ იმ ტომის წარმომადგენელი ვალდებულია, თავის ტომის სხვა წევრის ან ნათესავის მიმართ გამოხატოს ყველანაირი სახის სოლიდარობა. რეჟიმის მხრიდან მიტანილი ყოველი იერიში მოწინააღმდეგე ტომებზე ან მათი დარბევა მომენტალურად იწვევდა მოწინააღმდეგეთა რიცხვის ზრდას.[246] აქვე მოვიშველიებთ ჯინი შარპს,[247] რომლის მიხედვითაც, დიქტატორი მმართველები მუდმივად აიგნორებენ კონსტიტუციურ და სამართლებრივ ბარიერებს, სასამართლო გადაწყვეტილებებს და ასევე

[245] Syria: speech by Bashar al-Assad, Speech by President Bashar al-Assad to the Syrian parliament on 30 March 2011 in response to a wave of protests around the country. // *"al-bab",* accessed July 4, 2021 at web page https://al-bab.com/albab-orig/albab/arab/docs/syria/bashar_assad_speech_110330.htm
Syria President Bashar al-Assad Speech to Parliament. – C.SPAN, March 30 2011. Accessed July 4, 2021 at web page https://www.c-span.org/video/?298760-1/syria-president-bashar-al-assad-speech-parliament

[246] **Hainan Dukhan, Sinan Hawat.** Caliphates and Islamic Global Politics, Edited by Timothy Poirson and Robert Oprosko. Birsotl, England: E-International Relations, 2014. გვ. 50-53.

[247] აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ზემოთ ხსენებული დევიდ კირპატრიკი როგორც აღნიშნავს თავის წიგნში, ნაშრომში განხილული, ეგვიპტეში 2008 წელს დაფუძნებული და „არაბული გაზაფხულის" გარიჟრაჟზე გააქტიურებული „6 აპრილის მოძრაობა" კონსულტაციებს სერბულ „ოტპორთან" გადიოდა. ეს უკანასკნელი კი ექს-რეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის საწინააღმდეგო კამპანიის დროს, არაძალადობრივი აქტივობის თეორიულ ბაზად ჯინი შარპის ნამუშევრებს იყენებდა.
David Kirkpatrick - Into the Hands of the Soldiers. გვ. 53.

საზოგადოების აზრს. მხეცობის, წამების, ადამიანების გატაცებებისა და მკვლელობების საპასუხოდ და დიქტატურის დასასრულებლად ხალხი ერთადერთ გამოსავალს ძალადობაში ხედავს. ხანდახან გაბრაზებული მსხვერპლი მკაცრი დიქტატურის წინააღმდეგ დაუნდობელ ორგანიზებულ ბრძოლას იწყებს ხელში მოხვედრილი ნებისმიერი სამხედრო პოტენციალით, თუნდაც გამარჯვების მინიმალური შანსები გააჩნდეს. ასეთი ადამიანები ხშირად მამაცურად იბრძვიან, იტანენ მრავალ ტანჯვას და წირავენ სიცოცხლესაც კი. აღწევენ შესამჩნევ წარმატებებსაც, მაგრამ იშვიათად თუ მოიპოვებენ თავისუფლებას. ძალადობრივ აჯანყებებს საპასუხოდ მოჰყვება მკაცრი რეპრესიები, რაც მოსახლეობას ადრინდელზე მეტად უმწეოს ხდის.[248]

3.3. სამოქალაქო ომი სირიაში. რადიკალი და ექსტრემისტი ისლამისტების ჩართულობა მასში

ცნობილია, რომ სირიის სამოქალაქო დაპირისპირება მოგვიანებით და განსაკუთრებით 2014 წლიდან იქცა სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ტერორისტული დაჯგუფებების ასპარეზადაც- ამ თვალსაზრისით საინტერესოა, სირიის "არაბული გაზაფხულის" საწყის პერიოდში ხელისუფლების მიმართ დაუმორჩილებლობა გამოცხადებულ ნაწილში ექსტრემისტული და ძალადობრივი მოთხოვნები იყო პოპულარული, თუ სხვა სახით ცვლილებების მოლოდინი უფრო მძლავრობდა. საინტერესოა ის გარემოებაც, როგორ გადაიზარდა რეფორმების მოთხოვნები ძალადობრივ-სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში.

მასობრივი სახალხო გამოსვლების ერთი წლის თავზე ჰომსის მაცხოვრებლები ისევ დემონსტრაციებს მართავდნენ რეჟიმის დასრულების მოთხოვნით და ხმამაღლა აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ ნამდვილი დემოკრატიული, სამართლიანი, ტოლერანტული და მულტიკონფესიური საზოგადოების ჩამოყალიბების იმედი.

---

[248] **Gene Sharp.** (2010) From Dictatorship to Democracy A Conceptual Framework for Liberation. East Boston., "The Albert Einstein Institution", 2010.
https://www.aeinstein.org/wp-content/uploads/2013/09/FDTD.pdf
ს. გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი - მთავარი აქტორები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. // "ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", N XI, 2018, გვ. 415-423.

ისინი ითხოვდნენ გარე ძალებისგან დახმარებას, მცირე ნაწილი ნატოს ჯარების შესვლას ქვეყანაში ან საჰაერო ზონის გადაკეტვას, რათა დასრულებულიყო მათი დაბომბვები სამთავრობო ძალებისგან.

სირიის აჯანყება დასაწყისში იყო მშვიდობიანი. საწყის ეტაპზე ქრისტიანები, ალავიტები, სუნიტი მუსლიმები და დრუზები - ყველანი ითხოვდნენ რეფორმებს. კონფესიურ ნიადაგზე წამოჭრილმა დაყოფებმა მხოლოდ მას შემდეგ იჩინა თავი, რაც აჯანყება სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდა.[249] თუმცა ავტორიტარული რეჟიმი არ აპირებდა პოზიციების დათმობას. ხელისუფლებამ საწყის ეტაპზე გააცნობიერა, რომ მოსახლეობის მხრიდან სპეცსამსხურების მიმართ შიში და რეპრესიების პერსპექტივა ვეღარ იქნებოდა სიტუაციის კონტროლის ეფექტური ინსტრუმენტი. ამიტომ რეჟიმმა გადაწყვიტა განსაკუთრეული სისასტიკით მოქმედება. დარაასა და რიგ ქალაქებში იფეთქა შეტაკებებმა, სადაც უსაფრთხოების ძალებმა დემონსტანტებს საბრძოლო ტყვიებით გაუხსნეს ცეცხლი. საპროტესტო აქციები არ ნელდებოდა და იმატებდა მსხვერპლი სამოქალქო პირებში, ვინაიდან ზოგიერთი სამხედრო ნაწილი მათ წინააღმდეგ იყენებდა ტყვიამფრქვევებს, ტანკებს და სნაიპერებს სირიის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქალაქებში: ჰამასა და ჰომსში.[250]

სამოქალაქო დაპირისპირების ესკალაციის პერიპეტიების უკეთ გაშუქების მიზნით, მიგვაჩნია, რომ ჯონათან ლითელის დღიურებზე დაყრდნობით გადმოცემული მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია დამატებით საგულისხმოდ აღწერს ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირების პირველ ბიძგებს, რომელთა სათავედაც შეიძლება ჩაითვალოს 2012 წლის 26 იანვარი, როდესაც ერთ-ერთი სუნიტური ოჯახი ამოწყვიტეს. მიუხედავად მრავალმხრივი მცდელობისა, რომ ამ ფაქტს არ გამოეწვია კონფესიათაშორისი დაპირისპირება, ხელისუფლების მხრიდან განხორციელებულმა ამ პროვოკაციამ დროთა განმავლობაში მაინც გამოიღო შედეგი და სირიის თავისუფალი არმიის ზოგიერთმა უკონტროლო ჯგუფმაც დაიწყო ალავიტურ ოჯახებზე იერიშების მიტანა. პარალელურ რეჟიმში, ფილიპ დროზ ვინსენტის თანახმად, ქვეყნის ოფიციალური პრესა და სამთავრობო ტელეარხები

---

[249] **Eugene Rogan.** The Arabs, 2017. გვ. 674.

[250] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 169.

ჯონ მაკკეინი, მარკ სალტერი. დუცხრომელი ტალღა, გვ. 181.

აცხადებდნენ, რომ პოლიციელებს და სამხედროებს ხოცავდნენ გაურკვეველი წარმომავლობის სნაიპერები, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლებისთვის პირდაპირი რეპრესიების ლეგიტიმაციის საშუალებად იქცა. სნაიპერებს ასადის რეჟიმიც იყენებდა საპროტესტო აქციებში მონაწილეების წინააღმდეგ და სამიზნეებს არჩევდნენ იმ პირებს შორის, რომლებიც მობილური ტელეფონებით იღებდნენ აქციებს ან მეგაფონები ეჭირათ ხელში. მსროლელები ვალდებულები იყვნენ, თავიანთი იარაღი ტყვიების გარეშე ჩაებარებინათ და იმ სამხედროებს, რომლებიც სამიზნე ობიექტების შესახებ ხელმძღვანელობას ეკამათებოდნენ, ადგილზე კლავდნენ.[251] შეიარაღებული ძალებისა და უსაფრთხოების აპარატის სხვა ძალოვანი სტრუქტურების გარდა, დაზვერვის სამსახურის მიერ პირდაპირ მართული „შაბიჰას“ - „მოჩვენებების“ სახელით ცნობილი დაჯგუფებაც იბრძოდა ასადის რეჟიმის მხარეს. ეს დაჯგყფება კონტრაბანდისტების, კრიმინალების „ბინძური“ დავალებების შესრულებით იყო დაკავებული. ისინი სირიაში, „არაბული გაზაფხულის“ დასაწყისში, არაორგანიზებული დაჯგუფებების სახით მოძრაობდნენ და სწორედ მათ აქციეს ლატაკიაში გამართული მშვიდობიანი საპროტესტო აქცია ქაოტურ მოძრაობად, რასაც მსხვერპლიც მოჰყვა აქციის მონაწილეებს შორის. აღნიშნული დაჯგუფება ძირითადად შევსებული იყო კონტრაბანდისტებით, ნათესაური, კონფესიური ან ფინანსური ინტერესებით გაერთიანებული პირებით, რომელთა ძირითადი ხვედრითი წილი დამასკოს ალავიტურ უბნებში მაცხოვრებლებსა და ალეპოელ სუნიტებზე მოდიოდა.[252] აღნიშნული პროვოკაცია ხელისუფლებას, ერთი მხრივ, საშუალებას აძლევდა, გაეწყვიტა ბოლო წლებში შექმნილი ალიანსი სუნიტურ ბურჟუაზიასთან,[253] რომელთაც წამყვანი პოსტები ეკავათ ეკონომიკურ, ბიუროკრატიულ, საჯარისო და სპეცსამსახურების აპარატებში და მათ მმართველი რეჟიმი აღარ ენდობოდა, მეორე მხრივ, მოებილიზებინა მასები თავის სასარგებლოდ და შეევსო საკუთარი ძალები არა მარტო ალავიტებით, არამედ ისმაილიტებით, ქრისტიანებით, დრუზებითა და, თუკი აღმოჩნდებოდნენ, რეჟიმის მომხრე

[251] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 170-171.
[252] **Prasanta Kumar Pradhan.** Arab Spring and Sectarian Faultlines in West Asia: Bahrain, Yemen and Syria, გვ. 97.
Philippe Droz-Vincent. Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 171.
[253] **Hinnebusch Raymond** – Revolution from above, გვ. 66.

ქურთებით დაკომპლექტებული ახალი რეკრუტებითაც. ვინაიდან „არაბული გაზაფხულის" დასაწყისში ყველა ალავიტი არ ემხრობოდა ასადის რეჟიმს და ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილიც ნეიტრალური პოზიციის შენარჩუნებას ცდილობდა, მას შემდეგ, რაც სიტუაცია უკონტროლო გახდა, ქურთებმა რეჟიმისადმი ჩუმი ლოიალობის წყალობით, პოლიტიკური ავტონომია მოიპოვეს, ალავიტები და ქრისტიანები კი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმზე დამოკიდებულები გახდნენ, რადგან გადარჩენის სხვა არავითარი შანსი აღარ რჩებოდათ.[254]

ლითელის ეს მოსაზრება გასაზიარებელია, ვინაიდან არსებული ხელისუფლების ჩამოგდების შემთხვევაში რადიკალ მუსლიმთა სათავეში მოსვლის შიშმა ქვეყნის ქრისტიანული მოსახლეობა რეჟიმისადმი კიდევ უფრო ლოიალური გახადა.[255] სავარაუდოა, რომ ამ ფაქტორმა განაპირობა პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მიერ 2011 წელს სირიის თავდაცვის მინისტრად მართლმადიდებელი დაუდ რაჯიჰას დანიშვნა, რომელიც 2012 წელს მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის დროს გარდაიცვალა.[256] ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქრისტიანებიც იმყოფებიან ოპოზიციაში, მაგალითად, სირიის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელი ჯორჯ საბრა - 2012 წლის 9 ნოემბრიდან სირიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე იყო. ის 2013 წლის აპრილ-ივლისში ასრულებდა სირიის რევოლუციური და ოპოზიციური ძალების ნაციონალური კოალიციის პრეზიდენტის მოვალეობას. ჯორჯ საბრა სირიის კომუნისტური მოძრაობის აქტიური წევრიც იყო. პარალელურად, აღნიშნული კოალიციის პრეზიდენტად საბრას დანიშვნა მიანიშნებდა იმაზე, რომ "სირიის ოპოზიციური ძალები არ იყვნენ კონფესიური ნიშნით დაყოფილები და "მუსლიმი ძმების" ფაქტორიც დაძლევადი საკითხი იყო.

---

[254] **Jonathan Littell**. Syrian Notebooks- Inside the Homs Uprising January 16–February 2, 2012. London. New York., „British Library Cataloguing in Publication Data", 2015, გვ. 18.
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი"*. თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

[255] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 178.
Syria's beleaguered Christian. // *"BBC",* February 2015, accessed July 5, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-middle-east-22270455

[256] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 179.
New Syrian defence minister is Christian: a difficult role. // *"Asianews",* October 2011, accessed July 5, 2021 at web page
http://www.asianews.it/news-en/New-Syrian-defence-minister-is-Christian:-a-difficult-role--22331.html

ამის შემდეგ "უმცირესობების კარტის გათამაშება" ვეღარ მოხდება" - წერდა BBC 2012 წლის ნოემბერში ლონდონურ „აშ-შარკ ალ-ავსატზე" დაყრდნობით.[257]

ზემოთ აღნიშნული პროვოკაცია და კონფესიათაშორისი დაპირისპირება კიდევ ერთი ფაქტორის გამო შეიძლებოდა ყოფილიყო მომგებიანი სირიის ალავიტური რეჟიმისთვის: პატრიკ კოკბერნი თავის წინგშნი „The Jihadis Return ISIS and the New Sunni Uprising" აღწერს "ისლამური სახელმწიფოს" მხარეს გადასული აჰვად ალ-რასულის ბრიგადის ლიდერის, რომელიც თავის დროზე იყო სირიის თავისუფალი არმიის ერთ-ერთი მეთაური, სადან ალ-ჯამალის, აღიარებით ინტერვიუს, რომელშიც იგი საუბრობს, რომ მისი აჰვად ალ-რასულის ჯგუფი დასაწყისში კატარის მხრიდან ფინანსდებოდა, ოდნავ მოგვიანებით კი საუდის არაბეთიდან. ალ-ჯამალისვე განცხადებით, სირიის თავისუფალი არმიის სამხედრო საბჭოს შეკრებებს ყოველთვის ესწრებოდნენ საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბული საამიროების, იორდანიის, კატარის, აშშ-ის, ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაზვერვის სამსახურების წარმომადგენლები.[258] შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების მიერ მხარდაჭერილი რეჟიმის მოწინააღმდეგე ძალების ტერორისტებად წარმოჩენა და ტერორიზმთან ბრძოლა ასადის რეჟიმისთვის მომგებიანი იქნებოდა როგორც შიდა, ისე საერთაშორისო საზოგადოების ნაწილის თვალში, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლებას მკაცრი ძალის გამოყენებისთვის გაუხსნიდა გზას. სიტუაციაში უკეთ გარკვევის მიზნით, ისევ დავუბრუნდებით ლითელს და ფრიად საყურადღებო მომენტზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ამყარებს მეორე თავში მოყვანილ მსჯელობასაც იმის შესახებ, რომ ეგვიპტის სამხედრო საბჭოსთვის არჩევნებში ისლამისტების გამარჯვება

---

[257] Profile: Syrian National Council chairman George Sabra. // *"BBC",* Novembr 2012, accessed July 5, 2021 at web page
https://www.bbc.com/news/world-middle-east-20312255
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„ თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf
Profile: George Sabra. // *"ALJAZEERA",* April 2013, accessed July 5, 2021 at web page
https://www.aljazeera.com/news/2013/4/22/profile-george-sabra

[258] **Patrick Cockburn.** (2014) The Jihadis Return – ISIS and the New Sunni Uprising. New York and London., "OR Books", 2014, გვ. 46-47.
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

ხელსაყრელი მანევრი იყო შემდგომში მათი ხელისუფლებისგან ადვილად ჩამოსაშორებლად.

ჯერ კიდევ 2011 წლის გაზაფხულზე, მასობრივი საპროტესტო აქციების დაწყებისთანავე, სირიის სპეცსამსახურებმა ციხეებიდან გაათავისუფლეს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯიჰადისტური კონტინგენტი,[259] რომლებმაც, თავის მხრივ, უკვე 2012 წელს ჩამოაყალიბეს რადიკალური ისლამისტური შეიარაღებული დაჯგუფებები და დაუპირისპირდნენ თავისუფალ არმიას. ხოლო 2013 წლიდან, მას შემდეგ, რაც "ისლამურმა სახელმწიფომ" დაიწყო სირიაში ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დამკვიდრება, სამთავრობო ძალებსა და "ისლამურ სახელმწიფოს"-ს შორის არცერთი დაპირისპირება არ ყოფილა. მეტიც, აღნიშნული ორგანიზაციის გამოჩენამდე ის ტერიტორიები, რომელთაც ხელისუფლების შეიარაღებული ძალები ყოველდღიურ რეჟიმში ბომბავდნენ, "ისლამური სახელმწიფოს" მიერ კონტროლირებული არეალი ერთ-ერთ ყველაზე დაცულ ადგილად იქცა. 2013 წლიდან კი, მას შემდეგ, რაც სირიის თავისუფალი არმია ალიანსში შევიდა კიდევ ერთ აჯანყებულ ისლამისტურ დაჯგუფების, *„ალ-კაიდას"* ერთ-ერთ განშტოებასთან, *„ჯაბჰათ ალ-ნუსრასთან"*[260] და შეუტიეს „ისლამურ სახელმწიფოს", რითიც, ფაქტობრივად, გაჩაღდა "ომი ომში", სამთავრობო ძალების

---

[259] **William L. Cleveland, Martin Bunton.** A History of the Modern Middle East, გვ. 708.

[260] სირიის თავისუფალი არმია შეიქმნა 2011 წელს თურქეთში არსებულ ბაზაზე, შეიარაღებული ძალებიდან გაქცეული ყოფილი სამხედროებით, პოლკოვნიკ რიად ალ-ასადის ხელმძღვანელობით. აღნიშნული დაჯგუფება ვერ ახორციელებდა სირიის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების კონტროლს. ამის გამო, პოზიციური ძალებს დასავლელი და ყურის არაბული ქვეყნების კონსულტანტებმა ურჩევიეს უმაღლესი სამხედრო საბჭოს ჩამოყალიბება გენერალ იდრისის მეთაურობით. საბჭოს ოცდაათი წევრიდან თითოეულს ემორჩილებოდა ექვსი ფრონტი ჩრდილოეთ (ალეპოსა და იდლიბში), აღმოსავლეთ (რა'ყა, დეირ ეზ-ზური, ჰასაქა), დასავლეთ (ჰამა, ლატაკია, ტარტუზი), ცენტრალური (ჰომსი, რასტანი), სამხრეთი (დამასკო, დარაა, სუვაიდა). აღნიშნული საბჭოს ზოგიერთი მეთაური თანამშრომლობდა ჯიჰადისტურ და ალ-კაიდასთან კავშირში მყოფ დაჯგუფებებთან. სწორედ ამ სალაფიტურ დაჯგუფებებთან ალიანსში შევიდა ჯაბჰათ ალ-ნუსრა 2013 წლის დეკემბერში "ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ. უკანასკნელ ორ დაჯგუფებას შორის განხეთქილება გამოიწვია ალ-კაიდას სირიაში მყოფი ფრთის მეთაურების მხრიდან "ის"-ს ლიდერის ალ-ბაღდადის მიმართ ერთგულების ფიცზე უარის თქმამ, ვინაიდან ალ-კაიდას შურას საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, ასეთი ნაბიჯი დაჩრდილავდა მათ დამსახურებას სირიის რევოლუციაში. Guide to the Syrian rebels. // *„BBC",* December 2013, accessed July 5, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-middle-east-24403003
Charles Lister. Profiling Jabhat al-Nusra. The Brookings Project on U.S. Relations with the Islamic World Analysis Paper. // *"Brooking Institution",* 2016. https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/iwr_20160728_profiling_nusra.pdf
ს. გურეშიძე. სირიის სამოქალაქო ომი - მთავარი აქტორები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. // "ახლო აღმოსავლეთი და საქართველო", N XI, 2018, გვ. 415-423. Accessed July 15, 2021 at web page

ავიაცია და არტილერია მხოლოდ „ისლამური სსახელმწიფოს“-ს მოწინააღმდეგეთა პოზიციებს ბომბავდა. ავტორს თავისი მსჯელობის გასამყარებლად მოჰყავს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ლოურენ ფაბიუსის, 2014 წლის გამოსვლა, რომელშიც აღნიშნულია, რომ “გამიზნული თანამზრახველობა” შეიმჩნეოდა დამასკოსა და “ისლამურ სახელმწიფოს” შორის.

საინტერესო ცნობებს გვაწვიდიან მაიკ ვაისი და ჰასან ჰასანი თავიანთ წიგნში „ტერორის არმია“. ტერორისტებთან თანამშრომლობა ასადის რეჟიმის და მისი უახლოესი გარემოცვისთვის „არაბული გაზაფხულის“ შედეგებით მოტანილი რეალობა არ იყო და მსგავს კავშირებს ისინი ბევრად ადრეც ამყარებდნენ. ერაყში აშშ-ის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ აჯანყებულებს რეკრუტებით შევსებაში ხელს სირიაც უწყობდა და ამ აქციას მფარველობდა პრეზიდენტის სიძე ასსიფ შავქათი,[261] რომლის ერთ-ერთი ხელქვეითი იყო წარმოშობით ერაყელი ბადრან თურქი ჰიშან ალ-მაზიდი, იგივე აბუ ღადია, რომელიც 2008 წელს ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა სამინისტრომ ტერორისტთა სიაში შეიყვანა. აბუ ღადიას 2007 წლიდან აქტიურად გადაჰყავდა მებრძოლები სირიიდან ერაყში ორგანიზაციის „ალ-კაიდა ერაყში“ რიგების შევსების მიზნით და ბაშარ ალ-ასადისთვის კარგად იყო ცნობილი სიძის საქმიანობის შესახებ.

2008 წელს ასევე ცნობილი გახდა, რომ უშედეგო აღმოჩნდა მრავალრიცხოვანი დიპლომატიური მცდელობა, რათა ასადის რეჟიმს გადაეკეტა ერაყში მიმავალი ბილიკები, რომლითაც ტერორისტები სარგებლობდნენ. გენერალმა პეტრეუსმა აშშ-ის პრეზიდენტ ჯოჯრ ბუშ უმცროსს სთხოვა კიდეც ბაშარ ალ-ასადთან პირდაპირი მოლაპარაკებები გამართულიყო ამ მიზნით, რაზეც თეთრმა სახლმა უარი განაცხადა. საბოლოოდ, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ 2011 წლის 26 ოქტომერს განახორციელა რეიდი სირიის ქალაქ ალბუქამალში, სადაც აბუ ღადიას ლიკვიდაცია მოხდა.[262]

---

[261] შავქათი მოკლეს 2012 წელს. თავდაპირველად აღნიშნული ქცია სირიელ აჯანყებულებს მიაწერეს, მაგრამ მოგვიანებით გამოცნდა ცნობები იმის შესახებაც, რომ მისი ლიკვიდაცია სავარაუდოდ იმ ძალებმა განახორციელეს რომელთა უკანაც ირანი იდგა და მიზეზი იყო ასიფის მიერ ასადის ოპოზიციასთან მლაპარაკებების გამართვა.
Маийкл Вайс, Хассан Хассан. Исламское Государство Армия Террора, გვ. 141-142.
[262] **Маийкл Вайс, Хассан Хассан.** Исламское Государство Армия Террора, გვ. 143-44.

თვითონ ერაყის და სირიის (აშ-შამი) ისლამური სახელმწიფო (შემოკლებით "ისლამური სახელმწიფო") არის ისლამისტური ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც აკონტროლებდა ერაყისა და სირიის გარკვეულ ნაწილს, შედარებით მცირე ტერიტორიებს კი ლიბიასა და ნიგერიაში. დაჯგუფება ასევე ტერორისტულ ოპერაციებს ატარებდა და ჰყავდა თავისი დაჯგუფებები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის, სამხრეთ აზიაშიც. 2014 წლის 29 ივნისს ორგანიზაციამ საკუთარი თავი გამოაცხადა "სახალიფოდ", აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი კი ხალიფად. "სახალიფოს" მიზანს წარმოადგენდა რელიგიური, პოლიტიკური და სამხედრო მმართველობის დამყარება მთელი მსოფლიოს მუსლიმებზე.

„ისლამური სახელმწიფო" წარმოიშვა 1999 წელს დაჯგუფება *"ჯამაათ ალ-თავჰიდ ვა ალ-ჯიჰადის"* ბაზაზე, რომელიც, თავის მხრივ, 2004 წელს დაკავშირებული იყო *„ალ-კაიდასთან"*. „ისლამური სახელმწიფო" 2003 წელს აშშ-ის მიერ ერაყში განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს შეუერთდა ერაყის დაუმორჩილებლობის მოძრაობას. 2006 წლის იანვარში მათ შეუერთდნენ სხვა სუნიტი აჯანყებულები და ჩამოაყალიბეს მოჯაჰედთა შურა (საბჭო), რომელმაც იმავე წლის ოქტომბერში გამოაცხადა ერაყის „ისლამური სახელმწიფოს" შექმნა. ალ-ბაღდადის ხელმძღვანელობის პერიოდში ის-მა 2011 წელს სირიის სამოქალაქო ომის დაწყებისთანავე გაგზავნა თავისი წევრები სირიაში. ისლამისტების დარტყმის ქვეშ ასევე აღმოჩნდა ერაყის მნიშვნელოვანი ქალაქები, მოსულისა და თიქრითის ჩათვლით. ადგილობრივები ვერ ახერხებდნენ საკუთარი ძალებით გამკლავებოდნენ რადიკალებს. დახმარებას ირანიდან ელოდნენ (ირანმა მზადყოფნა გამოთქვა, დახმარებოდა ერთმორწმუნეებს ერაყის სახელმწიფოში). ასევე უნდა ითქვას ისიც, რომ ექსტრემისტებს სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ ქურთები და ერაყის ქურთისტანის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში მყოფი შეიარაღებული ძალები - „ფეშმერგა" (ის, ვინც სიკვდილის წინააღმდეგ იბრძვის).

ზემოთ აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად, გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ის-ს რიგებში, შესაძლოა, იბრძოდნენ სუნიტი რადიკალები, რომელთა ნაწილიც იმავე დროს ერაყის ყოფილი ბაასის პარტიის წევრებიც იყვნენ. სადამ

Seán D. Naylor - Killing Abu Ghadiya // foreignpolicy.com, 31 August 2015, accessed July 26, 2022. At web page https://foreignpolicy.com/2015/08/31/deltaforce-seals-syria-iraq-terrorism/

ჰუსაინის მმართველობის დამხობის შემდეგ (2003 წ.) ბაასისტებმა სცადეს თავიანთი იდეოლოგიის ფესვებთან დაბრუნება და საკუთარი ძალაუფლების აღდგენა, რადგან სადამ ჰუსაინის რეჟიმის დამხობის და ხელისუფლებაში შიიტების მოსვლის შემდეგ მათ დაკარგეს პრივილეგიები და დისკრიმინირებულ უმრავლესობად იქცნენ.[263] ასეთ დამოკიდებულებას კი ქვეყნის ექსპრეზიდენტმა ჰუსაინმა ჩაუყარა საფუძველი. სწორედ ამიტომ ხედავდა მკვლევართა ერთი ნაწილი ალ-ბაღდადისა და სადამ ჰუსაინს შორის მსგავსებას, რაც შიიტებისადმი სიძულვილით გამოიხატებოდა. ჰუსაინის 30-წლიანი მმართველობის პერიოდში 150 000 შიიტი მოკლეს და ყველზე დრამატულად მოვლენები 1991 წლის მარტში, შიიტებისა და ქურთების აჯანყების დროს განვითარდა. ყურის პირველი ომის დასასრულს ქალაქ ნეჯეფში შესულ მეწინავე ტანკს ეწერა: „ხვალ შიიტები აღარ იქნებიან“.[264] არაბული ელექტრონული გაზეთის „ალ-არაბია ნეტის“ (რომლის მთავარი ოფისიც საუდის არაბეთში მდებარეობს) თანახმად, სწორედ ისინი ეხმარებოდნენ „ისლამურ სახელმწიფოს“ სახალიფოდ გამოცხადებამდე და 2014 წლის აპრილის დასაწყისში ერაყის ქალაქ თიქრითში (რომელიც სადამ ჰუსაინის მშობლიური ქალაქია) გამართულ ბრძოლებში ის-ის მებრძოლთა მნიშნველოვან ნაწილს სწორედ ერაყელი ბაასისტები შეადგენდნენ, კონკრეტულად კი ნაკშბანდიას/ნაყშბანდია (ერთ-ერთი ტარიკატი-არაბ. طريقة - გზა, მიმართულება, ისლამის სუფიურ მიმდინარეობაში) ორდენის წარმომადგენლები. ნაკშბანდიელთა ეს დაჯგუფება ბაზირებული იყო ერაყის ქალაქ მოსულში და მისი ფორმირება მოხდა 2007 წელს სადამ ჰუსაინის ბაასის პარტიის ყოფილი წევრების მიერ. ʿიზზათ იბრაჰიმ ად-დური, ჰუსაინის ყოფილი მოადგილე და ბაასის პარტიის თავმჯდომარე, ჰუსაინის სიკვდილით დასჯის შემდეგ შეუერთდა ამ დაჯგუფებას. აშშ-ის მიერ ერაყში სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ (2003 წ.) ად-დური იმალებოდა და მასზე ჯილდო იყო დაწესებული 10 მილიონი დოლარის ოდენობით. 2014 წლიდან ის უკვე ღიად გამოჩნდა და ხელმძღვანელობდა ნაყშბანდიელთა ოპერაციებს მოსულში. მათ გააჩნდათ დიდი გავლენა არა მხოლოდ საკუთრივ ერაყში, არამედ თავად „ისლამურ სახელმწიფოზეც“. მათ რიგებში

[263] **Mohammed Nuruzzaman.** Caliphates and Islamic Global Politics, გვ. 69.
რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი, გვ. 156.
[264] **Маийкл Вайс, Хассан Хассан.** Исламское Государство Армия Террора, გვ. 161.

შედიოდა ათასობით მებრძოლი, რომელთა დიდი ნაწილიც ერაყში აშშ-ის მიერ 2003 წლის სამხედრო ოპერაციის განხორციელებამდე იყვნენ ერაყის არმიის წევრები. ის-ის მიერ ტალ-აფარის აღების დროს შეტევის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ ყოფილი ბაასისტები. თუმცა ბაასისტებისა და ის-ის ბოლომდე გაიგივება მაინც არ შეიძლება. ის-სა და ბაასისტებს შორის დაპირისპირების არაერთი მაგალითი არსებობს. ეს წინააღმდეგობები განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით – პიროვნული უთანხმოებებით, რელიგიურ-პოლიტიკური ან ტომობრივი შეუთავსებლობებით. ერთი სიტყვით, ბაასისტთა ფაქტორი „ისლამურ სახელმწიფოში“ არ არის სტატიკური: უფრო მყიფე, არასტაბილური და ამორფულია. აბუ დაბის დელმას ინსტიტუტის მკვლევრის, ჰასან ჰასანის თვალსაზრისითაც, ეს კავშირი დროებითი იყო, რადგან ბაასისტთა იდეოლოგია უფრო მეტად ეფუძნება ნაციონალისტურ იდეებს და არ თანხვდება ის-ის მიზნებს, რაც თანამედროვე "სახალიფოს" შექმნას გულისხმობდა.[265]

რაც შეეხება ზემოთ ნახსენებ სიტუაციას, რომლის მიხედვითაც ბაშარ ალ-ასადის ძალებსა და ის-ს შორის საწყის ეტაპზე დაპირისპირება არ ჰქონიათ, ამყარებს შემდეგი გარემოებები: 2003 წელს ერაყში აშშ-ის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროიდან მოყოლებული, სირიის სპეცსამსახურები აქტიურ რეჟიმში ეწეოდნენ ერაყში კოალიციური ძალების წინააღმდეგ მებრძოლი ჯიჰადისტების ინფილტრაციას. შესაბამისად, კარგად იცნობდნენ თავიანთ „კლიენტებს". სირიული მხარის გათვლა კი მდგომარეობდა შემდეგში: მათთვის გაცილებით მომგებიანი იყო რეგიონში შარიათის კანონების მიხედვით მოქმედი "სახალიფოს" შექმნა, ვიდრე დემოკრატიის დამყარება ახლო აღმოსავლეთში. ასევე, მათ ერჩივნათ სოციალური ბაზისის არმქონე რადიკალური დაჯგუფების ხელით მოეშორებინათ მთავარი ზომიერი მოწინააღმდეგე და შემდეგ გაენადგურებინათ მათ მიერ კონტროლირებული ექსტრემისტები. ამ შემთხვევაში დამუშავებულ მასალებში

---

[265] **Theodore Karasik.** The erratic ISIS and Baath party connection. // *"ALARABIYA",* April 2015, updated may 2020, accssed July 5, 2021 at web page https://english.alarabiya.net/en/views/news/middle-east/2015/04/18/The-erratic-ISIS-and-Baath-party-connection.html
Jeremy Bender. Saddam Hussein's Old Party Is Behind A Lot Of The Chaos In Iraq. // *"Business Insider",* June 2014, accessed July 5, 2021 at web page https://www.businessinsider.com/saddam-husseins-old-party-is-behind-iraq-chaos-2014-6
ს. გურეშიძე. ისლამური სახელმწიფო. // „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი". თბ., N 8, 2015, გვ: 36-44. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/13/13226.pdf

მოყვანილი ისრაელის მაგალითი, როდესაც ამ ქვეყნის სპეცსამსახურები პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის საწინააღმდეგოდ, თავის დროზე ეხმარებოდნენ ჰამასს პოზიციების გამყარებაში, საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ომში, რომლის დროსაც აშშ რადიკალ ისლამისტებს უგზავნიდა ინსტრუქტორებს და შეიარაღებას. ასევე თვალსაჩინო მაგალითია ჩეჩნეთის სიტუაცია, სადაც საბჭოთა კავშირის დაშლიდან პირველ ომში (1996 წ.) მარცხის შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მეორე ომისთვის ნიადაგის მომზადება. კონკრეტულად, სისტემატიურად იტაცებდნენ უცხოელ ჟურნალისტებსა და ჰუმანიტარული მისიების წევრებს. ასეთმა ქმედებებმა ჯერ საინფორმაციო ბლოკადაში მოაქცია ჩეჩნეთი, რადგან იქ აღარ ჩადიოდნენ ჟურნალისტები, შემდეგ მარგინალიზებული ისლამისტური დაჯგუფებები მუდმივ ზეწოლას ახორციელებდნენ პრეზიდენტ მასხადოვზე, რამაც ის აიძულა, მიეღო რადიკალური ზომები და ქვეყანაში გამოაცხადა "შარიათის მმართველობა". ყოველივე ზემოთ თქმულს ემატებოდა რუსი ტყვეების თავის მოკვეთის ვიდეოების გავრცელება, რამაც 1999 წელს ლეგიტიმაცია მოუპოვა „ანტიტერორისტული" ოპერაციის ჩატარებას ჩეჩნეთში.

ანალოგიური სცენარით განვითარდა მოვლენები სირიაში. ბაშარ ალ-ასადის რუსი მრჩევლების ჩარევით მოხდა ექსტრემისტული ისლამისტური ძალების მიერ სახალხო აჯანყების დისკრედიტაცია, იტაცებდნენ და კლავდნენ უცხოელ დამკვირვებლებს, ყველაფერი ეს კი საერთო ჯამში ძალიან ჰგავდა ჩეჩნურ მოდელს.[266] თავისთავად საინტერესოა ის ფაქტიც, რომ გავლებული პარალელები ჩეჩნეთსა და სირიაში განვითარებულ პროცესებს შორის თანხვდება სხვადასხვა წყაროებში გამოქვეყნებულ მასალებს.

1992-93 წლებში ჩეჩენი საველე მეთაური შამილ ბასაევი და მისი ძმა შირვანი საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდნენ აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ შამილ ბასაევი მრავალი წლის განმავლობაში ძებნილად ითვლებოდა და მას მიაწერდნენ რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარ არაერთ ტერაქტს, მკვლევრები აღარ დავობენ მის თანამშრომლობაზე

[266] **Jonathan Littell.** Syrian Notebooks- Inside the Homs Uprising January 16–February 2, 2012., გვ. 13-22.
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

რუსეთის სპეცსამსახურებთან. ჩეჩენი საერო მმართველობის მომხრეები უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ მოსკოვი და მოჯაჰედები თანამშრომლობენ და მათი ამ კავშირის მიზანია ჩეჩნეთის ნაციონალური იდეოლოგიის დისკრედიტაცია და ამ იდეის ექსტრემიზმად და ტერორიზმად მონათვლა. ზომიერი ჩეჩენი იმამები კი იძულებით ინარჩუნებენ კავშირებს უფრო რადიკალ მუსლიმებთან, რადგან მათ მიიჩნევენ რუსეთიდან მართულ პროვოკატორებად. რადიკალ ისლამისტებსა და რუსულ სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობა კავკასიაში ხელს შეუწყობს საბჭოთა/რუსულ ტრადიციულ მეთოდიკას - პროვოკაციების გზით ტერორიზმთან ბრძოლაში. ამის ერთ-ერთი მაგალითია 1999 წლის აგვისტოში შამილ ბასაევის დაღესტანში შეჭრა, რამაც გამოიწვია ჩეჩნეთის მეორე ომი. მოსკოვმა ამ აქციას უწოდა „*ალ-კაიდას* ვაჰაბიტური აგრესია“, გამოიყენა ჩეჩნეთში მეორე ომის დაწყების საბაბად, რომელიც ამჯერად თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტების გადამოწმება და შედარებითი ანალიზის აუცილებლობა მოითხოვს დამატებითი წყაროების დამუშავებას და ერთმანეთთან შეჯერებით საერთო სურათის გადმოცემას. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, განვიხილოთ დამატებითი მასალები. რუსეთსა და ცენტრალურ აზიაში არსებული სიტუაციით დაინტერესდა ბრიტანული გამოცემა „The Guardian- ი“. ამ მიზნით ტაჯიკეთში ჩავიდა აღნიშნული გამოცემის კორესპონდენტი პრობლემის ადგილზე შესასწავლად.

ტაჯიკეთში ადგილობრივებთან დამყარებული პირადი კონტაქტების შედეგად გაირკვა, რომ ამ ქვეყნიდან მოსკოვში სამუშაოდ წასულ ადამიანებს ჩეჩნური დაჯგუფებები იდეოლოგიურად ამუშავებენ და იწვევდნენ ის-ის რიგებში საბრძოლველად. გამოკითხულებიდან ერთ-ერთი იყო ოლიმოვების ოჯახი. მათი ქალიშვილი გურლუ ოლიმოვა ცოლად გაჰყვა ვინმე ლოიკ რაჯაბოვს. აღნიშნული პირი ხშირად მიემგზავრებოდა მოსკოვში მშენებლობაზე დასაქმების მიზნით. ერთ-ერთი ასეთი მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ მან სახლში აღმართა ის-ის შავი დროშა. 2014 წლის შემოდგომაზე კი ცოლ-შვილიც წაიყვანა რუსეთის დედაქალაქში, ხოლო მცირე დროის გავლის შემდეგ დაურეკა თავის სიდედრს უცნობი ნომრიდან და უთხრა, რომ ოჯახთან ერთად მიდიოდა სირიაში. ამის შესახებ მარაიმბ ოლიმოვამ

დაუყოვნებლივ აცნობა ტაჯიკეთის ხელისუფლებას, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღია შესაბამისი უწყებებს. „The Guardian-ის“ კორესპონდენტმა ასევე მოიპოვა ცნობები იმის შესახებაც, რომ ჩეჩნურმა დაჯგუფებებმა დაახლოებით 4000-მდე სამუშაოს მაძიებელი მიგრანტი გადაიყვანეს სირიაში. ამავე გამოცემის თანახმად, ის-ის ტაჯიკი მებრძოლები ექვემდებარებოდნენ ნუსრატ ნაზაროვს, რომელიც კულიაბიდან იყო წარმოშობით - იმავე პატარა ქალაქიდან, საიდანაც ოლიმოვების ოჯახი. ნაზაროვი ასევე ცნობილია აბუ ხალიდ კულობის ფსევდონიმით და ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას მას უთხრა, რომ ეწეოდა მებრძოლთა რეკრუტირებას სირიაში. ასევე ის მზად იყო, განეხორციელებინა შეტევა ტაჯიკეთის მიმართულებით ავღანეთიდან. ამის დამადასტურებელი ვიდეორგოლი ინტერნეტშიც არსებობდა, რომელიც მოგვიანებით წაშალეს. სამხედრო ფორმაში ჩაცმულ მებრძოლებთან ერთად ნუსრატი ამბობდა, რომ სირიაში უკვე იყო 200 ტაჯიკი მებრძოლი და მალე აღარავინ დარჩებოდა ტაჯიკეთში, ხოლო მისი შემდგომი ვიდეომიმართვა იქნებოდა დუშანბედან ან კრემლიდან.

ნუსრატის ძმა ჰაირულო თავისუფლად გადაადგილდებოდა კალიუბში და ტაქსის მძღოლობით ირჩენდა თავს. მისი ნახვა ყველას შეუძლო ადგილობრივი ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. ძმის აქტივობის შესახებ ჰაირულომ გაიგო მას შემდეგ, რაც დაკითხვაზე დაიბარეს შესაბამისმა ადგილობრივმა სამსახურებმა. ჰაირულოს ძმის საქმიანობა არ გაჰკვირვებია და განაცხადა, რომ ნუსრატი მუდამ ილტვოდა მდიდრული და ადვილი ცხოვრებისკენ. 1993 წელს იგი ჯარში გაიწვიეს, მაგრამ ხუთი დღის შემდეგ გაიქცა მოსკოვში და იქ მუშაობდა ნახევრად ლეგალური ტაქსოპარკის მძღოლად. ტაჯიკეთში დაბრუნდა 1999 წელს და ყიდდა კანაფს ბაზარში. 2005 წელს ის ჰეროინით ვაჭრობის ბრალდებით დააპატიმრეს, თუმცა ერთი წლის შემდეგ გათავისუფლდა და კვლავ გაემგზავრა მოსკოვში. დროთა განმავლობაში ის სულ უფრო რელიგიური ხდებოდა და 2013 წელს მოსკოვიდან ერთ-ერთი დაბრუნების შემდეგ მოუწოდებდა ყველას, ებრძოლათ ქაფირების (წარმართების) წინააღმდეგ. მან ჰაირულოს გაუმხილა, რომ მოსკოვში იგი შეხვდა ჩეჩნებს მეჩეთში, რომლებმაც აუხილეს თავლები, დაანახვეს „სწორი ისლამი“ და, მისი აზრით, საჭირო იყო ტაჯიკეთის შეცვლა. „ყველა, ვინც კი მოსკოვიდან

ბრუნდება, ამბობს: ჩეჩნები მშენებლობებსა და მეჩეთებში უხსნიან მიგრანტებს, რომ საჭიროა სირიაში წასვლა. ჩემი აზრით, ყველას, ვინც იქ მიდის, სძულს რუსეთი, რადგან იქ თავის გატანა ძალიან ძნელია – ვერ იმუშავებ ისე, თუ კანონი არ დაარღვიე, ხოლო ის-ში სთავაზობენ ფულს და თავისუფლებას, რატომ არ უნდა წავიდნენ?“ - დაამატა ჰაირულომ.

ფედერალური საემიგრაციო სამსახურის ოფიციალური ცნობების თანახმად, 2015 წლის აპრილში მილიონამდე ტაჯიკი ცხოვრობდა რუსეთში. ნაზაროვის ნაცნობები კულიაბიდან ამბობდნენ, რომ სირიაში ისინი მიდიოდნენ მოსკოვიდან თურქეთის გავლით. საზღვარზე მათ ხვდებოდნენ ის-ის წარმომადგენლები, უტარებდნენ ინსტრუქტაჟს და ანაწილებდნენ ჯგუფებად ახლომდებარე ქალაქებში, უმეტესად გაზიანთებში, სირია-თურქეთის საზღვართან (თურქეთის ტერიტორია). ბოლო მონაცემებით, ნუსრატი იმყოფებოდა ქალაქ რაკაში, სირიის ჩრდილოეთით. იქ იგი ცნობილი იყო, როგორც ხორასნის დაჯგუფების ამირა და მისი მიზანი იყო, გაავრცელებინა „სახალიფოს“ გავლენა ხორაზმის ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს თანამედროვე სახელმწიფოებს - ავღანეთს, პაკისტანს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს და უზბეკეთს. 2015 წლის ერთ-ერთი სატელეფონო საუბრისას იგი დაემუქრა ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის რედაქტორს და აუკრძალა ტაჯიკი მებრძოლების ფოტოების გამოქვეყნება. „ჩვენ თავებს ვაჭრით ხალხს, ყველას გადაგწვავთ და ამის გამკეთებელი ხალხი გვყავს“, განუცხადა ნუსრატმა რედაქტორს.[267]

დამუშავებული მასალების გაანალიზებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული და არსებობს ისეთი დასკვნის გამოტანის საფუძველი, რომ აღნიშნულ ჩეჩნურ დაჯგუფებებს გააჩნდათ გარკვეული სახის კავშირები რუსულ სპეცსამსახურებთან. ცნობილია, რომ სირიაში „ისლამური სახელმწიფო“ სერიოზულ

[267] **Daniil Turkovski.** How Isis is recruiting migrant workers in Moscow to join the fighting in Syria. // *“Guardian”,* May 2015, accessed July 5, 2021at web page https://www.theguardian.com/world/2015/may/05/isis-russia-syria-islamic-extremism
Shaun Walker. With Assad's fate secure, Russia sets its sights on Isis fighters in Syria. // *“Guardian”,* September 2017, accessed July 5, 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2017/sep/16/russia-islamic-state-syria-assad-forces-recapture-town-okeirbat
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“.* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

პრობლემებს უქმნიდა კრემლის მოკავშირე ასადის რეჟიმს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ დასაშვები და ლოგიკურია შემდეგი ვერსიაც: ФСБ ასეთი სახით ნერგავდა აგენტურას „სახალიფოს“- “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში.

“ისლამურ სახელმწიფოში” რუსული სპეცსამსახურების მიერ რეკრუტების ჩანერგვაზე მხოლოდ გამოცემა „The Guardian-ი“ არ აქვეყნებდა მასალებს და არანაკლებ საინტერესო ინფორმაციის მოძიება შეიძლება სააგენტო „Reuters-ის“ ვებგვერდზე, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილ მსჯელობას სირიაში მოქმედ ექსტრემისტულ დაჯგუფებებში რუსული სპეცსამსახურების მიერ ერთდროულად მებრძოლების ჩანერგვის და პროვოკაციის კარგად შემუშავებული სქემის შესახებ. ზემოთ ხსენებულმა სააგენტომ 2016 წლის 13 მაისს გამოაქვეყნა სტატია სათაურით: “როგორ მისცა რუსეთმა შინ გაზრდილ რადიკალს სირიაში საბრძოლველად წასვლის უფლება”.

2012 წელს საადუ შარაპუდინოვი ძებნილად ითვლებოდა რუსეთში, იმალებოდა ჩრდილო კავკასიის ტყეებში, გაურბოდა სამხედრო პოლიციას და მოსკოვის წინააღმდეგ “წმინდა ომის” გეგმებს ადგენდა. იმავე 2012 წლის დეკემბერში შარაპუდინოვს რუსეთის დაზვერვის სამსახურის ოფიცრებმა მოულოდნელი წინადადება შესთავაზეს“ თუკი ის დატოვებდა რუსეთის ტერიტორიას, ხელისუფლება აღარ დააპატიმრებდა და ქვეყნიდან გასვლაშიც დაეხმარებოდნენ. „Reuters-მა“ ასევე მოახერხა სხვა ხუთი რადიკალი რუსეთის მოქალაქის იდენტიფიკაცია, რომელთა ნათესავები და ადგილობრივი ხელისუფლებაც ადასტურებდნენ, რომ მათ ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირი, ზოგიერთ შემთხვევაში კი არაპირდაპირი დახმარებით დატოვეს ქვეყანა და აღმოჩნდნენ სირიაში.

ქვეყნის გარეთ გასული ისლამისტების ნათესავებისა და ყოფილი ოფიციალური პირებისგან მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, 2014 წლის ბოლომდე მოქმედებდა დამუშავებული სქემა, რომლის მეშვეობითაც ხელს უწყობდნენ რადიკალ ისლამისტებს “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში რეკრუტირებაში. დამატებითი მასალის სახით, გვინდა მოვიყვანოთ ФСБ-ს დირექტორის, ალექსანდრ ბორტნიკოვის განცხადება, რომელიც მან 2015 წელს

ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის სხდომაზე გააკეთა - იმ დროისთვის რუსეთის 2 900 მოქალაქე იბრძოდა ახლო აღმოსავლეთში. სტატიაში მოყვანილი მასალა იმ გარემოებითაც არის გამყარებული, რომ საერთაშორისო კრიზისული ჯგუფის უფროსი ანალიტიკოსის, ეკატერინა სოკირიანსკაიას განცხადებით, რუსული ენა სირიაში მებრძოლ ჯიჰადისტებს შორის არაბულის და ინგლისურის შემდეგ მესამე ენად ითვლებოდა. ფაქტების სხვადასხვა წყაროებში გადამოწმებამ და ერთმანეთთან შეჯერებამ გვიჩვენა, რომ მსგავსი სურათი არა მარტო სირიაში, არამედ ერაყშიც საკმაოდ თვალშისაცემი იყო თავის დროზე. კერძოდ, მოგვიანებით, 2016 წლის დეკემბრის დასაწყისში მოსულის ნაწილის ექსტრემისტი ისლამისტური დაჯგუფებებისგან გათავისუფლების შემდეგ ოპერაციის მსხვერპლთა იდენტიფიკაციისა და მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ აღნიშნული ქალაქი როგორც ჩრდილო კავკასიიდან, ასევე ცენტრალური აზიიდან (ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი) გამოსულ რუსულ ენაზე მოსაუბრე ჯიჰადისტთა ეპიცენტრს წარმოადგენდა.[268] დავუბრუნდეთ „Reuters"-ის სტატიას, რომლის მიხედვითაც რუსეთის ხელისუფლებისთვის რადიკალი ისლამისტების ქვეყნიდან გასვლა აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან ამ ქვეყნის სპეცსამსახურების ვარაუდით, ჯიჰადისტურად განწყობილ პირებს შეეძლოთ სერიოზული გამოწვევების წინაშე დაეყენებინათ 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოება. აღნიშნული ვერსია აქტიურად განიხილებოდა სხვადასხვა წყაროებშიც. ბრიტანულმა „The Guardian-მა" რუსეთის უშიშროების სამსახურის წარმომადგენლის (რომლის ვინაობაც წყაროში დაკონკრეტებული არ არის) განცხადებაზე დაყრდნობით გამოაქვეყნა სტატია სათაურით: "სირიაში მყოფი რუსულად მოლაპარაკე ჯიჰადისტები "შესაძლოა დაემუქრონ მოსკოვს მომავალში". "ჩვენ გავუხსენით მათ საზღვრები, დავეხმარეთ ქვეყნიდან გასვლაში და ისევ დავხურეთ საზღვარი მათ უკან, ამ გზით მოვახდინეთ ამ ბრძოლის კრიმინალიზაცია, თუ მათ (ჯიჰადისტებს) სურთ უკან დაბრუნება, ჩვენ საზღვარზე ველოდებით. ყველა

[268] **Gareth Browne.** Mosul was 'epicentre' of Russian-speaking Islamic State fighters. // *"The New Arab"*, December 2016, accessed July 5, 2021 at web page https://english.alaraby.co.uk/english/indepth/2016/12/9/mosul-was-epicentre-of-russian-speaking-islamic-state-fighters
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

ბედნიერია: ისინი კვდებიან ალლაჰის გზაზე, ხოლო ჩვენ აღარ გვემუქრება ტერაქტები ქვეყნის შიგნით და ვბომბავთ მათ ლატაკიასა და იდლიბში" - განაცხადა ზემოთ ხსენებულმა დაუკონკრეტებელმა რუსეთის სპეცსამსახურის ინკოგნიტოდ დარჩენილმა თანამშრომელმა.[269] მოყვანილი ციტატები სარწმუნოდ მიგვაჩნია იმის გამო, რომ აღნიშნული სქემა წარმოადგენს რადიკალურ ძალებთან ბრძოლის ერთ-ერთ ანალოგს, რომელსაც მიმართავდნენ ზემოთ ხსენებული თუნისის ყოფილი დიქტატორის, ზინ ალ-აბიდინ ბინ ალის მმართველობის დროინდელი სპეცსამსახურები.

საკუთარი ტერიტორიიდან რადიკალი ისლამისტების მოშორება და სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე საომარ მოქმედებებში მონაწილეობისთვის ხელშეწყობა მხოლოდ რუსული სპეცსამსახურების მიერ დანერგილი პრაქტიკა არ იყო და მსგავს ტაქტიკას გარკვეული ისტორია გააჩნია. თუნისს ხანგრძლივი გამოცდილება აქვს ღაზაში, ჩეჩნეთში, ავღანეთსა და ერაყში "წმინდა მებრძოლების" გაგზავნის საკითხებში. ანალიტიკოსების განცხადებების თანახმად, ბინ ალის რეჟიმი ჩუმად ეხმარებოდა რადიკალებს ქვეყნის გარეთ გასვლაში, რათა მათ თავიანთი ძალადობრივი აქტები ქვეყნიდან შორს განეხორციელებინათ. "არაბული გაზაფხულის" შემდეგ თუნისის სათავეში მოსულმა ზომიერმა ისლამისტურმა ხელისუფლებამ დაუშვა რელიგიური თავისუფლება,[270] რომელსაც ყოფილი დიქტატორის რეჟიმი სასტიკად ახშობდა სეკულარიზმის გაძლიერების მიზნით. ახალმა ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეაფასა შესაძლო საფრთხეები და 2011 წლის აპრილში ციხიდან გაათავისუფლა წინა რეჟიმის მიერ დაპატიმრებული სალაფიტური დაჯგუფების *"ანსარ აშ-შარიას"* წევრები. მეტიც, მათ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის უფლებაც კი მიეცათ.[271] აღნიშნული თავისუფლების მინიჭების შემდეგ ერთბაშად იფეთქა ისლამისტების მხრიდან განხორციელებულმა ძალადობრივი აქტების სერიამ. ასეთ აქტივობას კი ხელისუფლებამ რეპრესიებით

---

[269] **Shaun Walker.** Russian-speaking jihadis in Syria 'could threaten Moscow in future. // *"Guardian",* March 2016, accessed 2021 at web page https://www.theguardian.com/world/2016/mar/16/russian-speaking-jihadis-syria-pose-threat-moscow-report

[270] **John L. Esposito, Tamara Sonn, John O. Voll.** Islam and Democracy after the Arab Spring, გვ. 194.

[271] **Aaron Y. Zelin, Vish Sakthivel**. Tunisia Designates Ansar al-Sharia. – *The Washington Institute for Near East Policy,* August 2013, accessed July 5, 2021 at web page https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/tunisia-designates-ansar-al-sharia

უპასუხა, რამაც ირიბად შეუწყო ხელი ისლამისტების გადინებას სირიაში. "ბევრი ახალგაზრდისთვის სირიაში სიკვდილი უფრო მისაღებია, ვიდრე აქ დარჩენა, ციხეში ჩაჯდომა, წამება და შევიწროვების ატანა" - განაცხადა ისლამისტების წარმომადგენელმა, ადამიანის უფლებათა დამცველმა, ადვოკატმა მარვან ჯიდდამ. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, საბოლოოდ, სირიაში 15000 უცხოელი მებრძოლიდან, რომელთა რიგებშიც შედიოდნენ საუდის არაბეთისა და იორდანიის მოქალაქეებიც, 3000-კაციან კონტინგენტს თუნისელი რადიკალები შეადგენდნენ.[272]

რუსეთის სპეცსამსახურებისთვის ამავე ქვეყანაში მოქმედი ისლამისტების სირიაში წასვლა ორმხრივი სარგებლის მომტანი იყო, რადგან სიტუაცია ჩიხში იყო შესული. ერთი მხრივ, ისლამისტურმა ძალებმა ვერ მოახერხეს თავიანთი მიზნების განხორციელება ჩრდილო კავკასიაში, მეორეს მხრივ კი ხელისუფლება ვერ ახერხებდა მათ დაპატიმრებას ორი მიზეზის გამო: მებრძოლები მთებში იმალებოდნენ და სარგებლობდნენ მხარდამჭერების სიმპათიებით. სწორედ ამიტომ ზემოთ ხსენებულ შარაპუდინოვთან კონტაქტი დაამყარა ადგილობრივმა გადამდგარმა ჩინოვნიკმა და მისი ბავშვობის მეგობარმა, რომელმაც იგი ხასავიურტში შეახვედრა სპეცსამსახურების წარმომადგენლებს. მისივე განცხადებით, საადუს არასოდეს უცდია მანამდე ქვეყნის დატოვება, რადგან ღიად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო და საადუსავე განცხადებით, მალულად რუსეთის ტერიტორიის დატოვების შემთხვევაშიც მას დააპატიმრებდნენ.

ჩრდილო კავკასიის უშიშროების სამსახურები უარყოფდნენ ისლამისტებისთვის სირიაში წასვლის ხელშეწყობის ფაქტებს, მაგრამ პარალელურად აღიარებდნენ, რომ მათმა გადინებამ მნიშვნელოვნად შეამსუბუქა უსაფრთხოების წინაშე მდგარი გამოწვევები. "რა თქმა უნდა, დაღესტნელი რადიკალების მიერ

---

[272] **Kevin Sullivan.** Tunisia, after igniting Arab Spring, sends the most fighters to Islamic State in Syria. // *"The Washington Post",* October 2014, accessed July 5, 2021 at web page https://www.washingtonpost.com/world/national-security/tunisia-after-igniting-arab-spring-sends-the-most-fighters-to-islamic-state-in-syria/2014/10/28/b5db4faa-5971-11e4-8264-deed989ae9a2_story.html?utm_term=.0f4e0e604e15
Suleiman Al-Khalidi. Jordanian jihadis returning from Syria war rattle U.S.-aligned kingdom. // *"REUTERS",* April 2014, accessed July 5, 2021 at web page https://www.reuters.com/article/us-jordan-syria-militants-insight/jordanian-jihadis-returning-from-syria-war-rattle-u-s-aligned-kingdom-idUSBREA3G16H20140417
Osama Al-Sharif. Jordan and the Challenge of Salafi Jihadists. – *Mei.edu,* March 2016, accessed 2021 at web page https://www.mei.edu/publications/jordan-and-challenge-salafi-jihadists
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

საზღვრების დატოვებამ სიტუაცია უფრო სტაბილური გახადა რესპუბლიკაში"- განუცხადა „Reuters-ს" მახაჩკალის ანტიტერორისტული კომისიის წარმომადგენელმა მაგომედ აბდურაშიდოვმა.[273]

იმისათვის, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა არ იყოს ცალმხრივ მასალებზე დაყრდნობილი, რაც, ბუნებრივია, გააჩენდა ტენდენციურობის შეგრძნებას, საჭიროდ მიგვაჩნია, ობიექტური კვლევისათვის აღნიშნულ სტატიასთან დაკავშირებული ელექტრონულ პრესაში არსებული კიდევ ერთი გამოხმაურება მოვიყვანოთ მაგალითად ზემოთ აღწერილ შემთხვევასთან დაკავშირებით. გამოცემა „inosmi.ru-ს" ვებგვერდზე 2016 წლის მაისის დასაწყისში გამოქვეყნდა სტატია სათაურით "სირია და რუსი ტერორისტები". ავტორი ტარიკ ალ-ჰამიდი დასაწყისში აღნიშნავს, რომ "მას შემდეგ, რაც 2015 წლიდან რუსეთმა განახორციელა სამხედრო ჩარევა სირიაში, ჟურნალისტებმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს დაუსვეს კითხვა: თუ როგორ უნდა განასხვავო ტერორისტი "ზომიერი" ოპოზიციონერისგან. შეკითხვა კი რუსული მხარის განცხადებამ განაპირობა იმის შესახებ, რომ სირიაში მებრძოლ ზოგიერთ ოპოზიციურ დაჯგუფებას არ თვლიდნენ "ზომიერებად". მინისტრის პასუხის თანახმად, "თუ გამოჩნდება, რომ ესა თუ ის დაჯგუფება მოქმედებს, როგორც ტერორისტები, იყენებენ ტერორის მეთოდებს ბრძოლაში, ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ ისინი არიან ტერორისტები". შემდგომში იმავე სტატიაში მოყვანილია ზემოთ აღნიშნული „Reuters-ის" სტატიის თარგმანი, რომელიც შემდგომი მსჯელობითა და კითხვებით სრულდება: კითხვა, რომელიც ჩნდება ზემოთ თქმულის შემდეგ: თუკი რუსეთი არაფერ შუაშია და ეს მორიგი პროვოკაციაა მის წინააღმდეგ, მაშინ როგორ მოხდა, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა ვერ შეამჩნიეს თავიანთი ტერიტორიიდან 2900 რადიკალურად განწყობილი მოქალაქის გადინება? რატომ არ მიუდგნენ მათ საკითხს ლავროვის "საზომით"? იქნებ სჯობს, რუსეთმა შეწყვიტოს იმის მტკიცება, რომ რუსეთი სირიაში ებრძვის ტერორიზმს[274]

ბუნებრივია, ობიექტური მსჯელობისგან შორს იქნება ცალსახად იმ

---

[273] **Maria Tsvetkova.** How Russia allowed homegrown radicals to go and fight in Syria. // *"REUTERS",* May 2016, accessed July 4, 2021at web page https://www.reuters.com/investigates/special-report/russia-militants/

[274] **Тарик Аль-Хамид**. Сирия и российские террористы. // *"Inosmi",* May 2016, accessed July 5, 2021 at web page https://inosmi.ru/politic/20160518/236571361.html

ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი". თბ., N 11, 2018, გვ: 30-36.

მოსაზრების მართებულობის მტკიცება, რომ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო დაპირისპირებაში სხვა ქვეყნებიდან შესული მებრძოლები მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის სპეცსამსახურების პირდაპირი და ირიბი ხელშეწყობის შედეგი იყო. ცნობილია, რომ "ისლამურ სახელმწიფოში" მოხალისეების ნებაყოფლობითი გადინება ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. 2016 წლის 25 იანვრის მონაცემებით ბელგიიდან გავიდა 440 მებრძოლი, დანიიდან - 100-150, შვედეთიდან - 150-180, საფრანგეთიდან - 1200, ავსტრიიდან - 100-150, ნიდერლანდებიდან - 200-250, ფინეთიდან - 50-70, ნორვეგიიდან - 60, ბრიტანეთიდან - 500-600, ირლანდიიდან - 30, შვეიცარიიდან - 40, ესპანეთიდან - 50-100 და იტალიიდან - 80.[275] გერმანიიდან - 7%-ზე ოდნავ მეტი ერთ მილიონ მოქალაქეზე, კანადიდან - 100, აშშ-დან - 100, სერბეთიდან - 50-70, ბოსნიიდან - 330, უკრაინიდან - 50, ალბანეთიდან - 90, მაკედონიიდან - 12, კოსოვოდან - 100-150, თურქეთიდან - 600, მაროკოდან - 1500, ალჟირიდან - 200, ჩინეთიდან - 300, თუნისიდან - 1500-300, ისრაელ/პალესტინის ტერიტორიიდან - 120, ლიბანიდან - 900, იორდანიიდან - 1500, ბაჰრეინიდან - 12, ეგვიპტიდან - 360, ქუვეითიდან - 70, კატარიდან - 15, არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან - 15, სუდანიდან - 100, იემენიდან - 110, სომალიდან - 70, ყაზახეთიდან - 250, უზბეკეთიდან - 500, ყირგიზეთიდან - 100, თურქმენეთიდან - 360, ტაჯიკეთიდან - 190, ავღანეთიდან - 50, პაკისტანიდან - 500, ავსტრალიიდან - 250, ახალი ზელანდიიდან - 6. საბოლოო ჯამში, უცხოელ მებრძოლთა მეხუთედი დასავლეთ ევროპის ქვეყნებზე მოდიოდა.[276] „ისლამურ სახელმწიფოს" რიგებში საბრძოლველად გადინების სამწუხარო პრაქტიკა დაფიქსირდა საქართველოშიც: 2016

[275] **Christina Capatides.** Which European countries have produced the most ISIS fighters? // *"CBSNEWS",* January 2016, accessed July 5, 2021 at web page https://www.cbsnews.com/news/isis-terror-recruiting-europe-belgium-france-denmark-sweden-germany/

[276] **Louisa Loveluk.** Islamic State: Where do its fighters come from? // *"The Telegraph",* June 2015, accessed July 5, 2021 at web page https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/islamic-state/11660487/Islamic-State-one-year-on-Where-do-its-fighters-come-from.html

ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

წლის აგვისტოს მონაცემებით, საქართველოდან სირიაში სხვადასხვა დროს ასამდე მოქალაქე გავიდა.[277]

თავისთავად, აქვე ჩნდება კითხვა იმის შესახებ, გარდა ზემოთ ხსენებული რეკრუტებისა, რა იყო დანარჩენ გადინებულ მებრძოლთა მთავარი მოტივაცია და რა მეთოდით ახდენდა "ისლამური სახელმწიფო" მათზე გავლენის.

ლონდონის კინგს კოლეჯის ომის კვლევის დეპარტამენტთან არსებული რადიკალიზაციისა და პოლიტიკური ძალადობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის (ICSR) მიერ ჩატარებული კვლევა ამ მხრივ მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ცენტრის მიერ მომზადებული მონაცემთა ბაზა ეყრდნობა 190 უცხოელი მებრძოლის სოციალურ ქსელებში აქტივობის დეტალურ ანალიზს. როგორც აღნიშნულ კვლევაში აღწერილია, „ადვილად ხელმისაწვდომი ციფრული ჩანაწერების მოწონებები „ფეისბუქში" იძლევა ძლიერი სენსიტიური პერსონალური მახასიათებლების - რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებების - ზუსტი და ავტომატური პროგნოზირების საშუალებას."[278] გარდა ამისა, ყურადღება გამახვილებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა კვლევის ობიექტთა წარმომავლობა და მათი რეალური აქტივობა "ისლამური სახელმწიფოს" მიერ კონტროლირებად სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე.

კვლევის თანახმად, არ არსებობს ე.წ. "უცხოელ მებრძოლთა" ზუსტი დეფინიცია და მოყვანილია დევიდ მალეტისა და თომას ჰააგგჰამერის განსაზღვრებები. მალეტი უფრო ზოგად განმარტებას იძლევა და აღნიშნავს, რომ უცხოელ მებრძოლად ითვლება ის პირი, რომელიც არ ცხოვრობს იმ ქვეყანაში, სადაც კონფლიქტს აქვს ადგილი და გარედან უერთდება აჯანყებულებს. ჰაგგჰამერი კი უფრო აზუსტებს და ორ დეფინიციას გვთავაზობს: 1. უერთდება და აქტივობას ეწევა

---

[277] **ლელა კუნჭულია.** ისლამური სახელმწიფოს" ინტერესებს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე შეეწირა. // *„radiotavisufleba",* August 2016, accessed July 5, 2021 at web page https://www.radiotavisupleba.ge/a/siriashi-saqartvelos-kidev-erti-moqalaqe-daigupa/27943656.html

[278] **Michal Kosinski, David Stillwell, Thore Graepel.** (2014) "Private traits and attributes are predictable from digital records of human behaviour. RESEARCH ARTICLE. // *"Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America",* N 15, 2013, გვ. 12. https://www.pnas.org/content/110/15/5802

აჯანყებაში. 2. არ ითვლება იმ ქვეყნის მოქალაქედ, რომლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობს კონფლიქტი და არ გააჩნია ნათესაური კავშირი მონაწილეებთან.[279]

190 "მომხმარებლისგან მონაცემთა ცხრილში დარჩა 121 პირი, რომელთა შორისაც იყვნენ ისეთები, ვის მიერ გავრცელებული ფოტო-ვიდეო მასალებითა და გამოქვეყნებული სიახლეებით, ასევე მეგობრებისა და ნათესავების განცხადებებით დასტურდებოდა მათი ყოფნა სირიის ტერიტორიაზე და აქტივობა სხვადასხვა შეიარაღებულ დაჯგუფებებში. აქტიურ რეჟიმში დამუშავდა 121 პროფილი - 86 „ფეისბუქის" და 35 – „ტვიტერის". სკრუპულოზური ანალიზი კი ჩაუტარდა 114-ს, რადგან დარჩენილი ანგარიშებიდან ნაწილი დაიხურა და შეუძლებელი გახდა ინფორმაციის მოპოვება, ნაწილი კი გაუქმდა. საბოლოოდ, დარჩენილი 114 პროფილიდან "ისლამური სახელმწიფოსადმი" ლოიალურად განწყობილთა რაოდენობა 61,4%-ს შეადგენდა, ჯაბჰათ ალ-ნუსრასი - 17,5%-ს, დანარჩენი დაჯგუფებების მომხრეთა საერთო რაოდენობა 2%-ზე ნაკლები იყო, ხოლო ისეთების, რომელთა მიკუთვნება ვერ ხერხდებოდა რომელიმე ისლამისტურ დაჯგუფებასთან, 19,3%-ს შეადგენდა. მასალაში ეს რაოდენობა ქვეყნების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: 25,4% - დიდი ბრიტანეთიდან, 14% - საფრანგეთიდან, 12,3% - გერმანიიდან, 8,8% - შვედეთიდან, 7% - ნიდერლანდებიდან და 5,3% - ბელგიიდან. დასავლეთ ევროპის ქვეყნების საერთო მაჩვენებელი 6,1%-ს შეადგენდა, არაევროპული დასავლური ქვეყნების (ავსტრალია, კანადა, აშშ) - 7%-ს და გაურკვეველთა ჯამური მაჩვენებელი 13,2% იყო.

ჯიჰადისტები სოციალურ მედიას აქტიურად იყენებენ. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმადე *„ალ-კაიდასთან"* დაკავშირებული დაჯგუფებები მუდმივად ათავსებდნენ ვიდეოებს და პროპაგანდისტულ მიმართვებს ისეთი მედიაკომპანიების მეშვეობით, როგორებიც იყო „ას-საჰაბი" და „ალ-მალაჰიმი".[280] აღნიშნული კვლევის

---

[279] **Joseph A. Carter, Shiraz Maher, Peter R. Neumann.** Measuring Importance and Influence in Syrian Foreign Fighter Networks. // *"International Centre for the Study of Radicalisation and Political Violence",* kings College London., 2014, გვ. 9. Accessed July 5, 2021 at web page https://icsr.info/wp-content/uploads/2014/04/ICSR-Report-Greenbirds-Measuring-Importance-and-Infleunce-in-Syrian-Foreign-Fighter-Networks.pdf

[280] **Joseph A. Carter, Shiraz Maher, Peter R. Neumann**. Measuring Importance and Influence, გვ. 15.
ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი"*, თბ., 2018, გვ. 30-36.

თანახმად, უცხოელ მებრძოლებზე გავლენის მქონე პირებად ითვლებიან ე.წ. "გამავრცელებლები", რომლებიც თავისუფლად ფლობენ არაბულ და ინგლისურ ენებს, მუდმივად ათავსებენ თავიანთ გვერდებზე ვიდეოებს და სხვადასხვა სიახლეს კონფლიქტის ზონიდან.[281]

სირიის კონფლიქტის თავისებურებებზე მსჯელობის დროს დაპირისპირების ზემოთ ხსენებული ინტერნაციონალიზაციის დეტალურად განხილვისას აუცილებლად მიგვაჩნია, შევეხოთ სხვა დაჯგუფებების აქტივობასაც, რომელთა საერთო რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით რამდენიმე ასეულს აღწევს და მათ შესახებ არაერთი კვლევა არსებობს, რაც, თავის მხრივ, დაგვეხმარა, კიდევ უფრო სიღრმისეულად გაგვეშუქებინა ქვეყანაში ისლამური ექსტრემიზმის გამომწვევი მიზეზებიც. ზოგადი მიმოხილვის მიხედვით, კონფლიქტში ჩართული მხარეები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

1. რევოლუციონერები და მათთან ერთად მოქმედი შეიარაღებული დაჯგუფებები.

2. ოპოზიციური ჯგუფები.

3. სხვადასხვა სამთავრობო ძალები და მათდამი ლოიალურად განწყობილი ჯგუფები.

4. უცხოელი მებრძოლებით დაკომპლექტებული ჯიჰადისტური დაჯგუფებები, რომელთა შორისაც იყო *„ალ-კაიდას“* განშტოებებიც.

5. პროსამთავრობო უცხოური შეიარაღებული ჯგუფები (ლიბანის ჰეზბოლა და შიიტური მებრძოლი ჯგუფები ერაყიდან: „ლივა“ „დულფიკარი“, „კუვათ აბუ ფადლ აბასი“, „იმამ ალის ბრიგადის სწრაფი რეაგირების ძალები“, „ბადრის ორგანიზაცია“).[282] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასახელებული კატეგორიების წარმომადგენლებიდან ყველა ერთნაირი ინტენსივობით არ მიმართავდა ტერაქტებს. ის ჯგუფები, რომლებიც დროდადრო მსგავსი აქტივობით გამოირჩეოდნენ და მათ მთავარ მიზანს ასადის რეჟიმის დამხობა წარმოადგენდა, მათ იდეოლოგიაში კი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა რელიგიას, ამის ფონზე მაინც სადავოდ მიგვაჩნია იმის

[281] https://www.state.gov/documents/organization/239631.pdf

[282] **Philip Smyth.** Iran Is Outpacing Assad for Control of Syria's Shia Militias. – *The Washington Institute for Near East Policy,* April 2018, accessed July 5, 2021 at web page https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/iran-outpacing-assad-control-syrias-shia-militias

მტკიცება, რომ მათი ექსტრემისტული აქტივობის ძირითადი მამოძრავებელი წყარო რადიკალური ისლამი იყო, ვინაიდან ქვეყანაში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, რომელსაც თან ერთვოდა ასადების ავტორიტარული რეჟიმის წნეხი და შემდგომში ოპოზიციის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის ხერხები, უბიძგებდა ოპოზიციას ტერორიზმისკენ, საერთაშორისო სამართლის ნორმებით აკრძალული დანაშაულებრივი ქმედებისკენ. ეს კი, ჩვენი აზრით, უფრო ძალადობაზე ძალადობით პასუხი იყო.[283] ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ჩვენი მსჯელობის სიზუსტე, რომელიც ჯინნი შარპის ზემოთ მოყვანილი მოსაზრებითაც მყარდება. ასევე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ ამერიკელი მკვლევრის, ნ. ლივინგსტონის განმარტებით:~, "ტერორიზმის მიზანი უფრო მეტად მდგომარეობს არა განსაზღვრული რეჟიმის ან პოლიტიკური სისტემის დამხობაში, მაშინაც კი, როცა ეს შესაძლებელია, არამედ იმაში, რომ დააშინოს მოწინააღმდეგე, გააკეთოს განცხადება, მიაპყროს ყურადღება რაიმე პრობლემას"."[284]

ამ მხრივ საინტერესოა თვალი გადავავლოთ სირიის სამოქალაქო ომში ჩართულ მრავალ რიცხვოვან დაჯგუფებათა იმ ძირითად ნაწილს, რომლებიც ჩვენი აზრით ყველაზე მეტი აქტივობით გამოირჩეოდნენ და გავიაზროთ მათი მოტივაციები. მოყვანულ დაჯგუფებებს შორის ზოგიერთი ათეულობით მცირე ჯგუფებს აერთიანებდნენ, თითოეული მათგანის მიზანი იყო ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის დამხობა და ამისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიმართავდნენ სხვადასხვა ძალადობრივ აქტებს. თუმცა არსებობდნენ მათგან განსხვავებულებიც. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ ისეთი სისატიკით, როგორც "ისლამური სახელმწიფო" და „ჯაბჰათ ალ-ნუსრა". ზოგი მათგანი კი ერთნაირად ებრძოდა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმსაც და ხსენებულ ორ დაჯგუფებასაც. მაგალითად, "სირიის ისლამური ფრონტი", რომელიც ჩამოყალიბდა 11 ბატალიონის (ლივა ალ-ჰაკი-ჰომსი, ჯაიშ ალ-თავჰიდ-დაირ აზ-ზური, ქათიბ აჰრარ აშ-შამ-მოქმედებდა მთელი ქვეყნის მასშტაბით, ჰარაქათ ალ-ფაჯრ ალ-ისლამია - ალეპოს გარეუბნები, ქათა'იბ ანსარ ალ-შამ - ლატაკიის შემოგარენი, ჯამაა ალ-თალია, ალ-ისლამია -იდლიბის სოფლების ტერიტორიები, დამასკოში ბაზირებული

[283] **Hainan Dukhan, Sinan Hawat.** Caliphates and Islamic Global Politics, გვ. 50.

[284] **გიორგი სანიკიძე, გიული ალასანია, ნანი გელოვანი.** ახლო აღმოსავლეთის ისტორია., გვ. 588.

აჯანყებული ჯგუფები - *„სარაია ალ-მაჰამ ალ-ხასა“, „ქათიბა ალ-ჰამზა ბინ აბ ალ-მუტალიბ“, „ქათიბა სუქურ“, „ალ-ისლამ“, „ქათაიბ ალ-იმან“, „ალ-მუკათილას“*) გაერთიანების საფუძველზე. „სირიის ისლამური ფრონტი“, როგორც სხვა ზემოთ აღწერილი დაჯგუფებები, მიზნად ისახავდა ისლამური სახელმწიფოს დაარსებას და ქვეყანაში დასავლეთისა და აშშ-ის ინტერვენციისთვის წინააღმდეგობის გაწევას.[285]

“ჯაბჰათ ალ-ნუსრა” - ამ ორგანიზაციის მთავარი მიზანი იყო ასადის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა, ხოლო მთავარი იდეოლოგია კი შარიათზე დაფუძნებული მმართველობის დამყარება მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე სირიაში. “ისლამური სახელმწიფოს” მსგავსად, ეფუძნებოდა აბუ მუსაბ აზ-ზარკავის ქსელს, შემდგომში კი მჭიდრო კონტაქტი დაამყარა ალ-კაიდასთან. მისი ძირითადი ფრთა, მაჯლის შურა ალ-მუჯაჰიდინ (მოჯაჰედთა სათათბირო საბჭო) წარმოადგენდა დაჯგუფების უმაღლეს ორგანოს. ისინი ძირითადად დაკავებული იყვნენ იარაღის კონტრაბანდით და შეგროვებით ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე, წევრების რელიგიური იდეოლოგიით დამუშავებით, ახალი წევრების რეკრუტირებითა და წვრთნებით, ინფორმაციის შეგროვებით და ა.შ. მათი შტაბბინა მდებარეობდა დეირ აზ-ზურში, სირიის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც ამ ქვეყნის სიდიდით მეექვსე პროვინციაა. აღნიშნული დაჯგუფება იყო პირველი, რომელმაც პასუხისმგებლობა აიღო 2012 წლის 6 იანვარს თვითმკვლელი ტერორისტის მიერ დამასკოში უსაფრთხოების ძალების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტზე. ასევე იმავე წლის 10 თებერვალს ალეპოში მომხდარ აფეთქებაზეც.[286]

2016 წელს „ჯაბჰათ ალ-ნუსრა“ გამოეყო ალ-კაიდას და მისმა ლიდერმა აჰმად ჰუსაინ აშ-შარʿიმ, რომელიც ასევე ცნობბილია აბუ მუჰამმად ალ-ჯულანის (გოლანელი) საბრძოლო სახელით, განაცხადა, რომ მისი ორგანიზაციის ახალი სახელი ჯაბჰათ ფატაჰ აშ-შამი იქნებოდა, რომელსაც საბოლოოდ 2017 წლიდან ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი ეწოდა. დაჯგუფება დომინანტი ისლამისტური ძალა გახდა სირიაში, რომელიც მიზნად ისახავს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმთან ბრძოლას და მის ჩანაცვლებას ისლამური სახელმწიფოს ჩამოყალიბებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2018

[285] Leading Syrian rebel groups form new Islamic Front. // “BBC”, November 2013, accessed July 5, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-middle-east-25053525
[286] Al Nusrah Front claims 3 more suicide attacks in Daraa. // *“BBC”,* April 2013, accessed July 5, 2021 at web page https://www.bbc.com/news/world-middle-east-18048033

წელს ჰაიათ თაჰრირ აშ-შამი ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეიყვანა. ამ უკანასკნელის კონტროლის ქვეშ მოექცა იდლიბის პროვინციის ტეროტორიების უმრავლესობა ჩრდილოეთ სირიაში. აღნიშნული დაჯგუფება 2022 წლის ოქტომბერში ქურთული უმრავლესობით დასახლებულ ქალაქ აფრინში შევიდა ტერიტორიაზე თავის დამკვიდრებისა და ადგილზე გამაგრების მიზნით. აფრინი 2018 წლიდან თურქეთის მიერ მხარდაჭერილი დაჯგუფებების კონტროლის ქვეშ მოექცა, მას შემდეგ რაც თურქეთმა თავის მხრიდან ტერორისტებად მიჩნეული სირიელი ქურთების ძალები განდევნა. 2022 წლის ოქტომბრის მონაცემებით, შეტაკებებმა იფეთქა ჰაიათ თაჰრირ აშ-შამსა და თურქეთის მიერ მხარდაჭერილი სირიის ეროვნული არმიის (სირიის თავისუფალი არმია) ქოლგის ქვეშ მებრძოლ დაჯგუფებებს შორის. თავის მხრივ სირიის ეროვნული არმია ორად გაიყო, ერთი ნაწილი აბუ მუჰამმად ალ-ჯულანის მიემხრო, მეორე კი თაჰრირ აშ-შამის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდა. შექმნილი სიტუცია საკმაოდ ქაოსური და არაპროგნოზირებადი იყო 2022 წლის ოქტომბერ-ნოემმბერში, ვინაიდან ანალიტიკოსთა ნაწილი თაჰრირ აშ-შამს ყველაზე რადიკალაურ დაჯგუფებად თვლიდა მათ შორის, რომლებიც 2018 წლიდან ოპერირებდნენ აფრინში.[287]

ისლამური ფრონტი "დამოუკიდებელი პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური ფორმირება" - იბრძოდა ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ და სირიაში ისლამური სახელმწიფოს დასაფუძნებლად.[288] დაჯგუფება უარყოფდა სეკულარულ და დასავლურ ფასეულობებზე დამყარებულ მმართველობის ყველანაირ ფორმას. მათი იდეოლოგიის მიხედვით, ხელისუფლების ერთადერთი მისაღები ფორმა იყო შარიათის მიხედვით მართული ისლამური სახელმწიფო. "ისლამური ფრონტის" მმართველ ბირთვს შეადგენდა შურა და მათ ძირითად მიზანს

---

[287] **Christopher Solomon.** HTS: Evolution of a Jihadi Group. // *„wilsoncenter.org",* 13 July, 2022, accessed November 28, 2022 at web page https://www.wilsoncenter.org/article/hts-evolution-jihadist-group
Syrian Nusra Front announces split from al-Qaeda. // *"BBC.com",* 29 July 2016, accessed November 28, 2022 at web page https://www.bbc.com/news/world-middle-east-36916606
Sirwan Kajjo. Jihadist Group Takes Over Strategic Town in Northwest Syria. // *"voanews.com",* 13 October 2022, accessed at web page https://www.voanews.com/a/jihadist-group-takes-over-strategic-town-in-northwest-syria/6788541.html
[288] Charter of the Syrian Islamic Front. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER,* February 2013, accessed July 5, 2021 at web page https://carnegie-mec.org/diwan/50831?lang=en

წარმოადგენდა რევოლუცია ასადის რეჟიმთან ყოველგვარი პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოლაპარაკებების გარეშე.

"ჰარაქათ აჰრარ აშ-შამ ალ-ისლამიდა" - ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სალაფიტური დაჯგუფება. მათი მთავარი მიზანი იყო ბაშარ ალ-ასადის სეკულარული, ბაასისტური რეჟიმის დამხობა და ისლამური სახელმწიფოს შექმნა.[289] აღნიშნული დაჯგუფება შეიქმნა იდლიბში, 2011 წლის ბოლოს და ასევე გააჩნდა შტაბბინები ჰამასა და ალეპოში. ორგანიზაციას ჰქონდა დისციპლინირებული და კარგად ორგანიზებული დაჯგუფების რეპუტაცია, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სირიის სამოქალაქო დაპირისპირებაში ძალთა ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით. მის რიგებში შედიოდნენ 2011 წელს სეიდნაიასა და დამასკოს ციხეებიდან ამნისტირებული ისლამისტები. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დაჯგუფების ყველაზე გავლენიანი წევრი იყო აბუ ხალიდ ას-სური, აიმან აზ-ზავაჰირის წარმომადგენელი აღმოსავლეთში და ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა *„ალ-კაიდაში".*[290]

„ლივაʿ ალ-ჰაკი" („ლივაʿ ჯუნუდ ალ-ჰაკ") - 2012 წელს ჰომსში შექმნილი ისლამისტური დაჯგუფება. ამავე ტერიტორიაზე ოპერირებდა ქვეყნის პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის წინააღმდეგ. აღნიშნული ორგანიზაცია, მართალია, ისლამისტური იდეოლოგიის მატარებელი იყო, მაგრამ არა სალაფიტური და აერთიანებდა სხვადასხვა დაჯგუფებას.

„სირიის რევოლუციური ფრონტი/სირიელ რევოლუციონერთა ფრონტი", იგივე "სირიული აჯანყებული ფრონტი" - შეიქმნა 2013 წლის დეკემბერში "სირიის ისლამური ფრონტის საპასუხოდ" და მათი მიზანი იყო სწრაფად მზარდი სალაფიტური და რადიკალიზებული დაჯგუფებების გავლენის შეკავება. სრფ სხვათა მსგავსად, 14 დაჯგუფების გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა, რომელშიც შედიოდა

---

[289] **Elizabeth O'Bagy.** Jihad in Syria. // *"MIDDLE EAST SECURITY REPORT 6",* Institute for the Study of War, 2012. Accessed July 5, 2021 at web page http://www.understandingwar.org/sites/default/files/Jihad-In-Syria-17SEPT.pdf

[290] **Aron Lund.** Who and What Was Abu Khalid al-Suri? – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER,* February 2014, accessed July 5, 2021 at web page http://carnegie-mec.org/diwan/54618

ს. გურეშიძე. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., N 11, 2018, გვ. 30-36. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

სეკულარული სირიული ბრიგადები.[291] უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სრფ-მ ცნო სირიაში კონფლიქტის გადაწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისთვის 2014 წლის 10-15 თებერვალს გამართულ ჟენევის II კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმებები.

სირიის ისლამური ფრონტი *(„ალ-ჯაბჰათ“, „ალ-ისლამია“, „ას-სურია“)* - ასევე შეიქმნა რამდენიმე დაჯგუფების შერწყმის შედეგად 2012 წლის დეკემბერში და დაიშალა ერთი წლის შემდეგ. აღნიშნული დაჯგუფება ნაკლებად ექსტრემისტული იყო "ისლამურ სახელმწიფოსთან" და *"ჯაბჰათ ალ-ნუსრასთან"* შედარებით. მის მთავარ მიზანსა და ამოცანას წარმოადგენდა ისლამური სახელმწიფოს დაარსება სირიაში. ეს ორგანიზაციაც ეწინააღმდეგებოდა დასავლეთის, კონკრეტულად, აშშ-ის ინტერვენციას ქვეყანაში. „The Washington Post-ში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი სტატიის თანახმად, სიფ-ი სარგებლობდა უბრალო სირიელი სუნიტი მოსახლეობის მხარდაჭერით, რომელთაც ნაკლები სიმპათიები გააჩნდათ სხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების მიმართ.

„ლივა' ათ-თავჰიდი“, იგივე თავჰიდის ბრიგადა - შეიქმნა 2012 წელს. მათ მიზანსაც ბაშარ ალ ასადის ხელისუფლების დამხობა წარმოადგენდა და ძირითადი სამოქმედო არეალი იყო ქალაქი ალეპო. დაჯგუფებას გააჩნდა 25-მდე განშტოება და იღებდა ფინანსურ დახმარებას კატარისგან. 2013 წელს "ლივა᾽ ალ-თავჰიდი" შეუერთდა "სირიის ისლამური გათავისუფლების ფრონტს."

„ლივა᾽ ალ-ჰაკი“ - ჩამოყალიბდა 2012 წელს ბაშარ ალ-ასადის ბაასისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. დაჯგუფება თავის თავს ისლამისტური, მაგრამ არა სალაფიტური იდეოლოგიის მიმდევრად მიიჩნევდა. 2015 წლის დეკემბრიდან გაეროს უშიშროების საბჭო ცდილობდა, დაჯგუფება ტერორისტული ორგანიზაციების სიაში შეეყვანა. გადაწყვეტილებას მხარს უჭერდნენ არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ლიბანი და ერაყი, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მაინც ვერ მოხერხდა.

"ჯაიშ ალ-ისლამი" - მათი ძირითადი სამოქმედო არეალი იყო დამასკოს შემოგარენი, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ ღუტა, ასევე დუმას რეგიონი. "ჯაიშ ალ-

---

[291] **Aaron Lund.** The Syria Revolutionaries' Front. – *MALCOLM h. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER,* December 2013, accessed July 5, 2021 at web page https://carnegie-mec.org/diwan/53910?lang=en
ს. გურესიძე. სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები. // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“*. თბ., 2018, გვ. 36-41. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

ისლამი” ჩამოყალიბდა 50-მდე სხვადასხვა დაჯგუფების ბაზაზე, რომელთა შორისაც იყვნენ „ლივა᾽ აშ-შამ“, „ლივა᾽ თავჰიდ ალ-ისლამ“, „ლივა᾽ ალ-ანსარ“, „ლივა᾽ ფატაჰ აშ-შამ“. აღნიშნულმა დაჯგუფებამ აიღო პასუხისმგებლობა დამასკოში 2012 წლის 18 ივლისს განხორციელებულ თავდასხმაზე, რომელსაც ემსხვერპლა თავდაცვის მინისტრის მოადგილე ასიფ შავქათი (პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის სიძე), თავდაცვის მინისტრი დაუდ რაჯიჰა და ვიცე-პრეზიდენტი ჰასან თურქმანი. სხვადასხვა წყაროს თანახმად მიიჩნევა, რომ ორგანიზაციას მნიშვნელოვანი ფინანსური და სამხედრო მხარდაჭერა გააჩნდა საუდის არაბეთიდან.[292]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მკვლევართა ნაწილის აზრით, სირიის კონფლიქტის გაღვივებას ხელს უწყობდა არა მხოლოდ ექსტრემისტულად განწყობილი მებრძოლების რეკრუტირება რუსეთიდან, თუნისისიდან და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ქვეყნებიდან, არამედ საუდის არაბეთის კონფლიქტში ჩართულობაც. საინტერესო დეტალებს გადმოგვცემს პატრიკ კოკბერნი წიგნში: “The Jihadis Return-ISIS AND THE NEW SUNNI UPRISING“: სირიასა და ერაყში შეიარაღებული ოპოზიციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ “წმინდა ომის” მიმდევარი სალაფიტი მებრძოლები. ისინი ხოცავდნენ არასუნიტ მძღოლებს დამასკო-ბაღდადის გზაზე, რაც ძალზე ჩვეულებრივ ქმედებად ითვლებოდა. კოკბერნის მოსაზრებით, დასავლური ქვეყნების ხელისუფლებებს, შესაძლოა, მაინცდამაინც არ აღელვებდათ რამდენი შიიტი დაიღუპებოდა სირიაში, ერაყსა თუ პაკისტანში, მაგრამ ისინი ხედავდნენ, რომ სუნიტურ მოძრაობებს რომელთაც იგივე იდეოლოგია გააჩნიათ, რაც „ალ-კაიდას“, ჰქონდათ იმაზე დიდი ბაზები სირიასა და ერაყში, ვიდრე 9/11-ის ტერაქტამდე გააჩნდათ ავღანეთში და ემორჩილებოდნენ მოძრაობა ტალიბანს. 2013 წლის დეკემბრის შემდეგ, როდესაც სუნიტმა ჯიჰადისტებმა ხელში ჩაიგდეს დიდძალი იარაღი სამხედრო ბაზებზე თავდასხმის შემდეგ და დახოცეს თავიანთი მეთაურები, იმის მტკიცება, რომ ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ სეკულარული ძალები იბრძოდნენ სირიის თავისუფალი არმიის სახით, ერთბაშად ჩამოიშალა. საუდის

[292] **Majid Rafizadeh.** The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy University of South Florida, 2014, Accessed July 4, 2021 at web page http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7008&context=etd გვ. 58-72. http://scholarcommons.usf.edu/cgi/viewcontent.cgi?article=7008&context=etd
ს. გურესიძე. სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები. // „თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“. თბ., 2018, გვ. 36-41. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

არაბეთი ჯიჰადისტთა აქტივობის ეპიცენტრში აღმოჩნდა. 2013 წლის ზაფხულში კატარი ითვლებოდა აღნიშნული დაჯგუფებების მთავარ ფინანსურ წყაროდ. საუდის არაბეთის ჩართულობა უფრო გრძელვადიანი და ღრმა იყო, რადგან ფინანსური მხარდაჭერის გარდა, ამ ქვეყნიდან მებრძოლების ძალზე დიდი რაოდენობა ჩავიდა სირიაში. სასულიერო პირები საუდიეს არაეთიდან აქტიურად მოუწოდებდნენ ცალკეულ მოხალისეებსა და ასევე სახელმწიფოებსაც ასადის რეჟიმის წინააღმდეგ შეიარაღებული ინტერვენციის განხორციელებისკენ.

ვაჰაბიზმი - ისლამის პურიტანული საუდური ვერსია, რომელსაც ცნობს მხოლოდ ამ ქვეყნის საგანმანათლებლო და სასამართლო სისტემა. ცოტათი თუ განსხვავდება „ალ-კაიდას“ ან სხვა სალაფიტური დაჯგუფებების იდეოლოგიისგან მთელს ახლო აღმოსავლეთში. ვაჰაბიზმი მთლიანად უარყოფს ისლამური ღვთისმსახურების სხვა გამოხატულებებს და ასევე არაისლამურ შეხედულებებს. შიიზმს აღიქვამს ერესად ისევე, როგორც რომაელ კათოლიკეებს სძულდათ პროტესტანტები რეფორმაციულ ევროპაში და ცდილობდნენ მათ განდევნას. არავითარ ეჭვს არ იწვევს ის, რომ გაძლიერებულმა ვაჰაბიტურმა პროპაგანდამ გააღრმავა სუნიტურ-შიიტური დაპირისპირება. 2013 წლის ევროპარლამენტის გენერალური დირექტორატის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში “აჯანყებული ჯგუფების დახმარებასა და მომარაგებაში სალაფიტების/ვაჰაბიტების ჩართულობა მსოფლიო მასშტაბით” იწყება შემდეგი სიტყვებით: “1980-იანი წლებიდან საუდის არაბეთი ითვლება აჯანყებული და ტერორისტული ორგანიზაციების მთავარ ფინანსურ წყაროდ”. იქვე ნახსენებია ისიც, რომ ამ ქვეყანამ გამოყო 10 მილიარდი დოლარი (6 მილიარდი ფუნტ სტერლინგი) ვაჰაბიტური ზრახვების განსახორციელებლად და ამით პროგნოზირებენ ჯიჰადისტთა რაოდენობის ზრდას.

საუდის არაბეთის ანტიშიიტური პოზიციის ფესვები მოდის ჯერ კიდევ XVIII საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ვაჰაბიტებსა და ქვეყნის მმართველ ოჯახს შორის ალიანსი ჩამოყალიბდა, მაგრამ ჯიჰადისტების პოლიტიკურ მოთამაშეებად ქცევის ზუსტი თარიღია 1979 წელი, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი შეიჭრა ავღანეთში და ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია, რასაც აიათოლა ხომეინის მიერ შიიტური

თეოკრატიის დამყარება მოჰყვა.[293]

პატრიკ კოკბერნის ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, რომ პირველ ნაწილში ავტორის მიერ მოყვანილი შედარება რომაელი კათოლიკეების და პროტესტანტების ურთიერთობის შესახებ და სუნიტურ-შიიტური დაპირისპირება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულია და რეალობისგან შორსაა. ჩვენთვის, განსაკუთრებით სხვადასხვა მასალის გაცნობის შემდეგ, უფრო მისაღებია ის აზრი, რომ სუნიტურ და შიიტურ ფუნდამენტალიზმს საკმაოდ მრავალი საერთო შტრიხები გააჩნია, გამოვყოფთ შემდგომ გარემეობებს: შიიტი მუჰამმად ბაქირ ალ-სადრი, რომელიც თავის დროზე იყო ერაყში არსებული დღემდე გავლენიანი პარტიის „ისლამური მოწოდების“ *(„და'ვა ალ-ისლამის“)* ფუძემდებელი, ირანის ისლამური რევოლუციის შემდგომ ისლამური ხელისუფლებისთვის შემუშავებული ახალი კონსტიტუციის ვერსიის ავტორი, შთაგონებული იყო სუნიტი ფუნდამენტალისტის და სუნიტური ეგვიპტური რადიკალური ასოციაციის „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგის, პაკისტანელი აბულ ალა-მავდუდის თეორიით. იგი ასევე იყო ირანის დროებითი მთავრობის მიერ უხუცესი რელიგიური პირებისთვის წარდგენილი ისლამური სახელმწიფოს სტრუქტურის პროექტის ავტორიც. აღსანიშნავია, რომ ოდნავ მოგვიანებით, ირანის საკონსტიტუციო ექსპერტთა ასამბლეის ვიცე პრეზიდენტმა მოჰამმად ბეჰეშთიმ, მცირე ცვლილებების შეტანის შემდეგ, სადრის მიერ მომზადებული პროექტი დაამტკიცებინა ასამბლეას. ხოლო ირანის უმაღლესი სასულიერო ლიდერ აიათოლა ალი ხამენეის სპარსულ ენაზე აქვს ნათარგმნი „მუსლიმი ძმების“ ერთ-ერთი აქტიური წევრისა და თეორიტიკოსის, საიდ კუტბის ნაშრომები და საკმაოდ დადებითად აფასებს მის მოსაზრებებს.[294] კოკბერნის მოსაზრების ბოლო ნაწილი კიდევ ერთხელ გვიმყარებს ჩვენს შეხედულებას იმის შეახებ, რომ დაპირისპირებას უფრო პოლიტიკური სარჩული ედო, ვიდრე რელიგიური.

აღწერილი პროცესების და სირიაში დაწყებული სამოქალაქო დაპირისპირების საბოლოო სურათის შესაჯამებლისთვის, ამჯერად ყურადღებას იპყრობს პატრიკ

[293] **Patrick Cockburn.** The Jihadis Return, გვ. 55.
[294] **Ali Mamouri.** The Roots of Radicalism in Political Islam. – Al-Monitor, October 2013, accessed July 3, 2021 at web page
https://www.al-monitor.com/originals/2013/10/radicalism-political-islam-roots-sunni-shiite-fundamentalist.html

კოკბერნის მეორე წიგნი: “The Age of Jihad-Ilsmaic State and the great war for the Middle East“, სადაც იგი, მართალია, “ისლამური სახელმწიფოს” რიგებში სადამ ჰუსაინის „ბაასის პარტიის“ წევრთა აქტივობას და ამავე ორგანიზაციის სადამის სპეცსამსახურების მიერ გაძლიერების შესახებ კონსპირაციულ თეორიებს საკითხისადმი მარტივ მიდგომად აფასებს, თუმცა, ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მსგავსად, აღნიშნული ავტორიც ანალოგიურად დასძენს, რომ ბაშარის რეჟიმისთვის პოლიტიკურად და არა სამხედრო თვალსაზრისით, გაცილებით იოლი და მომგებიანი იყო, თუკი დაპირისპირება ექნებოდა ჯიჰადის მიმდევარ სუნიტებთან, რომლებიც ერთდროულად ატერორებდნენ სირიელ მოქალაქეებს, აშშ-ს და სხვა დასავლურ ქვეყნებს. მისთვის და ასევე ჩვენთვისაც, აღნიშნული კონფლიქტის ყველაზე მისაღები მსჯელობა ენტონი კორდესმანის განმარტებაშია: “ერთ-ერთი პრობლემა არის ის, რომ ჩვენ ვცდილობთ, შექმნილი სიტუაცია აღვიქვათ შავ ან თეთრ ფერებში, სინამდვილეში კი ეს არის სამგნზომილებიანი საჭადრაკო დაფა, რომელსაც 9 მოთამაშე თამაშობს ყოველგვარი წესების გარეშე”. კოკბერნი, ლითელის მსგავსად, საინტერესო პარალელს ავლებს 1999 და 2001 წლებში ჩეჩნეთში განვითარებულ მოვლენებთან. ეს ჩვენთვის იმით არის საინტერესო, რომ საკითხით დაინტერესებული და ცხელი წერტილების ეპიცენტრებიდან მრავალი წლის განმავლობაში მომუშავე მეორე მკვლევრის აზრიც იმეორებს ზემოთ ხსენებულ შედარებას ჩეჩნეთში განვითარებულ პერიპეტიებთან. სწორედ ზემოთ აღნიშნულ წლებში იმყოფებოდა იგი კორესპონდენტად ჩეჩნეთის მეორე ომის დასაწყისში დედაქალაქ გროზნოში. სხვა ჟურნალისტებთან ერთად მოათავსეს ძველ სამხედრო ყაზარმაში, სანამ შეახვედრებდნენ პრეზიდენტ მასხადოვს. კოკბერნის გადმოცემით, მას, მართალია, ეშინოდა რუსული ავიაგამანდგურებლების, მაგრამ არანაკლებად ეშინოდა პრეზიდენტის დაცვის წევრებისაც, რადგან სავსებით შესაძლებელი იყო, ჟურნალისტები, მისი ჩათვლით, სწორედ ამ დაცვის წევრებს გაეტაცებინათ.

იმ პერიოდისთვის ჩეჩნეთი იყო ადამიანთა გატაცების ე.წ. “მსოფლიო დედაქალაქი”, სადაც სოფლის მოსახლეობა დამატებით შემოსავალს იღებდა გატაცებული ადამიანების გამოსასყიდის მიღებამდე მოსათავსებელი ფართების გაქირავებით. ავტორი თვლიდა, რომ იმ დროისთვის ეს იყო პოსტ-კომუნისტურ

ჩეჩნეთში ამ ქვეყნის განგსტერების ძირითადი საქმიანობა, მაგრამ დროთა განმავლობაში დარწმუნდა იმაშიც, რომ მმართველი ელიტებისაც, რომლებიც ცდილობდნენ სტატუს-კვოს შენარჩუნებას და მათ წინააღმდეგ მებრძოლი დაჯგუფებების კრიმინალიზაცია იყო მის მიერ აღწერილი ყველა კონფლიქტის საერთო ხასიათი. შემდეგ ავტორი პარალელს ავლებს 2014 წლამდე ერაყის არმიაში არსებულ სიტუაციაზე, სადაც ოფიცრების დიდმა ნაწილმა თანამდებობა ფულით იყიდა და შემდგომ, კორუფციაში ჩაფლულები, გულგრილად ეკიდებოდნენ მათზე დაკისრებულ ამოცანებს, რამაც საბოლოოდ განაპირობა მათი მარცხი "ისლამურ სახელმწიფოსთან".[295]

ამ შემთხვევაში კოკბერნის მსჯელობა არ არის საფუძველს მოკლებული. გამოიკვეთა "ისლამური სახელმწიფოს", რუსეთისა და ბაშარ ალ-ასადის კორუფციული სქემის სამკუთხედი. აშშ-ის სპეცდანიშნულების ძალების მიერ დეირ აზ-ზურში მოკლული "ისლამური სახელმწიფოს" "ნავთობის მინისტრის", აბუ საიაფის მკვლელობის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ იგი წარმატებულ მოლაპარაკებებს მართავდა ასადის რეჟიმთან რათა ის-ს დაუბრკოლებლად გაეტარებინა სპეციალური მანქანები და მილები რეჟიმის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიებიდან მათ მიერ კონტროლირებად არეალზე, რასაც ამ ორგანიზაციისთვის ყოველთვიურად 40 მილიონ დოლარამდე მოგება მოჰქონდა.[296] აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება იმითაც, რომ სირიელი-რუსი ბიზნესმენის, ჯორჯ ჰასუანის წინააღმდეგ შეერთებულმა შტატებმა სანქციები დააწესა, რადგან სწორედ ეს პიროვნება ასრულებდა შუამავლის როლს "ისლამურ სახელმწიფოსა" და ასადის რეჟიმს შორის. გაზის სანაცვლოდ სირიის ხელისუფლება ელექტროენერგიით ამარაგებდა ის-ის მიერ კონრტოლირებად ტერიტორიებს, ხოლო მათგან იაფად შეძენილ ნავთობს ასევე იაფად ყიდდა მოსახლეობაში, რითიც რეჟიმი მათი გულის მოგებას ცდილობდა. აღნიშნულ საკითხს „Busines Insider-თან", „Wall Street Journal-

---

[295] **Patrick Cockburn.** The Age of Jihan-Ilsmaic State and the great war for the Middle East. NY: Verso, 2016, გვ. 431-432.
რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი, გვ. 153.
ს. გურესიძე. სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები. // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი".* თბ., 2018, გვ. 36-41. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf
[296] **Mohammed Nuruzzaman.** Caliphates and Islamic Global Politics, გვ. 74-75.
რევაზ გაჩეჩილაძე. ახლო აღმოსავლეთი, გვ. 154.

თან“, „Guardian-თან“, „independent-თან“, „Reuters-თან“ და „Financial times-თან“ ერთად გამოცემა „Foerign Policy-მაც“ მიუძღვნა სტატია სათაურით: “რატომ მუშაობენ რუსი ინჟინრები “ისლამური სახელმწიფოს” მიერ კონტროლირებად გაზის საბადოზე სირიაში”. ის-ის ყოფილი დეფაქტო დედაქალაქიდან, რაკადან 60 მილის დაშორებით არსებობს ტუევინის უმსხვილესი გაზის საბადო, რომელიც თავის დროზე ააშენა კომპანია “სტროიტრანსგაზმა” და ეკუთვნის რუს მილიარდელ გენადი ტიმჩენკოს და იგი ითვლებოდა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან დაახლოებულ პირად. აღნიშნული კომპანიის წინააღმდეგ აშშ-მ სანქციები დააწესა რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ცნობილი მოვლენების შემდეგ. იმავე სტატიის თანახმად, ასადის რეჟიმი, სირიელი-რუსი ბიზნესმენი, “ისლამური სახელმწიფო” და სირიის ზომიერი ოპოზიცია ცდილობდნენ აღნიშნული საბადოს ამუშავებას თავიანთი ფინანსური და ლოგისტიკური ბენეფიტების მიღების მიზნით. ზემოთ ხსენებული ჯორჯ ჰასუანის კომპანია „Hesco-სა“ და “სტროიტრანსგაზს” თანამშრომლობის ხანგრძლივი ისტორია აკავშირებთ სუდანში, ალჟირში, ერაყსა და არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში 2000 წლიდან, ხოლო მისი სიძე, უსეფ აბრაში უძღვება „Hesco-ს“ მოსკოვის ოფისს. საბადოზე კონტროლი 2014 წლიდან “ისლამურმა სახელმწიფომ” დააწესა და შემდეგ მათ ნება დართეს რუს ინჟინრებს ობიექტზე სამუშაოების შესრულებაზე - განუცხადა გამოცემას ერთ-ერთმა თურქმა მაღალჩინოსანმა, რომლის ვინაობაც სტატიაში დაკონკრეტებული არ არის. თავის მხრივ, ჰასუანიმ უარყო შუამავლობა ის-სა და ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს შორის, მაგრამ არ უარუყვია ის ფაქტი, რომ მისი კომპანია აგრძელებდა მუშაობას საბადოზე მას შემდეგ, რაც ტერიტორია აღნიშნულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ დაიკავა.

ობიექტური დასკვნის გამოტანისთვის აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ კარნეგის ცენტრის საერთაშორისო მშვიდობის ვებგვერდის რედაქტორის, არონ ლანდის განცხადება, რომლის თანახმად, მსგავსი ურთიერთობები ენერგორესურსების გადანაწილების საკითხებში არსებობდა როგორც შეიარაღებულ დაჯგუფებებს და კონტრაბანდისტებს, ისე კერძო ბიზნესმენებს შორის, ხოლო მხარეებს წარმოადგენდნენ „ისლამური სახელმწიფო” და რეჟიმი, ასევე “ის” და

სუნიტი აჯანყებული დაჯფგუფებები,[297] ქურთები და რეჟიმი, ქურთები და აჯანყებულები, აჯანყებულები და რეჟიმი და ა.შ.” ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „The Guardian-ზე“ მომუშავე მარტინ ჩულოვმა 2015 წლის ივლისში გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ენერგორესურსებით ვაჭრობის საკითხთან დაკავშირებით არსებობდა დოკუმენტები თურქეთისა და ის-ის კავშირების შესახებ.[298]

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ არონ ლანდის მიერ გაკეთებული განცხადება კონტრაბანდისტებისა და კერძო ბიზნესმენების, ასევე სხვადასხვა ექსტრემისტული დაჯგუფებების ინტერესებს გულისხმობს და სირიის ენერგორესურსებით ვაჭრობა, გარდა აღნიშნული მცირე ჯგუფებისა, არცერთი სახელმწიფოს ინტერესებში არ შედიოდა, ვინაიდან სირიის ნავთობი, როგორც პროდუქცია ძალზე დაბალი ხარისხისაა,[299] ხოლო სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ აღნიშნული წიაღისეულის მოპოვების რაოდენობა (რომელიც თავის დროზეც მხოლოდ ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგებას ძლივს ჰყოფნიდა) კიდევ უფრო შემცირდა და გარდა გარკვეული ვიწრო ჯგუფებისა, ვერცერთ კონფლიქტში გარედან ჩართულ სახელმწიფოს ვერ მოუტანდა ეკონომიკურ სარგებელს.

---

[297] **Hainan Dukhan, Sinan Hawat.** Caliphates and Islamic Global Politics, გვ. 51.

[298] **Natasha Bertrand.** We just got the clearest sign yet that the Assad regime helped make ISIS very, very rich. // *“Business Insider”,* April 2016, accessed July 5, 2021 at web page https://www.businessinsider.com/assad-oil-isis-2016-4

Bethan McKernana. Isis ramping up oil sales to Bashar al-Assad's Syrian regime, say Western officials. // *“INDEPENDENT”*, February 2017, accessed July 5, 2021 at web page https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/western-officials-say-syrian-regime-assad-buying-more-oil-gas-isis-a7537851.html

Caren Kenar, Ragip Soylu. Why Are Russian Engineers Working at an Islamic State-Controlled Gas Plant in Syria? – *Foreign Policy,* February 2016, accessed July 5, 2021 at web page https://foreignpolicy.com/2016/02/09/why-are-russian-engineers-working-at-an-islamic-state-controlled-gas-plant-in-syria/

EU targets Syrian middleman it says bought oil from Islamic State. // *“REUTERS”,* March 2015, accessed July 5, 2021 at web page https://www.reuters.com/article/syria-crisis-eu/eu-targets-syrian-middleman-it-says-bought-oil-from-islamic-state-idUSL5N0WA05R20150308

Raymond Hinnebusch, Tina Zintl. Syria from Reform to Revolt, Volume 1. E-book at Google Books https://books.google.com.lb/books?id=NObqBQAAQBAJ&printsec=frontcover&hl=fr#v=onepage&q&f=false

ს. გურესიძე. სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები. // *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“*. თბ., 2018, გვ. 36-41. Accessed July 15, 2021 at web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf

[299] **რევაზ გაჩეჩილაძე.** ახლო აღმოსავლეთი, გვ. 145-146.

3.4. სირიის შეიარაღებული ძალების როლი მმართველი ალავიტური რეჟიმის შენარჩუნებაში

ამ თავში ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თუკი თუნისში რეჟიმის ბედი დეპოლიტიზირებულმა სამხედროებმა გადაწყვიტეს და შემდეგ ბოლო პრეზიდენტის ავტოკრატიული რეჟიმის დამყარების საწყის ეტაპს მხარი დაუჭირეს, ხოლო ეგვიპტეში სამხედრო კასტის ერთსულოვნებამ, რაც ჰუსნი მუბარაქის შვილის, გამალ მუბარაქის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავებაში ხელის შეშლით გამოიხატებოდა, სირიაში სწორედ სამხედროებს შორის არსებულმა აზრთა სხვადასხვაობამ გამოიწვია სამოქალაქო ომის გახანგრძლივება და გარკვეულწილად ჯიჰადისტური ორგანიზაციების გაძლიერებაც. სამხედროების ძირითადი ბაასისტურ-ალავიტური ნაწილი პრეზიდენტის ერთგული დარჩა, ხოლო გარკვეული ნაწილი აჯანყებულების მხარეს გადავიდა, რამაც კიდევ უფრო დახლიჩა სირიის საზოგადოების სხვადასხვა ფენები. მიგვაჩნია, რომ მიუხედავად უაღრესი ავტოკრატიული მმართველობის სტილისა და მკაცრი სახელისუფლებო ვერტიკალის პირობებში სამხედროებს მართლაც ჰქონდათ გავლენა ჯერ კიდევ ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდიდან. აღვნიშნავთ, რომ ამ მოსაზრებას ამყარებს შემდეგი ფაქტები: ქვეყნის პრეზიდენტი, მიუხედავად მისი უზარმაზარი გავლენისა და სახელისუფლებო ბერკეტების ფლობისა, სამხედრო ელიტის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ თავისუფლად მოქმედებას მუდმივად ვერ ახერხებდა.[300] ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია თავის დროზე სამხედროების ზეწოლის შედეგად ჰაფიზ ალ-ასადის ძმის, რიფათის თანამდებობიდან გათავისუფლება და საფრანგეთში დროებით "საცხოვრებლად გაგზავნა".[301] ჰაფიზ ალ-ასადის უახლოესი სამხედრო გარემოცვა რიფათს ხელისუფლების უზურპაციაში ადანაშაულებდა. მეორე შემთხვევა მოხდა 1987 წელს, როდესაც ჰაფიზ ალ-ასადი აიძულეს, პოსტიდან გადაეყენებინა ა.რ. კასმი, რომელიც, თავის მხრივ, დამასკოს გავლენიანი სუნიტური

[300] **Hinnebusch Raymond** – Revolution from above, გვ. 69.
[301] Syria. The Regular Armed Forces. – *A Country Study*. Ed. By Thomas collelo. Washington: GPO for the Library of Congress, 1987. Accessed July 7, 2021 at web page http://countrystudies.us/syria/17.htm გვ. 257-258 http://www.public-library.uk/dailyebook/Syria%20-%20a%20country%20study.pdf
Hinnebusch Raymond – Revolution from above, გვ. 65, გვ. 70.

ოჯახის წარმომადგენელი იყო. მას არაერთხელ გაუწევია კონსულტაციები უფროსი ასადისთვის სუნიტურ თემთან დაკავშირებულ საკითხებზე. გენერალიტეტში, პირველ რიგში, ალავიტების უკმაყოფილება გამოწვეული იყო იმით, რომ კასმი ცდილობდა, შეემცირებინა სამხედრო ხარჯები და შეეზღუდა არმიის გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.[302] აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საფუძველს მოკლებული არ არის შემდეგი მოსაზრება: თუნისისა და ეგვიპტის მსგავსად, სირიელი სამხედროების ერთიანი პოზიცია, იქნებოდა ეს რეჟიმის დაცვის საკითხში განზე გადდგომა, ან პირიქით დაცვა, ქვეყანას ხანგრძლივ სამოქალაქო დაპირისპირებას აარიდებდა თავიდან. სირიის "არაბული გაზაფხულის" შემდგომ ქვეყანაში გაღვივებული რელიგიური ექსტრემიზმის გამომწვევ მიზეზებში ქვეყნის სპეცსმსახურების გარდა სამხედროების როლზე საუბრისას აუცილებლად მიგვაჩნია შევადაროთ სამი სხვადასხვა წყაროს მონაცემები: ვლადიმირ ახმედოვი, აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკის კრებული „Country Study" და კარნეგის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, გამოიწვია თუ არა სირიის შეიარაღებულ ძალებში განხეთქილება კონფესიურმა (ალავიტურ-სუნიტურმა) დისბლანსმა. პირველი ორი წყაროს მიხედვით, 1963 წლის რევოლუციის შემდგომ და 60-იანი წლების ბოლომდე ქვეყნის უმაღლესი სამხედრო ელიტის ძირითად ბირთვს ალავიტები შეადგენდნენ,[303] კერძოდ კი ჰაფიზ ალ-ასადი ეკუთვნოდა მათავირას ტომის ნუმაილითიᲐას შტოს.[304] თავის მხრივ, ალავიტები იყოფიან *ალ-ხადადინის*,

---

[302] **Владимир Ахмедов.** Армия и власть, გვ. 164.

[303] **Prasanta Kumar Pradhan.** Arab Spring and Sectarian Faultlines in West Asia: Bahrain, Yemen and Syria, გვ. 97

[304] ალავიტები თავის მხრივ იყოფიან - შამსიებად, კამარიებად და მურშიდებად. შამსიები (შამს-მზე (არაბ.), მუჰამმად მოციქულის ასტრალური ნიშანი) არიან ტომებად დაყოფილი ალავიტების ერთ-ერთი მცირე რიცხვოვანი განშტოება, რომლებიც მუჰამადს უფრო აღიარებენ ვიდრე მის ბიძაშვილსა და სიძეს ალის. შედარებით დიდ თემს წარმოადგენენ კამარიები (კამარ-მთვარე (არაბ.), ალის ასტრალური ნიშანი). ალის მიიჩნევედ ღვთიურობის "მა'ნად"-მნიშვნელობად. მურშიდები გამოეყვნენ კამარიებს და ითვლებიან სულეიმან ალ-მურშიდის მიმდევრებად. თავად სულეიმანი თავმდაბალი მწყმსი იყო, რომელმაც 1923 წელს 17 წლის ასაკში მიიღო წინასწარმეტყველის რწმუნება, 20 წლის შემდეგ ხელისუფლებამ მისი ლიკვიდაცია განახორციელა ამბოხისადმი მიდრეკილების გამო. მისმა მიმდინარეობამ მრავალი მიმდევარი შეიძინა და ფარტოდ გავრცელდა ალ-ხაიათინების ტომში. პრესიდენტ ალ-ასადის კამარიების სექტას სათავეში ედგა შულეიმან ალ-აჰმადი,რომელსაც მეორე ნაირად "მთის ბედუინს"-"ბადავი ალ-ჯაბასაც" უწოდებდნენ და ოფიციალურად ატარებდა "მუჰამმადის ოჯახის მსახურის"-"ხადიმ აჰლ ალ-ბაითის" სახელს. მურშიდების ცენტრალურ

ალ-ხაიათიას და *ალ-ქალბიას* ტომებად. მათავირას ტომიდან იყვნენ ბრიგადის გენერლები: მუჰამმად ალ-ხავლი - პრეზიდენტის მრჩეველი, საჰაერო დაზვერვის ხელმძღვანელი, პრეზიდენტის დაზვერვის კომიტეტის თავმჯდომარე; სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელი - ალი დუბაჰი; შტაბის მეთაურისა და სამხედრო ოპერაციების და წვრთნების ბიუროს ხელმძღვანელის მოადგილე - ალი ასლანი; სარაკეტო კორპუსის და საჰაერო თავდაცვის მეთაური - ალი სალიჰი.[305] მაღალი რანგის ოფიცერთა კორპუსში სუნიტებიც შედიოდნენ, რომლებიც თავიანთი ნათესაური კავშირებით ნახევრად ალავიტები იყვნენ და ჰაფიზ ალ-ასადის უახლოეს და უერთგულეს გარემოცვას წარმოადგენდნენ. პროფესიონალური ნიშნით დაწინაურება მხოლოდ საშაუალო და დაბალი რანგის ოფიცრებს შორის ხდებოდა. მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა პოლიტიკური, ოჯახური და კონფესიური მიკუთვნებულობით იყო შესაძლებელი, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პერიფერიებსა და სოფლებში მაცხოვრებელი სუნიტებიც, სხვა უმცირესობების მსგავსად, საკმაოდ დიდი რაოდენობით ირიცხებოდნენ სირიის არმიაში.[306] ვიცე-პრეზიდენტი 1984-2005 წლებში, აბულ ჰალიმ ჰადამი იყო სუნიტი, მისი ცოლი კი - მათავირას ტომიდან. პრემიერ-მინისტრი აბდ არ-რაუფ ალ-კასიმი, სახალხო საბჭოს ვიცე-სპიკერი მაჰმუდ აზ-ზუბი, ბაასის პარტიის გენერალური მდივნის თანაშემწე აბდ ალ-ლაჰ ალ-აჰმარი, შეაიარაღებული ძალების მეთაური ჰიქმათ შიჰაბი კი იყვნენ ის სუნიტები, რომელთაც მაღალი პოსტები ეკავათ 1987 წელს. თავდაცვის მინისტრი მუსტაფა ტლასი, შერეული ოჯახის წარმომადგენელი იყო: მამით - სუნიტი, დედით - ალავიტი. სუნიტთა უმრავლესობას, რომლებიც დაწინაურდნენ შეიარაღებულ ძალებში ქვეყნის სათავეში „ბაასის პარტიის“ მოსვლის შემდეგ, იდენტური წარმომავლობა გააჩნდათ. შიჰაბი და ტლასი დაიბადნენ და გაიზარდნენ სოფელში.

სამყოფელს წარმოადგენს კარდაჰა, ასადების სოფელი, ასევე ეკუთვნის ასადების ფრთას, იგივე ნუმაილათია, მატავირაჰების ტომი.

Hana Batatu. Some Observations on the Social Roots of Syria's Ruling, Military Group and the Causes for Its Dominance. – *"Middle East Jornal",* Vol. 6, N 3, 1991, gv. 331-344. Accessed July 7, at wab page http://www.la.utexas.edu/users/chenry/pmena/coursemats/2009/batatu-4326249.pdf

ასევე იხ. **Stefan Winter.** A HISTORY OF THE 'ALAWIS From Medieval Aleppo to the Turkish Republic. United States of America: Princeton University Press, 2016, გვ. 119-143.

[305] **Hana Batatu.** Some Observations on the Social Roots of Syria's Ruling, Military Group and the Causes for Its Dominance. // "Middle East Jornal", Vol. 6, N 3, 1991, gv. 331-344. Accessed July 7, at wab page http://www.la.utexas.edu/users/chenry/pmena/coursemats/2009/batatu-4326249.pdf

[306] **Philippe Droz-Vincent.** Armies and insurgencies In the Arab Spring, გვ. 174.

მათი ოჯახები არა ძველ, პრივილეგირებულ სუნიტურ ზედა ფენას, არამედ უმცირესობის მიერ ახლად ჩამოყალიბებული სოციოეკონომიკური კლასის ელიტას წარმოადგენდნენ.[307]

„Syria country study–სგან“ განსხვავებით, ახმედოვი უფრო დაწვრილებით აღწერს რიფათ ალ-ასადის თანამდებობიდან ჩამოშორების დეტალებს და ამით მასთანაც დასტურდება ის ფაქტი, რომ სამხედრო ელიტას ჰაფიზ ალ-ასადზე საკმაო გავლენა გააჩნდა. თუმცა 1970-იანი წლების პერიოდის გავლენიანი სამხედრო პირების და მათი კონკრეტული თანამდებობების ჩამოთვლისას არსად ახსენებს, მაგალითად, მუსტაფა ტლასის ნახევრად სუნიტურ და ნახევრად ალავიტურ წარმომავლობას. ის ფაქტი, რომ ჰაფიზ ალ-ასადის უახლოეს გარემოცვაში სუნიტური თემის წარმომადგენელთათვის მოხვედრის საშუალება იყო ნახევრად ალავიტური წარმომავლობა, კიდევ ერთხელ მოწმობს უფროსი ასადის მმართველობის პერიოდში სამხედრო ელიტის ზედა ფენებში გაღვივებული კონფესიური დისბალანსის გაძლიერებას, ხოლო ავტორის მიერ ამ ფაქტის გვერდის ავლა მეტყველებს იმაზე, რომ მისი კვლევა საჭიროებს დამატებით მასალებთან შედარებას. აქვე ხაზგასმით გვსურს დავძინოთ ისიც, რომ ჰაფიზ ალ-ასადის მიერ ალავიტური ან ნახევრად ალავიტური წარმომავლობის ნიშნით აღნიშნულ თანამდებობებზე დაწინაურება არა კონფესიური, არამედ ტომობრივი კუთვნილების ნიშნით იყო განპირობებული. პირველ რიგში იმიტომ, რომ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ ჰაფიზ ალ-ასადმა შეუწყო ხელი ბაასიზმის საბოლოდ დამკვიდრებას ქვეყანაში, რითიც რელიგია კულტურულ მემკვიდრეობად გამოცხადდა და სირია სეკულარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ტომობრივი ნიშნით უმაღლეს სამხედრო თანამდებობებზე დაწინაურება კი ჰაფიზ ალ-ასადისთვის, როგორც კონფესიური უმცირესობის წარმომადგენლისთვის, ერთგული გარემოცვის და დასაყრდენის ჩამოყალიბების ერთადერთი საიმედო საშუალება იყო. ის ფაქტი, რომ სამხედრო ელიტაში მოსახვედრად საკმარისი იყო ნახევრად ალავიტური წარმომავლობა ან შერეული ოჯახის ყოლა, კიდევ ერთხელ მოწმობს ტომორივ და არა წმინდად კონფესიური

[307] Syria. Power Elite. – *A Country Study*. Ed. By Thomas Collelo. Washington: GPO for the Library of Congress, 1987. Accessed July 7, 2021 at web page http://countrystudies.us/syria/17.htm
http://www.public-library.uk/dailyebook/Syria%20-%20a%20country%20study.pdf გვ. 206-207.
Hinnebusch Raymond – Revolution from above, გვ. 66-67.

ნიშნით გაერთიანებას.

სირიაში ბაასისტების მოსვლამდე, 1946 წლის 1 აგვისტოდან დამოუკიდებელი სირიის მთავრობის დეკრეტის გამოცემის შემდეგ გაიმიჯნა 1936 წელს საფრანგეთის სამანდატო ხელისუფლების მიერ ფორმირებული სამხედრო-საინჟინრო ნაწილების ფუნქციები. შეიარაღებული ძალები დაიყო ორ დამოუკიდებელ სტრუქტურად – ნაციონალურ არმიად და პოლიციად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმ პერიოდისთვის შეიარაღებულ ძალებში კონფესიური დისბალანსის პრობლემა დაძლეული იყო, ვინაიდან ოფიცერთა უმრავლესობას შეადგენდნენ ის სირიელი არაბი-სუნიტები, რომლებიც მე-20 საუკუნის 50-60-იანი წლების გადატრიალებების ავანგარდში იყვნენ.

1963 წლიდან ქვეყნის სათავეში „ბაასის პარტიის“ მოსვლას მოჰყვა სერიოზული ცვლილებები არმიის რიგებში და, ასევე, შეიარაღებული ძალების პოლიტიზირება. ახალმა ბაასისტურმა ხელისუფლებამ ინტენსიურად დაიწყო შეიარაღებული ძალების შემადგენლობის, ფუნქციებისა და სტრუქტურის ცვლილებები – ახლად დანიშნული ალავიტი ოფიცრების რაოდენობამ 90%-ს გადააჭარბა. ბაასის პარტიული და იდეოლოგიური ელემენტების ჩართვამ არმიის რიგებში, ფაქტობრივად, არმიისა და „ბაასის პარტიის“ შერწყმა გამოიწვია, რამაც აღნიშნული სტრუქტურა აქცია ქვეყნის უმაღლეს პოლიტიკურ ძალად ქვეყანაში.[308]

შეიარაღებული ძალების როლის ზრდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ჰაფიზ ალ-ასადის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა. მან როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიზანმიმართულად დაიწყო ალავიტური თემის წარმომადგენელი თავისი თანატომელების დანიშვნა მაღალ პოსტებზე. ასევე მისი მმართველობის პერიოდში გადანაწილდნენ არმიის მაღალჩინოსნები პარტიული და სახელმწიფო აპარატის მთელ ვერტიკალზე: სამთავრობო კაბინეტში, პარტიის ხელმძღვანელობაში, დიპლომატიურ სფეროში, სხვადასხვა სამინისტროსა და უწყებაში, სამეურნეო, საბანკო და კომერციულ სექტორებში, ასევე ადმინისტრაციულ აპარატებში. ასეთი მოწყობის შედეგად არმიულ ელიტას გაუჩნდა წვდომა როგორც

[308] **Ayse Tekdal Fildis.** Roots of Alawite-Sunni Rivalry in Syria. // *Middle East Policy, Vol XIX, N 2, 2012. Accessed July 7, 2021 at web page*
https://www.researchgate.net/publication/264661298_Roots_of_Alawite-Sunni_Rivalry_in_Syria

ხელისუფლების უმაღლეს შტოებზე, ასევე ქვეყნის ძირითად ფინანსურ წყაროებზეც, რის გამოც ეს სტრუქტურა ქვეყნის ტერიტორიის დაცვის ინსტრუმენტის გარდა, გადაიქცა ხელისუფლების მთავარ საყრდენად და ოპოზიციის შემაკავებელ ერთ-ერთ მთავარ ძალად.[309]

შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტის მსგავსად, სირიაშიც "არაბული გაზაფხულით" გამოწვეული პროცესების უმთავრესი მიზეზები სამხედროების ინტერესებს, კონკრეტულად, მათი პრივილეგიების შენარჩუნების მცდელობებსაც უკავშირდება. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია სირიის შეიარაღებული ძალების პრივილეგიებისა და მათი ცხოვრების სტილის უფრო დეტალური აღწერა, ერთი მხრივ, ეგვიპტელ სამხედროებთან შედარების და, მეორე მხრივ, უფრო ზუსტი ანალიზის ჩატარებისა და არსებული სიტუაციის გაშუქების თვალსაზრისით.

ჰაფიზ ალ-ასადის მმართველობის პერიოდიდან სამხედროები და განსაკუთრებით ოფიცერთა კორპუსი, სარგებლობდნენ მნიშვნელოვანი პრივილეგიებით. მათ შეეძლოთ, საბაზრო ფასზე იაფად შეეძინათ სასურველი უცხოური და ძვირფასი საქონელი სამხედრო კოოპერატივებში, რომელთა ყიდვა შეუძლებელი იყო სხვა სავაჭრო დაწესებულებებში. ასევე ეძლეოდათ უპროცენტო სესხები სახლების და ვილების დიდი მიწის ნაკვეთებთან ერთად შესაძენად. მათ საკუთრებაში ჰქონდათ გადაცემული ნაყოფიერი მიწები და სხვა სახელმწიფო მოხელეებისგან განსხვავებით, სარგებლობდნენ უფასო სამედიცინო მომსახურეობით, ტრანსპორტით და საწვავით. ყოველივე ზემოთ თქმულთან ერთად, გამომდინარე იქიდან, რომ სირია საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ისრაელთან (იგულისხმება ისრაელ-არაბული ქვეყნების ომები), ხელისუფლება მუდმივად აკმაყოფილებდა არმიის მხრიდან საზღვარგარეთული ძვირადღირებული თანამედროვე იარაღისა და ტექნიკის შეძენის მოთხოვნებს. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის ქვეყანა 11 მილიონ 338 ათასი მოსახლით, 404 000-კაციანი შეიარაღებული ძალების საჭიროებებისთვის ხარჯავდა ქვეყნის ბიუჯეტის 30-35%-ს, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 11%-ს შეადგენდა.[310]

---

[309] **Владимир Ахмедов.** Армия и власть, გვ. 163.
Hinnebusch Raymond – Revolution from above, გვ. 81.
[310] **Владимир Ахмедов.** Армия и власть, გვ. 160

ამ მხრივ, არანაკლებ საგულისხმო ინფორმაციაზე წვდომის საშუალებას იძლევა კარნეგის ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატია. აღნიშნული მასალა კრავს ჩვენს მსჯელობას და პასუხს იძლევა იმ შეკითხვაზე, თუ რატომ დაიცვა ბოლომდე სამხედრო ელიტის ნაწილმა არსებული რეჟიმი. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სამხედრო პირების მხრიდან ოპოზიციური ძალების მხარეს გადასვლის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, არცერთი მსხვილი შენაერთი არ წასულა რეჟიმის წინააღმდეგ. სტატიის ავტორი ხადირ ხადოური აღნიშნავს, რომ ზოგადად მიჩნეული ალავიტური ფაქტორი წმინდა კონფესიური თვალსაზრისით გადაჭარბებულია და სწორედ ნაშრომში ზემოთ მოყვანილი ფაქტების გამო, ავტორის მოსაზრება სრულიად მისაღებია ამ ნაწილშიც. ახმედოვის მიერ მოწოდებული ცნობების მსგავსად, აღნიშნულ სტატიაშიც ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ შეიარაღებული ძალების ოფიცრები სარგებლობდნენ მთელი რიგი შეღავათებით, რომელიც მათ რეჟიმთან პროფესიული მოვალეობის გარდა, საკუთარი სიცოცხლის ყველა ასპექტით აკავშირებდა და ეს გარემოება მათ ანტაგონისტურად განაწყობდა დანარჩენ საზოგადოებასთან. დაჰიდა ალ-ასად ან „ასადის გარეუბანი“ მდებარეობს დამასკოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და ქვეყნის უმსხვილესი სამხედრო საცხოვებრელი კომპლექსია, რაც, თავის მხრივ, ნათლად წარმოაჩენს, როგორ მუშაობს ეს სისტემა. საცხოვრებელი კომპლექსი, სასაუბრო ენაზე დაჰიდად ცნობილი, ოფიცრებს საშუალებას აძლევდა, მათ საკუთრებაში ჰქონოდათ უძრავი ქონება დამასკოში. მათი უმრავლესობა სირიის სოფლებიდან გამოსული ღარიბი ოჯახიდან იყვნენ, რომელთაც ქალაქში საცხოვრებელი ადგილის შეძენის საშუალება არ გააჩნდათ. სამხედრო დასახლებამ მათ საშუალება მისცა სოციალური წინსვლისთვის, მაგრამ საზოგადოება, სადაც ოფიცრები და მათი ოჯახები ცხოვრობდნენ, აყალიბებდა მკაფიო იდენტობას, რომელიც გამოყოფდა მათ სირიის დანარჩენი საზოგადოებისგან და რჩებოდნენ რეჟიმზე დამოკიდებულები. ცხოვრების ყველა ატრიბუტი და გარანტირებული სოციალური პატივისცემა უზრუნველყოფილი იყო რეჟიმის მიერ და დამოკიდებული იყო რეჟიმზევე. 2000 წელს, როდესაც გარდაიცვალა ჰაფიზ ალ-ასადი, დაჰიდაში მცხოვრებმა მრავალმა ოფიცერმა საკუთარი ოჯახის წევრები უკან, სოფლებში დააბრუნეს და ელოდებოდნენ, რა გარემოებები და სიტუაცია

შეიქმნებოდა ქვეყანაში. ისინი უკან დაბრუნდნენ მას შემდეგ, რაც ბაშარ ალ-ასადი გახდა პრეზიდენტი. ოფიცრებიც და სხვა სამოქალაქო სახელმწიფო მოსამსახურეებიც აცნობიერებდნენ იმ ფაქტს, რომ მათი ცხოვრება დამასკოში დამოკიდებული იყო რეჟიმის არსებობაზე და არა მათ სტატუსზე.

ბაშარ ალ-ასადის გარემოცვაც სამხედროებისა და დაზვერვის სამსახურის თანამშრომლებისგან შედგებოდა, რომელთა რიგებიც ოჯახის, კლანის ან ალავიტური თემის წვრებისგან იყო შევსებული და ქვეყანას რკინის ხელით მართავდნენ. მისი ძმა, მაჰერ ალ-ასადი ელიტური რესპუბლიკური გვარდიის და მეოთხე დივიზიის მეთაური, გავლენით მეორე კაცი ქვეყანაში, რომელიც პასუხისმგებელია შიდა უსაფრთხოებაზე და მხოლოდ მის დაქვემდებარებაში მყოფ შეიარაღებულ ძალებს ჰქონდათ დამასკოში ბაზირების უფლება.

ზემოთ ხსენებული ასეფ შავქათი და რამი მახლუფი: პოლკოვნიკი ჰაფიზ მახლუფი, ასევე ბაშარ ალ-ასადის დეიდაშვილი, უშიშროების გენერალური დირექტორატის ხელმძღვანელი დამასკოს მიმართულებით.

მუჰამმად ნასიფ ხაირბაქი (1937-2015), პრეზიდენტის ნათესავი და ვიცე-პრეზიდენტი უსაფრთხოების საკითხებში.

გენერალი დუ ალ-ჰიმა შალიში (1951-2022), ალავიტი, ჰაზიფ ალ-ასადის დის შვილი, პრეზიდენტის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

მუსატაფა ტლასის შვილი მანაფ ტლასი, რესპუბლიკური გვარდიის მეთაური, ქვეყნის მეთაურის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, 2000 წლიდან გახდა ბაასის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და თავის ძმასთან, ფირასთან ერთად მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა სირიის ბიზნეს წრეებთან.[311]

სირიის სამხედრო საბინაო პროგრამები საგულისხმოდ გაფართოვდა 1980-იანები წლებიდან მოყოლებული, მაგრამ შემდგომი ათწლეულების განმავლობაში არ აღუძრავს სოლიდარობის გრძნობა ოფიცრებსა და სხვა კონფესიების წარმომადგენლებს შორის, განსაკუთრებით ალავიტებსა და სუნიტებში, თუმცა სამხედრო შეღავათები და საბინაო სარგებელი იყო ის რგოლი, რომელმაც შეაკავშირა ოფიცრები საკუთარი ფინანსური ინტერესების დაცვის მიზნით 2011 წლის

[311] **Marwan Bishara.** The Invisible Arab, გვ. 49-50.
William L. Cleveland, Martin Bunton. A History of the Modern Middle East, 707.

დასაწყისში.

სირიაში არსებობს სამხედრო საცხოვრებლების ორი სისტემა. პირველი უზრუნველყოფს აქტიური მოსამსახურეების ცხოვრებას საკუთრების უფლების გარეშე ისეთ სამხედრო-საცხოვრებელ კომპლექსებში, როგორებიცაა: ქატანა - დამასკოში, რაიანი - ჰომსში და საიდა - დარაასში. მეორე სისტემის თანახმად კი შესაძლებელია სპეციალური ფასდაკლების შედეგად სახლის შეძენა არმიისთვის განკუთვნილ ტერიტორიებზე სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული პროგრამის ფარგლებში. თეორიულად, ნებისმიერ სამხედრო მოსამსახურეს შეუძლია გააკეთოს განაცხადი საცხოვრებელზე, თუმცა თანხმობის მიღება დამოკიდებულია მათზე, ვისაც დე-ფაქტო გააჩნიაუძრავი ქონების გადაცემის ან უარის თქმის უფლება. მსგავსი ტიპის დასახლებები არსებობს დაირ აზ-ზურში, ალეპოსა და ტარტუზშიც. აღნიშნული დასახლებების მშენებლობას საფუძველი 1980-იანი წლებიდან ჩაეყარა, თავდაცვის მინისტრ მუსტაფა თლასის მიერ, სადაც ოფიცრებმა ჩასახლება 1990-იანი წლებიდან დაიწყეს და 2011 წლისთვის კომპლექსი მოიცავდა 250 ჰექტარს 100 ათასი მაცხოვრებლით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დაჰიდა არ წარმოადგენს მაღალჩინოსანი ოფიცრების მდიდრულ საცხოვრებელ ტერიტორიას. იქ არ არსებობს სამოქალაქო მომსახურების გამართული სისტემა, ქუჩები კეთილმოუწყობელია, ხშირად ითიშებოდა ელექტროენერგია და წყალი, დასახლების კიდევ ერთი პრობლემაა გარეუბანში არსებული ნაგავსაყრელიც. იქიდან წამოსული ცეცხლის კვამლი და მაწანწალა ძაღლები ამ დასახლების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. 2000-იანი წლებიდან დაჰიაში სამხედრო მოსამსახურეების გარდა დაიწყო სამოქალაქო პირების ნაკადის ზრდაც. 2011 წლისთვის დასახლებაში 60%-ს მოქმედი და გადამდგარი სამხედროები, ასევე სპეცსამსახურების თანამშრომლები შეადგენდნენ, დანარჩენ 40%-ს - სამოქალაქო პირები. სამოქალაქო პირების რაოდენობის ზრდამ ისიც გამოიწვია, რომ აღნიშნულ რაიონში მაცხოვრებელმა ოფიცრებმა თავიანთი საკუთრება კიდევ უფრო მეტად აღიქვეს, როგორც საკუთარი ფინანსური აქტივი, რადგან იმავე წლის მონაცემებით, რაიონის შედარებით პრესტიჟულ ნაწილში საცხოვრებლების ფასი 30 მილიონ ლირამდე (600 ათასი დოლარი) გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ “არაბულ გაზაფხულამდე” 5 წლის

განმავლობაში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა არასამხედრო პირების ჩასახლება დაჰიჲაში და სულ უფრო მეტად ემსგავსებოდა სამოქალაქო ტიპის დასახლებას, სამოაქლაქო ომმა აჩვენა, რომ ეს რაიონი მაინც სამხედრო ტიპის დასახლებად დარჩა და სამხედროებისთვის არსებულმა ზემოთ აღწერილმა სარგებლებმა გამოიწვია ოფიცრების მტკიცე შეკავშირება. ზემოთ აღნიშნულის თანახმად, ბევრი ოფიცრისთვის დაჰიჲა წარმოადგენდა სოციალური ზრდის სწრაფ საშუალებას. იქ მცხოვრები ოფიცრების აბსოლუტური უმრავლესობა, განურჩევლად სუნიტებისა და ალავიტებისა, საშუალოზე დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია, რომლებიც სოფლად ცხოვრობენ და ადგილზე არ გააჩნიათ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური პერსპექტივები. ალავიტი ოფიცრები ჯაბლეჰის, ლატაკიისა და ტარტუზის სოფლებიდან არიან, სუნიტები კი ალეპოს, დარაასა და რა'ყას მსხვილი ურბანული ცენტრების სოფლებიდან. მათთვის სამხედრო სამსახური არის საშუალება, რომელიც მრავალ პერსპექტივას უხსნის ახალგაზრდებს, ესენია: შემოსავლის წყარო, დედაქალაქში საცხოვრებლის შეძენა (რაც სირიელი ახალგაზრდა სამხედროებისთვის პირადი წარმატების მწვერვალად ითვლება) და მრავალი მათგანისთვის თავიანთი შვილების დედაქალაქში გაზრდისა და განათლების მიცემის ერთადერთი რეალური საშუალებაა. ასევე, სამხედრო-საცხოვრებელ კომპლექსში მათ შეუძლიათ ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებითაც, ვინაიდან მთელ ქვეყანაში ყველაზე მოწინავე საავადმყოფო „თიშრინი“ სწორედ ამ დასახლებაში მდებარეობს.

ხადოურის სტატია ვლადიმირ ახმედოვის ნაშრომს თანხვდება იმ ნაწილშიც, რომ გარდა აღწერილი სარგებლებისა, რაიონის მაცხოვრებლები სარგებლობენ სპეციალური მაღაზიებითა და ფასდაკლებებით ნებისმიერ საყოფაცხოვრებო საგნებზე, საწვავზე და უფასოდ იღებენ სამთავრობო პრესის გამოცემებსაც. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც დაჰიჲაში მაცხოვრებელი სამხედროების ამ ადგილზე დაფუძნებას იწვევს, არის ის, რომ დედაქალაქის მკვიდრი მოსახლეობისთვის ისინი მაინც სოფლიდან ჩამოსულებად ითვლებიან, ხოლო სოფლად მაცხოვრებლებისთვის - ქალაქელებად. დაჰიაში მაცხოვრებლების მისამართით არსებობს დამამცირებელი გამოთქმა "სანდლებიანი ჯარი", ვინაიდან მათი აბსოლუტური უმრავლესობა

მოსახლეობის დუხჭირი და გაუნათლებელი ფენებიდანაა გამოსული. შესაბამისად, ეს რაიონი რჩება ერთადერთ ადგილად, სადაც მისი მაცხოვრებლები თავს კომფორტულად გრძნობენ. 2011 წლის შემდეგ დაჰიელები სირიის მოსახლეობის უმრავლესობისთვის ავტომატურ რეჟიმში ითვლებოდნენ რეჟიმის მხარდამჭერებად, ამ ფაქტორმაც დამატებითი როლი ითამაშა რაიონში მაცხოვრებელი ოფიცრების მტკიცე შეკავშირების საკითხში. "არაბული გაზაფხულის" შემდეგ, მართალია, კიდევ უფრო გაღრმავდა დაპირისპირება სუნიტ და ალავიტ ოფიცრებს შორის, სხვადასხვა მიზეზებით, მაგრამ კონკრეტულად დაჰიდაში მათმა უმრავლესობამ დაივიწყა კონფესიური განსხვავებულობა, რათა მყარი კავშირის მეშვეობით დაეცვათ საკუთარი თავი და საკუთრება გარე საფრთხეებისგან. იყო ისეთი შემთხვევებიც 2011 წლის დასაწყისში, როდესაც ოპოზიციონერების მიმართ სიმპათიებსა და პრეზიდენტის კრიტიკაში ბრალდებულმა ერთ-ერთმა სუნიტმა ოფიცერმა დაჰიიდან, ყველა ღონე იხმარა რეჟიმისადმი თავის ერთგულების დასამტკიცებლად და ამის დასტურად საკუთარი სახლის აივანზე ბაშარ ალ-ასადის დიდი სურათიც გამოკიდა. სტატიაში ხაზგასმულია ის ფრიად საყურადღებო ფაქტიც, რომ თავად ალავიტებიც არ წარმოადგენდნენ მონოლითურ თემს სირიაში და მათ შორის ძირითადად სოციალურ ნიადაგზე დისკრიმინაციის შემთხვევები ფიქსირდებოდა. მაგალითად, დაჰიელი ალავიტები 2011 წლამდე აშ ალ-ვარვარში მაცხოვრებელ ალავიტებს "საქონლებს და ბოშებს" ეძახდნენ და თავს არიდებდნენ მათთან ყოველგვარ კონტაქტს. სურათი "არაბული გაზაფხულის" შემდეგ შეიცვალა, მრავალი ალავიტის მეხსიერებაში კვლავ იყო შემორჩენილი "მუსლიმი ძმების" აჯანყების პერიპეტიები, რომლის დროსაც მათი თემის მრავალი წარმომადგენელი დაიღუპა და ამ ფაქტორმა შეაკავშირა მხოლოდ განცხადებების დონეზე. აშ ალ-ვარვარის ალავიტებზე ოპოზიციონერების მხრიდან განხორციელებული თავდასხმების შემდეგ დაჰიელი ალავიტები მხოლოდ სიტყვიერ თანადგომას გამოხატავდნენ მათ მიმართ.

სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივების გარიჟრაჟზე ქვეყანაში დადიოდა ხმები იმის შესახებ, რომ მეზობელი ოპოზიციურად განწყობილი რაიონებიდან გამოსულები იტაცებდნენ და კლავდნენ დაჰიის მაცხოვრებლებს. ასეთ ინფორმაციას ავრცელებდა სამხედრო საჰაერო ძალების დაზვერვის სამსახურიც, რამაც დაჰიელები

ნებით თუ უნებლიეთ კიდევ უფრო შეაკავშირა და მათ თავიანთი რაიონის დაცვის გეგმაც შეადგინეს მოსალოდნელი თავდასხმის მოგერიების მიზნით. საბოლოოდ, რაიონი გადაიქცა მძლავრ სამხედრო ფორპოსტად, რომელიც არა მარტო თავდაცვის ფუნქციას ასრულებდა, არამედ მეზობელ რაიონებზე ეფექტური შეტევის განხორციელების საშუალებასაც იძლეოდა. ოპოზიციური ძალების მხრიდან განხორციელებულმა პერმანენტულმა შეტევებმა და საპასუხოდ გატარებულმა ღონისძიებებმა, კერძოდ, საკონტროლო-გამშვები პუნქტების მოწყობამ, ჯავშან-ტექნიკით და მძიმე შეიარაღებით ქუჩებში პატრულირებამ და ზოგადი უსაფრთხოების არარსებობამ დაჰიაში მაცხოვრებელი სამოქალაქო პირები (ძირითადად სუნიტები) იძულებული გახადა, იქაურობა დაეტოვებინათ. სამხედროების ოჯახის წევრების განცხადებით კი მათთვის სასიამოვნოც იყო ქვეყნის და არმიის წინააღმდეგ მოქმედ შეთქმულებთან ბრძოლის ეპიცენტრში ყოფნა.

დაჰიდა რეჟიმისთვის ერთ-ერთი საიმედო საყრდენი იმ ფაქტორის გამოც იყო, რომ იქ განხორციელებულ მშენებლობებში ჩართული ფირმების მფლობელები რეჟიმთან დაახლოებული პირები იყვნენ. პრეზიდენტის ბიძაშვილი, გენერალ-მაიორი რიად სალმან ისა, ასევე რიად შალილის სახელით ცნობილი, იყო სამხედრო მშენებლობების ინსტიტუტის ხელმძღვანელი 1980-იანი წლების ბოლოდან. აღწერილმა სისტემამ დაჰიდა აქცია მსხვილი კორუფციული გარიგებების ერთ-ერთ ცენტრად.[312]

ჩვენ მიერ დამუშავებული მასალების და დასახელებული სტატიის შეჯერების შედეგად, ვეთანხმებით ავტორს იმ ნაწილშიც, რომ დაჰიდაში ჩამოყალიბებული გარემო რეჟიმის მიერ გრძელვადიან პერსპექტივაში გათვლილი ნაბიჯი იყო თავისთვის ლოიალური სამხედრო ფენის შესაქმნელად, რომელიც კრიტიკულ მომენტში ხელისუფლების მხარეს დადგებოდა. აღწერილი პრაქტიკით,

---

[312] Kheder Khaddour. Assad's Officer Ghetto: Why the Syrian Army Remains Loyal. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER,* November 2015, accessed July 7, 2021 at web page https://carnegie-mec.org/2015/11/04/assad-s-officer-ghetto-why-syrian-army-remains-loyal-pub-61449

ს. გურეშიძე. (2019) ეგვიპტის და სირიის "არაბული გაზაფხული" შედარებითი ანალიზის ჭრილში. // *„აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე"* N II, 2019, გვ. 38-51.

ს. გურეშიძე. „არაბული გაზაფხული" სირიაში: ჰაფიზიდან, ბაშარ ალ-ასადამდე. – *„საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები."* თბ., 2018, კრებული გამოცემულია: თბ., 2021, გვ. 132-139.

სუბსიდირებითა და სხვა შეღავათის დაწესებით არა მხოლოდ სამხედროები, არამედ მასწავლებლები და სხვა სახელმწიფო სამსახურების სამოქალაქო პირებიც სარგებლობდნენ

დამოწმებული მასალა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ სირიის სამოქალაქო დაპირისპირება, ერთი მხრივ, გამოიწვია სამხედრო პირებს შორის კონფესიურმა დისბალანსმაც, თუმცა ამას წმინდა რელიგიური მიზეზის ნაცვლად საფუძვლად ედო მატერიალურ ინტერესთა კონფლიქტი. ფინანსური და უძრავი ქონების დაცვის მიზნით სუნიტებისა და ალავიტების შეკავშირების საუკეთესო მაგალითი სწორედ დაჰიდაა.

დასკვნა

თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში "არაბულ გაზაფხულამდე" არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში თვალნათლივ ჩანს, რომ სამივე ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს ბევრი საერთო მიზეზი გააჩნდა. ზინ ალ აბიდინ ბინ ალი თუნისს 23 წლის განმავლობაში მართავდა, ჰუსნი მუბარაქი ეგვიპტეს - 30 წლის განმავლობაში, ასადების ოჯახი კი თითქმის ნახევარი საუკუნეა იმყოფება სირიის სათავეში. ჰაფიზ ალ-ასადმაც და მუბარაქმაც თავიანთ მემკვიდრეებად საკუთარი შვილები შეარჩიეს, თუმცა ეგვიპტის პრეზიდენტის ჩანაფიქრი წარუმატებელი აღმოჩნდა. ასევე სამივე ქვეყნის ლიდერების მართვის სტილი სრული ავტორიტარიზმის გამოხატულება იყო, რომელიც სირიის შემთხვევაში დღემდე გრძელდება. თუნისისაგან განსხვავებით, ეგვიპტესა და სირიაში ძალოვანი სტრუქტურები სრულად დომინირებდნენ ქვეყნის მმართველ და პოლიტიკურ სტრუქტურებში. ყოველივე ზემოთ თქმულს თან ერთვოდა ის, რომ თუნისში პრეზიდენტის ოჯახი იყო კორუფციის მთავარი წყარო.

ეგვიპტესა და სირიასში მრავალი ათწლეულის განმავლობაში მოქმედებდა საგანგებო კანონი, რომელიც პრეზიდენტებს, მმართველ პარტიასა და ძალოვნებს განუსაზღვრელ უფლებებს ანიჭებდა, რამაც ხელი შეუწყო სოციალური უთანასწორობის გაღვივებასა და ყოველგვარი თავისუფალი აზრის გამოხატვის ჩახშობას. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობეს მასობრივი საპროტესტო აქციები და ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნები ზინ ალ აბიდინ ბინ ალის, ჰუსნი მუბარაქისა და ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ.

აქედან გამომდინარე, სამივე ქვეყანაში რევოლუციური პროცესების გამომწვევი მიზეზები ჩანს, რომ მსგავსი და თითქმის იდენტურია. თუმცა ამ სამი ქვეყნის ხელისუფლებების მიერ გადადგმული საპასუხო ნაბიჯები აბსოლუტურად განსხვავებული ხასიათისა იყო, რამაც თავისთავად განაპირობა "არაბული გაზაფხულის" დიამეტრალურად საპირისპირო შედეგები როგორც თუნისისთვის დროებით, ისე - ეგვიპტისა და სირიისათვისაც.

თუნისში პრეზიდენტების - ჰაბიბ ბურგიბასა და ზინ ალ აბიდინ ბინ ალის

მიერ შექმნილმა ავტოკრატულმა და ბინ ალის დროინდელმა კორუფციულმა სისტემამ თანადათანობით მიიყვანა ქვეყანა 2011 წლის რევოლუციამდე. „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ, პოსტრევოლუციურ პერიოდში ქვეყანა ხელისუფლებაში დაბრუნებული სეკულარების დიქტატურის დამყარებისა და სამოქალაქო დაპირისპირებისგან იხსნა იმან, რომ ბურგიბამ და ბინ ალიმ თავის დროზე სამხედროებს პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტების ფლობის საშუალება არ მისცეს, რადგანაც ორივე მათგანი სამხედროების მარგინალიზებას პირადი ინტერესებისა და საკუთარი ავტოკრატიული რეჟიმების უსაფრთხოების მიზნით ეწეოდნენ და არა ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ახალი ხელისუფლების მიერ სამხედროების როლის წინა პლანზე წამოწევამ კი ქვეყანას ააცილა გადატრიალებებისა და შიდა დაპირისპირების სერია. ამის თვალსაჩინო მაგალითია არაპოლიტიზირებული თუნისელი სამხედროების მიერ 2013 წელს სეკულარი ოპოზიციონერების სამხედრო გადატრიალებისკენ მოწოდებაზე უარის თქმა.

შეიარაღებული ძალების როლის გაძლიერება პოლიტიკაში და მათი ფინანსური სარგებლებით დაინტერესება, ერთი მხრივ, ქმნის იმის საფრთხეს, რომ რევოლუციური რყევების დროს შეიარაღებულმა ძალებმა საკუთარი პრივილეგიების დაცვის მიზნით, შესაძლოა, კვლავ აღარ შეინარჩუნონ ნეიტრალური პოზიცია, რაც თუნისის შემთხვევაშიც დადასტურდა 2021 წლის ივლის-აგვისტოში და დიამეტრალურად სხვა განწყობა დაფიქსირდა ზემოთ ხსენებული 2013 წლისგან განსხვავებით.

თუნისში პრეზიდენტი ბინ ალი ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით შეეცადა რევოლუციური სიტუაციის განმუხტვას, რისთვისაც საკმარისად ჩათვალა გარკვეული დაპირებების გაცემა საპროტესტო აქციებზე გამოსულთათვის. მის ამ სვლას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, რადგან საპროტესტო ტალღა სერიოზულად იყო აგორებული ქვეყანაში. ხალხი რეალურ ცვლილებებს ითხოვდა. ფაქტი იყო, რომ თუნისში ავტოკრატია დასასრულს მიუახლოვდა. გამომდინარე იქიდან, რომ სამხედროები ქვეყნის “არაბულ გაზაფხულის” რევოლუციამდელი პრეზიდენტების მიერ შექმნილი სისტემის გამო არ იყვნენ პოლიტიზირებულნი, ეგვიპტისა და სირიის სამხედროების მსგავსად არ ჰქონდათ განსაკუთრებული არც მატერიალური და არც

სოციალური პრივილეგიები, მათ მმართველი რეჟიმის დაცვის არავითარი მოტივაცია არ გააჩნდათ. ამის გამო სამხედროებმა რეჟიმის დაცვაზე უარი თქვეს და ამ ფაქტორმა გადაწყვიტა ხელისუფლების ცვლილება თუნისში. თუმცა როგორც კი შეიცვალა პირობები და სამხედროებს გაუჩნდათ ფინანსური ინტერესები, ასევე არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მათ მხარი დაუჭირეს, მაღალი ალბათობით, ავტოკრატიისა და დიქტატურისკენ მიდრეკილ პრეზიდენტს.

ეგვიპტეში ისევე როგორც თუნისში, ეგვიპტის ავტოკრატმა პრეზიდენტმაც სცადა რევოლუციური სიტუაციის განმუხტვა გარკვეული დაპირებებით. თუნისის მსგავსად, ეგვიპტეშიც საპროტესტო ტალღა უკვე შეუქცევადი პროცესი იყო და ავტოკრატიული მმართველობის დასრულება გარდაუვალი ჩანდა. აქედან გამომდინარე, მუბარაქის ეს მცდელობაც, ისევე როგორც ბინ ალისა თუნისში, წარუმატებელი აღმოჩნდა.

რაც შეეხება ეგვიპტელ სამხედროებს, ინტერესებიდან გამომდინარე, თავიანთი მრავალსვლიანი კომბინაციის გათამაშების მიზნით, ხელს არ უშლიდნენ ქუჩაში გამოსულ მოსახლეობას საპროტესტო აქციების გამართვაში. ეგვიპტელი სამხედროების ეს პოზიცია იმანაც განაპირობა, რომ თუკი ხელისუფლებაში მოვიდოდა ჰუსნი მუბარაქის ვაჟი, გამალ მუბარაქი, უკვე წინასწარ იყო ცნობილი, რომ ის იმ პრივილეგიებს არ მიანიჭებდა ქვეყნის მართვაში ჩართულ უმაღლეს სამხედრო საბჭოს, რომელთაც ეგვიპტის წინა პრეზიდენტები ანიჭებდნენ. ყოველივე ამან კი განაპირობა ის რეალობა, რაც პოსტრევოლუციურ ეგვიპტეში დადგა. კერძოდ, სამხედროებმა მოახერხეს მრავსლვლიანი პოლიტიკური თამაშების შემდეგ კვლავ შეინარჩუნებინათ ქვეყანაში პრივილეგირებული მდგომარეობა – კვლავ მოახერხებინათ ქვეყნის მმართველობის სადავეების ხელში აღება.

თუნისისა და ეგვიპტის მსგავსად, სირიაშიც საპროტესტო აქციების დაწყებისთანავე ბაშარ ალ-ასადიც დაპირდა აქციებზე გამოსულებს გარკვეულ კომპრომისებზე წასვლას. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ საპროტესტო გამოსვლების დაწყებისთანავე სამივე ქვეყნის პრეზიდენტების სიტყვით გამოსვლის შინაარსიც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. სირიის პრეზიდენტის შემთხვევაშიც, მის სიტყვით გამოსვლას არ შეუნელებია საპროტესტო მუხტი, მაგრამ

მან სხვადასხვა გარემოებიდან გამომდინარე, მოახერხა ხელისუფლებაში დარჩენა.

ერთ-ერთი მკაფიო და საგულისხმო განმასხვავებელი ნიშანი თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში "არაბული გაზაფხულის" შედეგად განვითარებულ მოვლენებს შორის არის ის, რომ სირიაში, მას შემდეგ, რაც სამოქალაქო დაპირისპირება აქტიურ რეჟიმში გადავიდა და კულმინაციას მიაღწია, თუნისისა და ეგვიპტისაგან განსხვავებით, ხლისუფლების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს რადიკალურმა და ექსტრემისტულად განწყობილმა ისლამისტურმა დაჯგუფებებმა, რომელთაც ქვეყნის გარედან შედინებული რეკრუტებიც ემატებოდნენ, რამაც საკმაოდ ფართომასშტაბიანი სახე მიიღო და ბევრად გასცდა საკუთრივ სირიის საზღვრებს. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო დაპირისპირებამ სირიაში თითქმის მთელი რეგიონი მოიცვა. მასში ჩაერთნენ როგორც რეგიონული, ისე გარე აქტორებიც. ამ შემთხვევაში, განსხვავებით თუნისისა და ეგვიპტისაგან, სირიის ალავიტური რეჟიმის მხრიდან დათმობა და პრეზიდენტის გადადგომა ავტომატურად ნიშნავდა არა მხოლოდ ხელისუფლების სადავეებისა და ძალაუფლების ბერკეტების დაკარგვას, არამედ მთელი მმართველი ელიტის ფიზიკურ განადგურებასაც.

"არაბული გაზაფხულის" შედეგად განვითარებული რევოლუციური პროცესების დასაწყისში თუნისში, ეგვიპტესა და სირიაში, ისლამისტები მთავარი მოვლენებისგან განზე იდგნენ. მათი პროცესებში ჩართვა სამივეგან მოხდა პოსტფაქტუმ, მაგრამ განსხვავებულ ვითარებებში.

თუნისში ზომიერმა ისლამისტებმა, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ამომრჩეველთა უმრავლესობა მათ მხარს არ უჭერდა, პოსტრევოუციური თუნისის ხელისუფლების სადავეების ხელში აღება მაინც შეძლეს გარკვეული დროით. ეს კი განპირობებული იყო ზომიერი ისლამისტების ორმაგი თამაშის ტაქტიკითა და ძველი რეჟიმის სეკულარ პოლიტიკურ ძალებთან პოლიტიკურ ინტერესთა თანხვედრაზე დაფუძნებული გარიგებით. მიუხედავად იმისა, რომ თუნისელი ზომიერი ისლამისტები ებრძოდნენ ასევე თუნისელ რადიკალ და ექსტრემისტ ისლამისტებს, მემარცხენე ოპოზიციის ლიდერების მკვლელობა მაინც ზომიერ ისლამისტებს დაბრალდათ, რასაც საბოლოოდ მათ მიერ მართვის სადავეების დაკარგვა მოჰყვა. ეს

კი იმას მოწმობს, რომ თუნისის რევოლუცია ემსახურებოდა არა ისლამისტებისთვის ქვეყნის მართვის გადაბარებას, არამედ რეალური ცვლილებების განხორციელებას – ქვეყნის მართვის სისტემის ფუნდამენტურ ცვლილებებს. ასეთ სიტუაციაში თუნისელმა ზომიერმა ისლამისტებმა თავის გადარჩენის მიზნით, პარტია გაყვეს ორად და ნაწილობრივ უარი თქვეს ისლამისტურ იდეოლოგიაზე. ერთმა ნაწილმა ორიენტაცია აიღო დედაქალაქსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში მცხოვრებ სეკულარ ამომრჩევლებზე, ხოლო ზომიერ ისლამისტურ იდეოლოგიის მომხრე მეორე ნაწილი კი ცდილობდა პერიფერიებში მცხოვრები დუხჭირი და კონსერვატიულად განწყობილი ამომრჩევლების მხარდაჭერის მოპოვებას.

ზემოთ ხსენებულმა ზომიერი ისლამისტებისა და ძველი რეჟიმის წარმომადგენელი პოლიტიკური ძალების გარიგებამ, რაც თუნისის უახლეს ისტორიაში განვითარებული ანალოგიითა და პრეცედენტითაც დასტურდება, ქვეყანაში გამოიწვია ის, რომ პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებულ იქნა მემარცხენე ოპოზიცია, ხოლო ხალხი იმედგაცრუებამ მოიცვა, რევოლუციის მთავარი გზავნილების ვერშესრულებამ, კორუფციის კვლავ არსებობამ და ძველი რეჟიმის ნარჩენებისგან პოლიტიკური ველის არგაწმენდამ თუნისელი ამომრჩევლები მიიყვანა ისეთ მდგომარეობამდე, რომ ქვეყანაში გამართულ ბოლო არჩევნებში უმრავლესობა ვერც ისლამისტებმა მიიღეს და ვერც - სეკულარებმა, რასაც საბოლოოდ უპარტიო ტექნოკრატებით დაკომპლექტებული მთავრობის დამტკიცება მოჰყვა.

თუნისის მსგავსად, ეგვიპტელი ისლამისტები - "მუსლიმი ძმებიც" პოსტფაქტუმ, მუბარაქის გადადგომის შემდეგ, ჩაერთვნენ პოლიტიკურ პროცესებში. ამ ქვეყანაშიც, ისევე როგორც თუნისში, საპროტესტო აქციებზე გამოსული ეგვიპტელების მხრიდან სამი ძირითადი მოთხოვნა ჟღერდებოდა: კორუფციის აღმოფხვრა, ძველი რეჟიმის სრული დემონტაჟი და თუნისისგან განსხვავებით, ფაქტობრივად, ქვეყნის მმართველი უმაღლესი სამხედრო საბჭოსგან ახალი გარდამავალი მთავრობისთვის ხელისუფლების სრულად გადაცემა. პოსტრევოლუციურ ეგვიპტეში კი პოლიტიკურ ასპარეზზე, პოლიტიკურ პერიპეტიებში შედარებით უფრო გამოცდილი "მუსლიმი ძმები" და ქვეყნის

მართვაში ჩართული სამხედრო საბჭო დომინირებდა. გამომდინარე იქიდან, რომ გამალ მუბარაქისთვის ხელისუფლებაში მოსვლის თავიდან აცილების პარალელურად, დემოკრატიული და ლიბერალური ოპოზიციის კი არა, ისლამისტების დროებითი გამარჯვება შედიოდა სამხედროების მრავალსვლიან კომბინაციის გეგმაში, სწორედ მათ მიერ შედგენილმა საარჩევნო სქემამ უზრუნველყო "მუსლიმი ძმებისა" და სალაფიტების ჯერ საპარლამენტო, შემდეგ კი "ძმების" კანდიდატის სპარეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებაც. საბოლოოდ გამარჯვებულებმა ხელისუფლება დიდი ხნით ვერ შეინარჩუნეს. საპარლამენტო უმრავლესობას ისლამისტები 4 თვის განმავლობაში წარმოადგენდნენ, ხოლო პრეზიდენტი ერთ წელიწადში გადააყენეს პოსტიდან.

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მეტ-ნაკლებად სიღრმისეულად გაშუქებამ, ფაქტებისა და მოვლენების გაანალიზებამ, ამ საკითხებზე შექმნილი სამეცნიერო და ანალიტიკური მასალების შედარებამ შესაძლებელი გახადა იმის თქმა, რომ ისლამისტური მოძრაობები, მიუხედავად მათი მრავალწლიანი პოლიტიკური გამოცდილებისა, მანიპულირების იარაღად იქცნენ ქვეყნის მმართველი დიქტატორული რეჟიმების ხელში. ამან თუნისში კაის საიდის ავტოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბების კონტურები მკვეთრად გამოკვეთა, ხოლო ეგვიპტეში პოლიტიკაში ჩართული ისლამისტების დაქსაქსვა და მათი ნაწილის (სალაფიტების) პრეზიდენტ ას-სისის, "ახალი ავტოკრატიული" რეჟიმის მიმართ მიმხრობაც კი გამოიწვია.

ამის დასტურად მივიჩნევთ იმას, რომ „მუსლიმი ძმებისთვის" და სალაფიტებისთვის საპარლამენტო უმრავლესობის წართმევიდან 5 წლის, ხოლო პრეზიდენტის გადაყენებიდან 4 წლის გასვლის შემდეგ "მუსლიმი ძმების" პოზიციები კვლავ შესუსტდა არა მარტო რეპრესიული სახელმწიფო აპარატის წნეხის, არამედ საკუთარ რიგებში გარკვეულ საკითხებზე შეუთანხმებლობიდან გამომდინარეც. აღსანიშნავია ისიც, რომ "მუსლიმი ძმების" ორად გაყოფა თუნისელი ზომიერი ისლამისტებისგან განსხვავებით, ამომრჩეველთა მიზიდვის ტაქტიკა კი არა, გარკვეულწილად თავის გადარჩენისთვის გადადგმული ნაბიჯი იყო.

გარდა ზემოთ თქმულისა, ცალკე გამოყოფის ღირსია ის გარემოებაც, რომ

მიუხედავად სამხედროების გარკვეული კომბინაციებისა, ეგვიპტელი ამომრჩევლების უმრავლესობისათვის ისლამისტური ძალები და მათი იდეოლოგია არ იყო ცვლილებების ერთადერთი და უალტერნატივო გზა. თუნისის მსგავსად, ისლამისტების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა პერიფერიებში მაცხოვრებელი ხელმოკლე და კონსერვატიულად განწყობილი მოსახლეობის ნაწილი, რაც თავისთავად არ აღმოჩნდა მათთვის საკმარისი მხარდამჭერი ძალა.

განხილული ქვეყნებიდან სირიაში "არაბული გაზაფხულის" შედეგად განვითარებულმა რევოლუციამ, როგორც მთლიანად პროცესის, ისევე შედეგის მკვეთრად განსხვავებული სურათი აჩვენა. სირიაში "არაბული გაზაფხულით" გამოწვეული საპროტესტო აქციები თუნისისა და ეგვიპტის იმ პერიოდისთვის გამარჯვებულად აღქმული რევოლუციების გამოძახილი და გაგრძელება იყო. ქვეყანაში ჯერ კიდევ ჰაფიზ ალ-ასადის პერიოდიდან არ არსებობდა ორგანიზებული ოპოზიციური ძალები, რომლებსაც თუნისის „ან-ნაჰდასა" და ეგვიპტელი "მუსლიმი ძმების" მსგავსად პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის (იქნებოდა ეს იატაკვეშეთში თუ ღიად) გამოცდილება ექნებოდათ. ერთადერთი ორგანიზებული ოპოზიციური ძალა "მუსლიმი ძმების" სირიული განშტოება, რომლებიც იმავე დროს რა თქმა უნდა, ისლამისტები იყვნენ, ჯერ კიდევ ჰაფიზ ალ-ასადის დროს იქნა სასტიკად ჩახშობილი და ქვეყნიდან გაძევებული. ურთიერთობა ვერც ბაშარ ალ-ასადსა და აღნიშნული ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, ალ-ბაიანუნის შორის მიღწეულმა გარკვეულმა კომპრომისებმა გამოასწორა. რაც შეეხება ბაშარ ალ-ასადს, მან სირიელი „მუსლიმი ძმების" ნაწილი პატიმრობიდან გაათავისუფლა, ჯიჰადისტი ისლამისტები ციხეებში გამოკეტა, მაგრამ რევოლუციის წინა პერიოდში ისინი ამნისტიით გაათავისუფლა.

მიუხედავად იმისა, რომ სირიაში ხელისუფლება თავის დროზე სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელში ჩაიგდეს ჯერ ბაასისტებმა და შემდეგ უმცირესობაში მყოფმა შიიტმა ალავიტებმა, სუნიტურმა უმრავლესობამ ვერ მოახერხა ძლიერი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა ბაასისტურ-ალავიტური რეჟიმის წინააღმდეგ.

მამის გარდაცვალების შემდეგ ახალგაზრდა პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი

მართალია ეცადა რეფორმების გატარებით შეეცადა ჰაფიზ ალ-ასადის დროინდელი კორუმპირებული სახელისუფლებო კლანების ძალაუფლებიდან ჩამოშორებას, თუმცა ოპოზიციის არასწორმა ტაქტიკამ ახალგაზრდა პრეზიდენტი აიძულა დაყრდნობოდა ისევ იმ ძალებს, რომელთა ჩამოცილებასაც ცდილობდა თავის დროზე.

ბაშარ ალ-ასადმა ასევე გარკვეულწილად შეარბილა მამამისის დროინდელი მკაცრი კონტროლის სისტემა, თუმცა სპეცსამსახურების მხრიდან სხვადასხვა დაწესებულებებისა და სახელმწიფო უწყებების კონტროლი უფრო მსუბუქი ფორმით, მაგრამ მაინც გრძელდებოდა.

თუნისისა და ეგვიპტის მსგავსად, სირიის "არაბული გაზაფხულის" გარიჟრაჟზე ისლამისტებს არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ რეჟიმის საწინააღმდეგო აქციებში. ისინი პროცესებში მოგვიანებით ჩაერთვნენ. "არაბული გაზაფხულით" გამოწვეულ რევოლუციურ პროცესებში ზომიერი ისლამისტები გააქტიურდნენ თუნისში, ეგვიპტეში კი "მუსლიმი ძმები", რომლებმაც ბოლო ათწლეულების მანძილზე უარი თქვეს ძალადობრივ აქტივობაზე. სირიაში რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციურ პროცესებში ოდნავ მოგვიანებით, როგორც ზემოთ ითქვა, ჩაერთვნენ სხვადასხვა ძალები. უფრო კონკრეტულად, ზომიერი ოპოზიციის და არატერორისტული სალაფიტური დაჯგფებების გარდა სახელისუფლებო ძალებს ებრძოდნენ ექსტრემისტულ-ტერორისტული ორგანიზაციები, *„ალ-კაიდა“* თავისი განშტოებებით და "ისლამური სახელმწიფო" და სხვა მრავალი დაჯგუფება როგორც ქვეყნის შიგნიდან, ისევე "ჯაბჰათ ალ-ნუსრასა" და "ისლამურ სახელმწიფოში" საბრძოლველად წასული რეკრუტები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან.

სირიაში გააქტიურდა ახლად წარმოქმნილი ტერორისტული ორგანიზაცია "ისლამური სახელმწიფოც", რომელიც არა მარტო ამ ქვეყნისთვის, არამედ, ზოგადად, გლობალურ საფრთხედაც იქცა. აქედან გამომდინარე, სირიის კონფლიქტში კიდევ უფრო გააქტიურდნენ როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მხრიდან მანამდე მოწვეული გარე ძალები, რომლებმაც ტერორიზმთან ბრძოლის მოტივით ნაწილმა ნებით და ნაწიმა უნებლიედ ხელი შეუწყო ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის შეანარჩუნებას ამ ეტაპზე.

ყოველივე ზემოთ თქმულის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ თუნისში დაწყებული “არაბული გაზაფხულით” გამოწვეული რევოლუცია, რომელიც გაგრძელდა ეგვიპტესა და სირიაშიც, მეტ-ნაკლები წარმატებით წარიმართა თუნისში, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ერთნაირი შედეგებით დასრულდა 10 წლის თავზე თუნისში და გაცილებით ადრე ეგვიპტეში, სირიაში კი განსხვავებული შედეგები მოჰყვა. ეგვიპტეში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ძალაუფლება გარკვეულწილად მაინც სამხედრო საბჭოს ხელში დარჩა. თუნისშიც მართალია, დაემხო ძველი ავტოკრატია, მაგრამ კვლავ ჩამოყალიბდა ახალი, რისი აშკარა ნიშნებიც გამოჩნდა 2021 წლიდან.

რაც შეეხება სირიას, ის დე ფაქტო, დეფრაგმენტებულ ქვეყნად იქცა. მიუხედავად ანტისამათვრობო გამოსვლებისა, რომლებიც ხანგრძლივ სამოქალაქო ომში გადაიზარდა, კვლავ ინარჩუნებს ძალაუფლებას ბაშარ ალ-ასადის ალავიტური რეჟიმი. აღნიშნული რეჟიმის შენარჩუნება განაპირობა: ოპოზიციის დაქსაქსულობამ, გააქტიურებული ტერორისტების ფონზე რეჟიმის უალტერნატივო ძალად წარმოჩენამ, ეგვიპტის მსგავსად რეჟიმის მხარდამჭერი ალავიტი სამხედროების მიერ საკუთარი პრივილეგიებისა და მატერიალური ინტერესების დაცვის მოტივაციამ.

სამივე ქვეყანაში ისლამისტები თავიანთი განსხვავებული ხასიათით (ზომიერები, რადიკალები და ექსტრემისტები) იქცნენ ძველი რეჟიმებისთვის ხელისუფლების შენარჩუნების იარაღად და ოპოზიციურად განწყობილ ამომრჩეველზე მანიპულირების საშუალებად. ასე რომ, ისლამისტური ფენომენი, თავისი ზომიერი, რადიკალური და ექსტრემისტული გამოვლინებებით „არაბული გაზაფხულის“ რევოლუციური ტალღის ინსტრუმენტი უფრო იყო, ვიდრე მიზეზი, რაც ყველაზე უკეთ სირიის შემთხვევაში გამოჩნდა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

დოკუმენტების კრებულები:

سنوات الخوف

الحقيقة والعدالة في قضية المختفين قسريا في سورية

تحرير رضوان زيادة

مشروع العدالة الانتقالية في العالم العربي, 2015.

წყაროები:

მაკკეინი, ჯ. სალტერი, მ. - „დაუცხრომელი ტალღა: კარგი იდეები, სწორი მიზნები, დიდი ბრძოლები და სხვა ძვირფასი მოგონებები.“ ზაზა შენგელიას თარგმანი - 2019. თბილისი: ეკონომიკური პოლიტიკის კვლევების ცენტრი.

Cockburn, Patrick. The Age of Jihan-Ilsmaic State and the great war for the Middle East. NY: Verso, 2016.

Cockburn, Patrick. The Jihadis Return – ISIS and the New Sunni Uprising. New York and London” OR Books, 2014.

Kirkpatrick, David. - Into the Hands of the Soldiers: Freedom and Chaos in Egypt and the Middle East. NeW York: Viking, 2018.

Littell, Jonathan. Syrian Notebooks- Inside the Homs Uprising January 16–February 2, 2012. London. New York: British Library Cataloguing in Publication Data, 2015.

Вайс, Маийкл и Хассан, Хассан. Исламское Государство Армия Террора. Нью- Йорк, 2016.

პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები:

კუნჭულია, ლელა. "ისლამური სახელმწიფოს" ინტერესებს საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე შეეწირა. // *„radiotavisufleba",* August 2016. https://www.radiotavisupleba.ge/a/siriashi-saqartvelos-kidev-erti-moqalaqe-daigupa/27943656.html

Abul-Magd, Zeinab. Egypt's Military Business: The Need for Change. // *Mei.edu*, November 2015. https://www.mei.edu/publications/egypts-military-business-need-change

A Dalloul, Motasem. Who is to blame for Tunisia's political stalemate? // *"MIDDLE EAST MONITOR",* February 2020. https://www.middleeastmonitor.com/20200217-who-is-to-blame-for-tunisias-political-stalemate/

Adetunji, Jo. Tunisian elections: Al Aridha Chaabia party has some seats revoked. // *"Guardian",* October 2011. https://www.theguardian.com/world/2011/oct/28/tunisian-elections-al-aridha-chaabia

Ahram online. Obama welcomes Morsi's call for dialogue with opposition. // "English.ahram.org.eg", Dec. 7 2012. https://english.ahram.org.eg/NewsContent/1/64/59979/Egypt/Politics-/Obama-welcomes-Morsis-call-for-dialogue-with-oppos.aspx

Ajroudi, Asma. Allahoum, Ramy. Tunisia's Nidaa Tounes in shambles amid political turbulence. // *"ALJAZEERA",* December 2018. https://www.aljazeera.com/features/2018/12/05/tunisias-nidaa-tounes-in-shambles-amid-political-turbulence/?gb=tru0e

Amara, Tarek. Tunisian leader bows to unrest, sets departure date. // *"REUTERS",* January 2011. https://www.reuters.com/article/us-tunisia-protests-idUSTRE70C1VB20110113

Amara, Tarek. Tunisia new government faces resistance before ratification vote. // *"Reuters",* January 2015. https://in.reuters.com/article/us-tunisia-politics/tunisia-new-government-faces-resistance-before-ratification-vote-idUSKBN0KY0R520150125

Argoubi, Mohamed. Former Interior Minister nominated as Tunisian prime minister. // *"Reuters",* January 2015. https://de.reuters.com/article/us-tunisia-politics/former-interior-minister-nominated-as-tunisian-premier-idUSKBN0KE0LC20150105

Al-Anani, Khalil. What happened to Egypt's Muslim Brotherhood? // *"ALJAZEERA",* February 2017. https://www.aljazeera.com/opinions/2017/2/15/what-happened-to-egypts-muslim-brotherhood/

Arbi, Chiraz. Kais Saied's Resolute Strategy to Uproot Tunisia's Post-2011 Governance Model / The Washington Institute for Near East policy. May 24, 2022. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/kais-saieds-resolute-strategy-uproot-tunisias-post-2011-governance-model?fbclid=IwAR2-__6exVfnSavZIFklbXIgbtr2ouuBxbGIDL3S4Omu9G_eUg1nPViETpw

Al-Aswany, Alaa. Why did Mohammed Morsi Win? – **Al-Monitor**, Jun 27, 2012. https://www.al-monitor.com/pulse/politics/2012/06/why-mohammed-morsi-won.html

Awad, Mokhtar. The Salafi Dawa of Alexandria: The Politics of a Religious Movement. – *Hudson Institute,* August 2014. https://www.hudson.org/research/10463-the-salafi-dawa-of-alexandria-the-politics-of-a-religious-movement-

Basly, Rajaa. The Future of Ennahda in Tunisia. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* April 2011. https://carnegieendowment.org/sada/43675

Beaumont, Peter. Tunisia: killing of leftist leader brings secularists on to the streets. // *"Guardian",* July 2013. https://www.theguardian.com/world/2013/jul/25/tunisia-protests-killing-leader

Beamount, Peter. Protests erupt across Egypt after presidential decree. // "theguardian.com", Nov. 23 2012. https://www.theguardian.com/world/2012/nov/23/protests-egypt-presidential-decree

Beblawi, El Hazem. Economic Growth in Egypt: Impediments and Constraints (1974–2004). - *The World Bank On behalf of the Commission on Growth and Development*, 2008. http://documents1.worldbank.org/curated/en/457861468024586289/pdf/577140NWP0Box31UBLIC10gc1wp10141web.pdf

Beji Caid Essebsi: Tunisia's first freely elected president dies aged 92. // *"BBC",* July 2019. https://www.bbc.com/news/world-africa-49111905

Beji Caid Essebsi: Veteran who ushered in democracy in Tunisia. // *"ALJAZEERA",* July 2019. https://www.aljazeera.com/news/2019/7/25/beji-caid-essebsi-veteran-who-ushered-in-democracy-in-tunisia

Ben Ali nephew apologises to Tunisia for corruption. // *"NEWS24",* May 2017. https://www.news24.com/news24/africa/news/ben-ali-nephew-apologises-to-tunisia-for-corruption-20170520

Ben Ali rules out 'presidency for life,' vows less police violence, more press freedom. // *"FRANCE24",* January 2011. https://www.france24.com/en/20110113-tunisia-protests-ben-ali-speech-will-not-seek-reelection

Belakhdar, Naoual. Eickhof, Ilka. El Khawaga, Abla. El Khawaga, Ola. Hamada, Amal. Harders, Cija. Sandri, Serena. (ed.). Arab Revolutions and Beyond. // *"Proceedings of the International Conference Tunis, 12-13"*, August 2014. .https://www.polsoz.fu-berlin.de/polwiss/forschung/international/vorderer-orient/publikation/working_papers/wp_11/WP11_Tunis_Conference_FINAL_web.pdf

Bender, Jeremy. Saddam Hussein's Old Party Is Behind A Lot Of The Chaos In Iraq. // *"Business Insider",* June 2014. https://www.businessinsider.com/saddam-husseins-old-party-is-behind-iraq-chaos-2014-6

Bertrand, Natasha. We just got the clearest sign yet that the Assad regime helped make ISIS very, very rich. // *"Business Insider"*, April 2016. https://www.businessinsider.com/assad-oil-isis-2016-4

Biography MOHAMED MONCEF MARZOUKI. – *moncefmarzouki.com*. http://www.moncefmarzouki.com/biography-2/?lang=en

Bollier, Sam. Who are Tunisia's political parties? // *"ALJAZEERA",* October 2011. https://www.aljazeera.com/features/2011/10/27/who-are-tunisias-political-parties

Bonfatti, Alice. The socio-economic roots of Syria's uprising. // *"aljumhuiya",* September 2017. https://www.aljumhuriya.net/en/content/socio-economic-roots-syria%E2%80%99s-uprising

Bouazza, Ben Bouazza. Tunisia announces new minority government without Islamists". // *"Associated Press",* January 2015. https://apnews.com/article/be4383a11dda4297b001544f604e2165

Boussen, Zied. Tunisia: New Government, New Dynamics? – *Arab Reform Initiative*, June 2020. https://www.arab-reform.net/publication/tunisia-new-government-new-dynamics/

Brinbaum, Michael. Egypt's President Morsi takes sweeping new powers. // "washingtonpost.com", Nov. 22 2012. https://www.washingtonpost.com/world/egypts-president-

morsi-takes-sweeping-new-powers/2012/11/22/8d87d716-34cb-11e2-92f0-496af208bf23_story.html

Browne, Gareth. Mosul was 'epicentre' of Russian-speaking Islamic State fighters. // *"The New Arab",* December 2016. https://english.alaraby.co.uk/english/indepth/2016/12/9/mosul-was-epicentre-of-russian-speaking-islamic-state-fighters

Dr. Brown, Katherine. Analysis: Why are Western women joining Islamic State? // *"BBC",* October 2014. https://www.bbc.com/news/uk-29507410

Brown, Nathan J. Dunne, Michele. Hamzawy, Amr. EGYPT'S CONTROVERSIAL CONSTITUTIONAL AMENDMENTS. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE*, March 2007. https://carnegieendowment.org/files/egypt_constitution_webcommentary01.pdf

Bunyan, Rachael. Tunisia's Presidential Election 2019: Who's Running, What's at Stake. // *"Time",* September 2019. https://time.com/5676904/tunisia-elections-2019/

Byrne, Eilen. Fears as Tunisia's old guard regroups. // *"Financial Times",* July 2011. https://www.ft.com/content/cfef3a66-b77e-11e0-b95d-00144feabdc0

Capatides, Christina. Which European countries have produced the most ISIS fighters? // *"CBSNEWS",* January 2016. https://www.cbsnews.com/news/isis-terror-recruiting-europe-belgium-france-denmark-sweden-germany/

Charter of the Syrian Islamic Front. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER*, February 2013. https://carnegie-mec.org/diwan/50831?lang=en

Cherif, Youssef. Has the EU Failed Democratic Tunisia? / Carnegie Endowment for International Peace. 16 December, 2021. https://carnegieendowment.org/2021/12/16/has-eu-failed-democratic-tunisia-pub-85946?fbclid=IwAR3PCPe-NSaGZhh0hYbO5Fc0cp3ZJ9hszJ-bz_d0oZrzTZEw5jOjTdcmluk

Chulov, Martin. Tunisia referendum approves expansion of president's powers – officials // „The Guardian" , 27 July, 2022. https://www.theguardian.com/world/2022/jul/26/tunisia-president-referendum-result-new-phase-kais-saied

Constitutional history of Tunisia. – *CONSTITUTIONNET*. https://constitutionnet.org/country/tunisia

Daoudy, Marwa. Syria: Revolution and Repression. - *Conservative Middle East Council*, October 2011. https://cmec.org.uk/sites/default/files/field/attachment/October%202011%20CMEC-Arab-Spring.pdf

Daragahi, Borzou. Tunisian opposition leader assassinated. // *"Financial Times",* February 2013. https://www.ft.com/content/873b350e-7041-11e2-85d0-00144feab49a

Decree n° 2012-168 dated 10 April 2012, relating to the change of appointment. 2012. http://www.legislation.tn/en/detailtexte/D%C3%A9cret-num-2012-168-du-10-04-2012-jort-2012-030__2012030001683

Desouki, Khaled. Complications with Egypt's Succession Plan. – *Stratfor,* October 2010. https://worldview.stratfor.com/article/complications-egypts-succession-plan

"Directorate of Intelligence, Chiefs of State & CabinetMembers of foreign governments." – *CIA.gov*, 2012. https://www.cia.gov/library/publications/resources/world-leaders-1/pdfs/2012/February2012ChiefsDirectory.pdf

2012 Egyptian Parliamentary Elections. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE*, January 2015. https://carnegieendowment.org/2015/01/22/2012-egyptian-parliamentary-elections-pub-58800

Egypt Hisham Barakat killing: 30 sentenced to death. // *"BBC",* June 2017. https://www.bbc.com/news/world-middle-east-40313267

Elissar, Ben Eliahu. Cluverius, Wat. Eilts, Hermann Frederick. Fakhr, Ahmed. Ibrahim, Saad Eddin. Indyk, Martin. Lewis, Samuel. El-Sayed, Ahmed Maher. Pelletreau, Robert. Pollack, Kenneth. Rodman, Peter. Sadat, Camelia Anwar. Said, Aabdel Monem. Satloff, Robert. Shamir, Shimon. Stein, Kenneth. Telhami, Shibley. Ya' ari, Ehud. Sadat and His Legacy. – *Washington Institute for Near East Policy*, 1998. https://www.washingtoninstitute.org/media/3591

Elyes Fakhfakh: Tunisia's New Prime Minister Designate Races against Time to Form New Government. // *"Majalla-London",* February 2020. https://eng.majalla.com/node/82101/elyes-fakhfakh-tunisia%E2%80%99s-new-prime-minister-designate-races-against-time-to-form-new

Ennahda Shura Council: 'We will prepare for early elections. // *"MIDDLE EAST MONITOR",* Fabruary 2020. https://www.middleeastmonitor.com/20200207-head-of-ennahda-shura-council-ennahda-to-prepare-for-early-elections/

Ennahda: Before and After the Coup in Tunisia - A Conversation with Andrew F. March, Organized and edited by David Siddhartha Patel. // Brandies University, Crown Center for Middle East Studies. July 8, 2022. https://www.brandeis.edu/crown/publications/crown-conversations/cc-14.html?fbclid=IwAR30EPs8Hh8u1KKYwB3UaK2PEO-t7oFBgnRaPrRStUJQEUDkE7hKCh_qekI

EU targets Syrian middleman it says bought oil from Islamic State. // *"REUTERS",* March 2015. https://www.reuters.com/article/syria-crisis-eu/eu-targets-syrian-middleman-it-says-bought-oil-from-islamic-state-idUSL5N0WA05R20150308

Fahmi Huwaidi. Letter from Tunisia. // *"MIDDLE EST MONITOR",* January 2014. https://www.middleeastmonitor.com/20140125-political-islam-and-its-supposed-dangers-2/

Feuer, Sarah. Rumley, Grant. Fishman, Ben. Zelin, Aaron Y. - Political Uncertainty Deepens in Tunisia / the Washington institute for near east policy. Aug 31, 2021. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/political-uncertainty-deepens-tunisia?fbclid=IwAR1X7E7TC2BBgiUK7_fbMBaQYGsmaGr8N81G87pOnp6KTvP9jgq5ZOIK0c0

Final Tunisian election results announced. // *"ALJAZEERA",* November 2011. https://www.aljazeera.com/news/2011/11/14/final-tunisian-election-results-announced

France: Prosecutors ask for extradition of ousted Tunisian President's brother in law. // *"MIDDLE EAST MONITOR"*, June 2020. https://www.middleeastmonitor.com/20200626-france-prosecutors-ask-for-extradition-of-ousted-tunisian-presidents-brother-in-law/

Fucoi, Sorin. Najjar, Farah. Lebanon's Syrian refugee camps battered by winter storms. // *"ALJAZEERA",* January 2019. https://www.aljazeera.com/indepth/inpictures/lebanon-syrian-refugee-camps-battered-winter-storms-190114210329942.html

Full text of Mubarak's speech. // *"CNN",* February 2011. http://edition.cnn.com/2011/WORLD/africa/02/10/egypt.mubarak.statement/index.html

Fundamentalism. - *Catholic Answers*. https://www.catholic.com/tract/fundamentalism

Gardner, Frank. The crucial role of women within Islamic State. // *"Guardian",* August 2015. https://www.bbc.com/news/world-middle-east-33985441

Grewal, Sharan. A Quiet Revolution: The Tunisian Military after Ben Ali. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* February 2016.

https://carnegieendowment.org/2016/02/24/quiet-revolution-tunisian-military-after-ben-ali-pub-62780

Grewal, Sharan. How Tunisia's military has changed during its transition to democracy. // *"Wachington post"*, 2016. https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2016/03/08/how-tunisias-military-has-changed-during-its-transition-to-democracy/

Guide to the Syrian rebels. // *„BBC"*, December 2013. https://www.bbc.com/news/world-middle-east-24403003

Harfoushi, Mohammad. Lebanon and the Future Of 'Greater Syria. // *Al-Monitor*, January 2013. https://www.al-monitor.com/pulse/originals/2013/01/final-collapse-greater-syria.html

Hearst, David. Hussein, Abdel-Rahman. Egypt's supreme court dissolves parliament and outrages Islamists. // *"Guardian",* June 2012. https://www.theguardian.com/world/2012/jun/14/egypt-parliament-dissolved-supreme-court

Henneberg, Sabina. Promoting Stability and Reform in Tunisia / The Washington institute for near east policy. May 3, 2022. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/promoting-stability-and-reform-tunisia?fbclid=IwAR1Tw-pr2ASRcTCrzX1JIMiEnGIyBqyUt-NOX3Ufg0IKmSJyYNv4BVLlj64

Highlights: Egyptian President Hosni Mubarak's speech. // *"REUTERS",* January 2011. https://www.reuters.com/article/us-egypt-mubarak-speech-idUSTRE70S0SA20110129

How schoolboys began the Syrian revolution. // *„CBSNEWS"*, April 2011. https://www.cbsnews.com/news/how-schoolboys-began-the-syrian-revolution/

Hubbard, Ben. Wives and Children of ISIS: Warehoused in Syria, Unwanted Back Home. // *"The New York Times"*, July 2018. https://www.nytimes.com/2018/07/04/world/middleeast/islamic-state-families-syria.html

Hu, Zoe. Why Bashar al-Assad is still in power. // *"ALJAZEERA",* October 2016. https://www.aljazeera.com/news/2016/10/4/why-bashar-al-assad-is-still-in-power

Hussein, Abdel-Rahman. Mohamed Morsi's approach to Gaza air strikes falls short for many Egyptians. // *"Guardian",* November 2012. https://www.theguardian.com/world/2012/nov/15/mohamad-morsi-gaza-israel-egypt

Hussein, Abdel-Rahman. Mohamed Morsi calls for dialogue in attempt to quell Egypt's anger. // "theguardian.com", Dec.7 2012. https://www.theguardian.com/world/2012/dec/06/mohamed-morsi-egypt

Interview: Tunisia satisfied with Tunisia-China cooperation in fighting COVID-19: health minister. – *AFRICA,* August 2020. http://www.xinhuanet.com/english/2020-05/08/c_139038916.htm

Iranian minister visits Tunisia. https://www.dailymotion.com/video/xs9w00

Jamaoui, Anouar. The impact of the coalition on Ennahda and Nidaa Tounes. – *Open Democracy*, March 2015. https://www.opendemocracy.net/en/north-africa-west-asia/impact-of-coalition-on-ennahda-and-nidaa-tounes/

Kajjo, Sirwan. Jihadist Group Takes Over Strategic Town in Northwest Syria. // "voanews.com", 13 October 2022. https://www.voanews.com/a/jihadist-group-takes-over-strategic-town-in-northwest-syria/6788541.html

Dr. Karasik, Theodore. The erratic ISIS and Baath party connection. // *"ALARABIYA",* April 2015, updated may 2020. https://english.alarabiya.net/en/views/news/middle-east/2015/04/18/The-erratic-ISIS-and-Baath-party-connection.html

Kenar, Ceren. Soylu, Ragip. Why Are Russian Engineers Working at an Islamic State-Controlled Gas Plant in Syria? – *"Foreign Policy",* February 2016. https://foreignpolicy.com/2016/02/09/why-are-russian-engineers-working-at-an-islamic-state-controlled-gas-plant-in-syria/

Kessler, Oren. Egypt Islamist vows global caliphate in Jerusalem. // *"Jarusalem post",* May 2012. https://www.jpost.com/middle-east/egypt-islamist-vows-global-caliphate-in-jerusalem

Key players in Egypt's Jan. 25 revolution: Where are they now? // *"Alarabiya News"*, January 2014. https://english.alarabiya.net/en/perspective/analysis/2014/01/25/Key-players-in-Egypt-s-Jan-25-revolution-Where-are-they-now-.html

Khaddour, Kheder. Assad's Officer Ghetto: Why the Syrian Army Remains Loyal. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER*, November 2015. https://carnegie-mec.org/2015/11/04/assad-s-officer-ghetto-why-syrian-army-remains-loyal-pub-61449

Al-Khalidi, Suleiman. Jordanian jihadis returning from Syria war rattle U.S.-aligned kingdom. // *"REUTERS",* April 2014. https://www.reuters.com/article/us-jordan-syria-militants-

insight/jordanian-jihadis-returning-from-syria-war-rattle-u-s-aligned-kingdom-idUSBREA3G16H20140417

Khayr al-Din al-Tunisi. – *Oxford Islamic Studies Online.* http://www.oxfordislamicstudies.com/article/opr/t125/e1284

Khomami, Nadia. Number of women and children who joined Isis 'significantly underestimated. // *"Guardian",* July 2018. https://www.theguardian.com/world/2018/jul/23/number-of-women-and-children-joining-isis-significantly-underestimated

Kirkpatrick, D. David. Named Egypt's Winner, Islamist Makes History. // *"New York Times",* June 2012. https://www.nytimes.com/2012/06/25/world/middleeast/mohamed-morsi-of-muslim-brotherhood-declared-as-egypts-president.html

Kirkpatrick, D. David D. El Sheikh, Mayy. Citing Deadlock, Egypt's Leader Seizes New Power and Plans Mubarak Retrial. // „newyorktimes.com", Nov. 22 2012. https://www.nytimes.com/2012/11/23/world/middleeast/egypts-president-morsi-gives-himself-new-powers.html

Lacroix, Stephane. Egypt's Pragmatic Salafis: The Politics of Hizb al-Nour. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* November 2016. https://carnegieendowment.org/2016/11/01/egypt-s-pragmatic-salafis-politics-of-hizb-al-nour-pub-64902

Leading Syrian rebel groups form new Islamic Front. // *"BBC",* November 2013. https://www.bbc.com/news/world-middle-east-25053525

Legge, James. Tunisia shocked by assassinations: Opposition leaders Mohamed Brahmi and Chokri Belaid killed with the same gun. // *"INDEPENDENT"*, July 2013. https://www.independent.co.uk/news/world/africa/tunisia-shocked-assassinations-opposition-leaders-mohamed-brahmi-and-chokri-belaid-killed-same-gun-8733972.html

Leila Ben Ali; Tunisia's power-hungry first lady. // *"almaghribtoday",* June 2011. https://www.almaghribtoday.net/en/329/leila-ben-ali-tunisias-power-hungry-first-lady

Lewis, Aidan. Profile: Tunisia's Ennahda Party. // *"BBC",* October 2011. https://www.bbc.com/news/world-africa-15442859

Lewis, Aidan. Tracking down the Ben Ali and Trabelsi fortune. // *"BBC",* January 2011. https://www.bbc.com/news/world-africa-12302659

Loveluk, Louisa. Islamic State: Where do its fighters come from? // *"The Telegraph",* June 2015. https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/islamic-state/11660487/Islamic-State-one-year-on-Where-do-its-fighters-come-from.html

Lund, Aaron. The Syria Revolutionaries' Front. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER*, December 2013. https://carnegie-mec.org/diwan/53910?lang=en

Lund, Aron. Who and What Was Abu Khalid al-Suri? – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER*, February 2014. http://carnegie-mec.org/diwan/54618

Lyon, Alistar. Elyan, Tamim. Egypt's opposition scorns Mursi's concession. // "reuters.com", Dec. 9 2012. https://www.reuters.com/article/egypt-politics-mursi-idINDEE8B805F20121209

Mekhennet, Souad. The jihadist plan to use women to launch the next incarnation of ISIS. // *"The Washington Post",* November 2017. https://www.washingtonpost.com/world/national-security/the-jihadist-plan-to-use-women-to-launch-the-next-incarnation-of-isis/2017/11/26/e81435b4-ca29-11e7-8321-481fd63f174d_story.html?noredirect=on&utm_term=.357c8ea460dc

Maclean, William. Tunisia army pivotal to Ben Ali ousting. // *"REUTERS",* January 2011. https://www.reuters.com/article/us-tunisia-protests-army-idUSTRE70G52B20110117

Maghreb high line speed project progresses with a meeting in Tunis. – *Unisity, Solidarity, Universality*, March 2012. https://www.uic.org/com/enews/nr/281/article/maghreb-high-speed-project?page=news

Mamouri, Ali. The Roots of Radicalism in Political Islam. – *Al-Monitor*, October 2013. https://www.al-monitor.com/originals/2013/10/radicalism-political-islam-roots-sunni-shiite-fundamentalist.html

Marks, Monika. Tunisia opts for an inclusive new government. // *"Washingtonpost",* 2015, February 4. https://www.washingtonpost.com/news/monkey-cage/wp/2015/02/03/tunisia-opts-for-an-inclusive-new-government/

Masoud, Tarek. Is Gamal Mubarak the best hope for Egyptian democracy? // *"Foreign Policy",* September 2010. https://foreignpolicy.com/2010/09/20/is-gamal-mubarak-the-best-hope-for-egyptian-democracy/

Mayer, Jane. Who Is Omar Suleiman? // *"NEWYORKER",* January 2011. https://www.newyorker.com/news/news-desk/who-is-omar-suleiman

McCurdy, Daphne. Tunisia's Surprise Success Story—And What He Means for the New Democracy. – *"The Atlantic",* October 2011. https://www.theatlantic.com/international/archive/2011/10/tunisias-surprise-success-story-and-what-he-means-for-the-new-democracy/247588/

McKernan, Bethan. Isis ramping up oil sales to Bashar al-Assad's Syrian regime, say Western officials. // *"INDEPENDENT",* February 2017. https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/western-officials-say-syrian-regime-assad-buying-more-oil-gas-isis-a7537851.html

Meddeb, Hamza. Ennahda's Uneasy Exit From Political Islam. – *MALCOLM H. KERR CARNEGIE MIDDLE EAST CENTER*, September 2019. https://carnegie-mec.org/2019/09/05/ennahda-s-uneasy-exit-from-political-islam-pub-79789

Michaleson, Ruth. Hosni Mubarak: Egypt's toppled dictator freed after six years in custody. // *"Guardian",* March 20017. https://www.theguardian.com/world/2017/mar/24/hosni-mubarak-returns-to-cairo-home-after-six-years-in-custody

Milstones 1977-1980 - Camp David Accords and the Arab-Israeli Peace Process. - *Office of the Historian.* https://history.state.gov/milestones/1977-1980/camp-david

More Resignations from Tunisia's Interim Government. – *"voanews",* Fabruary 2011. https://www.voanews.com/africa/more-resignations-tunisias-interim-government

National Constituent Assembly, Elections in Tunisia.- *CARTER CENTER Final Report*, October 2013. https://www.cartercenter.org/resources/pdfs/news/peace_publications/election_reports/tunisia-final-Oct2011.pdf

New Syrian defence minister is Christian: a difficult role. // *"Asianews",* October 2011. http://www.asianews.it/news-en/New-Syrian-defence-minister-is-Christian:-a-difficult-role--22331.html

Noueihed, Lin. Unemployment breeds anger in home of Arab Spring. // *"REUTERS"*, May 2012. https://www.reuters.com/article/us-tunisia-unemployment-idUSBRE84T0WT20120530

Al Nusrah Front claims 3 more suicide attacks in Daraa. // *"BBC",* April 2013. https://www.bbc.com/news/world-middle-east-18048033

Obituary: Zine al-Abidine Ben Ali. – *"BBC"*, September 2019. https://www.bbc.com/news/world-africa-12196679

Otten, Cathy. Slaves of Isis: the long walk of the Yazidi women. // *"Guardian"*, July 2017. https://www.theguardian.com/world/2017/jul/25/slaves-of-isis-the-long-walk-of-the-yazidi-women

Parasczczuk, Joanna. Morsy says he'll 'review' peace treaty with Israel, in interview with Iranian media. // *"Jarusalem post",* June 2012. https://www.jpost.com/middle-east/morsy-says-hell-review-peace-treaty-with-israel

Piser, Karina. The Mainstreaming of Tunisia's Islamists. // *"Foreign Policy",* August 2016. https://foreignpolicy.com/2016/08/07/the-mainstreaming-of-tunisias-islamists/

Podolsky, Philip. Morsi reportedly mulls amending peace treaty with Israel. // *"Times of Israel"*, August 2012. https://www.timesofisrael.com/morsi-considers-amending-camp-david-accords/

Polk, William. R. Understanding Syria: From Pre-Civil War to Post-Assad. // *"The Atlantic",* December 2013. https://www.theatlantic.com/international/archive/2013/12/understanding-syria-from-pre-civil-war-to-post-assad/281989/

Presidential Election in Egypt. - *THE CARTER CENTER Final Report*, May-June 2012. https://www.cartercenter.org/resources/pdfs/news/peace_publications/election_reports/egypt-final-presidential-elections-2012.pdf

Profile: Bashar al-Assad. // *"ALJAZEERA",* April 2018. https://www.aljazeera.com/news/2018/4/17/profile-bashar-al-assad

Profile: George Sabra. // *"ALJAZEERA",* April 2013. https://www.aljazeera.com/news/2013/4/22/profile-george-sabra

Profile: Syrian National Council chairman George Sabra. // *"BBC",* November 2012. https://www.bbc.com/news/world-middle-east-20312255

Rabil, Robert. Baath Party Congress in Damascus: How Much Change in Syria? – *The Washington Instiute for Near East Policy,* June 2005. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/baath-party-congress-in-damascus-how-much-change-in-syria

Rafizadeh, Majid. For Syria's minorities, Assad is security. // "ALJAZEERA", September 2011. http://www.aljazeera.com/indepth/opinion/2011/09/2011912135213927196.html

Rashwan, Nada Hussein. Angered Egyptian journalists blast Morsi declaration, threaten general strike. // "English.ahram.rog.eg", Nov. 25 2012. https://english.ahram.org.eg/NewsContent/1/64/59141/Egypt/Politics-/Egypt-journalists-blast-Morsi-declaration,-warn-of.aspx

Rathmell, Andrew. Syria's Intelligence Services: Origins and Development. // *"Journals lib."*. https://journals.lib.unb.ca/index.php/jcs/article/view/11815/12636

Red Alert: Mubarak Resigns, Military Is in Charge. – *Stratfor,* February 2011. https://worldview.stratfor.com/article/red-alert-mubarak-resigns-military-charge

Religious Minorities in Syria: Caught in the Middle. – *Committee on Foreign Affairs*

U.S. House of Reprsentatives, June 2013. https://docs.house.gov/meetings/FA/FA16/20130625/101036/HHRG-113-FA16-Wstate-SheaN-20130625.pdf

Reuters. Egypt's opposition rejects constitutional referendum. // "reuters.com", Dec. 9 2012. https://www.reuters.com/article/uk-egypt-politics-idUKBRE8B706S20121209

Roll, Stephan. Gamal Mubarak and the Discord in Egypt's Ruling Elite. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE,* September 2010. http://carnegieendowment.org/sada/?fa=41490

Sabrry, Bassem. Absolute Power: Morsi Decree Stuns Egyptians. // "al-monitor.com", Nov. 23 2012. https://www.al-monitor.com/originals/2012/al-monitor/morsi-decree-constitution-power.html

Sadiki, Larbi. The real significance of Tunisia's election. // *"ALJAZEERA",* October 2011, accessed July 3. https://www.aljazeera.com/opinions/2011/10/23/the-real-significance-of-tunisias-election/

Salahi, Amr. Egypt's history of erasing presidents from Mohamed Naguib to Mohamed Morsi. // *"The New Arab",* July 2019. https://english.alaraby.co.uk/analysis/egypts-history-erasing-presidents-naguib-morsi

Satlof, Robert. Morsi's Victory in Egypt: Early Implications for America and the Broader Middle East. – *Washington institute for Near East Policy*, June 2012. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/morsis-victory-in-egypt-early-implications-for-america-and-the-broader-midd

Schenker, David. Lin, Christina. Egypt's Outreach to China and Iran Is Troubling for U.S. Policy. – *Washington Institute for Near East Policy*, August 2012. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/egypts-outreach-to-china-and-iran-is-troubling-for-u.s.-policy

Sellini, Neila. The guardian angels of the Tunisian Personal Status Code. // *"The Arab Weekly"*, August 2015. https://thearabweekly.com/guardian-angels-tunisian-personal-status-code

El-Sherif, Ashraf. Egypt's Post-Mubarak Predicament. – *CARNEGIE ENDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE*, January 2014. https://carnegieendowment.org/2014/01/29/egypt-s-post-mubarak-predicament-pub-54328

Al-Sharif, Osama. Jordan and the Challenge of Salafi Jihadists. – *Mei.edu*, March 2016. https://www.mei.edu/publications/jordan-and-challenge-salafi-jihadists

Smyth, Phillip. Iran Is Outpacing Assad for Control of Syria's Shia Militias. – *The Washington Institute for Near East Policy*, April 2018. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/iran-outpacing-assad-control-syrias-shia-militias

Solomon, Christofer. HTS: Evolution of a Jihadi Group. // „wilsoncenter.org", 13 July, 2022. https://www.wilsoncenter.org/article/hts-evolution-jihadist-group

Son of former Egyptian president Mohamed Morsi dies aged 25. // *"Guardian",* September 2019. https://www.theguardian.com/world/2019/sep/05/son-former-egyptian-president-mohamed-morsi-abdullah-dies-25

Sullivan, Kevin. Tunisia, after igniting Arab Spring, sends the most fighters to Islamic State in Syria. // *"The Washington Post",* October 2014. https://www.washingtonpost.com/world/national-security/tunisia-after-igniting-arab-spring-sends-the-most-fighters-to-islamic-state-in-syria/2014/10/28/b5db4faa-5971-11e4-8264-deed989ae9a2_story.html?utm_term=.0f4e0e604e15

Switzerland to give part of Ben Ali money to Tunisia. // *"MIDDLE EAST EYE",* Fabruary 2015. https://www.middleeasteye.net/news/switzerland-give-part-ben-ali-money-tunisia

Syria's beleaguered Christian. // *"BBC",* February 2015. https://www.bbc.com/news/world-middle-east-22270455

Syria - Break Down of Emergency Laws in Syria. – *Wikilieaks*, August 2013. https://wikileaks.org/gifiles/docs/28/2825305_syria-break-down-of-emergency-laws-insyria-.html

Syria emergency. – *The UN Refugee Agency*. https://www.unhcr.org/syria-emergency.html#:~:text=2.98%20million&text=Millions%20of%20Syrians%20have%20escaped,Syrian%20refugees%20%E2%80%93%20currently%203.6%20million

Syria opposition commemorates Hama massacre. // *"Telegraph",* Februay 2012. https://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/syria/9056350/Syria-opposition-commemorates-Hama-massacre.html

Syria: speech by Bashar al-Assad, Speech by President Bashar al-Assad to the Syrian parliament on 30 March 2011 in response to a wave of protests around the country. // *"al-bab"*. https://al-bab.com/albab-orig/albab/arab/docs/syria/bashar_assad_speech_110330.htm

Syria. The Baath Redirections of 1966 and 1970. – *A Country Study*. Ed. By Thomas Collelo. Washington: GPO for the Library of Congress, 1987. http://countrystudies.us/syria/17.htm

Syria: Total population from 2000 to 2010 (in million inhabitants). – *Statista*. https://www.statista.com/statistics/326599/total-population-of-syria/

Syrian women under siege face new threat: their periods. // *"Independent",* October 2016. https://www.independent.co.uk/news/world/middle-east/syrian-women-under-siege-developing-infections-on-their-periods-without-tampons-or-clean-water-a7388476.html

Syrian Nusra Front announces split from al-Qaeda. // "BBC.com", 29 July 2016. https://www.bbc.com/news/world-middle-east-36916606

Tadros, Samuel. Egypt's Elections: Why the Islamists Won. – *Hudson Institute,* March 2012. https://www.hudson.org/research/8766-egypt-s-elections-why-the-islamists-won

The Constitution of the Arab Republic of Egypt, 1971 (as Amended to 2007). – *Constitutionnet*, 2007. http://constitutionnet.org/sites/default/files/Egypt%20Constitution.pdf

The Muslim Brotherhood in Syria. – *Carnegie Endowment For International Peace*, February 2012. https://carnegieendowment.org/2012/02/01/muslim-brotherhood-in-syria

Tsvetkova, Maria. How Russia allowed homegrown radicals to go and fight in Syria. // *"REUTERS",* May 2016. https://www.reuters.com/investigates/special-report/russia-militants/

Tunisia: Ali Larayedh named new prime minister. // *"BBC",* Fabruary 2013. https://www.bbc.com/news/world-africa-21550375

Tunisia arrests suspected Ansar al-Sharia militants. // *"BBC",* September 2013. https://www.bbc.com/news/world-africa-24019368

Tunisian autocrat Ben Ali dies in Saudi exile. // *"ALJAZEERA",* September 2019. https://www.aljazeera.com/news/2019/9/19/tunisian-autocrat-ben-ali-dies-in-saudi-exile

Tunisia's Ben Ali flees amid unrest. // *"ALJAZEERA",* January 2011. https://www.aljazeera.com/news/2011/1/15/tunisias-ben-ali-flees-amid-unrest

Tunisia declares Ansar al-Sharia a terrorist group. // *"BBC",* August 2013. https://www.bbc.com/news/world-africa-23853241?ocid=socialflow_twitter_africa

Tunisian economy makes tentative recovery. // *"ARAB NEWS",* July 2012. https://www.arabnews.com/tunisian-economy-makes-tentative-recovery

Tunisia's Elections, Explained/The world's youngest democracy votes. - *CARNEGIE ANDOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE*, 2019. https://carnegieendowment.org/publications/interactive/tunisian-elections-2019

Tunisia election results: Nida Tunis wins most seats, sidelining Islamists. // *"Guardian",* October 2014. https://www.theguardian.com/world/2014/oct/30/tunisia-election-results-nida-tunis-wins-most-seats-sidelining-islamists

Tunisia's Islamist Ennahda throws weight behind vote frontrunner. // *"Arab News",* September 2019. https://www.arabnews.com/node/1557461/middle-east

Tunisia judges start indefinite strike over purge. // *"REUTERS"*, May 2012. https://www.reuters.com/article/us-tunisia-strike/tunisia-judges-start-indefinite-strike-over-purge-idUSBRE84S1C520120529

Tunisia legalises Islamist group Ennahda. – *"BBC",* March 2011. https://www.bbc.com/news/world-africa-12611609

Tunisian media mogul and presidential candidate Nabil Karoui arrested. // *"FRANCE24",* August 2019. https://www.france24.com/en/20190823-tunisia-media-mogul-presidential-candidate-nabil-karoui-arrested-tax-evasion

Tunisia Military Spending/Defense Budget 1960-2021. – *Macrodrents.* https://www.macrotrends.net/countries/TUN/tunisia/military-spending-defense-budget

Tunisian Minister of Health a "Rising Star". – *"al-monitor"*, 2013. https://www.al-monitor.com/pulse/politics/2013/08/abdellatif-mekki-tunisia-ennahda-rising-star.html

Tunisian Minister of Human Rights and Transitional Justice Visits AJCS. – *ALJAZEERA CENTRE FOR STUDIES*, November 2012. https://studies.aljazeera.net/en/centernews/201211261144032894.html

Tunisia names old regime veteran to form new government. // *"Associated Press",* January 2015. https://apnews.com/article/33d9afa5353a4d8f8918d99fc6ee1f2b

Tunisia's parliament approves a coalition government. // *"MIDDLE EAST MONITOR",* Fabruary 2020. https://www.middleeastmonitor.com/20200227-tunisias-parliament-approves-a-coalition-government/

Tunisia parliament rejects gov't of PM-designate Habib Jemli. // *"ALJAZEERA",* January 2020. https://www.aljazeera.com/news/2020/1/11/tunisia-parliament-rejects-govt-of-pm-designate-habib-jemli

Tunisian parliament votes to dismiss PM Habib Essid. // *"ALJAZEERA",* July 2016. https://www.aljazeera.com/news/2016/07/31/tunisian-parliament-votes-to-dismiss-pm-habib-essid/?gb=true

Tunisian politician Mohamed Brahmi assassinated. // *"BBC",* July 2013. https://www.bbc.com/news/world-africa-23452979

Tunisia's Prime Minister Elyes Fakhfakh resigns. – *"FRANCE24",* July 2020. https://www.france24.com/en/20200715-tunisia-s-prime-minister-elyes-fakhfakh-resigns

Tunisia Prime Minister Hamadi Jebali resigns. // *"BBC",* Fabruary 2013. https://www.bbc.com/news/world-africa-21508498

Tunisia approves new constitution in vote with low turnout. // "France 24", 26 July, 2022. https://www.france24.com/en/africa/20220726-tunisian-president-hails-constitutional-referendum-set-to-boost-executive-power

Tunisians Back New Constitution in Early Results, but Turnout Just 25%. // "Vaoanews", 25 July, 2025. https://www.voanews.com/a/tunisians-back-new-constitution-in-early-results-but-turnout-just-25-/6673459.html

Tunisian judge lets Rached Ghannouchi leave after court hearing. // "Al-Jazeera" 19 July, 2022. Accessed 28 Jul, 2022. At web page: https://www.aljazeera.com/news/2022/7/19/tunisian-court-opens-hearing-into-ghannouchi-charges

Turkovski, Daniil. How Isis is recruiting migrant workers in Moscow to join the fighting in Syria. // *"Guardian",* May 2015. https://www.theguardian.com/world/2015/may/05/isis-russia-syria-islamic-extremism

U>S._ARAB CHAMBER HOSTS TUNISIAN MINISTERIAL DELEGATION AT WORLD BANK HEADWUARTERS. *– NATONAL U.S.-ARAB CHAMBER OF COMMERCE.* http://www.nusacc.org/uploads/2/2/9/7/22977530/12tunisiaworldbankprfinal-may2en.pdf

Visit by HE E. Ahamed, Minister of State for External Affairs of India to Tunisia, 5-7 November, 2012. *– Embassy of India*, November 2012. https://www.embassyofindiatunis.gov.in/visit-by-he-e-ahamed-minister-of-state-for-external-affairs-of-india-to-tunisia-5-7-November-2012.php

Walker, Shaun. Russian-speaking jihadis in Syria 'could threaten Moscow in future. // *"Guardian",* March 2016. https://www.theguardian.com/world/2016/mar/16/russian-speaking-jihadis-syria-pose-threat-moscow-report

Walker, Shaun. With Assad's fate secure, Russia sets its sights on Isis fighters in Syria. // *"Guardian",* September 2017. https://www.theguardian.com/world/2017/sep/16/russia-islamic-state-syria-assad-forces-recapture-town-okeirbat

Watanabe, Lisa. Islamist Actors: Libya and Tunisia. - *Center for Security Studies (CSS), ETH Zurich*, June 2018. https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/Watanabe-06282018-IslamistActors.pdf

Willsher, Kim. Leila Trabelsi: the Lady Macbeth of Tunisia. // *"Guardian",* January 2011. https://www.theguardian.com/world/2011/jan/18/leila-trabelsi-tunisia-lady-macbeth

Wolf, Anne. Can Secular Parties Lead the New Tunisia? – *CARNEGIE ENDAOWMENT FOR INTERNATIONAL PEACE*, April 2014. https://carnegieendowment.org/2014/04/30/can-secular-parties-lead-new-tunisia-pub-55438

World Health Organization-Address by H.E. Dr Abdellatif Mekki Minister of Health of Tunisia, and Vice-Chair of the Fifty-ninth Session of the WHO Regional Committee for the Eastern Mediterranean Region. – *World Health Organization.* https://apps.who.int/iris/handle/10665/123363

Youssef, Adham. Michaelson, Ruth. Egypt sentences 75 Muslim Brotherhood supporters to death. // *"Guardian",* September 2018. https://www.theguardian.com/world/2018/sep/08/egypt-sentences-75-to-death-in-rabaa-massacre-mass-trial

Zelin, Y. Aaron. The Syrian Islamic Front: A New Extremist Force. – *The Washington Institute for Near East Policy*, February 2013. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/the-syrian-islamic-front-a-new-extremist-force

Zelin, Y. Aaron. Sakthivel, Vish. Tunisia Designates Ansar al-Sharia. – *The Washington Institute for Near East Policy*, August 2013. https://www.washingtoninstitute.org/policy-analysis/view/tunisia-designates-ansar-al-sharia

Аль-Хамид, Тарик. Сирия и российские террористы. // *"Inosmi",* May 2016, accessed July 5, 2021 at web page https://inosmi.ru/politic/20160518/236571361.html

توجه غربي لإسلاميي تونس // *"ALJAZEERA",* November 2011. https://www.aljazeera.net/news/arabic/2011/11/9/%D8%AA%D9%88%D8%AC%D9%87-%D8%BA%D8%B1%D8%A8%D9%8A-%D9%84%D8%A5%D8%B3%D9%84%D8%A7%D9%85%D9%8A%D9%8A-%D8%AA%D9%88%D9%86%D8%B3

حركة شباب 6 ابريل - Shabab. 6 April. https://shabab6april.wordpress.com/about/shabab-6-april-youth-movement-about-us-in-english/

في ذكرى أكتوبر

اقتصاديات الحرب من 1967 إلى 1973 http://www.masralarabia.com/%D8%A7%D8%B6%D8%A7%D8%A1%D8%A7%D8%AA/%D9%85%D9%81%D8%A7%D9%87%D9%8A%D9%85/753559-%D8%A7%D9%82%D8%AA%D8%B5%D8%A7%D8%AF%D9%8A%D8%A7%D8%AA-

%D8%A7%D9%84%D8%AD%D8%B1%D8%A8-%D9%85%D9%86-1967-%D8%A5%D9%84%D9%89-1973

صحيفة: مصر «على خطى تركيا».. والجيش والقضاء «يتدخلان» في سياسة الدولة // "Almasryalyoum", April 2012. https://www.almasryalyoum.com/news/details/173774

دستور سورية الدائم لعام 1973 http://emediatc.com/PublicFiles/File/%D8%AF%D8%B3%D8%AA%D9%88%D8%B1%20%D8%A7%D9%84%D8%AC%D9%85%D9%87%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A9%20%D8%A7%D9%84%D8%B9%D8%B1%D8%A8%D9%8A%D8%A9%20%D8%A7%D9%84%D8%B3%D9%88%D8%B1%D9%8A%D8%A9%201973.pdf

نص قانون الطوارئ السوري 1962 8/11/2011. https://www.aljazeera.net/encyclopedia/events/2011/8/11/%D9%86%D8%B5-%D9%82%D8%A7%D9%86%D9%88%D9%86-%D8%A7%D9%84%D8%B7%D9%88%D8%A7%D8%B1%D8%A6-%D8%A7%D9%84%D8%B3%D9%88%D8%B1%D9%8A-1962

დისერტაციები:

Majid Rafizadeh. The Syrian Civil War: Four Concentric Circles of Tensions. A dissertation submitted in partial fulfillment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy University of South Florida, 2014.

სამეცნიერო ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი. ტომი II გეოპოლიტიკა. თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2019.

გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბ., გამომცემლობა „დიოგენე", 2008.

სანიკიძე გიორგი, ალასანია გიული და გელოვანი ნანი. ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს.-XXI ს.-ის დასაწყისი). თბ., „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი", 2011.

Edited by **Albrecht, H. Croissant, A. and Lawson, Fred H.** - Armies and Insurgencies in the Arab Spring. Philadelphia: University of Pennsylvania Press- PENN, 2016.

Bishara, Marwan. The Invisible Arab the Promise and peril of the Arab Revolutions. Nation Books. New York: Nation Institute and the Persus Books, 2012.

Esposito, John L. Sonn, Tamara. Voll, John O. - Islam and Democracy after the Arab Spring. New York: Oxford University Press, 2016.

Federal Research Division. Library of Congress. Edited by Thomas Collelo, Research Completed April 1987. United States Government as represented by the Secretary of the Army, Third Edition, 1988; First Printing, 1988.

Hamid, Shadi - Islamic exceptionalism: How the Struggle Over Islam is Reshaping the World. New York: Martin's Press, 2017.

Ketchley, Neil. Egypt in a Time of Revolution Contentious Politics and the Arab Spring. United Kingdom: Cambridge Univesity Press, 2017.

Editors **Mohamed, Eid • Fahmy, Dalia** - Arab spring: modernity identity and change. New York: Palgrave Macmillan, 2020.

Pradhan, Prasanta Kumar. - Arab Spring and Sectarian Fault lines in West Asia Bahrain, Yemen and Syria. New Delhi: Pentagon PRress, Institute for Defence Studies and Analyses, 2017.

Edited by **Poirson, Timothy. Oprisko, Robert.** - Caliphates and Islamic Global Politics (e-book). E-International Relations Publishing, 2014.

Rogan, Eugene. The Arabs – A history. Pengiun Books, 2012, 2017.

Sharp, Gene. From Dictatorship to Democracy A Conceptual Framework for Liberation. East Boston: The Albert Einstein Institution, fourth edition 2010. https://www.aeinstein.org/wp-content/uploads/2013/09/FDTD.pdf

Edited by **Szmolka, Inmaculada** - Political Change in the Middle East and North Africa After the Arab Spring. UK: Edinburgh University Press, 2017.

Teti, Andrea. Abbott, Pamela. Cavatorta, Francesco. - The Arab Uprisings in Egypt, Jordan and Tunisia: Social, Political and Economic Transformations. London: Palgrave Macmmillan, 2018.

William L. Cleveland, Banton, Mrtin – A History of the Modern Middle East. (Sixth Edition). United States, Colorado, Westview Press, 2016.

სამეცნიერო ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული სტატიები:

გურეშიძე, სიმონ. „არაბული გაზაფხული“ სირიაში: ჰაფიზიდან ბაშარ ალ-ასადამდე. – *„საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერტობებისადმი მიძღვნილი მეოთხე და მეხუთე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომები.“* თბ., 2018. კრებული გამოცემულია: თბ., 2021.

გურეშიძე, სიმონ. ეგვიპტის სამხედრო საბჭო და “არაბული გაზაფხული” (ეგვიპტის სამხედრო საბჭო “არაბული გაზაფხულის” კულუარებში). - *„საქართველო-ირანის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო კონფერენციის შრომები.“* თბ., 2017.

გურეშიძე, სიმონ. ეგვიპტის და სირიის “არაბული გაზაფხული” შედარებითი ანალიზის ჭრილში. // „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“ N II, 2019.

გურეშიძე, სიმონ. სირიის სამოქალაქო ომი - მთავარი აქტორები და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები. - *„ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“,* N XI, 2018.

https://drive.google.com/file/d/1wthpjx1u_viHTmXKkHRYhivXBu6cgvQt/view?fbclid=IwAR0z49bGnbCzrFhxQxgblr2unzkjm_Ygt_Gc0jYAr2JshKY71yyazlFCItg

ქაროსანიძე, თინათინ. ისლამური რადიკალიზმის ისტორიიდან–კუტბიზმი მისი ნაირსახეობები. *„ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“,* 2008.

Boubekeur, Amel. Islamists Secularists and Old Regime Elites in Tunisia: bargained Competition, Mediterranean Politics. - *“Taylor & Francis”,* 2015.

Ly Netterstrøm, Kasper. The Islamists' Compromise in Tunisia. - *"JOURNAL OF DEMOCRACY",* N 4, 2015.

Hinnebusch, Raymond. President and Party in Post-Ba'thist Syria from the Struggle for "Reform"to Regime Deconstruction. Syria from Reform to Revolt, 2015.

მონოგრაფიები:

ქაროსანიძე, თინათინ. ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე ეგვიპტეში - „მუსლიმი ძმებისა" და რადიკალური ისლამისტური ორგანიზაციების სტრატეგია. თბ., გამომცემლობა „ნეკერი", 2009.

Hinnebusch, Raymond – Revolution from above. London and New York: Routledge, 2001.2002.

Kepel, Gilles. Jihad the Trail of Political Islam. Masachusets: The Belknap Press of Harvard University Press Cambridge, 2002.

Rabil, G. Robet. *Syria, the United States and the War on Terror in the Middle East.* London: "Preager", 2006.

White, Beniamin Th. *The Emergence of Minorities in the Middle East The Politics of Community in French Mandate Syria.* Edinburgh University Press, 2011.

Winter, Stefan. *A HISTORY OF THE 'ALAWIS From Medieval Aleppo to the Turkish Republic.* United States Of America: Princeton University Press, 2016.

Ахмедов, Владимир. *Роль Исламского фактора в обшественно-политическом развитии Арабских стран ближнего востока и его еволюция в условиях сирийского восстания (90-е гг. XX-начало XXI вв.).* М., Институт Ближнего Востока, 2015.

Игнатенко, Александр. *Халифы без халифата. Исламские неправительственные религиозно-политические организации на Ближнем Востоке: история, идеология, деятельность.* М., 1988.

Ахмедов, Владимир. *Армия и власть в Ближнем Востоке. Научное издание,* (Сборник Статией) М., 2002.

ელექტრონული მასალები:

ელექტრონული სტატიები:

გურეშიძე, სიმონ. ეგვიპტე გზაგასაყარზე. - *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“.* თბ., N4, 2013. At web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf.

გურეშიძე, სიმონ. ექსტრემიზი სირიაში-ოპოზიციის არჩევანი თუ ადგილობრივი სპეცსამსახურების კომბინაცია? - *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“.* თბ., N 11, 2018. At web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf.

გურეშიძე, სიმონ. ისლამური სახელმწიფო. - *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“.* თბ., N 8, 2015. At web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/2/2223.pdf.

გურესიძე, სიმონ. სირიის სამოქალაქო ომის მთავარი აქტორები. - *„თანამედროვე ახლო აღმოსავლეთი“.* თბ., 2018. At web page https://iliauni.edu.ge/uploads/other/49/49806.pdf.

Batatu, Hana. Some Observations on the Social Roots of Syria's Ruling, Military Group and the Causes for Its Dominance. – *Middle East Jornal*, Vol. 6, N 3, 1991. At wab page http://www.la.utexas.edu/users/chenry/pmena/coursemats/2009/batatu-4326249.pdf

Brooks, Risa. Abandoned at the Palace: Why the Tunisian Military Defected from the Ben Ali Regime in January 2011. - *Journal of Strategic Studies*, 2013. At web page http://www.jonathanmpowell.com/uploads/2/9/9/2/2992308/brooks_2013jss_-_abandoned_at_the_palace_-_why_the_tunisian_military_defected_from_the_ben_ali_regime.pdf.

Carter, A. Joseph. Maher, Shiraz. Neumann, R. Peter. Measuring Importance and Influence in Syrian Foreign Fighter Networks. - *International Centre for the Study of Radicalisation and Political Violence*, kings College London., 2014. At web page https://icsr.info/wp-content/uploads/2014/04/ICSR-Report-Greenbirds-Measuring-Importance-and-Infleunce-in-Syrian-Foreign-Fighter-Networks.pdf.

Churshil, Amie. Labour organisation in the Arab Spring: A comparison of Tunisia and Egypt. – *SciencesP oKuwait Program*, 2016. At web page https://www.sciencespo.fr/kuwait-program/wp-content/uploads/2018/05/KSP_Paper_Award_Fall_2016_CHURCHILL_Amie.pdf.

Dalenda, Largueche. Clancy-Smith, Julia. Audet, Caroline. The Mahalla: The Origins of Beylical Sovereignty in Ottoman Tunisia during the Early Modern Period. - *The Journal of North African Studies,* Vol. 6, 2011. At web page https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/13629380108718423?journalCode=fnas20.

Fildis, Ayse Tekdal. Roots of Alawite-Sunni Rivalry in Syria. - *Middle East Policy*, Vol XIX, N 2, 2012. At web page https://www.researchgate.net/publication/264661298_Roots_of_Alawite-Sunni_Rivalry_in_Syria

Grewal, Sharan. Hamid, Shadi. The Dark Side of Consensus In Tunisia: Lessons from 2015-2019. – *Brookings.edu,* January 2020. At web page https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2020/01/FP_20200131_tunisia_consensus_grewal_hamid.pdf.

Grewal, Sharan. Winners and losers of Tunisia's parliamentary elections. – *Brookings.edu,* October 2019. At web page https://www.brookings.edu/blog/order-from-chaos/2019/10/11/winners-and-losers-of-tunisias-parliamentary-elections/.

Kosinski, Michal. Stillwell, David. Graepel, Thore. Private traits and attributes are predictable from digital records of human behaviour. - *Proceedings of the National Academy of Sciences of the United States of America,* N 15, 2013. At web page https://www.pnas.org/content/110/15/5802.

Lister, Charles. Profiling Jabhat al-Nusra. The Brookings Project on U.S. Relations with the Islamic World. Analysis Paper. - *Brooking Institution*, 2016. At web page https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/iwr_20160728_profiling_nusra.pdf.

Marks, Monica. Tunisia's Ennahda: Rethinking Islamism in the context of ISIS and the Egyptian coup. – *Project on U.S. Relations with the Islamic World at BROOKINGS,* August 2015. At web page: https://www.brookings.edu/wp-content/uploads/2016/07/Tunisia_Marks-FINALE-5.pdf.

O'Bagy, Elizabeth. Jihad in Syria. - Middle East Security Report 6, Institute for the Study of War, 2012. At web page http://www.understandingwar.org/sites/default/files/Jihad-In-Syria-17SEPT.pdf.

Silverman, Daniel. The Arab Military in the Arab Spring: Agent of Continuity of Change? *A Comparative Analysis of Tunisia, Egypt, Libya, and Syria.* - The Ohio State University, 2012. At web page https://www.polisci.osu.edu/sites/polisci.osu.edu/files/Silverman%20CPRW%202012.pdf.

Eltantawy, Nahed. Wiest, B. Julie. Social Media in the Egyptian Revolution: Reconsidering Resource Mobilization. - *International Journal of Communication*, N5, 2011. At web page https://ijoc.org/index.php/ijoc/article/viewFile/1242/597.

Yildirim, A.K. ISLAM AND IN POST–2011 TUNISIA. - "*Rice University's Baker Institute for Public Policy"*, 2018. At web page https://www.bakerinstitute.org/media/files/files/1b476ca4/cme-pub-carnegie-tunisia-050118.pdf.

ელექტრონული წიგნები:

Arafat, alaa al-Din. The Rise of Islamism in Egypt. Palgrave macmilan, 2017. E-Book at Google Books https://books.google.ge/books?id=tZswDwAAQBAJ&pg=PA196&lpg=PA196&dq=why+morsi+won&source=bl&ots=d5d6udqUhV&sig=cvVS1fE21E2BsjqYLHiB5QvNpcw&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwimzvjb_u3WAhUsP5oKHf9FBeU4ChDoAQgxMAE#v=onepage&q=why%20morsi%20won&f=false გვ.196

Grainger, D. John. The Battle for Syria, 1918-1920. "The Boydell press", 2013. E-Book at Google Books https://books.google.ge/books?id=LG2cG5SshpEC&pg=PA35&source=gbs_toc_r&cad=2#v=onepage&q&f=false გვ. 35.

Green, Dominic. Three Emires on the Nile: The Victorian Jihad, 1869-1899. A divison of Simon & Schuster, Inc, NY., 2007. E-Book at Google Books – https://books.google.ge/books?id=5VTIZlIcZrwC&pg=PA94&lpg=PA94&dq=Colonel+Urabi&source=bl&ots=y6Wd-xqBCq&sig=k37rvZvj51eez03pHxN9eCCPfa4&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwihxdXArLjdAhVFWCwKHUaLCNYQ6AEwDnoECAQQAQ#v=onepage&q=Colonel%20Urabi&f=false გვ. 84-94.

Johns, D. Mark. Shen, S. Shing-Ling and Terlip, A. Laura. Simoblic Interaction and New Social Media. UK.,"Emerald Group Publishing Limited", 2014. E-Book at Google books

https://books.google.ge/books?id=K5zDBAAAQBAJ&pg=PA103&lpg=PA103&dq=Ali+Akleh&source=bl&ots=Ciz8W9jPXD&sig=ACfU3U0-u53jKIkkZX8mZjf_-esXQiTr5Q&hl=en&sa=X&ved=2ahUKEwijhOfalcvuAhUj5uAKHcK3DBA4ChDoATAEegQIBxAC#v=onepage&q=Ali%20Akleh&f=false.

Raymond Hinnebusch, Tina Zintl. Syria from Reform to Revolt, Volume 1. E-book at Google Books https://books.google.com.lb/books?id=NObqBQAAQBAJ&printsec=frontcover&hl=fr#v=onepage&q&f=false.

Volpi, Fildis. Political Islam A Critical Reader. NY.,"routledge", 2011. E-Book at Google Books https://books.google.ge/books?id=9UHhAQAAQBAJ&pg=PA181&lpg=PA181&dq=Anwar+Sadat+replaced+marxists+with+islamists&source=bl&ots=mw0JQ9-b1P&sig=E8Kx8pRSZwmf8oPuO-YhD3AH5pM&hl=ka&sa=X&ved=0ahUKEwjmwvPP79nYAhXHXiwKHUN-AzIQ6AEIWzAH#v=onepage&q=Anwar%20Sadat%20replaced%20marxists%20with%20islamists&f=false გვ. 181-183.

Youssef, Michael. Revolt Against Modernity: Muslim Zealots and the West. E.J. Brill – Lieden., 1985. E-Book at Google Books - https://books.google.ge/books?id=R6k3AAAAIAAJ&pg=PA54&lpg=PA54&dq=Colonel+Urabi&source=bl&ots=kSqeKKWATF&sig=nZvKPc3T5HsJI0mosJgFmW4h-Bg&hl=ka&sa=X&ved=2ahUKEwihxdXArLjdAhVFWCwKHUaLCNYQ6AEwDHoECAUQAQ#v=onepage&q=Colonel%20Urabi&f=false.

ვიდეო მასალები:

Syria President Bashar al-Assad Speech to Parliament. **–** C.SPAN, March 30 2011. At web page https://www.c-span.org/video/?298760-1/syria-president-bashar-al-assad-speech-parliament

خطاب حسنى مبارك 10 فبراير 2011 الجزء الثانى. Yuoutube, Feb 2011. At web page

https://www.youtube.com/watch?v=9RQXR2Qp9PU